# კვირის პალიტრა
## ყოველკვირეული გაზეთი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 35 (228) ◆ 30 აგვისტო — 5 სექტემბერი. 1999 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ჩამოყალიბდება მდგრადი არასტაბილური ზონა...



..ირანსა და საუდის არაბეთს აინტერსებთ არასტაბილურობის ზონის ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოტანა. გვ. 3

„ვიდრე ოთხი რუსული სამხედრო ბაზა გვყავს ჩაყენებული, ჩვენი არმია კი ჯერ არ არის თავდაცვისუნარიანი, გულისფანცქალით ველოდებით რუსეთის არჩევნების შედეგებს... ერთი შემიძლია ვთქვა — პუტინი იქნება, პრიმაკოვი თუ მაო ძე-დუნი, დამაიმედებელს ვერაფერს ვხედავ — მოსკოვში ყველა ერთმანეთ ზე უარესია“.

## აჭარის უზენაეს საბჭოში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის გაუხმაურებელი ფაქტები...

— დავინახე ავტომატიანი ნოდარ იმნაძე, მის უკან პისტოლეტმომარჯვებული მისი ქალიშვილი... გვ. 5

— ავტომატი ჩემკენ მომართა... ვხედავდი ცეცხლს, ტყვიების ნაკადი არ წყდებოდა. ...ამოვიღე რევოლვერი, გავამზადე, პირველი ტყვია არ გავარდა...

*ანზორ აბაშიძე*

ქართველები დავით ალმაშენებელს გააცოცხლებდნენ გვ.27

## საქართველოს კანონიერი ქურდები და პოლიტიკოსები მართავენ

ვერსია

— „იაპონჩიკი“ არც ისე მაგარი იყო... რუსებმა იმისათვის განადიდეს, რომ საბჭოთა კავშირში ყველგან ქართველებს მიჰყავდათ „სტოსი“. თუნდაც გივი ბერაძე ან ქუჩულორია (კანონიერი ქურდები) „შეჭამდნენ“ მას. გვ. 10

— ოთარ კვანტრიშვილი მილიციამ მოაკვლევინა სოლონიკს, ის კი მილიციის ოფიცერი იყო... ოთარის მერე დაერივნენ ქართველებს... ვინ აღარ ამოხოცეს...

— ამ ცხოვრებას რა ვუთხარი — „არსენა“ მაინცდამაინც თბილისში უნდა მოეკლათ?

— კბილებამდე შეიარაღებული 17-18 წლის ბიჭები არავის ინდობდნენ...

სად არიან დღეს ეს ბიჭები? – სასაფლაოზე...




— თბილისელებს ასეთი მარიამობა, არ გვახსოვს...

შუადღის შემდეგ, ქალაქს 15-20 წუთის განმავლობაში თავს დაატყდა ავდარი. ვარაზისხევიდან ჩამოშლილმა ლოდებმა (ამას ფილაქანს ვერ უწოდებ) ჩახერგა გმირთა მოედანი...

## „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთი ნომერი ჩეჩნებმა თავზე დამახიეს...

— საფუძვლიანად შევისწავლე ყურანი და ვაჰაბიტური ლიტერატურა...

ექსკლუზიური ინტერვიუ ტყვეობიდან ახლადდახსნილ გიგა გაალიშვილთან. გვ. 5

**ბ.ე.** — არა, ბილ, არა! საქართველოს არ მოგცემ, გინდაც 10 მილიონი ჩამიდო ჯიბეში.

**ბ.კ.** — რაო 10 მილიონიო? დამიძახეთ შევარდნაძეს!.. სად წაიღო დანარჩენი 90 მილიონი? გვ. 27

ფოტოპალიტრა

## ამბობენ, თბილისში №1 ტერორისტის წინასაარჩევნო პლაკატები გამოჩნდებაო გვ. 5

## შესაძლოა, რუსთავში მანიაკი დადიოდეს...

... გოგონას გატაცებაში ეჭვმიტანილის ფოტორობოტი შედგენილია...

...ბავშვებმა გაიხსენეს გონებასუსტი ახალგაზრდა, რომელიც ეზო-ეზო დადიოდა და მხოლოდ 10-15 წლის ასაკის ლამაზი გოგონებით ინტერესდებოდა. გვ. 7

## გაგარინმა ბრეჟნევს შამპანური სახეში შეასხა...



...ერთ-ერთ ბანკეტზე დედამიწის პირველი ადამიანი ბრეჟნევის გვერდით მოხვდა... ბრეჟნევმა ყურში რაღაც უჩურჩულა იურის, უეცრად გამძვინვარებული გაგარინი ფეხზე წამოიჭრა და... ბრეჟნევს სახეში შამპანური შეასხა... დამაცადე, გიჩვენებ სეირსო — ეწერა სახეზე ლეონიდ ილიჩს... გვ. 12

მაშინ ვოლოდიამ იურის მაგივრად გასწირა თავი — ერთი წლის შემდეგ იურიც მის გზას გაუყენეს.

## სწავლა ტრადიციისამებრ 1 სექტემბერს დაიწყება...




— ყველა პირველკლასელი საჩუქრად მიიღებს დედაენას...

— სახელმძღვანელოები იწერება ქართველი ბავშვებისათვის, ქართველი ავტორების მიერ.

— მსოფლიო ბანკი 60 მილიონიან სესხს გამოგვიყოფს... გვ. 6

— მივაღწიეთ, რომ პედაგოგებს არ შეეხოთ 20%-იანი შემცირება.

*ინტერვიუ განათლების მინისტრთან*

## წინასაარჩევნო ნეიტრალიზება?!



...გორბაჩოვას ავადმყოფობა საეჭვოდ სწრაფად განვითარდა.

...ასე უეცრად განვითარებული სენი გარეშე ზემოქმედების შედეგს ჰგავს...

...წინასაარჩევნო ნეიტრალიზებისთვის „უკეთეს“ მეთოდს ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი. გვ. 25

## შევარდნაძეს მახარაძის საქართველოში გადმოყვანის შანსი გაუჩნდა...

ამერიკელი ლორენ ვალი აიოვას შტატიდან თბილისში 21 ივლისს ხეს შეასკდა. დაიღუპა მისი ქართველი თარჯიმანი ქალბატონი. ...შეიძლება ვილი გიორგი მახარაძის ვაშინგტონში ორი წლის წინანდელი ქეიფის ბოლო მსხვერპლი გახდეს. გვ. 6


შეავსეთ სპორტპროგნოზი

„მესამე ტაიმი“

და მოიგეთ

ვინც არ თამაშობს, ის ვერც იგებს


საკვირაო



ტელე-კინო-აფიშა

30 აგვისტო – 5 სექტემბერი

გვ. 14-15

ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ!


Неделя
КОММАНДОС
Частная жизнь
Телохранитель
За рубежом
Московские новости
Newsweek
Focus
Общая газета
DER SPIEGEL
Комсомольская правда
MK
stern
Сегодня
Клюква
Известия
Труд
Совершенно секретно
Аргументы и факты
Иностранец
Le Figaro Magazine
Paris Match
ТВ Парк
Лица
Огонёк
Daily
Le nouvel Observateur
Итоги

## ცემა გვემართებს გამზრდელისა...

განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს ჩვენი საზოგადოებრიობა ისე შეეჩვია სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა და ფრაქციაში (უწინარესად, ოპოზიციურში) გახშირებულ განხეთქილებებს, გაყოფებს, მათ წევრთა განუწყვეტელ სირბილს ერთი პარტიიდან მეორეში, „ამ" ფრაქციიდან „იმ" ფრაქციაში, რომ უკვე აღარც კი იქცევდა ყურადღებას, მიუხედავად იმისა, რომ „დაზარალებული" პარტიები და ფრაქციები ხელს მმართველი ძალისკენ იშვერდნენ, ყველაფერს „მოქალაქეთა კავშირის" „ხრიკებს" აბრალებდნენ! გარკვეულწილად, შეიძლება ასეც იყო. მაგრამ რაც ამ დღეებში მოქკავშირის ბირთვში მოხდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა!

მოხდა კი ის, რომ ედუარდ შევარდნაძის „გაზრდილმა კადრმა", შევარდნაძის ფონდის თავმჯდომარემ და დღემდე პრეზიდენტის ერთ-ერთმა მძლავრმა დასაყრდენმა ფიგურამ, ნუგზარ ფოფხაძემ „გამზრდელს" ზურგში მახვილი ჩასცა და თანაც ისეთი ძალით, რომ ბატონმა ედუარდმა პროტესტის ნიშნად(!) კი არ გაათავისუფლა ბ-ნი ნუგზარი ფონდის ხელმძღვანელობიდან(?), არამედ თავისივე სახელობის ფონდი მიატოვა(!!!), თანაც, როგორც მსგავს სიტუაციებში მომხდარა ხოლმე, პრეზიდენტმა ეს განცხადება... ზურაბ ჟვანიას გააკეთებინა, რომელიც ზუგდიდში წინასაარჩევნო აგიტაციისთვის იყო ჩასული „მოქალაქეთა" დიდ ჯგუფთან ერთად. მოკლედ, განხეთქილების მსახვრალი ხელი მოქკავშირსაც შეეხო და თანაც როდის(?!)

## ყველამ თავის... თავს მიხედოს, თორემ!..

ეს სკანდალი დაიწყო მას შემდეგ, როცა ოზურგეთში ნუგზარ ფოფხაძემ რაიონის „აქტივს" წარუდგინა დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი... „აღორძინების კავშირის" წევრი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი, ჩაქვში შესანიშნავი სასტუმროს მფლობელი ზვიად ცეცხლაძე, რომლის კონკურენტი არჩევნებში არის „მოქალაქე" ზურაბ ჩხაიძე... ამ ინფორმაციამ პრეზიდენტის ყურამდე მაშინ მიაღწია, როცა იგი მთავრობის სხდომას უძღვებოდა. როგორც ჩანს, ინფორმაცია დაუზუსტებელი იყო და პრეზიდენტმა გვარები არ დაასახელა. სამაგიეროდ, პირქუშად დაუქნია თითი თანამოაზრეებს და განაცხადა, — სჯობს, თავი დაანებონ ვილაცა დეპუტატობის კანდიდატების აგიტაციას პრეზიდენტის სახელით და ყველამ საკუთარ თავს... მიხედოსო.

## „შვილის" ჩარტყმული მახვილი...

ცხადია, ნუგზარ ფოფხაძე არც „გამზრდელის" სახელობის ფონდს გადააკეთებს ფოფხაძის სახელობის ფონდად და არც ამ თანამდებობაზე დარჩება, მაგრამ ახლა ჩვენს პოლიტიკურ ისთებლიშმენტს ერთი საფიქრალი აქვს: რამ გადაადგმევინა ფოფხაძეს ეს ნაბიჯი. არსებობს უამრავი ვერსია, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ზურაბ ჟვანიამ პრეზიდენტის ნება, ფონდის დატოვებასთან დაკავშირებით, ზუგდიდში, ამომრჩევლების წინაშე გამოსვლისას გამოხატა(!). ერთ-ერთი ვერსიით, პრეზიდენტი იმანაც განარისხა, რომ ზვიად ცეცხლაძე შევარდნაძის ფონდის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა და, შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიისას შევარდნაძის სახელით ისპეკულიანტებდაო! მაგრამ როგორც პრეზიდენტთან დაახლოებული წყარო იუწყება, შევარდნაძე-ფოფხაძის დაპირისპირების მიზეზი გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ცეცხლაძის გამო ამტყდარი სკანდალი, ხოლო კერძოდ რა, ამას ან მხოლოდ ფოფხაძე იტყვის, ან შევარდნაძე, ან საერთოდ სამუდამოდ დაიმარხება. ყოველ შემთხვევაში, კარგა ხნის მანძილზე მაინც. ეს შევარდნაძისა და ფოფხაძის საერთო სამეგობრო წრეს არც ეეჭვება!

## ნათელმირონი ყოველთვის წაგადგება

მაშინ, როცა თბილისში ნუგზარ ფოფხაძის „მუხანათობის" მიზეზებზე მსჯელობდნენ, „მოქალაქეთა" დაუძინებელი მტრის და ცეცხლაძისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი აჭარის ლიდერის ოჯახში დიდი ნათლობისთვის ემზადებოდნენ, ხოლო მეორე დღეს, ასლან აბაშიძე საქართველოში მყოფ ჰილარი კლინტონის ძმებთან ერთად მათივე თვითმფრინავით რომში გაფრინდა. იტალიის დედაქალაქში აბაშიძემ ორი დღე დაჰყო, მოინახულა იქ ახლახან შეძენილი შვილიშვილი რიკარდო, რომელიც ვატიკანში ჰილარი კლინტონის ძმამ, ტონი როდჰემმა მონათლა. ასე რომ, აბაშიძეთა დიდი ოჯახი კლინტონების დიდ ოჯახს დაუნათესავდა! რა ბედი ჰქონია რიკარდოს! ღმერთმა ბედნიერი ამყოფოს!

## აფხაზები ქართველებისგან თხილს ყიდულობენ(!)

გალის რაიონში თხილის მოსავალს იღებენ და სასწრაფოდ ეზიდებიან ზუგდიდში გასაყიდად. არძინბას განკარგულებით, წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად აფხაზი-ეგზეკუტორები ქართულ მოსახლეობას თხილის შესაძენად საფასურს უხდიან, თუმცა, წართმევა-მოპარვაზე კვლავაც არ ამბობენ უარს. არძინბას განკარგულება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია და მიზნად ისახავს ქართული მოსახლეობის გულის „მონადირებას", რათა მან მონაწილეობა მიიღოს 3 ოქტომბერს, აფხაზეთში დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში, უფრო სწორად, ვლადისლავ გრიგორიევიჩის პერსონალურ არჩევნებში, რადგან იგი იმ პოსტზე, ფაქტობრივად, უალტერნატივო კანდიდატურაა!

გალიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქართული მოსახლეობის უმრავლესობა არჩევნების პერიოდში რამდენიმე დღით ზუგდიდში გადმობარგებას აპირებს, რათა აფხაზმა ბოევიკებმა ძალით არ მიათრიონ საარჩევნო ყუთებთან საკუთარი „კონსტიტუციური ნების" გამოსახატავად... თუმცა, როგორც ჩანს, გალის რაიონის ქართველობის გარკვეული ნაწილი მიიღებს მონაწილეობას არძინბას „არჩევაში"...

## ისევ გაუგრძელეს?..

რამდენიმე დღეში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ უნდა გაარკვიოს ენგურზე რუსი „მშვიდობისმყოფელების" ყოფნა-არყოფნის საკითხი. რუსები იქ უკვე ერთი წელიწადია, მანდატის გარეშე დგანან, მაგრამ აქ გასარკვევი, ფაქტობრივად, აღარაფერია. მიუხედავად ქართული მხარის ერთწლიანი მუქარისა, რომ „სამშვიდობო ჯარებს" არავითარ შემთხვევაში არ გაუგრძელებდნენ მანდატს, თუ ისინი კეთილსინდისიერად არ შეასრულებდნენ ნაკისრ მოვალეობებს, დღეს ტონი შეიცვალა და, როგორც ჩანს, ხელისუფლება გაუგრძელებს ექვსი თვით მანდატს „მშვიდობისმყოფელებს". საამისოდ უკვე ჩატარდა მოკლე, მაგრამ „ეფექტური" პროპაგანდისტული კამპანია, ჯერ გაეროდან მოვიდა „ინსტრუქცია", რომ რუსების ყოფნა ენგურზე აუცილებელია, შემდეგ ამ „ინსტრუქციას" ზურგი გაუმაგრა რეზო ადამიამაც, ხოლო საქართველოში აშშ-ის ელჩის იალოვიცის შეხვედრამ არძინბასთან სოხუმში, ფაქტობრივად, წერტილი დაუსვა ამ საკითხზე დავა-კამათის გაგრძელებას...რუსი „მშვიდობისყოფელები" კიდევ ექვსი თვის მანძილზე „დაამშვენებენ" კონფლიქტის ზონას...

## უაქციზო პროდუქცია აფხაზეთიდან შემოდის

ამ დღეებში საქართველოს საგადასახადო სამსახურებიდან 15-15 კაციანმა ჯგუფებმა დაიწყეს რეიდები რეგიონებში უაქციზო სიგარეტისა და ალკოჰოლური სასმელების გამოსავლენად. ფინანსური სტაბილიზაციის სამთავრობო კომისიის სხდომაზე კი, რომელსაც ვაჟა ლორთქიფანიძე უძღვებოდა, განაცხადეს, რომ აგვისტოში თამბაქოს ნაწარმის აქციზებიდან ბიუჯეტში არაფერი შესულა. საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის უფროსის ირაკლი კოპალეიშვილის მტკიცებით, სამეგრელოში უაქციზო პროდუქცია აფხაზეთიდან შემოდის(!), აფხაზეთს კი ამ პროდუქციას თურქეთი აწვდისო. თუმცა კომისიის წევრთა რისხვა კვლავინდებურად აჭარას დაატყდა და უაქციზო სიგარეტის შემოტანის ძირითად მარშრუტადაც ეს რეგიონი დასახელდა... ვაჟა ლორთქიფანიძეს სასაცილოდ არ ეყო აფხაზეთიდან უაქციზო სიგარეტის შემოტანის შესახებ გაკეთებული განცხადება და ბრძანა, რომ ენგურს გაღმიდან და ცხინვალიდან გადმოტანილი კონტრაბანდა „ამინდს" არ ქმნისო... ლორთქიფანიძემ მართალია, კონკრეტულად არ დაასახელა კონტრაბანდის ხელშემწყობი ხელისუფალნი რეგიონებში და თქვა, რომ უნდა ვამხილოთო, მაგრამ ნათელი იყო, რომ სწორედ აჭარისა და მისი ხელმძღვანელობის მისამართით ამბობდა ამას...

## „ყაზბეგის" შეფი — მშენებელი

ქართული ლუდის, „ყაზბეგის", მამა-მარჩენალმა გოგი თოფაძემ, როგორც ჩანს, არაფრად ჩააგდო პრეზიდენტის განკარგულება 1 ნოემბრიდან უაქციზო ლუდის გაყიდვის აკრძალვის შესახებ (მანამდე უნდა გაიყიდოს დარჩენილი ლუდის ნაშთიც) და ახალი გრანდიოზული პროექტი წამოიწყო. უცხოელ მენეჯერებთან ერთად ფართო საზოგადოებრიობას წარუდგინა ე.წ. ბაკურიანის განაშენიანების პროექტი, რომლის განხორციელებას გაისიდან აპირებენ და 18 მლნ დოლარი დაჯდება. „ყაზბეგის" შეფს სპორტის ზამთრის სახეობათა მსოფლიო ფედერაციის მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს და ვარაუდობს პროექტში ქართველ ბიზნესმენთა მონაწილეობასაც. თოფაძის თქმით, ბაკურიანის ბაზაში ძირითადად განვითარებადი ქვეყნების სპორტსმენები მოემზადებიან.

თოფაძემ იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლება ამ საქმეში მაინც არ შეუშლის ხელს და არ დაუწესებს აქციზებს... თოვლზე, რომელიც უხვად მოდის ბაკურიანში.

## არჩევნების „ვნებათაღელვანი"

მონოლითურ საარჩევნო ბლოკად მიჩნეულ ბათუმური ალიანსის ზვიადისტურ ფრთას, ანუ ვახტანგ ბოჭორიშვილის „21-ე საუკუნეს" „ბომბი" დაუდეს და ააფეთქეს. ცხადია, აქ პოლიტიკური აფეთქება იგულისხმება! ზვიადისტთა ისედაც აწეწილ-განეწილ მოძრაობაში მომხდარი ამ მორიგი გახლეჩის მიზეზი გახდა ის, რომ საარჩევნო სიაში ასლან აბაშიძემ ბოჭორიშვილის ხალხს 12 ადგილი გამოუყო. აქედან 11 — ვახტანგ ბოჭორიშვილმა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების წევრებით დააკომპლექტა და მოკავშირე პარტიას, „საქართველოს გული — 21-ე საუკუნეს"... 1 ადგილი გამოუყო. იგი წილად ხვდა პარტიის ლიდერს თამაზ კერძევაძეს, რომელიც გაცილებით მეტ ადგილს ელოდა თავისი პარტიისთვის. ამიტომ კერძევაძემ ის ერთი ადგილიც ბოჭორიშვილს და ბათუმურ ალიანსს მიუგდო და ოფიციალურად გამოაცხადა, — ჩემს პარტიას არავითარი ურთიერთობა აღარ აქვს ამ ბლოკთანო. ეი. შეიძლება ითქვას, საარჩევნო ბლოკი „21-ე საუკუნე", ფაქტობრივად, მხოლოდ ქაღალდზეღა არსებობს! კერძევაძე ირწმუნება, — ბლოკის დაშლით ბათუმურ ალიანსს ბევრი ხმა დააკლდებაო, თუმცა თავად ბათუმში სხვაგვარად ფიქრობენ...

## „სოციოლოგ-აგიტატორები" „ვირის აბანოში"

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, თბილისელ „კუკარაჩებს" ახალი თავსატეხი გაუჩნდათ. დედაქალაქში გამოჩნდნენ ბანდები, რომლებიც „სოციოლოგიური გამოკითხვის ცენტრისა თუ ორგანიზაციის" წარმომადგენლებად ასაღებენ თავს, მოტყუებით იჭრებიან ბინებში და ძარცვავენ. ერთ-ერთი ასეთი ხუთკაციანი ბანდა ბოლო ერთი თვის მანძილზე დათარეშობდა დიღომში, მაგრამ მათი ბოლო თავდასხმა მძევაშვილების ოჯახზე, ბანდისთვის სავალალოდ დამთავრდა. პოლიციამ ფაქტზე მიუსწრო შეიარაღებულ „სოციოლოგებს" და ნახევარსაათიანი მოლარაკების შემდეგ იარაღი დააყრევინა. ასე რომ, „სოციოლოგ-აგიტატორები" 31 ოქტომბრის არჩევნებს „ვირის აბანოში" შეხვდებიან!

არადა მართლაც ძნელია, შეეგუო იმ ფაქტს, რომ დღეს, როდესაც პრეზიდენტი უამრავი მსჯავრდებულის შეწყალებაზე აწერს ხელს (გამონაკლისს მკვლელები და ადამიანის გამტაცებლები წარმოადგენენ) და მოელიან, რომ შეწყალებულთა შორის იქნება დოდო გუგეშაშვილი და აფხაზეთის ომის რამდენიმე ვეტერანი (აქ ჯაბა იოსელიანის სახელმაც გაიელვა, მაგრამ მხოლოდ „ერთი წამით", რადგან ამბობენ, პრეზიდენტი იოსელიანს მეორე ვადით არჩევის შემდეგ შეიწყალებსო), სწორედ ამ დროს წინასაარჩევნო კამპანიის „აგიტატორთა" და „სოციოლოგთა" სახელით მოქალაქეთა ძარცვა, თანაც ძალზე უნიჭოდ და საკუთარი თავის და ახალგაზრდული წლების გაწირვა „ვირის აბანოს" ხეხვისთვის, მართლაც რომ სიბრიყვეა და მეტი არაფერი...

## შეწყალებულნი „სვობოდაზე" გადიან

პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ ათასზე მეტ პატიმარს კი უკვე შეკრული აქვს „ბარგი" და წუთი-წუთზე ელის „სვობოდაზე" გამოსვლას...

გაზეთის ნომერი ასაწყობად მზად იყო, როცა მივიღეთ ინფორმაცია, რომ პირველმა შეწყალებულებმა უკვე დატოვეს ციხეები და კოლონიები!

## ქართველები ხართ? უფულოდ მობრძანდით!

27 აგვისტოს საქართველოში დაბრუნდა შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის ჯგუფი, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად იყო მივლინებული. სამაშველო რაზმის შტაბის უფროსმა,. ვლადიმერ ყუშიტაშვილმა გვიამბო:

— სტამბულში 22 აგვისტოს, დილის 7 საათზე ჩავედით. ჩვენი სამაშველო აღჭურვილობით და მედიკამენტებით გაგვგზავნეს ქალაქ იზმირში, რომელიც სტამბულიდან 75 კმ-ითაა დაშორებული. იზმირში დაგვხვდა იქაური მერიის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი, წარმოშობით ქართველი, რომელიც ქალაქ ბახჩიჯუგისკენ გაგვიძღვა. ეს ქალაქი, პრაქტიკულად, მთლიანად დანგრეული იყო.

ბახჩიჯუგში არ იყო სასმელი წყალი, ჰაერში გახრწნილი გვამების სუნი ტრიალებდა. თურქმა სამხედროებმა ქალაქს შორიახლოს, მთიან ზონაში დასაბანაკებლად მეტნაკლებად შესაფერისი ადგილი მოგვიძებნეს...

აღმოჩნდა, რომ ბახჩიჯუგში უმეტესად ქართველები ცხოვრობდნენ. ქართულად მშვენივრად საუბრობდნენ. მათ სახეების რომ ვუყურებდით, თავი საქართველოში გვეგონა.

შევუდექით მუშაობას. ვასუფთავებდით დანგრეულ შენობებს, გამოგვქონდა ცხედრები, დაზარალებულებს სამედიცინო დახმარებას ვუწევდით. სამწუხაროდ, ნანგრევებში ვერავინ გადავარჩინეთ, ცოცხალი აღარავინ იყო.

თურქეთში ჩასვლიდან სამი დღის შემდეგ შევიტყვეთ, რომ ჩვენი დისლოკაციის ადგილიდან სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრში ყოფილა ქართული სოფლები, სადაც ცერცვაძეებისა და გოგლიძეების გვარის ხალხი ცხოვრობდა. რა თქმა უნდა, წავედით იმ სოფლებში და მოსახლეობას მაქსიმალური დახმარებაც აღმოვუჩინეთ. ერთ ადგილას, უსახლკაროდ დარჩენილთათვის დიდი კარავი რომ გავშალეთ, ადგილობრივთა მოთხოვნით, ზედ ქართული დროშაც ავაფრიალეთ.

ბოლო დღეს ჯგუფის წევრებს სტამბულის დათვალიერების შესაძლებლობაც მოგვცეს. როდესაც ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ვათვალიერებდით, მუზეუმებში შევდიოდით და ჩვენს ვინაობას ვეუბნებოდით. თურქები არასდიდებით არ გვართმევდნენ ფულს და აქეთ გვთავაზობდნენ საჩუქრებს. ქართული სამაშველო ჯგუფის მუშაობის თაობაზე კი თურქეთის წამყვანმა ტელეარხებმა რამდენიმე საგანგებო გადაცემა გააკეთეს. ერთი ასეთი გადაცემა გერმანიის ტელევიზიამაც უჩვენა.

თურქეთის მოსახლეობა მეტად მადლიერი დაგვრჩა. თავგანწირული და უანგარო მუშაობით ჩვენმა ბიჭებმა უდავოდ მოიპოვეს ავტორიტეტი.

რა გვეთქმის... ღმერთმა აშოროს განსაცდელი ყველას და ყველგან... სტიქიასთან მებრძოლთა ჯგუფი კი საქართველოსაც გამოუზრდია...

## რა ეშველებათ სააგენტოებს?

დიდმა პანიკამ მოიცვა სარეკლამო სააგენტოებისა და ელექტრონული პრესის მესვეურები. როგორც ცნობილია, მიღებული კანონი რეკლამის შესახებ, 2000 წლის პირველი იანვრიდან საერთოდ კრძალავს თამბაქოსა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების რეკლამას, რომელიც ამჟამად შეზღუდულია ასევე კანონის საფუძველზე. ამ შეზღუდვამ ტელეკომპანიებს და სახელმწიფო ბიუჯეტს მილიონობით ლარი უკვე დააკარგვინა. ანტიმონოპოლიური სამსახური ამტკიცებს, რომ აღნიშნული კანონის მომზადებისას უცხოელ ექსპერტთა კონსულტაციებითა და ევროგაერთიანების დირექტივებით ხელმძღვანელობდა, არადა ეს ის სამსახურია, რომლის მთავარი ფუნქციაც მეწარმის ინტერესების დაცვა უნდა იყოს, რეალურად კი, ამ კანონის შემოღებით ყველაზე მეტად ადგილობრივი მწარმოებლები დაზარალდნენ. მათ იმედად ისღა რჩებათ, რომ საშემოდგომო სესიაზე პარლამენტი გაითვალისწინებს შექმნილ ვითარებას და მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს აღნიშნულ კანონში... მაგრამ საქმე ის არის, „ეცლება" კი პარლამენტს არჩევნების წინ მსგავსი პრობლემების გადაწყვეტისათვის?!

## ალავიძეს ამერიკელები უფრო აფასებენ...

როგორც ჩანს, თბილისის პოლიციის შეფს სოსო ალავიძეს ამერიკაში უფრო აფასებენ, ვიდრე სამშობლოში, სადაც მან ზვიადისტთა ქუჩური დემონსტრაციების „ეგზეკუტორის" იმიჯი დიდი ხანია დაიმკვიდრა... თემურ მღებრიშვილთან ერთად! ხუმრობა იქით იყოს და დედაქალაქის №1 პოლიციელს ამერიკელმა კოლეგებმა მართლაც რომ შესაშური საჩუქარი მოუმზადეს. ბატონი ალავიძე ტეხასის შტატის ქალაქ დენთონის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს!

დედაქალაქში დაბრუნებულმა პოლიციის შეფმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს დენთონის მერის მიერ ნაჩუქარი სიგელები წარმოგვიდგინა. ალავიძემ დენთონში ყოფნისას მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი პოლიციის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ ოპერაციაში და შედეგად, 100 ათასიანი ქალაქის 131 პოლიციელის გულიც მოიგო და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა, როგორც პროფესიონალმა (ისე კი, საინტერესოა საქართველოს 100 ათასიანი მოსახლეობის ქალაქებს რამდენი პოლიციელი ემსახურება?!). თბილისისა და დენთონის პოლიციის შეფებმა, ალავიძის თქმითვე, ხელშეკრულება გააფორმეს სამომავლო თანამშრომლობაზე, რომელიც თბილისელი და დენთონელი პოლიციელების ორკვირიან გაცვლით პროგრამას ითვალისწინებს. ამერიკელები საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის პრაქტიკას გაივლიან(!), აი, კონკრეტულად რას გააკეთებენ თბილისელი პოლიციელები დენთონში, ეს, ჯერჯერობით, უცნობია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ისლამისტური რევოლუცია მოედება მთელ ჩრდილო კავკასიას და შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ჩამოყალიბდება მდგრადი არასტაბილური ზონა...“

Საით მიდის რუსეთი?! ამ კითხვაზე პასუხის გაცემას დიდი ხანია ცდილობენ მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგები და ექსპერტები, თუმცა ამომწურავ პასუხს, ჯერჯერობით, ვერავინ იძლევა და მხოლოდ ზოგად დასკვნას სჯერდებიან — რუსეთი იშლება (ამაზე წინა ნომერში ვწერდით)! მაგრამ რა შეიძლება მოჰყვეს ამას მსოფლიოსთვის და უწინარესად, რუსეთის მეზობელი სახელმწიფოებისთვის, ამაზე მსჯელობას თავს არიდებენ. ეს გასაგებიცაა, რადგან მოვლენათა განვითარების ამგვარ პერსპექტივას დიდი სისხლის სუნი ასდის, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა დაღესტნის კონფლიქტმაც... ამიტომ დადგა დრო, რომ საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიოს ურთიერთობა რუსეთთან, რათა ამ ქვეყნის დაშლისა თუ მძლავრობის შედეგებზე აღარ იყოს დამოკიდებული ჩვენი აწმყოც და მომავალიც...

რამდენიმე დღეში თბილისში ოფიციალური ვიზიტით ელიან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ახმეტაში დაბადებულს და დედით ქართველს იგორ ივანოვს (ეს ისე, ცნობისათვის, რადგან პოლიტიკაში წარმოშობისა და ნათესაობის ფაქტორს რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არაერთხელ დავრწმუნებულვართ)... ვიზიტი უთუოდ დროულია, რადგან რუსეთ-საქართველოს შორის არსებული აბსურდული ურთიერთობის პარალელურად, მთელი დსთ-ის სივრცეში ისეთი პროცესები ვითარდება, რომელსაც ველარ დავარქმევთ ლოკალურს, რეგიონულს, რადგან ამოქმედებულია მსოფლიოს უამრავი მძლავრი ძალა საკუთარი ინტერესებითურთ და ახლა საქმე ის არის, რომელი გადასწონის. ვფიქრობ, შექმნილ ვითარებაზე საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი **ივლიანე ხაინდრავა**.

**— იგორ ივანოვის ვიზიტისას, რამდენადაც ვიცი, ქართული მხარე აპირებს მთელი სიმწვავით დააყენოს მრავალი გადაუჭრელი საკითხი. თქვენი აზრით, ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ ჩრდილო კავკასიაში არსებული უმძიმესი ვითარებით იძულებულმა რუსეთმა, გარკვეულ ეტაპზე დაპირებებით აგვიხვიოს თვალი, რაღაც ხელშეკრულებებიც გააფორმოს საქართველოსთან. შემდეგ კი კვლავ გააგრძელოს ჩვეული პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მიმართ...**

— არამცთუ არსებობს საფრთხე, არამედ რეალობაა! პოლიტიკაში ქველმოქმედება არ არსებობს. ყველა ცდილობს საკუთარი ინტერესების დაცვას და, ჯერჯერობით, რუსეთი არ აპირებს, თავი დაანებოს სამხრეთ კავკასიას, როგორც თავისი გავლენის სფეროს. მეტიც, საქართველოზე ზეწოლის უამრავ ბერკეტს ფლობს, რასაც პერმანენტულად იყენებს კიდეც... ამასთან, ვხედავთ, თუ როგორ იარაღდება სომხეთი რუსული იარაღით, როგორ მიმდინარეობს სომხეთში მდგარი რუსის ჯარის მოდერნიზაცია და შევსება უახლესი სამხედრო ტექნიკით და ა.შ. მაგრამ ჩრდილო კავკასიის პროცესების ფონზე დამატებით კოზირებს ვიღებთ, თუმცა ჩრდილო კავკასიის კონფლიქტების მიმართ ჩვენი პოზიცია უაღრესად ფრთხილი უნდა იყოს: არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ისლამისტი ბოევიკების გადმოსვლა საქართველოში და, იმავდროულად, არ უნდა დავუშვათ ჩვენს ქვეყანაში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების მონაწილეობა ამ კონფლიქტში...

> მოსკოვის ხელისუფლებაში პუტინი იქნება, პრიმაკოვი თუ სიტყვაზე — მაო ძე-დუნი, მინდა მშვიდად ვიყო ჩემს ქვეყანაში... დამაიმედებელს ვერაფერს ვხედავ.
> ...მოსკოვში ყველა ერთმანეთზე უარესია.
> ...თუ ისლამისტურმა მცოცავმა რევოლუციამ აზერბაიჯანში გადაინაცვლა, მაშინ ირანი დარჩება უალტერნატივო გზად კასპიის ნავთობის სპარსეთის ყურეში გადასაზიდად.

**— ახლოვდება 200 წლისთავი ქართლ-კახეთის გაუქმებისა და საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლის დღიდან და თითქოს სიმბოლურია, რომ სწორედ ამ პერიოდში იქმნება ხელსაყრელი ვითარება, რათა რუსის ჯარმა სამუდამოდ დატოვოს ქართული მიწა-წყალი...**

— 200-წლიანი პერიოდი „საკმარისზე“ მეტია და, რაღა თქმა უნდა, დროც არის რუსის ჯარის წასვლისა, მაგრამ ხელისუფლების არათანმიმდევრული კურსის გამო ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია... ბოლო 2-3 წლის მანძილზე, ხელისუფლებიდან ყველაზე მკვეთრ განცხადებებს აკეთებდა რევაზ ადამია, თუმცა აგერ მაქვს 1996 წელს გამოქვეყნებული მისი წერილი, სადაც აცხადებს: „რუსეთის ბაზები უნდა დარჩეს, რადგან ეს საჭიროა(!)“. დღეს კი სხვა პოზიციაზე დგანან და გაისმის მოწოდებები, რომ გუდაუთისა და ვაზიანის ორი სამხედრო ბაზა უნდა გავიდეს, თუმცა საკითხავია, რატომ ოთხივე არა? ამ დღეებში რეზო ადამია აცხადებს, რომ სასურველია რუს „მშვიდობისმყოფელებს“ ენგურზე გაუგრძელდეთ მანდატი; ანუ ამით იმის თქმა მსურს, რომ მაინც არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ერთმნიშვნელოვანი პოზიცია.

**— პრეზიდენტი ერთგვარ „დუმილს“ არჩევს ამ პროცესში და, ფაქტობრივად, მისი პირით ლაპარაკობენ სხვები. დიპლომატიური თვალსაზრისით, ეს შეიძლება გამართლებულიცაა, მაგრამ ხომ არ ამცირებს და არ ასუსტებს ჩვენი მხრიდან რუსის ჯარის გასვლის საკითხის დასმის სიმძაფრესა და მნიშვნელობას?**

— დიახ, პრეზიდენტი არ აკეთებს მკვეთრ განცხადებებს. მისი სახელისუფლებო ტექნოლოგია ისეთია, რომ ბატონი ედუარდი ყოველთვის წყვეტს უკვე მომწიფებულ ნაყოფს ან ელოდება მომწიფებული და ლპობაშეპარული ნაყოფის მიწაზე დაცემას. მისი ურთიერთობები, ვთქვათ, იმავე კიტოვანთან და იოსელიანთან, ზუსტად ამ მიმართულებით ვითარდებოდა და ასეა სხვა საკითხებშიც. მას ურჩევნია ყველაზე მწვავე და საჩოთირო საქმეების სხვისი ხელით კეთება. აქვე უნდა ითქვას, რომ საპარლამენტო ოპოზიციას რადიკალური პოზიცია უნდა დაეკავებინა ბაზების გატანასთან დაკავშირებით და მოეხდინა მძლავრი ზეწოლა უმრავლესობაზე, რათა მმართველ ძალას რუსებთან და სხვებთან სალაპარაკოდ ჰქონოდა დამატებითი არგუმენტი: „აი, ხედავთ, როგორ მაწვება ოპოზიცია, როგორი დაძაბული ვითარებაა და ა.შ.“.

**— ნათქვამთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მახსენდება: როდესაც ერთხელ, ფილიპინებზე არსებული აშშ-ის ერთ-ერთი ბაზის სამხედრო მოსამსახურეებმა გოგონები გააუპატიურეს, მოსახლეობა საპროტესტო დემონსტრაციებით მიაწყდა ამ ბაზებს მათი გაყვანის მოთხოვნით... და ეს მაშინ, როცა ამერიკა ფილიპინებს წელიწადში 2 მლრდ დოლარს უხდიდა სამხედრო ბაზების ყოფნის სანაცვლოდ და საფასურად! დამეთანხმებით, რომ, ჩვენი საზოგადოება უკიდურესად ნიჰილისტურადაა განწყობილი რუსის ჯარის გასვლის საკითხისადმი. ამის დასტურად ომალოს დაბომბვის ფაქტიც გამოდგება, როცა მხოლოდ 20-ოდე ახალგაზრდა მივარდა რუსეთის საელჩოსთან, იმის მაგივრად, რომ მთელი ერი და პოლიტიკური ძალები ფეხზე დამდგარიყვნენ...**

— სწორი საყვედურია, ხელისუფლება საკუთარ ნაჭუჭშია ჩაკეტილი, ხალხი ყოველდღიურ პრობლემებშია ჩაფლული... გაგახსენებთ არძინბას ჩამოსვლას თბილისში. როგორც პოლიტიკოსს, მიმაჩნია, რომ პირისპირ საუბარი მტერთანაც საჭიროა, მაგრამ ვსვამ კითხვას: სად იყვნენ დევნილები? ერთი მძლავრი დემონსტრაცია როგორ ვერ მოეწყო არძინბას ვიზიტისას? გვქონდა ინფორმაცია, რომ ვიღაცას გული გაუსკდა, ვიღაც ცუდად გახდა, მაგრამ ყველანი ტელევიზორში უყურებდნენ თბილისში მყოფ არძინბას! არადა ხალხმა ხომ უნდა გამოხატოს პოზიცია? მაგრამ, იმის გამო, რომ ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული და ხელისუფლებას არაფერზე პასუხს არ ვთხოვთ, ეს იწვევს სრულ გაუცხოებას მასსა და ხალხს შორის. იგივე ხდებოდა აფხაზეთის ომისას. მაშინდელ პარლამენტში ძლივს მოვა-ხერხეთ მძაფრი დადგენილების მიღება რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ სპიკერმა გოგუაძემ... დაგვიმალა და პარლამენტის მასალებში არ გამოქვეყნებულა. გოგუაძის პოზიცია რუსეთისადმი ცნობილია და ალბათ იფიქრა, ასეთი მკვეთრი დოკუმენტის გამოქვეყნება გვავნებდა. მაგრამ თუ რაიმემ გვავნო, სწორედ არაპრინციპულმა პოლიტიკამ რუსეთის მიმართ. ერთი დოკუმენტი კი არ უნდა მიგველო, გამუდმებით უნდა გვეყვირა მთელ მსოფლიოში, რას აკეთებდა რუსეთი აფხაზეთში. წლები დაგვჭირდა, რომ დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი ჩვენკენ შემოგვებრუნებინა...

**— დღემდე შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ხელისუფლება კვლავ და კვლავ აქცენტს აკეთებს იმაზე, ვინ მოვა რუსეთის ხელისუფლებაში, საქართველოსადმი მეგობრულად თუ მტრულად განწყობილი ძალა და ა.შ. როდემდე შეიძლება ვუყუროთ, ვინ მივა კრემლში?**

— დიახ, დამოუკიდებლობა ნიშნავს იმას, რომ არა ხარ დამოკიდებული მოსკოვში ხელისუფლების ცვლაზე. პუტინი იქნება, პრიმაკოვი თუ მაო ძე-დუნი, მინდა მშვიდად ვიყო ჩემს ქვეყანაში... მაგრამ იმის გამო, რომ აქ ოთხი სამხედრო ბაზა გვყავს ჩაყენებული, ჩვენი არმია კი არ არის თავდაცვისუნარიანი, იძულებულნი ვხდებით, გულის ფანცქალით ველოდოთ რუსეთის არჩევნების შედეგს, დამაიმედებელს კი ვერაფერს ვხედავთ, რადგან იქ, მოსკოვში, ყველა ერთმანეთზე უარესია. ამიტომ ამ სტრესულ მდგომარეობას მოვიშორებთ მაშინ, როცა რუსის ჯარს მივაბრძანებთ აქედან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ უშუალოდ ვიქნებით დამოკიდებული რუსეთში მიმდინარე პროცესებზე, ავადმყოფ პრეზიდენტზე, ჩრდილო კავკასიის კონფლიქტებზე და ა.შ.

**— ახლახან პრეზიდენტ ალიევის მრჩეველმა ვაფა გულუზადემ განაცხადა, — დაღესტანში ვაჰაბიტთა ისლამისტურ მოძრაობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ამ ქვეყნის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლასთან, რომლის მიზანიცაა რუსეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვებაო. ვფიქრობ, ამ განცხადების უკან ოფიციალური ბაქოს პოზიციაა დაფიქსირებული, მით უმეტეს, რომ ამ ნახევარი წლის წინ პირველმა სწორედ გულუზადემ განაცხადა აფშერონის ნახევარკუნძულზე ნატოს სამხედრო ბაზის განლაგების აუცილებლობის შესახებ.**

— გულუზადეს მეშვეობით ხდება გახმოვანება და მოსინჯვა იმ იდეებისა, რომელიც აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში წარმოიქმნება. ალიევი გაცილებით თავშეკავებულია. შეიძლება პარალელის გავლება შევარდნაძესა და რეზო ადამიას შორის. როცა ადამია მკვეთრ განცხადებებს აკეთებს ხოლმე, შევარდნაძე ჩუმად არის და ელოდება რეაქციას!

რაც შეეხება დაღესტანს, არ შეიძლება მისი გაიგივება ჩეჩნეთის მოვლენებთან, როცა მთელი ერი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. დაღესტანი მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც მოსკოვმა 1990 წლიდან დღემდე ხელუხლებლად შეინარჩუნა ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც თავიდან ფეხებამდე კორუმპირებული და უმაქნისია. მძვინვარებს დამნაშავეობა, უმუშევრობაა. ამას ემატება გარეშე ფაქტორებიც, რაც გამოიხატება ჩეჩნეთის, ირანის, თურქეთის, საუდის არაბეთის დაინტერესებაში — გავლენა მოიპოვონ საფინანსო-ეკონომიკურ და, უწინარესად, ნავთობსადენის პროექტების სფეროში. დაიწყო ვაჰაბიტური მოძრაობა, ანუ გაჩნდა რელიგიური ფაქტორიც, რამაც ხელი შეუწყო კონფლიქტის დაწყებას. რუსეთის ტელევიზია კი გვიჩვენებს, თუ როგორ ემზადებიან დაღესტნელები ჩეჩნებისგან თავდასაცავად, მაგრამ კრინტს არ ძრავს იმაზე, თუ როგორ ემზადება დაღესტნის მეორე ნაწილი სწორედ რუსეთთან საომრად. დაღესტანში დაწყებულ პროცესებს შეიძლება ვუწოდოთ ისლამისტური რევოლუცია, რომელიც ეთნიკურ-რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული. ვფიქრობ, მიუხედავად საომარი მოქმედებების დროებით შეწყვეტისა, რუსეთი გამარჯვებული ვერ გამოვა, მით უმეტეს, რომ ვითარება უაღრესად დაძაბულია ყარაჩაი-ჩერქეზეთშიც, სადაც მალე სამოქალაქო ომი იფეთქებს. როგორც ჩანს, ისლამისტური რევოლუცია მოედება მთელ ჩრდილო კავკასიას და შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ჩამოყალიბდება მდგრადი არასტაბილური ზონა. შესაბამისად, სამხრეთ კავკასია დაშორდება რუსეთს და ეს მაშინ, როცა აფხაზეთმა უკვე საკმაოდ დააშორა რუსეთ-საქართველო და სომხეთი, თუნდაც საკომუნიკაციო, სატრანსპორტო მიმოსვლის თვალსაზრისით. ახლა ამ დაშორების მასშტაბი გაიზრდება. ეს არის ჩვენი შანსი, თუმცა იგი საფრთხესაც შეიცავს, ფუნდამენტალისტური და შეუწყნარებელი რეჟიმების შექმნა მუდამ დიდად საშიშია მეზობელი ქვეყნებისთვის...


ივლიანე ხაინდრავა

**— ე.ი. მოსალოდნელია, რომ ჩრდილო კავკასიის არასტაბილურმა ზონამ სამხრეთისკენ გადმოინაცვლოს და საქართველოში აფხაზეთს და პანკისის ხეობას „მოუკაკუნოს“, აზერბაიჯანში კი, ლეკებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს, რაც ალბათ არ იქნება შემთხვევითი, ვინაიდან მოვლენათა ამგვარი განვითარების სცენარი პირდაპირ პასუხობს კასპიის დიდი ნავთობის ტრანსპორტირების პროექტირების ჩაშლის მოსურნე ქვეყნების ინტერესებს...**

— კასპიისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსებისადმი რომ უდიდეს დაინტერესებას იჩენენ მსოფლიოს გავლენიანი ძალები, ცხადია. ეს რუსეთსაც აინტერესებდა, მაგრამ მისი პერსპექტივა ნულს გაუტოლდა. დაღესტნის კონფლიქტისას იმავე გულუზადემ შევებით განაცხადა, — რუსეთის მონაწილეობას კასპიის ნავთობის პროექტებში წერტილი დაესვაო!

თურქეთს სწადია ბაქო-ჯეიჰანის პროექტის და თურქმენეთ-თურქეთის გაზსადენის მშენებლობის განხორციელება. ირანის ინტერესი სრულიად საწინააღმდეგოა. იგი ცდილობს, თურქეთი გამოთიშოს ამ პროცესისგან და მისი ადგილი დაიკავოს. ირანის კოზირია ის, რომ კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირება ირანის გავლით, ყველა თვალსაზრისით, გარდა პოლიტიკურისა, იაფი და მომგებიანია. ბოლო დროს თითქოს დაიწყო მოძრაობა ფუნდამენტალისტური რეჟიმის გასალიბერალურებლად, მაგრამ იგი ჩაკლეს. ამან, ჩვენდა საბედნიეროდ, დაადასტურა, რომ ირანი არ არის მზად დასავლეთთან სათანამშრომლოდ. მაგრამ არის ყველაზე მძლავრი მოთამაშე, საუდის არაბეთი, რომელსაც ხელს არ აძლევს ახალი კონკურენტის გაჩენა ნავთობის წარმოებაში — იქნება ეს აზერბაიჯანი თუ ყაზახეთი... და ათამაშებს ვაჰაბიზმის კარტს სწორედ ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში. თუ საუდის არაბეთმა მოახერხა ამ ქვეყნებში კლერიკალური რეჟიმების შექმნა, ეს სივრცე, იდეოლოგიურადაც და ფინანსურადაც, მის კონტროლს დაემორჩილება, ანუ საუდის არაბეთი სანავთობო ბიზნესში გაიჩენს უმცროს პარტნიორს და არა კონკურენტს. ამიტომ ირანსა და საუდის არაბეთს აინტერესებთ ამ არასტაბილურობის ზონის ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოტანა. ამ მხრივ უშუალო საფრთხეს საქართველოში ვერ ვხედავ, მიუხედავად იმისა, რომ არის ქისტების სოფლები და ქვეყანაშიც უამრავი მაჰმადიანი ცხოვრობს. აფხაზეთში კი არასოდეს ყოფილა ძლიერი რელიგიური ფაქტორი და არც დღეს არის, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იქ რაღაც მეჩეთები ააშენეს და ისლამისტებს „კოჭებიც უგორეს“... აზერბაიჯანში კი აქტუალურია ეს პრობლემა. ორი წლის წინ იქ აკრძალეს ისლამისტური პარტია, რომელიც დაადანაშაულეს ირანის სპეცსამსახურებთან კავშირში და მის ლიდერებს ციხეში უკრეს თავი. დღეს ოფიციალური ბაქოც აღიარებს, რომ ვაჰაბიზმი ნელ-ნელა მათი პრობლემაც ხდება, ხოლო მუსავატური პარტიის ლიდერი არ გამორიცხავს ლეკებით დასახლებულ რეგიონში სეპარატისტული მოძრაობის აგორებას. თუ ისლამისტურმა მცოცავმა რევოლუციამ აზერბაიჯანშიც გადაინაცვლა, მაშინ ირანი დარჩება უალტერნატივო გზად კასპიის ნავთობის სპარსეთის ყურეში გადასაზიდად, სადაც შექმნილია ინფრასტრუქტურა. აი, მაშინ, არ ვიცი, პოლიტიკური ინტერესები დადგება წინ თუ ეკონომიკური.

**— ამ ფონზე ალბათ შემთხვევითი არ იყო აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის, მე ვიტყოდი, საგანგებო ოფიციალური ვიზიტი თბილისში...**

— ძალიან დროული მეჩვენება აზერბაიჯანელი მინისტრის ჩამოსვლა და მივესალმები ჩვენი პრეზიდენტის მხრიდან კიდევ ერთხელ დადასტურებას, რომ საქართველო და აზერბაიჯანი არიან სტრატეგიული პარტნიორები. მიმაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში ორი ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ არ მოხდეს დესტაბილიზაციის ზონის გაფართოება ჩრდილოეთიდან სამხრეთში.

**— არადა დესტაბილიზაციის ზონა რომ ფართოვდება, ამას ყველა ვხედავთ. უკვე ყირგიზეთის სოფლებსაც შეესივნენ ტაჯიკეთიდან გადმოსული ისლამისტი ბოევიკები და საგულისხმოა, რომ ისინი უზბეკები არიან. ამ ინციდენტის დაწყებისთანავე, ოფიციალურმა პეკინმაც გამოთქვა შეშფოთება. ე.ი. ისლამისტური რევოლუცია ისეთ გოლიათსაც კი უქმნის პრობლემებს, როგორიც ჩინეთია. ალბათ არც ის იყო შემთხვევითი, რომ ე.წ. ბიშკეკის ხუთეულის — რუსეთის, ჩინეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის პრეზიდენტებმაც მოაწყვეს ამ დღეებში სამიტი, სადაც ელცინმა... დასავლეთს „მოუღერა მუშტი“, განაცხადა, რომ იგი ისე ჯანმრთელია(!), მზადაა, ებრძოლოს დასავლეთს(!!!).**

— რასაც აკეთებს რუსეთი, არ ვიცი, რა არის, — თვითმკვლელობა გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი, რადგან მოსკოვი ყოველთვის ემხრობა ყველაზე ბნელ და საშიშ ძალებს, რომლებიც, იმავე რუსეთს უთხრიან ძირს. გახსოვთ, როგორი დაპირისპირება იყო უზბეკეთისა და ტაჯიკეთის მთავრობებს შორის? უზბეკეთი ცდილობდა, რომ ტაჯიკეთიც საერო ხელისუფლების ქოლგის ქვეშ დარჩენილიყო, აღკვეთილიყო ვაჰაბიზმი. მოსკოვი კი მიემხრო ყველაზე ბნელ ძალებს ტაჯიკეთში და, ფაქტობრივად, ფსონი გააკეთა ვაჰაბიტებზე, შესაბამისად, არია ვითარება რეგიონში. ვფიქრობ, რუსეთი თვითონვე შედის უმართავი ქაოსის მდგომარეობაში და, სადაც კი ხელი მიუწვდება, ყველგან ცდილობს მსგავსი ქაოსის შექმნას. იგივე შუააზიელი ისლამისტები მოსკოვიდან და სხვა ქვეყნებიდან არიან შეგულიანებული და ისლამისტური რევოლუციის გაძლიერების საფრთხეც დიდია, მით უმეტეს, რომ ბრძოლა მიმდინარეობს ცენტრალურ აზიაზე გავლენის მოსაპოვებლად. აქ რუსეთის, დასავლეთის, თურქეთის, ისლამური ქვეყნების ინტერესებთან ერთად მძლავრობს ჩინეთის ინტერესებიც, რომელსაც თვალი უჭირავს ყირგიზეთსა და ყაზახეთზე, და ეს მაშინ, როცა სინძიანის პროვინციაში ცხოვრობენ ყაზახები და ყირგიზები, ანუ იგივე უიგურები. ექსპერტები ამ რეგიონს განიხილავენ, როგორც ფეთქებადსაშიშს, რადგან ჩინეთის ინტერესებს ცენტრალური აზიის მიმართ უპირისპირდება ისლამისტური ინტერესები საკუთრივ ჩინეთის ტერიტორიაზე, უიგურების ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც თავს ცენტრალური აზიის მკვიდრ ხალხად მიიჩნევენ...

**— კვლავ იგორ ივანოვის მომავალ ვიზიტს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, „რას ჩამოიტანს“ რუსი მინისტრი თბილისში და, რაც მთავარია, „რას წაიღებს“ აქედან?**

— დარწმუნებული ვარ, ივანოვთან მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება ჩრდილო კავკასია და საქართველოს შესაძლო როლი და ფუნქცია ამ პროცესში. ვფიქრობ, ივანოვი იქნება ძალიან კეთილგანწყობილი, დიალოგისთვის გახსნილი, ვინაიდან ამჟამად ის მომენტია, როდესაც ჩვენ ჰაერივით ვჭირდებით მოსკოვს. ამიტომ ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ინტერესების უპირველესობა. დათმობისა და საკუთარი ინტერესების უგულებელყოფის დრო დამთავრდა, ანუ „რასაც ჩამოიტანენ“ მოსკოვიდან, „იგივე უნდა გავატანოთ“ უკან! ეს ეხება კარგსაც და ცუდსაც!

**— გმადლობთ!**

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# „კვირის პალიტრის" ერთ-ერთი ნომერი ჩეჩნებმა თავზე გადამახიეს, — გიგა ზაალიშვილი

**„კვირის პალიტრა" გასული კვირის ნომერში იუწყებოდა, რომ სულ ცოტა ხანში ჩეჩნეთში მძევლად მყოფ გიგა ზაალიშვილს გაათავისუფლებდნენ... მაგრამ დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ჩვენმა მაშინდელმა რესპონდენტებმა ეს არ დაგვიდასტურეს. ჩვენი ინფორმაცია რომ საკმაოდ სანდო ყოფილა, ამის დასტური გახდა შატილში (სასაზღვრო პუნქტში) 28 აგვისტოს ღამის პირველ საათზე სხვა, 6 მძევალთან ერთად გიგა ზაალიშვილის საქართველოსთვის გადმოცემა.**

ქალაქში ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე დავუკავშირდი იმ ადამიანებს, რომლებსაც მთელი ერთი წლის მანძილზე ძალისხმევა არ დაუშურებიათ ამ ფინალის მისაღწევად. პარლამენტარმა მამუკა არეშიძემ, რომელიც ამჟამად მოსკოვშია, მთხოვა გადამეცა მილოცვა გათავისუფლებული მოქალაქეებისთვის, ხოლო დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თემურ გრძელიძემ განმიცხადა შემდეგი:



გიგა ზაალიშვილი დედასთან ერთად

— ამთავითვე გეტყვით, რომ გიგა ზაალიშვილის და კიდევ 6 ქართველი მძევლის გათავისუფლება მოხდა მშვიდობიანად. ესენი არიან: დავით მაღულარია, მარლენ გოგიშვილი, მიხეილ ჭაბუკიანი, ავთანდილ ახვლედიანი, დავით დეკანოსიძე და გიორგი სუარესი. არც ერთი მძევლის გამოხსნაში კაპიკიც არ გადაგვიხდია არც ჩვენ, არც ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტ ვახა არსანოვს და მის ხალხს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს მოქალაქეთა გათავისუფლებაში. მეტიც, ისინი დიდ რისკზეც წავიდნენ, რადგან არ იყო გამორიცხული, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე შექმნოდა. და კიდევ, თუ გიგა ზაალიშვილის გათავისუფლებისთვის ბანდიტები 150-200 ათას დოლარს ითხოვდნენ, ჭაბუკიანის, ახვლედიანის, დეკანოსიძის და სუარესის გათავისუფლებისთვის — 4 მილიონ დოლარს. ვიმეორებ, არცერთ მძევალში არავითარი თანხა არ გადაგვიხდია.

**გიგა ზაალიშვილის ბინაში სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან ახლობლები აღნიშნავდნენ გიგას მშვიდობიანად დაბრუნებას. ღამენათევ და ემოციებით გადატვირთულ „№1 ქართველ მძევალს" მივულოცე შინ მშვიდობით დაბრუნება და „სმენად ვიქეც".**

— ჯანმრთელობას არ ვუჩივი... ჩემი გათავისუფლების ოპერაცია ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. ჯერ თავად გამტაცებლებმა გადამცეს ვახა არსანოვის წარმომადგენლებს სამი დღის წინ, ეს დღეები გავატარე გროზნოში და შაბათს, ღამის პირველ საათზე იმავე ვახა არსანოვის ხალხმა მომიყვანა შატილთან და გადამცეს ბ-ნ თემურ გრძელიძეს, რომელმაც პირველმა მომილოცა სამშობლოში დაბრუნება.

**— გიგა, მოარულ ხმებს და ყველა ეჭვს რომ წერტილი დავუსვათ, პირდაპირ მითხარი, რატომ აგიყვანეს მძევლად?**

— პირველ რიგში, სურდათ გამოსასყიდი თანხის ხელში ჩაგდება, ანუ ფულის გაკეთება. გარდა ამისა, იყო პოლიტიკური მოტივებიც —კავკასიური პრობლემებით ჩვენი დაინტერესება.

აქვე ვიტყვი და ამთავითვე უარვყოფ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ თითქოს ჩემს გატაცებაში დამნაშავეა მუსა ხანგოშვილი, სინამდვილეში ეს პიროვნება საერთოდ უნდა გამოირიცხოს ამ საქმიდან. მისი ერთადერთი პრობლემა არის ის, რომ ხანგოშვილის სახლიდან წამიყვანეს მძევლად. მისდამი შეიძლება მორალური პრეტენზია გამოითქვას, რადგან მისი მიწვევით ვიყავი დუისში; მაგრამ პანკისის ხეობაში იყო რამდენიმე დაჯგუფება, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა: ჩეჩნური ორიენტაციის, ჯამაათის წევრები, ვაჰაბიტები და ა.შ. ამ ჯურის ხალხმა ამიყვანა...

**— ჩეჩნების არავითარი ვალი არ გქონიათ, არც პირადი, არც კომერციული და არც სხვა რაიმე მიზეზი ყოფილა?**

— არავითარი ვალი არ მქონია. მე და ჩემი ძმა ერთად აგვიყვანეს მძევლად, ორი კვირა პანკისის ხეობაში ვიმყოფებოდით. სოსო მალე გაათავისუფლეს და მოსთხოვეს თანხის ამოტანა, მაგრამ მან აქტიური კამპანია დაიწყო ჩემს გამოსახსნელად. რაც შეეხება ვალებს და სხვა სიბინძურეებს, რაზეც ხმები გამივრცელეს, ყველაფერი სიცრუე და მათი ფანტაზიის ნაყოფია. ვუთხარი კიდეც, რაც გინდათ დაწერეთ, ყველაფერზე ხელს მოგიწერთ-მეთქი. საუბედუროდ, მათ მიერ გავრცელებული აბსურდული არგუმენტები დაიჯერა საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა.

**— ბოლოს და ბოლოს ვინ არის ეს ხალხი, ვაჰაბიტები, ბოევიკები თუ ბანდიტები?**

— ყველა ჯურისა, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ მათ მართვაში რუსეთის სპეცსამსახურებსაც ურევიათ ხელი, რადგან ისეთ შეკითხვებს მაძლევდნენ, შეუძლებელია მათ მოსვლოდათ თავში. ამ საქმეში ფუნდამენტალისტების ხელიც ერია.

**— ყურანი ხომ არ შეგასწავლეს, ისლამური მოძღვრება?**

— სხვათა შორის, თვითონ მოვითხოვე ყურანი, ბუნებრივია, მათ ვაჰაბიტური ლიტერატურა, ბროშურები, ბუკლეტებიც ბლომად მომაწოდეს. სამოცამდე წიგნი წავიკითხე და მგონი, უკვე შემიძლია იქით ვკამათო ვაჰაბიზმზე სუნიტსაც და შიიტსაც.

**— ისლამის რჯულის მიღება არ „შემოგთავაზეს"?**

— გამორიცხულია ძალით გამაჰმადიანება. ისლამი რომ მიმეღო, ჩემი მდგომარეობაც ათასჯერ გაუმჯობესდებოდა მე ვიცი შემთხვევები, რომ ჩემსავით მძევლად მყოფი რუსები და ოსები გამაჰმადიანდნენ სწორედ თავიანთი მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით.

**— პირადად შენ რა პირობებში გაატარე ეს წელი?**

— სხვადასხვა ადგილზე, ძირითადად ჩეჩნეთის მთიან სოფლებში. დღედაღამ მდარაჯობდნენ. ოთახში ხელბორკილით ვიყავი მიბმული. ხანდახან ვთხოვდი „აშვებას" და ვვარჯიშობდი, რომ ჯანმრთელობა შემენარჩუნებინა. კვებით, რასაც ჩემი „მცველები" ჭამდნენ, იმას გეახლებოდით მეც.

**— ფიზიკური შეურაცხყოფა?**

— რამდენიც გნებავთ და საკმაოდ მძაფრადაც! ჩემს გამოსახსნელად თბილისში გამართული ყოველი აქციის შემდეგ სასტიკად მცემდნენ, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ჩემი მხარდამჭერი პუბლიკაციების შემდეგაც იგივე მეორდებოდა. მაგალითად, როდესაც ჩემი პერსონალური გამოფენა მოაწყვეს თბილისში, რომელიც თქვენმა გაზეთმაც გააშუქა, „კვირის პალიტრის" ის ნომერი პირდაპირ თავზე გადამახიეს...

**— და ბოლოს, როგორ დაშორდით თქვენს „კეთილისმყოფელებს?"**

— განმიცხადეს, რომ ჩეჩენთა გარკვეული ჯგუფი ითხოვდა ჩემს თავს, თუმცა ვახა არსანოვის სახელი არ დაუსახელებიათ. თქვეს, რომ ჩემი გულისთვის ისინი არ დაიწყებენ ომს თავიანთი ნათესავების წინააღმდეგ და ამიტომ მათავისუფლებენ... ისიც თქვეს: ვახა არსანოვმა შემოგვითვალა, — თუ მძევლებს არ გადმოგვცემთ, დავიწყებთ ფართომასშტაბიან ოპერაციას და განურჩევლად მძევალ-გამტაცებლისა, ყველას დაგხოცავთო... როგორც ჩანს გაჭრა! გაიმართა მოლაპარაკება და გადამცეს მათ. „გამომშვიდობებისას" დამემუქრნენ, თუ კიდევ გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, აღარაფერზე დაიხევენ უკან; ამასთან კატეგორიულად მომთხოვეს, რომ საქართველოში შეწყდეს ჩემს გატაცებაში ბრალდებული აზდამიროვის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე...

**— გმადლობთ.**

*ზურაბ მჭედლიშვილი*






# პირველი თბილისელი ფოტოგრაფები

ნამდვილი საოცრებაა ძველი ფოტოსურათები! მათ, ჯადოსნურ-დოკუმენტურად, ქაღალდზე შემოგვინახეს ის, რაც შემდეგ უკვალოდ გაქრა.

ვინ იყვნენ პირველი თბილისელი ფოტოგრაფები?

გვესაუბრება საქართველოს საარქივო დეპარტამენტის ცენტრალური სახელმწიფო კინო-ფოტო-ფონო არქივის დირექტორის მოადგილე ქალბატონი **ზეინაბ ხინტკირია:**

— **1846** წლის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა ვინმე **ვერნერი**, რომელიც ახალი გამოგონების — დაგეროტიპის წყალობით, ახერხებდა ადამიანის ან ნივთის სახის გადმოღებას სურათად. იმ დროისთვის ასეთი ფუფუნება ძვირი იყო.

**1857** წელს კავკასიის მეფისნაცვალმა, გენერალ-ადიუტანტმა, თავადმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ სამთო ინჟინერი, პოლკოვნიკი **ალექსანდრე ივანიცკი** პარიზში მიავლინა ფოტოსაქმეში დასახელოვნებლად. თბილისში დაბრუნებულმა ივანიცკიმ შექმნა კავკასიის შტაბის პირველი ფოტოგრაფიული სამსახური. საქართველოს გენერალურ სახელმწიფო კინო-ფოტო-ფონო არქივში ინახება მის მიერ გადაღებული ხუთი ფოტოსურათი, რომელიც 1858 წლის აგვისტოთი თარიღდება. მათზე აღბეჭდილია თბილისის ხედები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ივანიცკი გახლდათ პირველი თბილისელი ფოტოგრაფი.



სვეტიცხოველი. ალ. ივანიცკი

თბილისში ფოტოგრაფიის მოდას ხელი შეუწყო საქართველოში მდგარი ნოვგოროდის პოლკის მეთაურმა, გენერალმა, გრაფმა **გ. ნოსტიცმა**. იგი რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი ფოტომოყვარული იყო. სწორედ მან გადაუღო სურათი 1858 წ. თბილისში მყოფ ჩოხაში გამოწყობილ ალექსანდრე დიუმას.



ალ. როინაშვილი

**1863** წ. დასაწყისში გოლოვინის პროსპექტზე გაიხსნა პირველი ფოტოატელიე, რომელსაც ერქვა „Кавказская фотография". მისი დამაარსებელი გახლდათ პეტერბურგიდან ჩამოსული **ედუარდ ვესტლი**. 1863-1882 წლებში მას გადაუღია თითქმის ყველა იმდროინდელი გამოჩენილი ქართველი მწერალი პოეტი.

ამავე დროს ვესტლი მეფისნაცვლის, დიდი თავადის მიხეილ რომანოვის ოფიციალურ ფოტოგრაფად ითვლებოდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს **ალექსანდრე როინაშვილისა** და **დიმიტრი ერმაკოვის** ღვაწლი ფოტოგრაფიაში.

ა. როინაშვილმა პირველი ატელიე **1875** წ. გახსნა სასახლის ქუჩაზე. იგი იღებდა პორტრეტებს, ქალაქის ხედებს, რომლებიც ამშვენებდა სასტუმროების, კაბინეტების, სახლების კედლებს. რიონაშვილის ფოტოები ასახავდნენ იმდროინდელი ქალაქის განუმეორებელ იერსახეს.

დიმიტრი ერმაკოვი მოღვაწეობდა თბილისში 1862-1914 წლებში. მან ასახა იმდროინდელი სინამდვილე, ეთნოგრაფიული თვითმყოფადობა. დიდ პოპულარობას უწევდა ქართულ თემატიკას, ქმნიდა ალბომებს და კატალოგებს, აგზავნიდა მათ რუსეთსა და ევროპაში. ამ ცნობილი ფოტოგრაფი-მოგზაურის არქივში თავმოყრილია 15 ათასამდე პოზიტივი.



მუსულმანთა სასაფლაო. ალ. ივანიცკი

რომ არა ექვთიმე თაყაიშვილი, ერმაკოვის კოლექცია, მისი გარდაცვალების შემდეგ შესაძლოა, საქართველოს დაკარგვოდა. ბატონმა ექვთიმემ ბაქოელ ქართველთა შორის შეაგროვა (საჭირო თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიღო მრეწველმა და მეცნიერმა აკაკი ხოშტარიამ) ერმაკოვის არქივი. 1918 წელს კოლექცია გამოსყიდული იქნა ერმაკოვის შთამომავალთაგან და დღეს საქართველოშია.

**დიმიტრი ნიკიტინის** ფოტოები მოგვითხრობენ რუსეთ-თურქეთის ომზე (1877-1878). ამ ომში 25.000 ქართველი მონაწილეობდა და თბილისელმა ფოტოგრაფმა ბევრი მათგანი აღბეჭდა ფირზე.

თურქების წინააღმდეგ ქართველი მანდილოსნებიც იბრძოდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ხევისთავის ქალიშვილი ელისაბედ ყაზბეგი, გადაღებულია ლაზარეთში, დაჭრილებთან ჭადრაკის თამაშისას.

ფოტოგრაფმა ნიკოლოზ ბარკოვმა 1892-1894 წ.წ. აღბეჭდა მაშინ ყველასთვის უცნობი ფ. შალიაპინი და მისი პედაგოგი, პრაღისა და პეტერბურგის ოპერის თეატრის ყოფილი სოლისტი ა. უსატოვი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გენიალურმა მომღერალმა არა მარტო სიმღერა დაიწყო თბილისში, არამედ მისი პირველი ფოტოებიც მტკვრის სანაპიროზე გაჩნდა.



ე. ჟვანია

**1894** წ. აპრილში თბილისის მოყვარულ ფოტოგრაფთა საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თბილისის საპატიო მოქალაქე **პეტრე ალიბეგაშვილი**. ამის შემდეგ ფოტოგრაფიამ კიდევ უფრო გაშალა ფრთები თბილისში.

**1895** წ. 26 თებერვლიდან ფოტოგრაფიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. ერევანსკის (თავისუფლების) მოედანზე, ერთ-ერთ დარბაზში მოეწყო გამოფენა, რომელზეც 150-მდე ფოტო იყო წარმოდგენილი. ამ მოვლენას ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული და თურქული პრესა.

**1897** წ. 23 აპრილს კი გოლოვინის პროსპექტზე მდებარე დიდების ტაძარში ოფიციალურად გაიხსნა თბილისელ მოყვარულ ფოტოგრაფთა პირველი გამოფენა.

უნდა აღინიშნოს პროფესიონალი ფოტოგრაფების აქტიური მოღვაწეობა სხვადასხვა სახის გამოფენების მოწყობასა და გაფორმებაში. ამ მხრივ გამოირჩეოდა თბილისელი ფოტოგრაფის **კონსტანტინე ზანისის** საქმიანობა. მან 1895 წელს გააფორმა ნიჟნეგოროდის ბაზრობაზე ქართული განყოფილების ექსპოზიცია.

შემორჩა ზანისის ფოტოალბომი, რომელიც თარიღდება 1900-10 წლებით. „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების" დავალებით მან მთელი საქართველო მოიარა. მის ფოტოებზე ასახულია მევენახეობის განვითარება, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა. ზანისმა გადაიღო პირველი ჩაის პლანტაციები საქართველოში (ჩაქვში). სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ 1903 წ. საერთაშორისო გამოფენაზე პარიზში ეს ჩაი დაჯილდოვდა დიდი ოქროს მედლით.



დ. ერმაკოვი

ზანისმა სამხედრო თემატიკაზეც შექმნა ნამუშევრები. 1906 წ. კავკასიის არმიის შტაბის უფროსის ბრძანებით, შეიქმნა სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამხედრო ისტორიკოსი, გენერალი პოტო. უახლოესი მისი თანაშემწე გახდა პოლკოვნიკი **სიმონ ესაძე**. ამ უკანასკნელმა უდიდესი წვლილი შეიტანა ამ მუზეუმის შექმნაში. მუზეუმი განლაგებული იყო დღევანდელ „ცისფერ გალერეაში" (რუსთაველის გამზირზე).

ესაძემ დაგვიტოვა მდიდარი მასალა, რომელსაც დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსებისთვის, მხატვრებისთვის, რეჟისორებისთვის. მის ფერად ლითოგრაფიაში აისახა 1801-1915 წ.წ. რუსეთის არმიის ყველა სახეობის ჯარის სამოსი; ა. ჭავჭავაძე, პ. ბაგრატიონი და სხვა გამოჩენილი პიროვნებების რეპროდუქციები ისეთ დონეზეა შესრულებული, რომ ფოტოგრაფიებს არ ჩამოუვარდება.

**1883** წ. ფოტოებზე ასახულია რკინიგზის მთავარი სახელოსნოების გახსნა ტფილისში.

**დ. აბაშიძის** და **ნ. მიშენკოს** ფოტოებმა მოიტანეს ჩვენამდე ისეთი დიდი ერისშვილების სახეები, როგორებიც იყვნენ: ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ი. ნინამძღვრიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი...

**ევტეხი ჟვანიას** წყალობით შემოგვრჩა ვაჟა-ფშაველას ფოტო — პოეტს თავს ადგანან მედდები. ევტეხი ჟვანიას უნიკალურ ფოტოებზე აღბეჭდილი არიან ნოე ჟორდანიას მთავრობის წევრები.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან ფოტოგრაფია თბილისში უკვე ჩვეული რამ გახდა. ვლადიმერ ბარკანოვის, ნიკოლოზ ქარუმიძის, ვასილ როინიშვილის, ალექსანდრე მიხაილოვის, ედუარდ კლარის, გიორგი სოსელიას, გრიგოლ ტერ-გევორგიანცის, პაველ პაპალოვის, პეტრე განკევიჩის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და სხვათა ფოტოგრაფიებმა შემოგვინახეს დაუვიწყარი წარსულის კადრები, ისინი შეგვახსენებენ ხოლმე, ვინ ვართ და საიდან მოვედით...

*გენადი ლომიძე*

# აჭარის უზენაეს საბჭოში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის გაუხმაურებელი ფაქტები...

საპარლამენტო არჩევნებამდე ზუსტად ორი თვე დარჩა. მის მოახლოებასთან ერთად კი, როგორც ვარაუდობდნენ, საგრძნობლად იმატა პოლიტიკური ტრიუკების რიცხვმა, რაც ამჯერად ერთმანეთის „ცოდვების" გახსენებაში გამოიხატა.

ბათუმსა და თბილისს შორის გაჩენილ ისედაც დიდ ნაპრალს, გასულ კვირას კიდევ ერთი ბზარი გაუჩნდა. ქართული მასმედია ძირითადად ერთ სკანდალურ თემას, აჭარის უზენაეს საბჭოში 9 წლის წინ დატრიალებულ ამბავს აბრუნებდა საყვარელ ფირფიტასავით, რომელიც ერთი ადგილის ტკეპნას უფრო ჰგავდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ახალი არაფერი თქმულა. ჭეშმარიტების დადგენის პრეტენზია არც ჩვენს დღევანდელ წერილს აქვს, უბრალოდ, საჭიროდ ჩავთვალეთ „მეორე მხარის" პოზიცია დაგვეფიქსირებინა.



ჭრილობები ასლან აბაშიძის სხეულზე



მანამდე კი, ცხრა წლის წინანდელი აჭარის ზოგად სიტუაციას გავეცნოთ.

1990 წელს, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრად კობახიძე დანიშნა, რამაც მაშინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ხახმა აღაშფოთა. მან პრეტენზია იმის გამო გამოთქვა, რომ გამსახურდიამ კობახიძის კანდიდატურა აჭარის უმაღლეს საბჭოსთან შეუთანხმებლად წამოაყენა.

ხახმას პრეტენზიის გამო პრეზიდენტმა გამსახურდიამ იგი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ადგილას, ე.ი. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ასლან აბაშიძე დანიშნა, ხოლო ამ უკანასკნელის მოადგილედ „მრგვალი მაგიდის" წევრი ნოდარ იმნაძე დაამტკიცა.

ახლოვდებოდა მარტის არჩევნები. აბაშიძე ხვდებოდა, რომ საარჩევნო სიები ძირითადად იმნაძის გემოვნებით დაკომპლექტდებოდა, რაც მისთვის მიუღებელი იყო. ამის გამო, აჭარაში არჩევნები ორჯერ გადაიდო.

ამ დროს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე შიმშილობის აქცია დაიწყო. მოშიმშილეები აჭარისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გაუქმებას მოითხოვდნენ.

ამის პარალელურად, ბათუმში, სტადიონზე ფართომასშტაბიანი მიტინგი მიმდინარეობს. მოშიმშილეები ავტონომიის შენარჩუნებას და ამასთან ნოდარ იმნაძის გადაყენებას ითხოვენ.

ორიოდ დღის შემდეგ, ზვიად გამსახურდია სხვა პირებთან ერთად ნოდარ იმნაძესაც ათავისუფლებს თანამდებობიდან. ხოლო, გათავისუფლებიდან სამი დღის შემდეგ, 1990 წლის 30 აპრილს, იმ დღეს, როდესაც საჩხერეში მიწისძვრა მოხდა, ნოდარ იმნაძე მანქანით უზენაესი საბჭოს შენობასთან მიდის, ადის მაღლა და... ტრაგედიაც არ აყოვნებს, რომლის შესახებ იქ მყოფთა გარდა, სრულიად არავინ არაფერი იცის.

მომხდარი ამბავი მეორე დღიდანვე ორ ტოტად გაიყო. თითოეული მხარე საკუთარ წისქვილზე ცდილობს წყლის დასხმას, რაც საზოგადოებას გაურკვევლობაში აგდებს.

ყოფილი „სახალხო ფრონტელი", **თამაზ დიასამიძე** ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: იმნაძე უზენაეს საბჭოში მანქანით მივიდა, რომელშიც მისი ქალიშვილი და სიძეც ისხდნენ. მანქანიდან გადასულ იმნაძეს ქალიშვილი გადაჰყვა. გათავისუფლებული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იმ ოთახისკენ გაეშურა, სადაც სხვებთან ერთად ასლან აბაშიძეც იმყოფებოდა. ოთახში შესულმა იმნაძემ იქ მყოფებს ავტომატის ჯერი გადაუტარა, რის შემდეგაც იგი ხელში დაჭრა ოთახში მყოფმა ანზორ ჯაიანმა. დიასამიძის თქმით, იმნაძეს სროლა აღარ გაუგრძელებია, რითაც აბაშიძემ ისარგებლა, წამოდგა მაგიდიდან, დააძრო მაკაროვის სისტემის იარაღი და იმნაძისკენ გამოემართა. იარაღშემართული აბაშიძე მიუახლოვდა იმნაძეს, ავტომატის წართმევას შეეცადა და იმნაძეს რამდენჯერმე სახეში ესროლა, ხოლო შემდეგ, წაქცეულ იმნაძეს ავტომატის მორიგი ჯერი დააცალა, — აქვე დიასამიძე დასძენს, რომ აბაშიძემ ესეც არ იკმარა და მოკლულს წიხლებით შესდგა.

> იმნაძემ ავტომატი ჩემკენ მომაითა, მესმის სიოლის ხმა ღა ვხეღავ ცეცხღს... მახსოვს, ამოვიღე ჰევოღვეჰი, გავამზაღე ღა მივმაითე იმნაძის მხაიეს, ეითაღეითი მიზნით – ჩამექჰო ცეცხღი...
> ტყვიების ნაკაღი აჰ წყღებოღა...

ყოფილი სახალხო ფრონტელის განცხადებით, ამ ყველაფერს იმნაძის ქალიშვილი უყურებდა, რომელიც მისაღებში იდგა, მამის მოკვლის შემდეგ კი, კიბეები ჩაირბინა და ქმართან ერთად მანქანით გაიქცა.

დაახლოებით ასე აღწერს აჭარის უზენაეს საბჭოში დატრიალებულ ტრაგედიას „იმნაძის მხარე".

მოვუსმინოთ მეორე მხარესაც (ჩვენი კორესპონდენტი ამ ყოველივეს გასარკვევად ბათუმს ეწვია. „კვირის პალიტრა").

მოკლედ, რა მოხდა მაინც 1990 წლის 30 აპრილს, იმ მრავალგზის დაწყევლილ ღამეს?

**ასლან აბაშიძე:** — საკმაოდ რთული და დატვირთული დღე იყო მაშინ, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ იმ დღეს, მოგეხსენებათ, საჩხერეში მიწისძვრა მოხდა, რაღა თქმა უნდა, გავამზადეთ მანქანები, მედპერსონალი, მედიკამენტები, კარვები...

მახსოვს, გვიან ღამით, მარტო ვმუშაობდი, როდესაც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ანზორ ჯაიანმა დამირეკა, ცოტა ხნის შემდეგ კი უზენაეს საბჭოში მოვიდა, მას მალევე მურმან ომანიძეც მოჰყვა, რომელსაც მძღოლი და ორი დაცვა ახლდა. კუთხეში, ფანჯარასთან ვიდექი, როდესაც ძლიერი გასროლის ხმა გავიგონე და გარეთ გადავიხედე. მარჯვნივ იდგა ბატონი ანზორი, რომელმაც მირჩია ფანჯარას მოვშორებოდი. ამ დროს, ოდნავ მხრებში მოხრილი ჯაიანი მიმართავს ვიღაცას — ბიჭო, ნოდარ, რას შვრები, რას შვრებიო! როდესაც ბატონმა ანზორმა ცოტა გაიწია, დავინახე ავტომატიანი ნოდარ იმნაძე, ხოლო მის უკან, პისტოლეტმოღერებული მისი ქალიშვილი. ვერ გეტყვით, შემთხვევით თუ გამიზნულად, მაგრამ პირველი გასროლა ომანიძის მიმართულებით იყო, რომელიც ჩემგან მარჯვნივ იდგა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იმნაძემ იარაღი ერთეულიდან ავტომატურზე გადაიყვანა და ისე ისროდა. ომანიძემ თავდაცვის მიზნით სკამი აიღო და წინ ფარად აიფარა. ომანიძის მისამართით გასროლილი რამდენიმე ტყვია სკამს მოხვდა, თავად ბატონი მურმანი კი ძირს, მაგიდასთან დავარდა. ჩემს უკან მდებარე კარიდან გამოვიდა დაცვა და საპასუხო სროლები მოჰყვა, ისროდა ბატონი ანზორიც (ჯაიანიც), რომელიც იძულებული შეიქნა თავი დაეცვა.

ომანიძის შემდეგ, იმნაძემ ავტომატი ჩემკენ მომართა, მესმის სროლის ხმა და ვხედავ ცეცხლს, რომელიც ჩემკენ მოდის. მახსოვს, ამოვიღე რევოლვერი, გავამზადე, რადგან სასროლად მზად არ იყო და მივმართე იმნაძის მხარეს, ერთადერთი მიზნით — ჩამექრო ცეცხლი. ტყვიების ნაკადი არ წყდებოდა. ტყვიამ საძილე არტერია, შიდა და გარე საუღლე არტერიები დამიზიანა, ერთი ტყვია შემეხო გულმკერდის არეში.



ნოდარ იმნაძის დაკრძალვა

მე მეგონა, რომ იარაღის მჭიდი დავცალე, მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, პირველი ტყვია არ გავარდა, გაიჭედა, რამაც შემდეგი ტყვიების გასროლასაც შეუშალა ხელი, ე.ი. მჭიდი არ დამიცლია. შემდეგ, კართან მდგომი იმნაძე ბრუნდება და რამდენიმე ტყვიას კვლავ ისვრის ჩემი მიმართულებით. მაშინ ვიგრძენი, რომ გრძნობას ვკარგავდი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, რაღაც წერტილთან მისული კვლავ რეალობას დავუბრუნდი. იმნაძის გოგონა კვლავ იარაღშემართული იდგა. მასთან ჯაიანი მივიდა და პისტოლეტი გამოართვა, რომელიც აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის კობახიძის ნაჩუქარი აღმოჩნდა.

ჩემი მეგობარია ერთი, ბერძენი იანი კესისოვი, მისი მეუღლეც აქ იყო, მისი ვაჟი ბორისი და ჩემი ვაჟი გიორგი ჩემს მანქანაში ისხდნენ, მათ ყველაფერი დაინახეს, ოთხი მანქანით, დაახლოებით 16 შეიარაღებული კაცი მოცვივდა. ბავშვებს შეეშინდათ, ჩუმად ჩამოვიდნენ და ბუჩქებში დაიმალნენ. მათ ჩემი მანქანაც დაცხრილეს, როგორც ჩანს, ბავშვების დახოცვაც უნდოდათ.

როდესაც იმნაძე ოთახიდან გადიოდა, ეს ექსპერტიზამაც დაადასტურა, მოწინააღმდეგე მხრიდან ისროდნენ ტყვიებს, რომლებიც არსად არ არის აღნიშნული, ე.ი. ტყვია დარჩა იმნაძის სხეულში, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ამ ამბიდან სამი-ოთხი წუთის შემდეგ, შენობაში ჩნდება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ჩიგოგიძე. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ როდესაც კაბინეტში თავიდან მე და ბატონი ანზორი ვიყავით, დავიბარეთ ჩიგოგიძე, მაგრამ ვერ გავაჩერეთ ოთახში. როდესაც წასვლის მიზეზი ვკითხე, მიპასუხა, ომანიძეზე ნაწყენი ვარ და ვერ შევხვდებიო. ამ ყველაფრის შემდეგ კი, რამდენიმე წუთში მოვიდა.

ჩემი აზრით, მთელი ეს ტრაგედია კარგად მოფიქრებული სცენარით ხორციელდებოდა, რომლის მიხედვითაც უზენაესი საბჭოს შენობიდან ცოცხალი არავინ უნდა გასულიყო. მაგრამ საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა, თუმცა, სამწუხაროდ, ბატონი იმნაძის სიცოცხლე შეიწირა...

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნე, მკვლელობის ვერსიები თავიდანვე ორ ნაწილად გაიყო. თუმცა, ორივე მხარის მონაყოლი უამრავ უპასუხო კითხვასა და ეჭვს ბადებს. გამორიცხული არც ისაა, წინასაარჩევნოდ წამოტივტივებული ეს თემაც მავანთა წისქვილზე ასხამდეს წყალს.

ამბობენ, ნოდარ იმნაძეს პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონია, რაც ზოგიერთებმა სათავისოდ გამოიყენეს. იმნაძე „ვილაცებს" გონიოში დაუთვრიათ. ღვინოს სიტყვიერი ზეწოლაც დაემატა (შეგახსენებთ, იმნაძე სულ რაღაც სამი დღის გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან), მთვრალ კაცს კი მეტი რაღა უნდოდა...

იმასაც ამბობენ, ასლან აბაშიძის შემდეგ მისი ოჯახის წევრები უნდა გაენადგურებინათო, სწორედ ამიტომ დაუცხრილავთ მისი მანქანა.

კომენტარისას აჭარის ლიდერმა მისი მეგობარი **იანი კესისოვი**ახსენა. „კვირის პალიტრას" ბატონმა იანიმ შემდეგი უამბო: — ამ პერიოდში მე მოსკოვში გახლდით, დილით ადრე მირეკავს ჩემი მეუღლე, მეუბნება, რომ ასე და



ნატყვიარი კარი

ასე მოხდა, მაგრამ ყველა ჯანმრთელი და უვნებელი ვართო. ცოტა ხანში მირეკავს შეშფოთებული პრიმაკოვი — რა მოხდა ბათუმშიო, მეკითხება. მეც მეორე დღეს ჩამოვფრინდი. რა მოხდა იქ — ჩემი მეუღლე, ასლანის მეუღლე ბავშვებით მახინჯაურში აპირებდნენ წასვლას აგარაკზე. იქ ჩვენ თორმეტსართულიან შენობაში მეთერთმეტე სართულზე ვცხოვრობთ, ასლანი კი მეოთხეზე. ამ დროს ბატონი ასლანი დახმარებებს აგზავნიდა იმერეთში, კერძოდ, საჩხერეში. ჩემი ვაჟი და გიორგი ბატონი ასლანის მანქანაში ისხდნენ, მაშინ დაახლოებით 13 წლისანი იქნებოდნენ, ხოლო ჩემი და ასლანის მეუღლეები ცოტა მოშორებით. ამ დროს დიდი სიჩქარით მომავალი რამდენიმე მანქანა შემოიჭრა, საიდანაც შეიარაღებული ხალხი გადმოვიდა და დაცვის შესაშინებლად ისროლა. გასროლით შეშინებული ბავშვები ჩუმად გადმოვიდნენ მანქანიდან. ზემოდან სროლის ხმა ისმოდა, რაზედაც ქალებმა ყვირილი ატეხეს. ახლანდელი აჭარის კავშირგაბმულობის მინისტრმა თამაზაშვილმა ისინი მანქანაში ჩასხა და წაიყვანა.

ჩემი მეუღლე ასლანის ბიძაშვილ შამილ აბაშიძესთან მივარდა, სთხოვა, სასწრაფოდ ასლანი ენახა, არ მიეტოვებინა, რადგან მის სიცოცხლეს კვლავ საფრთხე ემუქრებოდა. ასლანის მეუღლე და შვილი ჩვენთან იმალებოდნენ, სანამ ყველაფერი დაწყნარდებოდა.

როგორც ხედავთ, საკმაოდ ბუნდოვანი ისტორიაა. ძნელია გაარკვიო, ვინ მტყუანია და ვინ მართალი.

აღნიშნული საქმის მოკვლევას პროკურორი რამაზ ჟღენტი აწარმოებდა, უშუალო გამომძიებელი კი მერაბ აბაშმაძე იყო, მაგრამ თითქოს პირი შეკრესო, საქმის შესახებ არავინ არაფერს ამბობს.

მკვლელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე თავიდანვე შეწყდა. თუმცა, მკვლელობის შესახებ არც საბრალდებო დასკვნა გამოტანილა და არც ფაქტების არარსებობის გამო შეწყვეტილა გამოძიება.

მავანთა დიდი მცდელობის მიუხედავად, აჭარის უზენაესი საბჭოს შენობაში დატრიალებული ტრაგედია კვლავ ბურუსით მოსილი რჩება...

*P.S. „კვირის პალიტრა" ნოდარ იმნაძის ქალიშვილსა და სიძეს დაუკავშირდა და პოზიციის დაფიქსირება სთხოვა.*

*მომავალ ნომერში შევეცდებით, შემოგთავაზოთ ექსკლუზიური ინტერვიუ მკვლელობის თვითმხილველ ნატო იმნაძესა და ნოდარ იმნაძის დაცვის უფროსთან თემურ ქობალავასთან.*

## ამბობენ, თბილისში
## №1 ტერორისტის წინასაარჩევნო პლაკატები გამოჩნდებაო

1995 წლის 29 აგვისტოს პარლამენტის ეზოში, სახელმწიფო მეთაურზე განხორციელებული ტერორისტული აქტიდან ზუსტად 4 წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე სახელმწიფო და საზოგადოება მრავალი შემდგარი თუ ჩაშლილი თავდასხმის მოწმე გახდა — 29 აგვისტო, სამი წლის შემდეგ 9 თებერვლის ტერაქტი, ჯიხაშკარის 19 თებერვლის ბუნტი, რასაც 19 ოქტომბრის ელიავას ამბოხი მოჰყვა...

ნახსენებ ფაქტებს, ცხრიანის გარდა, კიდევ ერთი საერთო აქვთ — საქართველოს უშიშროების ყოფილი შეფი, ამჟამად ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ პანტელეიმონის ძე გიორგაძე, რომლის სახელსაც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება ზემოთ ჩამოთვლილი თარიღები.

ცნობისთვის: ამჟამად „№1 ტერორისტად" შერაცხული გიორგაძე-უმცროსი მინისტრის თანამდებობაზე სწორედ მისმა შემდგომმა „სამიზნემ" დანიშნა. ის კი არა, ამ უკანასკნელმა იგორი ვახტანგ გორგასლის ორდენითაც კი დააჯილდოვა. მაგრამ... გადის დრო და ხელისუფლება გიორგაძისგან მტრის ხატს ქმნის, რომლითაც საზოგადოებას აშინებს. თუმცა არც ეს უკანასკნელი რჩება ვალში და დროდადრო პრესის ფურცლებზე გამოჩენით ცდილობს, შიშის ზარი დასცეს ყოფილ თანაგუნდელებს.

როგორც ცნობილია, 29 აგვისტოს უშიშროების მინისტრი სამშობლოში არ იმყოფებოდა. მამამისის, კომპარტიის ლიდერის, პანტელეიმონ გიორგაძის განცხადებით, აღშფოთებულმა შვილმა მას გვიან ღამით დაურეკა შინ — მამა, რა ხდება, რა ამბავია, ტელევიზორში დაჭრილი პრეზიდენტი ვნახეო, — უთქვამს იგორს. მამას დაუმშვიდებია — მნიშვნელოვანი არაფერია, ყველაფერი კარგად არის, არავინ დაშავებულაო. თან უთხოვია, იქნებ მოახერხო და საქართველოში ჩამოხვიდეო. მართლაც, ორიოდ დღეში „კრასავჩიკი" (იგორ გიორგაძის მეტსახელი, — ზ.ქ.) დედაქალაქში ბრუნდება, მაგრამ აქ საკმაოდ ცივად ხვდებიან. უკვე აღარავინ მალავს, რომ ტერაქტის ორგანიზატორად ქვეყნის პირველი კომუნისტის ვაჟი მიაჩნიათ.

ამის გამო, სექტემბრის დასაწყისში იგორი ოჯახთან ერთად საქართველოს ტოვებს და მიდის... ცოტამ თუ იცის მისი შემდგომი მარშრუტების შესახებ. ერთი კია, იგი არ წყვეტს კონტაქტს მშობლებსა და ახლობლებთან, მიუხედავად იმისა, რომ იცის — მათი საუბრები ისმინება.

როგორც „კვირის პალიტრას" გიორგაძე-უმცროსმა განუცხადა, მასსა და შევარდნაძეს შორის სიტუაცია პირველად 1989 წლის 9 აპრილს დაიძაბა, როცა საბოლოოდ დარწმუნდა იგორი, რომ შევარდნაძე კარიერისთვის არავის დაინდობდა...

მოკლედ, ასეა თუ ისე, იგორ გიორგაძეს საქართველოში ბევრი ვერაფერი გამოუვიდა და ქვეყანაც დატოვა. როგორც აღვნიშნეთ, მას ინტერპოლი ეძებს, მაგრამ ამის მიუხედავად, თავისუფლად დადის ქვეყნიდან ქვეყანაში.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ „კვირის პალიტრისთვის" ადრეულ სატელეფონო ინტერვიუებში გამოთქმულ მოსაზრებებს... ინტერვიუერი გახლავთ იგორ გიორგაძე:

— საქართველოს ე.წ. სამართალდამცავები, არც თავისი პროფესიონალიზმით, არც ოპერატიულ-ტექნიკური შესაძლებლობებით, ჩემთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ... თუ ვერ მპოულობენ, ეს ჩემი მტრების უძლურების ბრალი კი არა, მეგობრების ძლიერების შედეგია, — ამაყად აცხადებს გენერალი გიორგაძე. ეს კიდევ არაფერია იმასთან, რასაც „კრასავჩიკი" მომავალში აპირებს:

— არც საქართველოში, არც საერთაშორისო სამართალში არ არსებობს კანონი, რომლის მიხედვით მე არ მაქვს უფლება, ვიყარო კენჭი, ვინაიდან საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს კონსტიტუციური უფლება, აირჩიოს ან არჩეულ იქნეს, თუ მას ამ უფლებას სასამართლოს წესით არ ჩამოართმევენ, რასაც აუცილებლად გამოვიყენებ.

საინტერესოა, რა აძლევს იგორ გიორგაძეს ასეთი თავდაჯერებულობის საფუძველს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა (აღარას ვამბობთ ხელისუფლებაზე) ნეგატიურადაა განწყობილი მის მიმართ.

ამბობენ, ქალაქის ზოგიერთ უბანში კიდეც გამოჩნდა წინასაარჩევნო პლაკატები, საიდანაც სხვადასხვა ფორმაში გამოწყობილი ყოფილი უშიშროების მინისტრი იმზირებაო. პლაკატებს კი თურმე საკმაოდ ოპტიმისტური წარწერა ამშვენებს — „მომავალი ჩვენია!" მისი წინასაარჩევნო მიმართვაც ამგვარად ჟღერს.

მართლა არის თუ არა მომავალი იგორ გიორგაძისა, ამას მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი, ჯერჯერობით, მხოლოდ მის მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული პლაკატების „ცქერით დავტკბეთ".

რაც შეეხება იმას, პარტიული სიით იყრის კენჭს გიორგაძე თუ მაჟორიტარულით, არავინ უწყის. თუმცა ჩვენს მკითხველს ალბათ ახსოვს მისი დაპირება, — ამის შესახებ პირველად „კვირის პალიტრას" ვაცნობებო.

მართლაც რომ ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენია, არჩევნებამდე ხომ მხოლოდ ექვსი ათეული დღეღა დარჩა...

*გვერდი მოამზადა*
*ზურა ქარლიშვილმა*

# „სწავლა, ტრადიციისამებრ, 1 სექტემბერს დაიწყება...

ისე, რა გვეფილოსოფოსება, მაგრამ იქნებ მაინც გავიხსენოთ, რომ აღმოსავლურ და დასავლურ აზროვნებაში საზოგადოების სახე და არჩევანი ყველაზე მეტად ბავშვებთან ურთიერთობით განისაზღვრება. იაპონიაში ბავშვის ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მშობელი, თურმე, კანონით ისჯება. ჩვენთან კი ცივილიზებული სამყაროს კონცეფციები, როგორც ბევრი სხვა რამ, ჯერ კიდევ მუშავდება. ამიტომაც ჩვენი შეხვედრა, განათლების მინისტრ **ალექსანდრე კარტოზიასთან**, რომელიც სასწავლო წლის დაწყებას დავამთხვიეთ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება.

ბატონმა ალექსანდრემ ახალი სასწავლო წლის დაწყებასა და მოსალოდნელ ცვლილებებზეც გაამახვილა ყურადღება. საზოგადოების დამოკიდებულება, განათლების სამინისტროს მიმართ, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში საშინელი აგრესიით გამოიხატებოდა, ახალი მინისტრის მოსვლის შემდეგ აშკარად შენელდა, რასაც ბატონი მინისტრი ასე ხსნის:

— ეს ერთგვარი დაპირისპირება იმითაც იყო განპირობებული, რომ დაპირისპირებული მხარე არ იყო ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გაცილებით იოლია იმ საქმის გაკეთება, რომლის განხორციელების აუცილებლობაც შეგნებული გაქვს. აი, მაგალითად, შარშან მე-6 და მე-9 კლასებში ჩავატარეთ გამოსაშვები გამოცდები და აქცენტი სწორედ გამოსაშვებ და არა მისაღებ გამოცდებზე გადავიტანეთ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება, ერთპიროვნულად, მე არ მიმიღია. იგი მზადდებოდა თვეების განმავლობაში, თათბირებში სკოლის დირექტორები და რაიონების განყოფილების გამგეებიც მონაწილეობდნენ. თუმცა, მაინც გვგონია, სჯობდა, ცოტა ადრე, ვთქვათ, თებერვლისთვის რომ გამოგვეცხადებინა სკოლებში ტესტირების ჩატარება...

— *ვერ წარმოიდგენთ, ბავშვები რა დღეში ჩაცვივდნენ, როდესაც გაიგეს, ერთ თვეში უნდა გაევლოთ ტესტირება.*

— ბავშვები ასეთ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდნენ, მშობლებს მათთვის მღელვარება რომ არ გადაედოთ...

— *თქვენ ამას მაინც ექსპერიმენტი დაარქვით.*

— თუ ასწავლი, უნდა შეამოწმო კიდევაც. სამწუხაროდ, აქამდე ორიენტაცია მხოლოდ მისაღებ გამოცდებზე იყო აღებული. წელს პირველად ჩატარდა ტესტირება და, ბუნებრივია, გარკვეული დაძაბულობა იგრძნობოდა. გაისად, ვფიქრობ, მღელვარება ნაკლები იქნება. ახლავე გეტყვით, რომ გამოცდები ყველა საგანში ჩატარდება. ბევრი უბედურება, რაც გვჭირს, იმის ბრალია, რომ სწორად ვერ განვსაზღვრავთ ხოლმე საკუთარ შესაძლებლობებს. სკოლის ერთ-ერთი მიზანი საკუთარ შესაძლებლობებზე სწორი წარმოდგენის ჩამოყალიბებაა. არსებობს რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკის პროექტში, რომლის განხორციელებაც 2.000 წლიდან დაიწყება. ნავარაუდევია 10 წლით 60 მილიონიანი სესხის აღება.

— *მსოფლიო ბანკს, ამხელა კრედიტს რომ გვაძლევს, ბუნებრივია, თავისი მოთხოვნილებები ექნება. თანაც საზოგადოების უმრავლესობა ამ სესხებს უარყოფითად უყურებს, — ოდესმე ხომ უნდა გადავიხადოთ ეს სესხი.*

— ასეთი მოცულობითი პროექტი არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა. მსოფლიო ბანკის ინტერესი სრულიად გარკვეულია — საქართველოს მსოფლიოში აკისრია მკაფიოდ გამოსახული ფუნქცია და სერიოზული როლი. ამიტომაც დებენ ამხელა თანხას ისეთი სტრატეგიული დარგის განვითარებაში, როგორიც არის განათლება. მოსახლეობის შიში, რომ ვერ მოვახერხებთ სესხის გადახდას, გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამ სესხს არამიზნობრივად და არასწორად გამოვიყენებთ.

— *ზოგჯერ უწყების ხელმძღვანელი იძულებულია, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინოს და მისდიოს იმ მდინარებას, საითკენაც გარემოებებს მიჰყავს, იმიტომ, რომ მექანიზმია პათოლოგიური. მაინც როგორ განაწილდება ეს 60 მილიონი?*

— ეს თანხა მოხმარდება შეფასების სისტემის შეცვლას, ახალი სახელმძღვანელოებისა და ახალი სასწავლო პროგრამების შედგენას, კოლოკვიუმების ჩატარებას, მასწავლებელთა გადამზადებას ახალი ფორმების შესაბამისად, მონაცემების საინფორმაციო დამუშავებას, ინფრასტრუქტურების შეცვლას, სკოლების შენობა-ნაგებობების რემონტსა და მოდიფიკაციას, ფინანსური საკითხის მოგვარებას. საშუალო სკოლების მასწავლებლების ხელფასი ძალიან დაბალია. იგი უნდა გაიზარდოს.

— *ისევ ტესტირებას დავუბრუნდეთ. იგი თითქოს იმ მიზნით ჩაატარეთ, რომ გაგერკვიათ, მოსწავლეები რომელ საგნებში არიან ძლიერნი და რომელში — სუსტები. შეასრულა თავისი მისია ტესტირებამ?*

— თქვენ წარმოიდგინეთ, შეასრულა. ტესტირების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეების ცოდნის დონე, სხვა საგნებთან შედარებით, ქართულსა და მათემატიკაში დამაკმაყოფილებელია. რა თქმა უნდა, ამით იმის თქმა არ მინდა, რომ მასწავლებლები არასწორად ასწავლიან. პედაგოგებს არას ვერჩი, თუმცა მათ ტესტირება მასწავლებლების წინააღმდეგ მიმართულ აქციად მონათლეს. მაგრამ ჩვენ თავიდანვე განვუმარტეთ, რომ მოსწავლეების ცოდნის დონის შემოწმება პედაგოგებისადმი უნდობლობის გამო არ გადაგვიწყვეტია.

— *ტესტების შესამოწმებლად მასწავლებლები კი არა, საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები მიიწვიეთ— ესეც არ უნდა მივიჩნიოთ მათდამი უნდობლობად?*

— ამის გაკეთება შეეძლო ყველა ნასწავლ ადამიანს... ჩვენ სავსებით შეგნებულად არ მივაღებინეთ მონაწილეობა პედაგოგებს და აი, რატომ: პედაგოგი ყოველთვის თავისი აღზრდილის მხარეს იჭერს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ გამოცდაზე გასულ მოსწავლეს მიეხმროს. ყოველივე ამის გამოსარიცხად გავგზავნეთ სკოლებში დამკვირვებლები და ტესტებიც საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს შევასწორებინეთ. გვინდოდა, წარმოგვეჩინა სკოლებში არსებული მდგომარეობა. თუ არ იცი ნამდვილი სურათი, ისე ვერაფერს შეცვლი. ჩვენთან არასოდეს მომხდარა არსებული მდგომარეობის აღწერა. ეს პირველი ნაბიჯი იყო.



— *გაზაფხულზე გამოცხადებული განათლების სისტემაში 20%-იანი შემცირება იანვრამდე გადაიდო...*

— არსებობს კანონი ბიუჯეტის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა შემცირდეს 20%-ით. ეს, რა თქმა უნდა, პედაგოგებსაც შეეხებათ, მაგრამ მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ჩვენთან შემცირება მოხდეს მხოლოდ 10%-ით. თუმცა არა ავტომატურად და ბრმად. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პროცესის დროს არ დაირღვეს სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საათების გარკვეულ რაოდენობას.

— *როგორც შევიტყვეთ, სიგარეტის კამპანია „ფილიპ მორისი" განათლების სამინისტროსთან ერთად იწყებს მოზარდებში მოწევის საწინააღმდეგო კამპანიას.*

— ეს იქნება, ძირითადად, სიგარეტის მოწევის საწინააღმდეგო რეკლამების შეტანა სკოლაში. კამპანია „ფილიპ მორისმა" წამოიწყო და თვითონვე დააფინანსებს. „ფილიპ მორისივე" იზრუნებს მოსწავლეებისთავისუფალი დროის ნორმალურად გამოყენებისთვის, რაც ძირითადად, ბავშვების სპორტით დაინტერესებას ითვალისწინებს.

— *სასექტემბროდ რითი გახარებდით ბავშვებს?*

— წელს ყველა პირველკლასელი საჩუქრად მიიღებს დედაენას, რომლის გამოცემისთვისაც განკუთვნილი ფინანსების მიღებაში პრეზიდენტი დაგვეხმარა. არის კიდევ სხვა სიახლეებიც. ადრე ასე იყო: სახელმძღვანელოს ავტორი წიგნს მოიტანდა განათლების სამინისტროში, სადაც განიხილავდნენ ხელნაწერს, მიანიჭებდნენ გრიფს და შემდეგ გამომცემლობა „განათლება" ბეჭდავდა. წელს სხვა მექანიზმი შევიმუშავეთ. საკონკურსოდ მოვიწვიეთ წიგნის ავტორები, გამომცემლებთან ერთად. საბოლოოდ წარმოდგენილი 64 სახელმძღვანელოდან შეირჩა 9. თუმცა, სახელმწიფოს მიერ ჯერ კიდევ არ არის აღიარებული — ე.ი. არა აქვს მინიჭებული განათლების სამინისტროს გრიფი. ჩვენი დონორი ორგანიზაციის, „ღია საზოგადოება საქართველო", დახმარებით, წელს გამოიცა თითოეული ამ სახელმძღვანელოს 500 ეგზემპლარი. ეს ეგზემპლარები გამოიცდება ერთი წლის განმავლობაში და თუ კვლავ მოწონებას დაიმსახურებს, შემდგომ მიიღებს გრიფს და ტირაჟიც გაიზრდება.

— *საბჭოთა პერიოდში თითქმის ყველა სახელმძღვანელო რუსულიდან ითარგმნებოდა. ახლა ქართველ ავტორებს მიეცათ საშუალება, შეექმნათ ქართული სახელმძღვანელო. ახალშექმნილ სახელმძღვანელოებში თუ არის გათვალისწინებული ქართველი ბავშვის სააზროვნო სისტემის თავისებურებანი.*

— წიგნები, რასაკვირველია, იწერება ქართველი ბავშვებისთვის, ქართველი ავტორების მიერ და აქ უთუოდ გათვალისწინებული უნდა იყოს ქართული ცნობიერების სპეციფიკა.

— *ბატონო ალეკო, შარშან დიდი აურზაური ატყდა საგნის, „რელიგია და კულტურა", სკოლაში სწავლებასთან დაკავშირებით, შემდგომ ის ამოიღეს სასკოლო პროგრამიდან. წელს რა მდგომარეობაა?*

— სექტემბრიდან ეს საგანი ისევ შეტანილია სასწავლო პროგრამაში, სახელმძღვანელოდ დატოვებულია რევაზ თვარაძის წიგნი, თუმცა მასწავლებელს ეძლევა უფლება, პარალელურად გამოიყენოს სხვა სახელმძღვანელოები. ამასთან, შექმნილია კომისია, სადაც შედიან საპატრიარქოს, პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და მიმდინარეობს სახელმძღვანელოს შესწორება, რადგან სასულიერო პირთა ნაწილს მის მიმართ გარკვეული შენიშვნები აქვს. საგანში ჩვეულებრივად დაიწერება ნიშანი, როგორც იწერებოდა.

— *დიდი მადლობა საუბრისთვის.*

*ნინო ტარყაშვილი,*
*ნანა გურაშვილი*

## რას წერენ ჩვენზე

# ქართველი ამერიკულ ციხეში, ამერიკელი — ქართულ ციხეში

54 წლის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი, ამერიკელი ლორენ ვილი აიოვას შტატიდან უკვე თვეზე მეტია ქართულ ციხეში ზის. მას შეიძლება წაუყენონ მკვლელობის ბრალდება იმ საავტომობილო ავარიისათვის, რომელიც მან ამ ქვეყანაში მოახდინა. მისი მეგობრები და კოლეგები ფიქრობენ, რომ ეს ადამიანი გიორგი მახარაძის ვაშინგტონის რესტორანში 2 წლის წინანდელი ქეიფის ბოლო მსხვერპლი შეიძლება გახდეს.

მახარაძე ყოფილი ქართველი დიპლომატია, რომელსაც 7 წელი მიუსაჯეს, მას შემდეგ, რაც მან ვაშინგტონში მოახდინა ავარია, რომლის მსხვერპლიც 16 წლის გოგონა გახდა.

21 ივლისს 54 წლის ვილი მართავდა კათოლიკური დახმარების სამსახურის კუთვნილ ავტომანქანას, რომელიც სველ გზაზე მოცურდა და ხეს შეასკდა. ავარიის შედეგად დაიღუპა თარჯიმანი, ქართველი ქალბატონი. ამ შემთხვევას ვაშინგტონში მომხდართან რამდენიმე მსგავსება, მაგრამ კიდევ უფრო მეტი განსხვავება გააჩნია.

აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის, მაგრამ ვილის ნათესავები და მეგობრები შიშობენ, რომ ქართველი ოფიციალური პირები მასზე შურს იძიებენ მახარაძის გამო. მათ ასევე გამოთქვეს იმედი, რომ აშშ-ის თანხმობა, დააბრუნოს მახარაძე საქართველოში, ხელს შეუწყობს ვილის გათავისუფლებას.

ქართველმა პროკურორებმა უთხრეს აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებს, რომ ჯერ არ არის გადაწყვეტილი, წაუყენებენ ვილის ბრალდებას თუ არა.

აიოვას შტატის სენატორისადმი მიწერილ ბოლო წერილში საქართველოში აშშ-ის საელჩოს ვიცე-კონსულმა მარკ მუდიმ აღნიშნა, რომ „ალბათ ვილი იძულებული იქნება დარჩეს საქართველოში სასამართლო გარჩევის დასრულებამდე". თავის წინანდელ წერილში ის წერდა, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია ავიცილოთ სასამართლო გარჩევა", რადგან ვილი კერძო პირია და დიპლომატისაგან განსხვავებით, იმუნიტეტი არ იცავს.

მახარაძე ქართული დიპლომატიის ამომავალი ვარსკვლავი იყო, როდესაც 1997 წლის 3 იანვარს კლეველენდის პარკის რესტორანში დათვრა და მოახდინა ავარია, რომელშიც ჯოვან ვოლტრიკი დაიღუპა. მას სასამართლოსაგან დიპლომატიური იმუნიტეტი იცავდა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, აშშ-ის ძლიერი დაწოლის შედეგად, მოუხსნა იმუნიტეტი. სასამართლომ მახარაძე დამნაშავედ ცნო უნებლიე მკვლელობის ჩადენაში და 7-დან 21-წლამდე პატიმრობა მიუსაჯა. ახლა ის სასჯელს ბატნერის ციხეში (ჩრდილო კაროლინის შტატი) იხდის. ის სასჯელის საქართველოში მოხდის თხოვნაზე იუსტიციის დეპარტამენტის პასუხს ელის.

აშშ-ის მთავრობამ დაიკავა პოზიცია, რომ ვილის ავარიასა და მახარაძის საქართველოში დაბრუნებას არაფერი საერთო არ აქვს და რომ მახარაძის ადვოკატებმა იუსტიციის დეპარტამენტს თხოვნა ვილის ავარიამდე ბევრად ადრე გაუგზავნეს.

როგორც ვილის ნათესავმა მარგარეტ ვილიმ შეგვატყობინა, „ავარიის შემდეგ საქართველოში ზოგიერთმა თქვა, რომ სამაგიეროს გადახდის დრო მოვიდა" და ბევრი ქართველი ოფიციალური პირი მიიჩნევს, რომ მახარაძემ დაუმსახურებლად მძიმე სასჯელი მიიღო. ახლა მათ უნდა გამოიყენონ შექმნილი ვითარება და მახარაძე შინ დააბრუნონ.

„ამ საკითხის გარშემო საქართველოში ბევრი სპეკულაცია მიმდინარეობს" — გვითხრა კათოლიკური დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ ფრანკ კარლინმა. მან დაამატა, რომ შევარდნაძე სასტიკად გააკრიტიკეს მახარაძის იმუნიტეტის მოხსნის გამო და ახლა, საპარლამენტო არჩევნების წინ, ის თავზე არ აიღებს ვილის გათავისუფლებას. ამ შემთხვევაში ოპონენტები მას ამერიკელებისადმი უპრინციპო მორჩილებაში დასდებენ ბრალს. „თუ შევარდნაძე ვილის გასათავისუფლებლად რაიმე ნაბიჯს გადადგამს, თუნდაც „პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადებს და ქვეყნიდან გააძევებს, პროამერიკელობაში დაადანაშაულებენ. მეორეს მხრივ, თუ ის შეძლებს თავისი დიპლომატის დაბრუნებას, ეს პოლიტიკურად მომგებიანი იქნება".

ეს საკითხი შევარდნაძისათვის მნიშვნელოვანია, რადგან კლინტონის ადმინისტრაცია მას მხარს უჭერს პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ და ყოველწლიურად მის პატარა და ღარიბ ქვეყანას 80 მლნ დოლარით ეხმარება. მეტიც, ამ ფულის ნაწილი სასამართლო რეფორმას ხმარდება. აშშ-ს სულაც არ უნდა წაახალისოს პრეზიდენტის ჩარევა სასამართლო საქმეებში, მით უმეტეს თუ პროკურორები ვილის სამართლიანად მოექცევიან.

თავდაცვის მდივანმა უილიამ ქოენმა თავისი საქართველოში ვიზიტის დროს, 1 აგვისტოს, სთხოვა შევარდნაძეს სამართლიანად მოექცნენ ვილის.

გუშინ ჩვენ ვცადეთ საქართველოს საელჩოსთან დაკავშირება, მაგრამ ჩვენს სატელეფონო ზარს არავინ უპასუხა. არ გვიპასუხა არც მახარაძის ადვოკატმა რობერტ ბენეტმა. იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯონ რასელმა კი განგვიცხადა, რომ მახარაძის თაობაზე დეპარტამენტი გადაწყვეტილებას მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გამოიტანს.

კათოლიკური დახმარების სამსახურის და მათი ადვოკატის ივანე ხოხლოვის ინფორმაციით ვილი თბილისში იმყოფებოდა იმ საკითხის გასარკვევად, შეიძლებოდა თუ არა, რომ მათი სამსახური გამხდარიყო აშშ-ის დახმარების დისტრიბიუტორი ამ ქვეყანაში.

„მშვიდობის კორპუსის" ვეტერანი ვილი, რომელსაც საქართველოში ადრეც იყო ნამუშევარი, მართავდა „ნისან პეტროლს". მანქანა მოცურდა ნაწვიმარ გზაზე და ხეს შეასკდა. მისი თარჯიმანი მანანა ცომაშვილი დაიღუპა, კიდევ ერთი მგზავრი დაშავდა. როგორც მარგარეტ ვილიმ გვითხრა, თვითონ ვილიც დამტვრეულია და „მან იცის ვითარება, იცის, რაც მოხდა და ძალიან განიცდის".

*ვაშინგტონ პოსტი*
*21 აგვისტო, 1999 წელი*



# რუსთავის პოლიცია არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, მანიაკთან ჰქონდეთ საქმე

რუსთავის პოლიცია-პროკურატურას ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში მეტად დამძიმებული სამუშაო მიეცათ. პოლიციის უფროსი თემურ ანჯაფარიძე აცხადებს — სანსულ ჩიხში ვართო. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ იპოვნეს ორი კვირის წინ, 13 აგვისტოს დაკარგული ნანა ბრეგვაძე...

შეგახსენებთ, როგორც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, ერთი თვის წინ, 16 ივლისს, რუსთავში დაიკარგა 10 წლის თეონა ჩიხრაძე, რომლის გვამიც მეორე დღეს იპოვეს ღია საკანალიზაციო კოლექტორში. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის, ზურაბ კვაჭაძის დასკვნის მიხედვით, ბავშვის სიკვდილის მიზეზი ასფიქსია გახდა, რასაც დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი გამორიცხავს. მის დასკვნაში ვკითხულობთ: „საყურადღებოა, რომ გვამის პირველადი გამოკვლევისას წყალში დახრჩობის განვითარებაში — ასფიქსიისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნები, როგორიცაა წერტილოვანი სისხლჩაქცევები თვალის ქუთუთოების ქვეშ, მყარი ქაფის არსებობა პირის ღრუსთან, ნანახი არ ყოფილა“. ბავშვს სხეულზე და განსაკუთრებით, თავის არეში მრავალრიცხოვანი ჭრილობები აღმოაჩნდა, რომელთაგანაც ზოგიერთი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „კისრის ქვემო მესამედში, მის მარჯვენა გვერდით ზედაპირზე აღენიშნებოდა მცირე ზომის მონითალო-მოვარდისფრო სისხლნაჟღენთები, რომლებიც გამოხატულ გეოგრაფიულ ფიგურას ქმნიან“. ორი ყველაზე დიდი ჭრილობა ბავშვს შუბლზე და საფეთქელზე აღენიშნებოდა. მაია ნიკოლეიშვილის დასკვნით, შუბლზე ჭრილობა ბასრი, მჭრელი საგნით არის მიყენებული და ძვლის ფირფიტა ჩანს, რომელიც გაბზარულია, ხოლო საფეთქელზე — „დიდი ძალის არამჭრელი საგნით“.

რუსთავის შს სამმართველოს უფროსი თემურ ანჯაფარიძე აცხადებს, — მაია ნიკოლეიშვილი პოპულისტია, არ სურს პრესის ფურცლებიდან ჩამოსვლა და ამიტომ აკეთებს სენსაციურ განცხადებებსო.

როგორც „კვირის პალიტრისთვის“ გახდა ცნობილი, მიმდინარე კვირაში მოხდება გვამის ეგსჰუმაცია და მის გამოკვლევას დაიწყებს კომისიური ექსპერტიზა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის გამოცდილი და ავტორიტეტული ექსპერტები.

პოლიციის უფროსის ინფორმაციით, დაღუპვამდე ერთი კვირით ადრე თეონას ეზოში, სკამზე ვიღაც კაცი მიუჯდა, ჯერ მამამისი მოიკითხა, თან ხელი გადახვია. ბავშვს უპასუხნია, — მამას სძინავს, გავაღვიძებო, მაგრამ იმ კაცს „გადაუფიქრებია“ გოგონას მამასთან შეხვედრა და ბავშვს ესაუბრებოდა, თან ეფერებოდა. ეს შეუნიშნავს მეზობელ ქალს. ბავშვისთვის უთქვამს, — ჩქარა შინ მოუსვიო, კაცისთვის კი უსაყვედურია.

ეს მეზობელი ქალი პოლიციამ შემდეგ საპასპორტო განყოფილებაში მიიყვანა და სამი ათასი სურათი აჩვენა, მაგრამ მან ის კაცი ვერც ერთში ვერ ამოიცნო. „უამრავი ჭორი გავრცელდა. ლაპარაკობდნენ ვიღაც წვეროსან, შავპირაბაზან კაცზე. ვინ იცის, იქ კაცმა მას მერე გაიპარსა წვერი, გაიხადა შავი პერანგი, — ამბობს თემურ ანჯაფარიძე.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, თეონას სიკვდილის მიზეზი — ასფიქსია — ბევრში ეჭვს იწვევს — იქნებ, პროკურატურას არ სურს, საქმეში გაუხსნელი მკვლელობა ჩაეწეროს და ცდილობს, დაამტკიცოს, რომ შემთხვევითი სიკვდილი იყო, — რასაც პოლიციის უფროსი გადაჭრით უარყოფს: „ბოლო სამი წლის განმავლობაში არც ერთი გაუხსნელი მკვლელობა არ გვაქვს. თანაც საქმე ფასდება არა მარტო იმის მიხედვით, გაიხსნება თუ არა, არამედ რა ღონისძიებებია ჩატარებული მის გასახსნელად“.

თეონას სიკვდილიდან ერთი თვის თავზე 14 წლის ნანა ბრეგვაძის დაკარგვის გამო რუსთავში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. ორი კვირა გავიდა და ბავშვი ჯერ არ უპოვიათ. ამ ხნის განმავლობაში პოლიცია მუხლჩაუხრელად მუშაობდა და თითოეულ ვერსიას, თითოეულ საეჭვო ადამიანს ამოწმებდა. გათხოვების ვარაუდის გამორიცხვის შემდეგ დახრჩობის ვერსია გადაამოწმეს — რუსთავიდან ყაზახამდე ჩაჰყვა პოლიციის სპეცრაზმი მტკვარს, მაგრამ გვამი არ აღმოჩნდა. შემდეგ შეამოწმეს მეძავი ქალები (იქნებ, ვინმე „მამაშამ“ წაიყვანა ბავშვიო), საპასპორტო განყოფილება (იქნებ, საზღვარგარეთ წაიყვანა ვინმემ იმავე მიზნითო) და ა.შ. როცა ბევრი ასეთი ვერსია გამოირიცხა, წარმოიშვა აზრი ვინმე მანიაკის შესახებ.

ამ დროს მეზობელ ბავშვებს გაახსენდათ, რომ მაის-ივნისში მათთან მოდიოდა ბავშვური ასნაგობის გონებასუსტი მამაკაცი, რომელიც მხოლოდ 10-15 წლის ბავშვებს ეთამაშებოდა, ხატავდა მათ და ა.შ. ამიტომ პოლიცია არ გამორიცხავს სექსუალური ძალადობის მცდელობას, მით უფრო, რომ როგორც ირკვევა, ამ პიროვნებას სხვა უბნის ბავშვებთანაც ჰქონდა ურთიერთობა, თანაც ყოველთვის ულამაზეს გოგონებს არჩევდა საურთიერთოდ. აქედან გამომდინარე, პოლიცია ვარაუდობს, რომ მანიაკურ მოვლენასთან აქვთ საქმე. ამჟამად ტარდება სტანდარტული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები — უბნის რწმუნებულები ეზო-ეზო დადიან და ამ პიროვნების ფოტორობოტს აჩვენებენ ხალხს...

პოლიციის უფროსის ინფორმაციით, დაღუპვამდე ერთი კვირით ადრე თეონას ეზოში, სკამზე ვიღაც კაცი მიუჯდა, ჯერ მამამისი მოიკითხა, თან ხელი გადახვია. ბავშვს უპასუხნია, _ მამას სძინავს, გავაღვიძებო, მაგრამ იმ კაცს გადაუფიქრებია...

რუსთავის პროკურორმა ბესარიონ თხელიძემ საერთოდ შეიკავა თავი პასუხისგან...

პოლიცია ამ ეტაპზე გამორიცხავს თეონა ჩიხრაძისა და ნანა ბრეგვაძის საქმეებს შორის კავშირს და ძნელია ითქვას, დაუკავშირდება თუ არა ეს ორი საქმე მომავალში ერთმანეთს; იტაცებს თუ არა რუსთავში მანიაკი მცირეწლოვან ბავშვებს(!).

როგორც კი რაიმე გაირკვევა ამ ბურუსით მოცულ ამბებში, ამას „კვირის პალიტრის“ მკითხველებიც შეიტყობენ.

*მანოლი ლილუაშვილი*



*ნანა ბრეგვაძის გატაცებაში ეჭვმიტანილის ფოტორობოტი. მისი ნახვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდით რუსთავის პოლიციას, ტელეფონი — 8(24)— 12-12-12*

# „გამსახურდიას ცოლის და ცოლისდის მხრიდანაც არაერთხელ გადავურჩი დაწიოკებას“

„კვირის პალიტრის“ წინა ნომრებში ვწერდით 30-იანი წლების სასტიკი რეჟიმის შესახებ, რომელსაც მრავალი ღირსეული მამულიშვილი შეეწირა. ეს იყო შედეგი ათეული წლის წინ... სამწუხაროდ, 70-იან წლებში წარმოქმნილ დისიდენტურ მოძრაობასაც არანაკლები წნეხის ქვეშ მოუწია ყოფნა... ეჭვიც არ გვეპარება, რომ ეს მკითხველს ისედაც კარგად მოეხსენება, მაგრამ მაინც ვიმეორებთ დისიდენტური მოძრაობის არსის განმარტებას: დისიდენტი არის პირი, რომელიც არ აღიარებს ქვეყანაში გაბატონებულ რეჟიმს.

ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას სათავე დისიდენტებმა დაუდეს. მათ საკუთარ თავზე იწვნიეს პოლიტპატიმართა ბანაკების სისასტიკე, შიმშილი, გარე სამყაროსაგან წლობით იზოლაცია...

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმრები ყოფილი დისიდენტები: ვახტანგ ძაბირაძე, დავით და ლევან ბერძენიშვილები არიან.

**ვახტანგ ძაბირაძე**: „ჰელსინკის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა გააქტიურდა. მთელ სსრკ-სა და მათ შორის საქართველოშიც შეიქმნა „ჰელსინკის კავშირი“. 1977 წელს დააპატიმრეს ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა და ვ. რცხილაძე, ამ რეპრესიებისადმი პროტესტის ნიშნად 1978 წელს მე და ჩემმა მეგობრებმა შევქმენით „რესპუბლიკური პარტია“.

**ლევან ბერძენიშვილი:** „როცა ბრეჟნევმა ჰელსინკის აქტს ხელი მოაწერა და ადამიანის უფლებების დაცვა დაუშვა, იმ დღიდან სსრკ-ის საათი ჩაირთო. ის რომ დაინგრეოდა, ნათელი იყო. მაშინ ჩვენ ნაკლებად გვესმოდა, რა იყო დემოკრატია, უფრო დამოუკიდებლობის იდეა გვქონდა გაცნობიერებული. ამიტომ ძნელია ჩვენ დისიდენტები გვეწოდოს კლასიკური გაგებით. ჩვენ დავიწყეთ ჟურნალ „სამრეკლოს“ გამოცემა, რომელშიც ვწერდით, რომ კომუნისტებმა ამოხოცეს ქართველი ერის საუკეთესო შვილები, ჩამოთვლილი იყო ხალხი, რომელიც 1924 წლიდან მოყოლებული შეეწირა რეპრესიებს.

ჟურნალის გამოცემისთანავე ჩავვარდით. პირველივე კაცი, რომელსაც ჩემმა ძმამ „სამრეკლოს“ ნომერი მისცა, აღმოჩნდა მილიციის უფროსის შვილი და მამამისმა ჟურნალი იმწამსვე უშიშროებაში გააქანა. მაშინვე არ დავუჭერივართ, დრო-დადრო დაჰკითხავდნენ ხოლმე ჩემს ძმას: საიდან გაქვს ეს ჟურნალიო. დათო მაშინ 17 წლისა იყო, ის რომ გაეტეხათ, უამრავი ხალხი დაიხმარეს, ჩარიეს მშობლები, რომ ბავშვს სიმართლე ეთქვა, მაგრამ დათო ჯიუტად იმეორებდა ერთსა და იმავე ფრაზას: ვიცი, მაგრამ არ ვიტყვიო...

მაშინ 70-ე მუხლით ყველას არ ასამართლებდნენ. ცდილობდნენ, რომ ზოგიერთის დისიდენტობა არ გაეხმაურებინათ. მაგალითად, დღეს კაკუბავა რომ აცხადებს, ძველი დისიდენტი ვარო, სინამდვილეში ის ხორცკომბინატში ჩადენილი ეკონომიკური დანაშაულისათვის იყო გასამართლებული.

ზონაში შევხვედრივარ ცნობილ დისიდენტებს მიშა რივკინსა და საშა კაზაჩკოვს. ჩემთან იჯდა ისრაელის ამჟამინდელი ვაჭრობის მინისტრი... სამი წელი ვაკვირდებოდი, როგორ ამუშავებდნენ ადამიანებს, რომ აღიარებამდე მიეყვანათ. ეს არის მექანიზმი, როცა ადამიანის გატეხვისათვის ყველაფერია ჩართული და ადამიანი ტყდება. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია — არ უნდა გატყდე“.

**დავით ბერძენიშვილი:** „შესაძლოა, ჩვენი საქმიანობა რომანტიკაა და არა პოლიტიკა. შესაძლოა, რომ არა ასაკი, ასეთი არჩევანი არც გაგვეკეთებინა, მაგრამ მაშინ ჩვენ დისიდენტობა ავირჩიეთ. მე არ ვარ უკმაყოფილო ჩემი ბედის, იმიტომ, რომ იმ ორი წლის მანძილზე, რომელიც მოლდოვეთის პოლიტპატიმართა ბანაკში გავატარე, ძალიან მცოდნე ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა. დისიდენტები პირობითად გვერქვა. ზონაში ჩვენ ნაციონალისტებს გვეძახდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ქართული დისიდენტური მოძრაობა ძლიერი იყო. პირიქით, სსრკ-ის ევროპულ ნაწილში ის აუტსაიდერად მოჩანდა, მაგრამ ვითვლებოდით იმ რესპუბლიკების ეგზუთში, რომლებიც მისაღოდ იყვნენ.

80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მე და ჩემი მეგობრები ზონაში აღმოვჩნდით, საბჭოურ დისიდენტურ წრეებში საკმაოდ ცუდი სახელი ჰქონდა ზვიად გამსახურდიას. მას არ პატიობდნენ საქვეყნიერო მონანიებას. ამასთან, გამსახურდია უფრო ნაციონალისტი იყო, ვიდრე დისიდენტი.

დისიდენტური წარმომავლობის პოლიტიკოსებიდან ყველაზე მეტის რეალიზება (პოლიტიკაში) თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში გიორგი ჭანტურიამ შეძლო. არ ყოფილა დისიდენტი და არც მჯდარა ზურაბ ჭავჭავაძე, მაგრამ სანამ ის ცოცხალი იყო, ითვლებოდა ჩვენი თაობის ყველაზე უფრო ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელ პოლიტიკოსად“.

**ვახტან ძაბირაძე** „ვიცოდი, რომ ჩემი დაპატიმრება გარდაუვალი იყო. 1984 წლის 4 იანვარს, დილის ექვს საათზე, ჩემს სახლში სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები მოვიდნენ და ჩხრეკის ორდერი მაჩვენეს, მერე მითხრეს, უნდა წამობრძანდეთო. უცხო თვალს ეგონებოდა, პატივსაცემ კაცს მიაკითხეს მანქანითო. ჩამსვეს „გაზ 24“-ში და წამიყვანეს. გზად ვფიქრობდი, რომ უშიშროებაში დამხვდებოდა ხალხი, რომელიც დამიწყებდა მტკიცებას, რა კარგ ქვეყანაში ვცხოვრობდი. ამიტომაც, ბატალიებისათვის ვემზადებოდი, რათა დამემტკიცებინა მათთვის, რომ ეს ყველაფერი ბლეფი იყო. იქ სრულიად საწინააღმდეგო რამ ვნახე. მაშინ სუკის საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელი საშა მირიანაშვილი იყო. როდესაც მასთან შემიყვანეს, მკითხა: წვერი რატომ გაქვსო. ისე, მომწონს-მეთქი. თუ იდეებ რა ვუყოო — მკითხა (ფრაზა იმ დროს მოარული პოლიტიკური ანეკდოტიდან იყო). ასეთი შეკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ მოსალოდნელი მძიმე საუბრები არ შედგებოდა. უშიშროებას გარე ფასადი ჰქონდა შეურყეველი, თორემ შიგნით სხვა რამ ხდებოდა. ასეთი შემთხვევა მარტო თბილისში არ ყოფილა. როდესაც პერმის ზონაში ჩამიყვანეს, ზონის „კაგებეშნიკი“ შემხვდა და მეკითხება: როგორ არის საქმე დიდ ზონაშიო. დავიბენი. მას გაეცინა და მითხრა: დიდ ზონას აქაური დისიდენტები საბჭოთა კავშირს ეძახიანო. იქაურ პოლიციელებთან ცალკე ისეთი საუბრები მქონია, მიკვირდა: რასაც თქვენ ლაპარაკობთ, იმაზე მეტი არაფერი მითქვამს. მე დამიჭირეს, თქვენ კი ჩემი ზედამხედველები ხართ-მეთქი. ამას ჩვენ საიდუმლოდ ვლაპარაკობთ, შენ კი ყვირიო, — მეუბნებოდნენ.

გამასამართლეს 70-ე მუხლით. ასეთივე ბრალდებით: ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა, გასამართლებულნი იყვნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვახტანგ ჭითავა და სხვები. სამწელ-ნახევრის შემდეგ, 1987 წლის ივლისში გავთავისუფლდი და ჩამოვედი თბილისში“.

დისიდენტური მოძრაობის გაგრძელება იყო ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერება, რომელმაც ნაყოფი გამოიღო. ხელისუფლებაში ეროვნული ძალები მოვიდნენ, მაგრამ მალე განხეთქილებამ იჩინა თავი. ყოფილი დისიდენტები მალე ერთმანეთს წაეკიდნენ.

**დავით ბერძენიშვილი:** „მე გამსახურდიას დროსაც არ ვიყავი დაპატიმრებული. მისი ცოლის, ცოლისდისა და მათი დაქალების მხრიდან არაერთხელ გადავურჩი დაწიოკებას...“

**ვახტანგ ძაბირაძე:** „2 სექტემბრის მიტინგის დარბევის შემდეგ, 14 სექტემბერს უზენაესი საბჭოს სხდომა გაიმართა. ოპოზიცია ითხოვდა სხდომის ტელევიზიით ტრანსლაციას. უმრავლესობამ უარი განაცხადა. ოპოზიცია (სახალხო ფრონტი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ქარტია) დარბაზს ტოვებს. იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებულია სხდომაზე ზვიად გამსახურდიას გამოსვლის ტექსტი, რომელშიც პრეზიდენტი ამ ფაქტს აძლევს ისეთ შეფასებას, როგორსაც ჩვენ ვითხოვდით. ის აღიარებდა, რომ მიტინგის დარბევა პროვოცირებული იყო ორივე მხრიდან. ლოგიკურად ისმის კითხვა: თუ გამსახურდია ამ ფაქტს შეფასებას მისცემდა, რატომ არ შეიძლებოდა მისი გადაცემა ტელევიზიით? მაგრამ იცით როდის გამოქვეყნდა ეს შეფასება? 17 სექტემბერს და არა მეორე დღეს თითქოს არაფერი, რა მოხდა?! მაგრამ მოხდა ის, რომ 16 სექტემბერს გიორგი ჭანტურია და ირინა სარიშვილი დააპატიმრეს და აღარავის ეცალა იმისთვის, თუ რა შეფასება მისცა 2 სექტემბრის ამბავს ზვიად გამსახურდიამ“.

ყოფილ დისიდენტებს სუკთან ურთიერთობა პატიმრობის შემდეგაც მოუხდათ.

**დავით ბერძენიშვილი:** „როგორც ენ. „თვითმფრინავის საკითხის“ (თბილისიდან 1983 წელს რამდენიმე ახალგაზრდის მიერ თვითმფრინავის გატაცების ამბავი, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა) კომისიის წევრი, მივედი სუკში და მოვითხოვე მასალები. მაინტერესებდა როგორ გავიდნენ ჩიხლაძეზე (სასულიერო პირი, რომელსაც ამ აქციის ორგანიზატორობას აბრალებდნენ. რედ.) ვითხოვდი აგრეთვე ფირს, რათა დამედგინა, ვინ გასცა თვითმფრინავისათვის ცეცხლის გახსნის ბრძანება (გარედან გახსნილი ცეცხლით მაშინ 18 კაცი დაიჭრა). სუკში მისულს დამხვდა ხალხი, რამდენიმე წლის წინ, ჩემი საქმის ძიების დროს განსაკუთრებით რომ აქტიურობდა. რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთმა მათგანმა, რესტორანში საუბრის დროს მომწამლა კიდეც. შემდეგ ეს ხალხი ჩემს საქმეს ჩამოაცილეს. მაგრამ მათ მაინც არ მოისვენეს. ისინი დაუკავშირდნენ ასლან აბაშიძეს, რომლის მთავარი და სტაჟიანი ოპონენტი გახლავართ. სუკისა და აბაშიძის ურთიერთობები ერთმანეთისაგან შორს არ დგას. ასლან აბაშიძე ამბობს, რომ აქვს დოკუმენტები ძმები ბერძენიშვილების წინააღმდეგ. რაღაც დოკუმენტები, კერძოდ, ჩვენი საქმე მას მართლაც აქვს და პერიოდულად იქიდან რაღაცებს აქვეყნებს ხოლმე. ასლან ბაშიძემ ერთხელ გამოაქვეყნა სუკში გადაღებული სურათი, სადაც მე საბეჭდ მანქანასთან ვდგავარ. სურათს ქვეშ ეწერა: „დავით ბერძენიშვილმა ამოიცნო მანქანა, რომელზეც დაიბეჭდა „სამრეკლო“. ეს ჩემთვის მშვენიერი რეკლამაა.

ასლან აბაშიძემ ამის შემდეგ ფილმიც გადაიღო „რას გადაურჩა აჭარა“, რომლის მთავარი მოქმედი გმირი მე ვარ. ფილმის მიხედვით, მე ვყოფილვარ ტერორისტი, დამიქირავებია კაცი („მელკი სტრელოკი“) აბაშიძის მოსაკლავად.

სუკის თანამშრომლებთან ურთიერთობისას, გამოძიებისას, შემდეგ ზონაში ყოფნისას ჩანს კაცის უნარი, ახერხებს თუ არა ის წონასწორობის შენარჩუნებას. ზოგს ნერვები ეშლება, ზოგს პირიქით, მდგრადი უხდება. ყმაწვილკაცობის დროინდელი დისიდენტური საქმიანობის შედეგად მიღებული წრთობა, დღესდღეობით მარგია, მშვიდად ვარ“.

*იზო რეკაძე*



ზონის „კაგებეშნიკი“ შემხვდა და მეკითხება: როგორ არის საქმე დიდ ზონაშიო. დავიბენი. მას გაეცინა და მითხრა: დიდ ზონას აქაური დისიდენტები საბჭოთა კავშირს ეძახიანო. მიკვირდა: რასაც თქვენ ლაპარაკობთ, იმაზე მეტი არაფერი მითქვამს. მე დამიჭირეს, თქვენ კი... ამას ჩვენ საიდუმლოდ ვლაპარაკობთ, შენ კი ყვირიო, _ მეუბნებოდნენ.

## ვინ მართავს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს?


კრემლი — მთავრობა

- სრულიად რუსეთის ტელერადიო კომპანია
- ტელეკომპანია ორტ
- „როსიისკაია გაზეტა“
- იტარ-ტასი
- „რია ნოვოსტი“
- „ვრემია მნ (სახელმწიფო კაპიტალის მქონე ბანკების საშუალებით)


იური ლუჟკოვი — მოსკოვის მთავრობა

- ტვ ცენტრი
- ტვ-6
- გაზეთები: „ვეჩერნაია მოსკვა“, „ტვერსკაია 13“, „მოსკოვსკაია პრავდა“, პრეფექტურის გაზეთები
- გამომცემლობა „პუშკინსკაია პლოშჩადი“ (გაზეთი „ვერსტი და სხვ.)


ვლადიმირ გუსინსკი, „მედია-მოსტი“

- ტელეკომპანია ნტვ
- „ნტვ პლიუსი“
- რეგიონულ ტელეკომპანიათა ტნტ ქსელი
- რადიოსადგური „ეხო მოსკვი“
- საგამომცემლო სახლი „სემ დნეი“ (გაზეთი „სეგოდნია“, ყოველკვირეული „სემ დნეი“, ჟურნალები „იტოგი“ და „კარავანი“)


ბორის ბერეზოვსკი

- ორტ
- ტვ-6
- „ნაშე რადიო“
- ახალი ამბების ეროვნული სამსახური
- „ნეზავისიმაია გაზეტა“, გაზეთი „ნოვიე იზვესტია“, ჟურნალები „ოგონიოკი“, „მატადორი“
- საგამომცემლო სახლი „კომერსანტ ხ“ („კომერსანტ ხ“, „ვლასტი“, „დენგი“, „ავტოპილოტი,“ „დომოვოი“)


რემ ვიახირევი „გაზპრომი“ (კომპანია „გაზპრომ-მედია“)

- ტელეკომპანია „პრომეტეი“
- გაზეთები „ტრიბუნა“, „ტრუდი“
- „კინოსცენარი“
- რეგიონული საინფორმაციო საშუალებები (ასამდე)


ვლადიმირ ევტუშენკოვი (ჯგუფი „მეტრომოლისი“)

- გაზეთი „მეტრო“
- „ლიტერატურნაია გაზეტა“
- „როსია“
- „კულტურა“
- ტვ ცენტრი


ვაგიტ ალეკპეროვი, „ლუკოილი“

- ტვ-6
- გაზეთი „იზვესტია“


ვლადიმირ პოტანინი ჯგუფი ონექსიმბანკი (კომპანია „პროფ-მედია“)

- გაზეთი „იზვესტია“
- „კომსომოლსკაია პრავდა“
- „ანტენა“
- „ექსპრეს-გაზეტა“
- „ნედელია“
- „ვეს კომპიუტერნი მირ“
- ჟურნალი „ექსპერტი“


ინდეპენდენტ მედია (დერკ საუერი)

- გაზეთი „მოსკოუ ტაიმსი“
- ჟურნალები „კოსმოპოლიტენი“, „პლეიბოი“ და სხვ.


არტიომ ბოროვიკი საგამომცემლო სახლი „სოვერშენნო სეკრეტნო“

- ყოველთვიური „სოვერშენნო სეკრეტნო“
- ყოველკვირეული „ვერსია სიმპატიით ლუჟკოვის მიმართ“


უშუალოდ მასობრივი საინფორმაციო საშუალებანი

- „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ (ორიენტირებულია იური ლუჟკოვზე), „არგუმენტი ი ფაკტი“, „ნოვაია გაზეტა“ (სიმპათიები მკვეთრად გამოხატული არ არის), „ობშჩაია გაზეტა“ (აქციონერთა ჯგუფი), „ინტერფაქსი“ „მოსკოვსკიე ნოვოსტი“

**მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე გავლენის დონე**
——— - ძლიერი; – – – - საშუალო; . . . - სუსტი.

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ რუსეთში არჩევნების მოახლოებასთან ერთად მძაფრდება ბრძოლა პოლიტიკურ ძალებს შორის. პოლიტიკოსები აყალიბებენ ბლოკებს, დებენ გარიგებებს, იმხრობენ ცნობილ და გავლენიან ფიგურებს, იმარაგებენ ფულს და, რაც მთავარია, ნადირობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. ყველაზე დიდი ფასი დღევანდელ რუსეთში სწორედ გაზეთებისა და ტელევიზიების აქციებს აქვს. ეგაა, რომ ცოტა ვინმე ყიდის, ყველას თავისთვის უნდა. ყველას უნდა ჰქონდეს პოპულარული გაზეთი, ამასთან სურს, რომ მარტო მას ჰქონდეს. ეს ელექტორატის გაზრდის ერთადერთი თუ არა, საუკეთესო საშუალებაა. ამ საქმეზე ფულს რუსი ოლიგარქები არც ადრე იშურებდნენ, მით უფრო არ დაიშურებენ ახლა, არჩევნების წინ.

რუსული მასმედია, სამწუხაროდ (პირველ რიგში, რუსეთისათვის სამწუხაროდ), თითქმის მთლიანად კონტროლირებადია და სხვადასხვა დაჯგუფების ხელშია მოქცეული. არასასურველი ჟურნალისტების ხოცვა მოდიდან გადავიდა, ბევრად უფრო მოსახერხებელია მათი ყიდვა. ასე რომ, თავისუფალ პრესასთან ბრძოლა რუსეთში უკვე დასრულდა ამ უკანასკნელის სრული დამარცხებით. ბრძოლა ახლა დაპირისპირებული დაჯგუფებების კუთვნილი საინფორმაციო საშუალებების წინააღმდეგ მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი არჩევნების მოახლოებასთან ერთად გახდა. ამ ბრძოლაში ძალიან მაღალი ფსონებია და შესაბამისად, ყველანაირი ხერხი გამოიყენება.

21 აგვისტოს პოპულარული ყოველდღიური გაზეთ „კომერსანტ-დეილი“-ს რედაქციას ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური ეწვია და ... ოფისი დაულუქა, ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევის გამო (!!!). მეხანძრეების ამ თავხედობის უკან უდავოდ ლუჟკოვი იდგა. ამ გაზეთს მაღალი ტირაჟი და ასევე მაღალი (სხვებთან შედარებით) რეპუტაცია ჰქონდა. ამა წლის ივნისში მისმა მფლობელმა ვლადიმირ იაკოვლევმა თავისი აქციები გაყიდა. ყიდვის დიდი სურვილი ჰქონდა ბერეზოვსკისაც, ჩუბაისსაც და ... ლუჟკოვსაც. არადა, გაზეთი იყიდა სრულიად უცნობმა ფონდმა — „ემერიქენ ქეფითალ“, რომელიც ზუსტად 27 მაისს („კომერსანტის“ ყიდვამდე რამდენიმე დღით ადრე) დაარსდა. მალე გაირკვა, რომ ამ ფონდის უკან ბერეზოვსკი იდგა. იმით გამწარებულ ლუჟკოვს, რომ მისმა მთავარმა მტერმა აჯობა, როგორც ჩანს, ნერვებმა უმტყუნა და სახანძრო რაზმს გამოუძახა.

აქვე არ შემიძლია ქებით და მადლიერებით არ მოვიხსენიო რუსეთის პოლიტიკის კოლორიტი — ვლადიმირ ვოლფოვიჩ (იურისტოვიჩ) ჟირინოვსკი. მსოფლიო (პირველ რიგში — მასმედია) კიდევ დააფასებს ამ კაცის უდიდეს ღვაწლს. არ გეგონოთ, ვშაყირობდე, მართლაც ასეა — ჟირინოვსკი ყოველთვის ამბობს იმას, რასაც სხვა რუსი პოლიტიკოსები ჩუმად ფიქრობენ, გეგმავენ და აკეთებენ. რას გავუგებდით ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, რუსი პოლიტიკოსების ტვინის ხვეულებს, ეს ინდოეთის ოკეანეში ჯარისკაცული ჩექმების მრეცხავი რომ არ გვაძლევდეს ხოლმე განმარტებებს. გაზეთების წინააღმდეგ კომუ-

## მეხანძრეები გაზეთებს „ხურავენ“(!)




ნალური რეპრესიების გამოყენების იდეაც სწორედ მას ეკუთვნის. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თავის წერილში ის წერდა: „მე არასოდეს დავუშვებდი, რომ გაზეთებს ერჩიათ პრეზიდენტის შეცვლის ვარიანტები და შემცვლელების ვინაობა. ასეთ გაზეთებს დაუყოვნებლივ ამოუტივტივდებოდათ 2-3 მილიონი დოლარის გადაუხდელი სატელეფონო ანგარიშები, რომელთა გადაუხდელობისათვის მათ ტელეფონები გაეთიშებოდათ. მერე ამას დაემატებოდა სახანძრო სამსახურის ჯარიმა წყლის ამადუღებლების გამოყენებისათვის, ასე 100 მილიონი მანეთის ოდენობით და ეს ხალხი (ჟურნალისტები) შეიგნებდა, რომ უხამსობაა ეუზრდელო მამილოს“.

თუმცა „კომერსანტის“ საქმეში პუტინი ჩაერია და მხარი დაუჭირა სიტყვის თავისუფლებას. ამჯერად ლუჟკოვს ალბათ დათმობა მოუნევს არა იმიტომ, რომ პუტინის ეშინია, არამედ იმიტომ, რომ არ მოისურვებს ხალხის თვალში ანტიდემოკრატად გამოჩნდეს. თუმცა ერთი საგულისხმო სიტყვა მოსკოვის მერმა მაინც თქვა: გაზეთების შევიწროების უამრავი ბერკეტი მაქვს, ეგაა, რომ არ ვიყენებო. ამით მიანიშნა სხვა გაზეთებს — ჭკვიანად იყავითო. „კომერსანტი“ კი ალბათ ისევ გამოვა, მაგრამ უკვე აღარ იქნება თავისუფალი გაზეთი, ის ბერეზოვსკის იმპერიის ნაწილი გახდა.

პუტინის ძალისხმევით სახანძრომ „კომერსანტის“ რედაქციას ლუქი მოხსნა, მაგრამ სადაა გარანტია, რომ ხვალ იქ სანეპიდსადგური არ მივა?

*კახა აფციაური*

## შესანიშნავი ხუთეული

*ეს ხუთეული — რუსეთის მთავარი ოლიგარქები გახლავთ. ისინი არ არიან სპეკულანტები, ბანკირები და საინფორმაციო მაგნატები, მაგრამ ყველაფერი მათ ხელშია — აკონტროლებენ გაზს, ენერგეტიკას, მილსადენებს, რკინიგზასა და კავშირგაბმულობას, აგრეთვე ქვეყანას, რომელიც სულს ლაფავს, მაგრამ მაინც სუნთქავს, სხვათა შორის, იმის წყალობითაც, რომ ეს ხუთეული არსებობს — ისინი ეშმაკები, ვერაგნი, ძუნწები, ყოვლისშემძლენი და საკმაოდ მდიდრებიც არიან, ნიშნავენ და ძირფესვიანად ცვლიან მთავრობებს, მათი ფულით ირჩევენ პრეზიდენტებს და გუბერნატორებს; ცდილობენ, დაეხმარონ ქვეყანას, რომელიც მათ თავისებურად უყვართ კიდეც.*



**ანატოლი ჩუბაისი** — ძალიან ჭკვიანი, ცინიკოსი, დიდი იუმორის გრძნობითაა დაჯილდოებული. არასდროს აკმაყოფილებს მიღწეული. მთავრობაში თითქმის ყველა თანამდებობაზე უმუშავია. პრივატიზატორია, „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარისტი. ტიპური მარადიული რუსი კარდინალი რიშელიე. 1996 წ. გამოააშკარავა კორჟაკოვ-ბარსუკოვ-სოსკოვეცის შეთქმულება. თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში პოპულარობისთვის არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს და ვერც ვერავინ იტყვის, — ჩუბაისმა თავისი მიზნების მისაღწევად ვინმე უსამართლოდ გაწირაო.



**დმიტრი საველიევი** — „ტრანსნავთობის“ პრეზიდენტი. ამჟამად 31 წლისაა. 29 წლისა მონოპოლისტი გახდა. „ტრანსნავთობში“ იგი კირიენკომ მიიყვანა და დღემდე მტკიცე პოზიცია უკავია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ პოლიტიკოსსა და ოლიგარქს სურს მის ადგილზე თავისი კაცის დასმა. ძლიერი პროფესიონალია. კარიერის დასაწყისში იმასაც ამბობდნენ, „საძმოებთან“ აქვს კავშირიო, მაგრამ ჭორები მალე მიინავლა. იბრძოდა ავღანეთში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ნიჟნი ნოვგოროდში შექმნა და ხელმძღვანელობდა სავაჭრო სახლს „სავას“. აქედან გადავიდა „ლუკოილში“, შემდეგ „ნორსში“. ახლა მონოპოლისტია. არატიპური მენავთობეა, მაგრამ ტიპურმა მენავთობეებმა თავისიანად მიიჩნიეს.



**ვლადიმირ ბულგაკი** — „სვიაზინვესტის“ თავკაცი. დაამთავრა კავშირგაბმულობის ინსტიტუტი, იყო საკავშირო ალკკ ცკ-ის ინსტრუქტორი. 1983 წლიდან კავშირგაბმულობის სამინისტროში მუშაობს. 1990 წლიდან მინისტრია. მას შემდეგ მთავრობიდან ფეხი არ მოუცვლია. უამრავი პრემიერ-მინისტრი და ვიცე-პრემიერი გამოიცვალა. ელცინმა მას უწოდა ყველაზე გამოცდილი და იღბლიანი მინისტრი, რომლის ხელშიც უთუოდ უნდა იყოს მთელი ქვეყნის ტელეკომუნიკაციები. ასეც მოხდა. ბულგაკი იმედი და დასაყრდენია ვლადიმირ გუსინსკისა, რომელიც თავის დროზე მფარველობდა მას, თუმცა ბულგაკს ამით ტრაბახი მაინცდამაინც არ უყვარს, განსაკუთრებით ახლა.



**რემ ვიახირევი** — „გაზმრეწვის“ მეთაური. საოცრად მომხიბლავი, ეშმაკი, ცინიკოსი, ჭკვიანი, პროფესიონალი, საკმაოდ სანტიმენტალური. უყვარს უბრალო ხალხთან კონტაქტი. ვიახირევი ისე ოსტატურად მართავს თავის „გაზმრეწვს“, რომ მისი „გადმოგდება“ ვერავინ შეძლო.



**ვლადიმირ სტაროსტენკო** — გზათა მიმოსვლის მინისტრი. სულით ხორცამდე რკინიგზელი. ხუთეულიდან ყველაზე მოსაწყენი პიროვნება. როგორც ყველა რკინიგზელი — კონსერვატორია. საკმაოდ მშიშარაა და ციმბირის კატასავით ფრთხილი. ძალიან ჰგავს თავის შეფს — აქსიონენკოს (რომლის კაცადაც ითვლება). ამბობენ, რომან აბრამოვიჩთანაა დაკავშირებულიო. ისე, მას გარეგნულადაც წააგავს.

*ობშჩაია გაზეტა №156*

# საქართველოში თვითმფრინავების კეთება არ დავიწყებიათ...

ნახავთ, თვეობით ხელფასმიუღებელი მუშები თუ ინჟინრები ფუტკრებივით შესეოდნენ სამუშაოს და რაც მთავარია, მას სიყვარულით აკეთებდნენ? ალბათ, არა.

ამ სტატიის ავტორს კი ჰქონდა შესაძლებლობა, ენახა, თუ როგორი მონდომებით ასრულებდნენ თბილისის საავიაციო სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების სპეციალისტები Су-25 მოიერიშე თვითმფრინავების სარემონტო სამუშაოებს.

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ აშხაბადთან მიღწეული შეთანხმების მიხედვით, თურქმენეთის 46 ერთეული Су-25 მოიერიშე თვითმფრინავი თბილისში უნდა შეკეთებულიყო.

მაგრამ „კვირის პალიტრამ" გადაწყვიტა, ბოლომდე მიჰყოლოდა ამ, ჩვენი დროისთვის საკმაოდ უჩვეულო და საქართველოსთვის ძალზე მომგებიანი ხელშეკრულების შესრულების პროცესს და უშუალოდ საავიაციო ქარხნის საამქროებში თვალყური ედევნებინა მრისხანე მოიერიშეების „გაახალგაზრდავების" სამუშაოებისთვის.

თუმცა „გაახალგაზრდავება" მარტო თვით-



ქართველებს თურქმენული Су-25-ების შესაკეთებლად ძალ-ღონე არ დაუშურებიათ...

მფრინავებს არ შესტყობიათ. ის მუშები და ინჟინრები, რომელთა ხელში 1979 წლიდან დაწყებული ათასზე მეტმა Су-25-მა გაიარა, არანაკლებ „ახალგაზრდულად" გრძნობდნენ თავს, მათ ის უახლოესი წარსული გაახსენდათ, როდესაც თავისი შრომითა და ცოდნით საკმაოდ მაღალ ანაზღაურებასაც იღებდნენ და ამაყადაც დადიოდნენ.

ჯერჯერობით, თბილისში მხოლოდ 6 თურქმენული მოიერიშე გადის სარემონტო სამუშაოებს, თუმცა ესეც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ საავიაციო ქარხნის 500-მდე სპეციალისტი დასაქმებულიყო. წარმოიდგინეთ, რამხელა პერსპექტივები გაჩნდება, როდესაც რემონტის რიგში დანარჩენი 40 თურქმენული Су-25 ჩადგება.

ეს თვითმფრინავები თავის დროზე, 1986-89 წლებში, სწორედ თბილისის საავიაციო ქარხანამ გამოუშვა და თითქმის ყოველმა მათგანმა მოასწრო ავღანეთის ბრძოლებში მონაწილეობის მიღება. ამ ომის დამთავრების შემდეგ ისინი საბჭოთა კავშირში, თურქმენეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ორიოდ წელიწადში საბჭოთა კავშირიც დაიშალა და 46-ივე Су-25 უკვე სუვერენული თურქმენეთის საკუთრებაში დარჩა (ეს — საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლებამ „დატოვა" საბრძოლო ავიაციის გარეშე საკუთარი სამშობლო, თორემ ოფიციალურმა აშხაბადმა არც მეტი, არც ნაკლები 552(!) საბრძოლო და სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი და შვეულმფრენი შეუნარჩუნა თავის ქვეყანას).

1992 წლიდან თურქმენული Су-25-ები კონსერვაციაზე იმყოფებოდნენ და საერთოდ არ უფრენიათ. რამდენიმე თვის წინ კი Ан-12 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით 6 დაშლილი მოიერიშე თბილისის საავიაციო ქარხნის აეროდრომზე ჩამოიტანეს.

თურქმენული Су-ები საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ქარხნის სპეციალისტებმა ექვსივე მოიერიშე მთლიანად დაშალეს, შეამოწმეს, გამოცვალეს თვითმფრინავების მექანიკური და ელექტრონული ნაწილების უმეტესობა, გაარემონტეს დანარჩენი ხელსაწყოები. გარდა ამისა, მოიერიშეებს ჩაუტარდა რეგლამენტური სამუშაოები რესურსისა და კალენდარული ვადების გასაგრძელებლად, რის შემდეგაც თურქმენულმა Су-25-ებმა მიწისზედა და საფრენოსნო გამოცდები გაიარეს და მათი მიღება თურქმენმა სამხედრო მფრინავებმა დაიწყეს.

— გაოცებული ვარ ქართველი სპეციალისტების ოსტატობით; შედარებაც არ ღირს, თუ რა ჩამოვიტანეთ და ახლა რას



...Су-ები სამშობლოში დასაბრუნებლად მზად არიან

ვუყურებ, — აღფრთოვანებას ვერ მალავდა, განახლებული და ახლად შეღებილი მოიერიშეების შემყურე თურქმენეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების მთავარი ინჟინერი მაიორი დავლეთმურატ ჯუმაევი.

— 27 ოქტომბერს თურქმენეთის რესპუბლიკას დამოუკიდებლობის მე-8 წელი უსრულდება და ამ თარიღის აღსანიშნავ საჰაერო აღლუმში სწორედ თბილისში შეკეთებულმა ხუთმა Су-25-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა, — აცხადებენ თურქმენეთის სამხედროები, — მანამდე კი, 10 სექტემბრისთვის, საქართველოში გარემონტებული პირველი ექვსი Су-25 მოიერიშე აქტეპეს სამხედრო აეროდრომზე განლაგდება და მათ პირადად დაათვალიერებს თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი — თურქმენბაში (თურმე სამხედრო ავიაცია მისი „სუსტი" წერტილია).

ხელშეკრულების თანახმად, თითოეული მოიერიშის გარემონტება აშხაბადს ერთ მლნ ამერიკულ დოლარამდე დაუჯდება, ეი. თურქმენეთმა საქართველოს 46 მლნ დოლარი უნდა გადაუხადოს 46 ერთეული Су-25-ის შეკეთების საფასურად. აშხაბადს, ისევე როგორც თბილისს, საამისო სახსრები არ გააჩნია, სამაგიეროდ, საქართველოს უზარმაზარი ვალი აქვს თურქმენეთისა, მაგრამ აქ ურთიერთჩათვლები ვერ განხორციელდება, რადგან მსოფლიო სავალუტო ფონდი ვალის გასტუმრებას ნაღდი ანგარიშით მოითხოვს. ხელშეკრულების პრინციპი საკმაოდ პრიმიტიულია — საქართველო 46 მლნ დოლარ ნაღდ ფულს ურიცხავს თურქმენეთს, რომელიც იმავე დღეს უკან, თბილისში, აბრუნებს ამ თანხას, საიდანაც უშუალოდ თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებას არანაკლებ 40%-მდე, დაახლოებით 25 მლნ დოლარამდე ეკუთვნის (ისიც თუკი დარჩება ათასნაირი გადასახადის შემდეგ). არანაკლებს, 6%-ს წაიღებს სუხოის საკონსტრუქტორო ბიუროც იმისთვის, რომ Су-25-ის შექმნის საავტორო უფლება სწორედ მას ეკუთვნის და შეუძლია მრავალი პრობლემა შეუქმნას ამ ხელშეკრულების განხორციელებას.

იმედები დიდია, მაგრამ არც ის „წყალქვეშა ქვებია" დასავიწყებელი, რასაც რეალური ქართული ბიუროკრატიზმი „წარმოშობს". მარტო ის ფაქტი, რად ღირს, რომ დაშლილი Су-25-ების ჩამოტანისას, საავიაციო ქარხანამ უკვე გადაიხადა 0,2% საბაჟო გადასახადი, ამდენივეს გაღება ამ უკანასკნელს მაშინაც მოუწევს, როდესაც გარემონტებული Су-ები თურქმენეთში თავისით გაფრინდებიან. ამ დროს კი თურქმენეთის პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებით სამხედროები და მათი Су-ებიც ყოველგვარი გადასახადისგან გათავისუფლებულნი არიან.

მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე საქართველოსთვის ასეთ მომგებიან ხელშეკრულებას (იფარება უზარმაზარი ვალის 46 მლნ-იანი ნაწილი, რომელიც იმავე დღეს საქართველოში ბრუნდება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სამუშაოს იღებს თბილისის საავიაციო ქარხნის ასობით მუშახელი, მათ მიეცემათ ხელფასისა და პენსიის მთელი დავალიანება და ა.შ) შეიძლება თავად ქვეყნის ხელისუფლებიდან დაემუქროს ჩაშლა, თუკი იგი წელსავე არ გაისტუმრებს თურქმენეთის ვალიდან 25 მლნ დოლარს მაინც.

ხელშეკრულების ჩავარდნა კი საეჭვოს გახდის არა მარტო თანამშრომლობას თურქმენეთთან, არამედ უზბეკეთთანაც, რომლის თავდაცვის სამინისტროს მოსვენებას არ აძლევს საკუთარი Су-25-ების პარკის გარემონტება. მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბოლო მოვლენები ყირგიზეთსა თუ ტაჯიკეთში, ისევე, როგორც ავღანეთის ჩრდილოეთში, ძალზე ზრდის ამ რეგიონში Су-25 ტიპის მოიერიშეების პერსპექტივებს, როგორც საუკეთესო საბრძოლო საშუალებას მცირე ინტენსივობის კონფლიქტებისთვის.

# აღმოსავლეთიდან გამოყრილ ვაჰაბიტებს გზა სამხრეთისაკენ ეხსნებათ?!



გასულ კვირას მოსკოვმა თითქოს ჩაახშო ვაჰაბიტების შემოტევა დაღესტნის მთიანეთში. თითქოს იმიტომ, რომ მიუხედავად ამ უკანასკნელთა უკან, ჩეჩნეთში გადადენისა, კვლავ ცოცხლები არიან ცნობილი საველე მეთაურები — შამილ ბასაევი, ხატაბი თუ სხვები.

ამიტომაც საუბარი შეიარაღებული კონფლიქტის ჩაცხრობაზე დაღესტანში ჯერ ნაადრევია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს დაღესტნის მთიან რაიონებში გამაგრებულ ვაჰაბიტებს. აუცილებლად აღსანიშნავია, რუსეთის საბრძოლო ავიაციის შეტევები, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერის — მოცულობით-დეტონირებად, 500კგ-იან საავიაციო ბომბებს — ОДАБ-500-ებს იყენებდა. მათ სხვანაირად ვაკუუმურ ბომბებსაც უწოდებენ და ისინი მიწაზე დაცემამდე, ჯერ დიდი წნევის ქვეშ დაჭირხნულ აირს გამოაფრქვევენ (რომელიც სანგრის თუ სარდაფის ყველა კუთხეს „სწვდება") და შემდეგ ფეთქდებიან. სწორედ ამ ტიპის იარაღის მასობრივმა გამოყენებამ აიძულა ვაჰაბიტები, დაეტოვებინათ კარგად გამაგრებული მიწურები და სანგრები, რომელსაც ჩვეულებრივი საარტილერიო ჭურვები თითქმის ვერაფერს აკლებდა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, თუკი 9 აგვისტოს ზემო ომალოში, რუსული Су-25-ები ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მაგივრად, სწორედ ОДАБ-ებს ჩამოყრიდნენ — მსხვერპლი უზარმაზარი იქნებოდა (ერთხელ, 1993 წელს, რუსეთის საბრძოლო ავიაციამ ОДАБ-ებით სოხუმი უკვე დაბომბა).

თუმცა ვაჰაბიტების დამარცხება ძნელია, მარტო რუსულ ბომბებს, თუნდაც ზეძლიერისას, დავაბრალოთ. ვაჰაბიტებმა და, პირველ რიგში, იმავე შამილ ბასაევმა „დაღესტნის კამპანია" იდეოლოგიურ და ინფორმაციულ ფრონტზე წააგეს. მათ მხარი არ დაუჭირა დაღესტნის ერთმორწმუნე მოსახლეობამ. უფრო მეტიც, პირიქით, იარაღით ხელში გაილაშქრა, „ჩეჩენი აგრესორების" წინააღმდეგ, რამაც რუს სამხედროებს საუკეთესო საშუალება მისცა, დაუნდობლად დაებომბათ ვაჰაბიტების პოზიციები. მოსკოვი, ეტყობა, შეჩერებას არ აპირებს. მისმა საბრძოლო ავიაციამ სარაკეტო დარტყმა უკვე მიაყენა უშუალოდ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე განთავსებულ ვაჰაბიტების საბრძოლო მომზადების ბანაკებს.

ერთი მხრივ, ყველაფერი გასაგებია — მოსკოვმა ერთი პატარა „ომი" მოიგო, რაც ჩეჩნეთში დამარცხების შემდეგ რუს სამხედროებს თავის ოდნავ აწევის საშუალებას მისცემს.

თუმცა, ალბათ არც ისაა დასავიწყებელი, რომ იმავე დაღესტანსა და ჩეჩნეთს სამხრეთიდან სწორედ საქართველო ესაზღვრება. ვინ გამორიცხავს, რომ ხვალ, რომელიმე სხვა საველე მეთაური ჩეჩნეთიდან, დაღესტნიდან თუ ჩრდილო კავკასიის სხვა მხრიდან არ მოინდომებს ქართველების „ჭეშმარიტ რჯულზე" მოქცევას?

მით უმეტეს, რომ საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობა მთლიანად კავკასიაში, საუკეთესო საშუალებას იძლევა ჩრდილო კავკასიელმა რომელიმე „საველე მეფემ" მოისურვოს გასასვლელის ძებნა მსოფლიოში — შავი ზღვიდან ევროპაშიც და ახლო აღმოსავლეთში ან პირდაპირ საქართველოს დასავლეთით — თურქეთსა და ირანში.

ძალას, რა თქმა უნდა, ძალის დაპირისპირება დასჭირდება, მაგრამ დავფიქრდეთ, უზარმაზარ რუსეთსაც 20 ათასზე მეტი მებრძოლისა და ათეულობით ტანკის, ქვემეხისა თუ ბომბდამშენის მობილიზება დასჭირდა 1,5-2 ათასი ვაჰაბიტის „ჭკუაზე მოსაყვანად". გააჩნია კი დაახლოებით მაინც ასეთი ძალა აღმოსავლეთ საქართველოში თბილისს? სამწუხაროდ, არა. ეს საიდუმლო არ არის, ეს რეალობაა. ასევე რეალობაა ისიც, რომ ჩრდილო კავკასიაში ასე „გამრავლებული" ხალხი, რომელმაც იარაღის ხმარების გარდა არაფერი იცის, არ მოისვენებს. წყალი ჯებირს იქ გადალახავს, სადაც ეს უკანასკნელი სუსტია.

არ გამოვიდა აღმოსავლეთით, კასპიის ზღვის მიმართულებით... მაგრამ ვინ უშლის ვაჰაბიტებს, რომ შემდგომში სამხრეთით, შავი ზღვის სანაპიროებზე გასვლა სცადონ?

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### ნახევარი საუკუნის წინათ...

ზუსტად 50 წლის წინათ, 1949 წლის 29 აგვისტოს ყაზახეთში, სემიპალატინსკის პოლიგონზე გამოსცადეს პირველი საბჭოთა ატომური ბომბი; თუმცა მას დასრულებული საავიაციო ბომბის ფორმა სულაც არ ჰქო-




პირველი საბჭოთა ატომური ბომბი

ნია და მისი ბომბდამშენით გადატანა თითქმის შეუძლებელი იყო; მაგრამ მიუხედავად ამისა, სტალინისა და, განსაკუთრებით, ბერიას მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის შედეგად, ამერიკელებმა უყოყმანოდ დაიჯერეს, რომ 1949 წლისთვის საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა ატომური ბომბი. სინამდვილეში, პირველი საავიაციო ატომური ბომბი მძიმე ბომბდამშენმა Ту-4-მა (ამერიკული „მფრინავი ზეციხესიმაგრის" — B-29-ის „მოპარული" ანალოგი) მხოლოდ 1951 წელს ჩამოაგდო პოლიგონზე. ორი წლის შემდეგ კი, 1953 წლის 12 აგვისტოს, საბჭოთა კავშირმა უკვე პირველი წყალბადის ბომბი გამოსცადა, რომელიც აკადემიკოს დ. სახაროვის „პირმშოს" წარმოადგენდა

### ამერიკელები ქალაქში ბრძოლას სწავლობენ

კენტუკის შტატში, სამხედრო ბაზა ფორტ-ნოქსის ტერიტორიაზე პენტაგონმა საგანგებოდ ააგო ქალაქ-პოლიგონი. 22 სახლისგან შემდგარი კვარტალი განკუთვნილია ამერიკული ჯავშანსატანკო ნაწილების მოსამზადებლად და ქალაქის პირობებში საბრძოლო მოქმედების ნიუანსების დასახვეწად.

ეტყობა, ამერიკელები ითვალისწინებენ ტრაგიკულ შეცდომებს, რაც რუსმა სამხედროებმა გროზნოს ქუჩებში დაუშვეს. ქალაქ-პოლიგონი აღჭურვილი იქნება სპეციალური კომპიუტერული ტექნიკით, რომელიც შექმნის საგანგებო ეფექტებს (აფეთქებების ხმა, ვიბრაცია, სინათლის გამოყოფა და ა.შ.) და ძალზე მიახლოებს რეალურ ბრძოლას. სხვათა შორის, საბჭოთა არმიისა არ იყოს, პენტაგონი ძირითადად გაშლილ ველზე გრანდიოზული მასშტაბების სატანკო ბრძოლებისთვის ემზადებოდა და ბრძოლა ქალაქში ამერიკელებისთვის საკმაოდ მოულოდნელ ფაქტორად იქცა, რასაც ისინი ბოსნიასა და კოსოვოში უკვე შეეჯახნენ.

### დსთ NATO-ს თვითმფრინავების ჩამოსაგდებად ემზადება

ეტყობა, სხვანაირად არც დაერქმევა იმ სწავლებას, რაც 23-27 აგვისტოს ასტრახანთან, აშულუკის პოლიგონზე გაიმართა. „საბრძოლო თანამეგობრობა-99"-ის ეგიდით, პოლიგონზე სამხედრო სწავლებაში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და სომხეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილებმა. სწავლების სცენარი ძალზე მიახლოებული იყო იმ საბრძოლო სიტუაციასთან, რომელიც იუგოსლავიის ომის დროს შეიქმნა. რუსი და ბელორუსი მეზენიტეები C-300 საზენიტო-სარაკეტო სისტემებით ამერიკული ფრთოსანი რაკეტების „ტომაჰავკების" მაგვარი უპილოტო საფრენოსნო სამიზნეების ჩამოგდებაში მეცადინეობდნენ, ხოლო სომეხმა კოლეგებმა პირველად გამოიყენეს C-125 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. სწავ-




ლების დამთავრების დღეს, 27 აგვისტოს, ასტრახანში უკვე დსთ ქვეყნების — რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის თავდაცვის მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს, ხოლო უკრაინამ მხოლოდ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სარდალი გაგზავნა. ჩინეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე, რა თქმა უნდა, ასტრახანში არ ჩაფრენილა. იქ ჩვენს ქვეყანას გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლეიშვილი წარმოადგენდა, რომელიც ამჟამად მოსკოვში, დსთ-ში საქართველოს ინტერესებს იცავს.

# „საქართველოს კანონიერი ქურდები და პოლიტიკოსები მართავენ“



ინკოგნიტო რესპონდენტებს მკითხველი ალბათ ეჭვის თვალით უყურებს და ეს გასაგებიცაა: მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად ვთვლით გამოვაქვეყნოთ ეს ინტერვიუ. „კვირის პალიტრის“ სტუმარი გარკვეულ წრეებში საკმაოდ ცნობილი, ამასთან შავ სამყაროსთან მეტად დაახლოებული პირია. იგი ქუთაისი-თბილისის გზაზე თავისივე მანქანაში დავიმარტოხელეთ და ინტერვიუზე დიდი წვალების შემდეგ დავითანხმეთ. როგორც თავად აღნიშნავს, მრავალ მიზეზთა გამო, არ სურს დაასახელოს საკუთარი სახელგვარი: „ეს უმთავრესი პირობა უნდა იყოს. გარდა ამისა, უფლებას ვიტოვებ, ჩემთვის არასასურველი კითხვების შემთხვევაში, პასუხი საერთოდ არ გაგცეთ.“

**— თქვენთან შეხვედრამდე არაერთი კანონიერი ქურდისგან ვცადეთ ინტერვიუს აღება, მაგრამ ყოველთვის ცივ უარს ვღებულობდით — ჩვენ ამის არც უფლება გვაქვს და არც სურვილიო. არადა, ამას წინათ რუსეთის ერთ-ერთმა ტელეარხმა ალბათ არავისზე ნაკლებად ცნობილი ქურდის, „იაპონჩიკის“ 45 წუთიანი ინტერვიუ უჩვენა...**

— ჯერ ერთი, მე კანონიერი ქურდი არ ვარ, რომ პრესაში გამოსვლა მეკრძალებოდეს და მეორეც, ვინ გითხრათ, რომ „იაპონჩიკი“ არავისზე ნაკლები არ არის? ის რუსებმა განადიდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი თანამემამულე გახლდათ. ათეულობით წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში ქართველ ქურდებს მიჰყავდათ „სტოლი“. რუსებმა ეს ვერ აიტანეს და „იაპონჩიკი“ ლამის გმირად აღიარეს. მე ვიცნობ მას, საკმაოდ ძლიერი პიროვნებაა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, თუნდაც გივი ბერაძე ან ქუჩულორია (ცნობილი კანონიერი ქურდები. რედ.) შეჭამდნენ მას.



იაპონჩიკი

**— რაში გამოიხატება ქურდის „სიმაგრე“?**

— მისი სისუფთავით, პატიოსნებით, ვაჟკაცობით, ტრადიციებით.. საერთოდ, დღეს ბევრი რამაა შეცვლილი. უწინ ქურდს უფლება არ ჰქონდა, მდიდრულად ეცხოვრა, ჰყოლოდა ავტომანქანა, ბინა, ცოლი. ქურდად ვინ მონათლავდა, ციხეში თუ არ იყო ნამყოფი. ამჟამად საქმე სხვანაირადაა — ყველა ახალგაზრდა ქურდი ძალიან მდიდარია. ტრადიციები დაირღვა და ეტყობა, დრომ მოიტანა ასე. ყველაფერი ვითარდება. დღეს ხომ მღვდლებიც კი უყურებენ ვიდეოს, დადიან მანქანებით, ძვირფას სახლებს ყიდულობენ. ძველი თაობის მსგავსად, ქურდმა ახლაც რომ სადარბაზოში იძინოს და ბალიშის ნაცვლად თავქვეშ აგური ამოიდოს, არავინ დააფასებს. ქურდს კი უნდა აფასებდნენ, პატივს სცემდნენ.

**— როგორც ჩანს, თქვენ მათ აფასებთ და ეს თქვენი საქმეა, მაგრამ არ მესმის, ყველა რატომ უნდა სცემდეს პატივს, რა დამსახურებებისთვის?**

— თქვენ ვინმეს უსამართლოდ დაუჩაგრიხართ? ციხეში მჯდარხართ? მანქანა მოუპარავთ როდესმე ან ბინა გაუქურდავთ? ალბათ არა და თქვენნაირთან ძნელია ლაპარაკი, მაინც ვერაფერს გაიგებთ.. თუ გნებავთ, სხვა მკითხეთ რამე.

**— ჩვენს რუბრიკას „ვერსია“ ჰქვია, ამიტომ თქვენი ვერსიების შესახებ ვისაუბროთ. მაგალითად, მე მითხრეს, რომ ოთარ კვანტრიშვილთან მეგობრობდით. თქვენი აზრით, ვინ მოკლა ის?**

— მილიციამ.

**— უფრო ვრცლად ვერაფერს გვეტყვით?**

— ოთარი კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ზოგჯერ მეტისმეტი მოსდიოდა და ამით თვითონვე უფუჭდებოდა საქმე. დღე არ გავიდოდა, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შეფებს არ დამუქრებოდა, თავს თუ არ დამანებებთ, პრობლემები გექნებათო... იმათაც იცოდნენ, რომ ოთარი ამის გამკეთებელი იყო და მოიცილეს. ცნობილია, რომ ტყვია სოლონიკმა ესროლა. ეგ კი მილიციის ოფიცერი იყო.

**— მართლაც ისეთი ყოვლისშემძლე და ავტორიტეტული კაცი იყო კვანტრიშვილი როგორც რუსეთის გაზეთები იტყობინებოდნენ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ოთარის სიკვდილის გამო ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავი, როდესაც მის სატირალში მივედი, სიამაყის გრძნობა დამეუფლა — მთელი მოსკოვი იქ იყო! უამრავი მოხუცი რუსი ტიროდა. სტალინის გამოსვენება გეგონებოდათ... საშა როზემბაუმმაც ეგ თქვა: „Страна потеряла лидера!“ დასკვნები თქვენ გამოიტანეთ.



სოლონიკი

**— სხვა ვერსიებიც ხომ იყო? ამბობდნენ, ჩეჩნებმა მოკლესო.**

— არა, რა ჩეჩნები... იცით როგორ ეშინოდათ? ოთარის მანქანას რომ დაინახავდნენ, კისრისტეხით გარბოდნენ ხოლმე.

**— იმასაც ამბობდნენ, კონკურენტებმა მოაკვლევინესო. სახელდებოდა კონკრეტული გვარებიც.**

— არა, კაცო. მილიციამ მოკლა. ეგ ხმებიც სულ მილიციამ დაყარა მერე, აქაოდა, ჩვენ არაფერ შუაში ვართო. საერთოდ, იმ პერიოდში ძალიან ცუდი ამბები ხდებოდა: ოთარის მკვლელობის შემდეგ რამდენიმე დღეში ორი შესანიშნავი ქართველი, ბიზნესმენი გია იმნაძე და თამაზ თოფაძე მოკლეს. იმავე დღეს ასევე ბიზნესმენი კოლია სიხარულიძე იპოვეს მკვდარი. რამდენიმე დღის შემდეგ კანონიერი ქურდი „კვეკო“ მოკლეს ოჯახის წევრებთან ერთად. კიდევ ორი-სამი დღე გადის და „გოგა ერევანსკის“ კლავენ. ისიც ქურდი იყო. ეს ყველაფერი მოსკოვში ხდება. ზუსტად ამ დროს კი აქ კლავენ „არსენას“, ზელენოგრადში — კანონიერ ქურდს გოგა ფიფიას. იმავე პერიოდში უგზოუკვლოდ დაიკარგა გივი ბერაძეც — მოკლეს, ცხადია. ხედავთ, რა ხდება? ორ კვირაში ამდენი ადამიანი მოიცილეს (ჩლაიძე ცოტა მოგვიანებით მოკლეს). მილიციის დახმარების გარეშე ამას ვერავინ შეძლებდა.

**— რა შეგიძლიათ გვითხრათ ჯემალ („არსენა“) მიქელაძის მკვლელობის შესახებ?**

— „არსენა“ ჩემი ბავშვობის ძმაკაცი იყო. როგორც ამბობენ ხოლმე ქურდების „სამშობიაროში“ — ოქროსუბანში გაიზარდა და უბნის ნამდვილი სიამაყე გახლდათ. ამ ცხოვრებას რა ვუთხარი — მაინცდამაინც თბილისში უნდა მოეკლათ? ასეთი პატრიოტი კაცი მეორე არ მეგულებოდა. ნებისმიერს ჰკითხეთ, ვინც მას იცნობდა და ყველა გეტყვით, როგორი ბიჭი იყო. ყველას პატრონობდა, ყველას მხარში ედგა, ნაცნობსაც და უცნობსაც. ბოლოს მისი სიკვდილიდან რამდენიმე დღით ადრე ვნახე. პატარა ავადმყოფობა აწუხებდა და გამხდარი იყო. მითხრა, თბილისში უნდა ჩავიდე და რამეს ხომ არ დამაბარებო... ერთ კაი ბიჭთან, ნოდარ კვანტალიანთან იყო ქეიფში და გარეთ რომ გამოვიდა, იქ დახვდნენ. მკვლელობაზე, აბა, რა უნდა გითხრათ, ყველას თავისი მიეზღო და მკვდრებს ნულარ შევაწუხებთ.

**— თბილისში ხმები დადიოდა, ქურდების მიერ შეგროვებული და შემდეგ გამქრალი ფულის დასაბრუნებლად იყო თბილისში ჩამოსულიო. თითქოს ამ ამბის გამო მოკლეს.**

— ჩავთვალოთ, რომ ეგ მოსაზრება სიმართლესთან ძალიან შორს არაა.

**— პაატა ჩლაიძის მკვლელობაზე რას გვეტყვით?**

— პაატასაც ძალიან ახლოს ვიცნობდი. მანქანაში ჩაცხრილეს საწყალი. იმ დროს ნამდვილი ანარქია იყო საქართველოში. ვისაც არ ეზარებოდა, ისროდა. არ არსებობდა არც პატივისცემა, არც გაგება... თანაც, დასამალი არაა, გავლენის სფეროების გადანაწილებაც მიმდინარეობდა. კბილებამდე იარაღში ჩამსხდარი 17-18 წლის ბიჭები არავის ინდობდნენ და ოდნავი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი კაცს კლავდნენ. სად არიან ახლა ეს ბიჭები? სასაფლაოზე. არაფრის გულისთვის უამრავი კარგი კაცი მოკლეს და მერე თავადაც გვერდზე მიუწვნენ. პაატას მკვლელებსაც ასე დაემართათ.

**— თითქოს მის სიკვდილს „მხედრიონს“ აბრალებდნენ.**

— „მხედრიონს“ ძალიან ბევრი ცოდვა აწევს კისერზე. მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი ჩემი ახლობელი იყო, „მხედრიონზე“ კარგის თქმის უფლება არ მაქვს — მათგან დაიწყო „ბეზპრედელი“. არც უფროსი იცოდნენ, არც უმცროსი. მეც მომადგნენ, ხურდა ბიჭი ვეგონე, მაგრამ კოჭები დავუხვრიტე... მერე რა, რომ ომობდნენ? ყველანი ვომობდით, ვისაც როგორ შეგვეძლო. რაც უნდა ბევრი კარგი საქმე აკეთო, მერე ერთხელ რომ მაგრად მიჰქარავ, „ვსიო“, გათავებულია შენი საქმე. სხვა რამე მკითხეთ.

**— ჯაბა იოსელიანზე გკითხავთ?**

— სხვა რამე მკითხეთ.



ოთარ კვანტრიშვილი

**— ამბობენ, რამდენიმე წლის წინ, რუსეთის ყველა ქალაქს ქართველი ქურდი „უყურებდაო“. თქვენ დიდხანს ცხოვრობდით რუსეთში და ალბათ გეცოდინებათ, რამდენად მართალია ყოველივე.**

— მართლაც ეგრე იყო. მოსკოვში ძალიან ბევრი ჩვენი ქურდი ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს. ტვერს, მაგალითად, თემო გოგოლაშვილი „უყურებდა“; ნიჟნი ტაგილს — ქოროღლი (ქართველი არ არის, მაგრამ თბილისელია); ნიჟნი ნოვგოროდს — სიხარულიძე; იაროსლავლს — იურა ფაჩუაშვილი; ირკუტსკს — სიმონია მახო; სვერდლოვსკს — კაჩო ალანია; ვლადივოსტოკს — ბიჭი გვენცაძე და რაულა... დღეს საქმე ცოტა სხვანაირადაა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩვენები პოზიციებს არ თმობენ.

**— და ეს ქართველებისთვის პრესტიჟია?**

— არ გვინდა ირონია. რა თქმა უნდა, პრესტიჟია — რაღაცაში ხომ ნადვილად ყველაზე ძლიერები ვართ. თქვენ წარმოიდგინეთ, ამდენი წელია ხან ჩეჩნები, ხან რუსები, ხან ღმერთმა იცის კიდევ ვინ, ქართველების შევიწროებას ცდილობენ, მაგრამ არაფერი გამოსდით — შავ სამყაროს, მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ქართველი ქურდები განაგებენ. ისე, აქაც — საქართველოშიც მასეა: ქვეყანას კანონიერი ქურდები და პოლიტიკოსები მართავენ.

**— რამდენი ქურდია დღეს საქართველოში?**

— არ დამითვლია.

**— ჩემი ინფორმაციით, დაახლოებით 200 კაცია...**

— მთლად კარგად ვერ დაგითვლიათ.

**— ჰოდა, ეს ციფრი თითქოს დღითი დღე მცირდება — ქურდებს სამართალდამცავები ავიწროებენ და მალე საქართველოში ერთსაც აღარ დატოვებენო. ისევე, როგორც პატიაშვილის დროს ყოფილა თურმე. თქვენ რას იტყვით?**

— პატიაშვილი არაფერ შუაში იყო, ზემოდან უბრძანეს და მანაც რუსეთში გაასახლა ქურდები. ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ რუსეთის ზონებში თითქმის ყოველდღე ბუნტი ხდებოდა. პატიმრებს ვეღარ აკავებდნენ. წესრიგს ვერ იცავდნენ. ქართველები ჩავიდნენ და ერთ დღეში მოაგვარეს ყველაფერი. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, ამაშიც მაინცდამაინც სწორი ინფორმაცია არ გაქვთ — არავინ არავის ავიწროებს. ეს არავის აწყობს.

**— იმიტომ ხომ არა, რომ ქურდების ნაწილი სამართალდამცავებთან თანამშრომლობს?**

— თქვენი კითხვა არ მომწონს. რას ნიშნავს ნაწილი თანამშრომლობს? ვერ ხვდებით, რომ ეგ მილიციის შემოგდებული ხმებია (ამისათვის სპეციალური განყოფილებები გააქვთ)? კი, ყოფილა შემთხვევები, მაგრამ სულ თითოოროლა. დამიჯერეთ, გამყიდველის საქციელი მაშინვე ხმაურდება ხოლმე და ასეთ კაცს ცუდი დღე ელის... რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ აწყობთ ქურდების შევიწროება, გეტყვით: ამის, კულტურულად რომ ვთქვათ, თავი არავის აქვს. გარდა ამისა, მილიციელი კი არა, სწორედ კანონიერი ქურდია ნამდვილი სამართალდამცავი და ადამიანებს ძალიან ხშირად სჭირდებათ ასეთი სამართალდამცავები. მოდით, მეტს ნუღარაფერს მკითხავთ. საკმარისი ვილაპარაკე...

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მანძილზე გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:

- ბოტკინით დაავადებულებს;
- ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
- პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
- ორგანიზმის გაწმენდა მარილებისაგან;
- თმის ცვენა, სებორეა, ფრჩხილების ჩაბრუნება სისველით;
- ფრჩხილების სოკოს; ბუასილს;
- ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
- თამბაქოს თავის დანებება.

ლიცენზია №ა 000502

ეფექტი გარანტირებულია 1 დღიდან
მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია.

ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები, რომელიც იკვლევს დაავადებებს: ალერგიას, რევმატიზმს, გულ-სისხლძარღვთა სისტემების დაავადებებს, ნევროზებს, კუჭ-ნაწლავის, თირკმელების, ნაღვლის ბუშტის, სასქესო ორგანოების დაავადებებს. ეკ. კარდიოგრამის გადაღება, დიაგნოსტირება. საერთო ფასი 50 ლარი. მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

მის: აღმაშენებლის გამზ. №115. ლომთათიძის დიაგნოსტიკური სამკურნალო ცენტრი, კაბ. №50. ტ: 77-68-50 (საღ.)

## რუსი პოლიტიკოსები ცნობილ ბანდიტებს ასახელებენ

ჩვენი გაზეთი უკვე გაუწყებდათ, რომ 1999 წლის დასაწყისში კრიმინალურ თემებზე მომუშავე რუსმა ჟურნალისტებმა ორიგინალური გამოკითხვა ჩაატარეს. ორი ათას პატიმარსა და სამართალდამცავს დაუსვეს შემდეგი კითხვა: „თქვენი აზრით, ვინ არის XX საუკუნის უდიდესი ბანდიტი რუსეთში (პოლიტიკოსები არ ითვლებიან)?“ როგორც გახსოვთ, „საპრიზო“ ადგილები მაშინ პანტელეევმა, ივანკოვმა და ტიმოფეევმა დაიკავეს („კვირის პალიტრა“ №16).

რამდენიმე დღის წინ, ჟურნალისტებმა იგივე კითხვა ამჯერად რუსეთის ათას პოლიტიკოსს დაუსვეს. შედეგები ასე განაწილდა:

1. ვიაჩესლავ ივანკოვი, „იაპონჩიკი“ — კანონიერი ქურდი. ამჟამად სასჯელს იხდის აშშ-ის ციხეში (19[illegible] ხმა);
2. ოთარ კვანტრიშვილი — ბიზნესმენი, მეცენატი, ყოფილი მოჭიდავე, მოკლეს 1994 წელს (61);
3. ლეონიდ პანტელეევი — ოციანი წლების სანქტ-პეტერბურგელი ბანდიტი. მოკლეს მილიციელებმა 1923 წელს (58);
4. ალექსანდრ სოლონიკი — პროფესიონალი ქილერი, მისი გვამი იპოვეს 1997 წელს (51);
5. პაველ ზახაროვი, „ცირული“ — კანონიერი ქურდი. ებარა ქურდთა „ობშჩიაკი“. მოკლეს 1997 წელს (26);
6. ანდრეი ჩიკატილო — მკვლელი-კანიბალი. მოკლული და შეჭმული ჰყავს 52 ადამიანი (25);
7. იური ალექსეევი, „გორბატი“ — სანქტ-პეტერბურგის ყველაზე ავტორიტეტული კანონიერი ქურდი. გარდაიცვალა ციხეში 1993 წელს (17);
8. სერგეი ტიმოფეევი, „სილვესტრი“ — კანონიერი ქურდი. ცნობილი იყო, როგორც კავკასიელ დამნაშავეთა დაუძინებელი მტერი. მოკლეს 1995 წელს (14).

(ხმების მცირე რაოდენობის გამო პოლიტიკოსთა მიერ დასახელებული კიდევ 178 ბანდიტი სიაში არ შევიდა).

გვერდი მოამზადა
მიხეილ ჩერქეზიამ

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „გამოსავალი“



გვიანი შემოდგომაა. სიღნაღში ვახო საგვიანო მსხლის მოსაკრეფად ავიდა ხეზე, რომელიც სახლიდან კილომეტრის მოშორებით, ნაკვეთში ედგა.

„თარსი“ დღე გამოდგა. ვახოს ტოტი მოუტყდა და ეკალბარდებში „ჩაერჭო“ ტოტიანად. ბევრი იწვალა, ვერაფრით დააღწია თავი ეკლებს. სულ დაიკაწრა და გასისხლიანდა კაცი. უფრო და უფრო რომ გაიხლართა, იკადრა ყვირილი:

— მიშველეეთ!!!

როგორც იქნა, გაიგონეს, მაგრამ ახლოს ვერავინ მივიდა, გაიქცნენ სოფელში წალდებისთვის. გზაზე ვანოს ძმა, ზაქრო შემოხვდათ, რომელსაც გაეგო ეს „უბედურება“. საოცარი ის იყო, რომ წალდის მაგივრად, ხელში ლიტრიანი ბოთლი ეჭირა.

— რად გინდა ბოთლი, ჯოო! რა ესმება, კაცი სულ დასისხლიანებულია.

— ესმება რა, განა ღვინოა?

— მა რა ოხრობაა, ჯოო? — დაინტერესდნენ მეზობლები.

— ნავთია...

— ???...

— გადავასხამ ბუჩქებსა, წავუკიდებ ცეცხლსა და აბა, უყურეთ, როგორი შლიგინით გამოვარდება იქედანა, — უპასუხა „ჭკვიანმა“ ძმამ...

*მურმან მერკვილიშვილი*

## ამას რა ეშველება!



ერთ ახალგაზრდა კაცს მეუღლე გარდაეცვალა. დასაფლავების დღეს, როგორც წესი, სამგლოვიაროდ გამოეწყო და წინ შვილი, — პატარა ბიჭი დაიყენა. მოტირალები მიდიოდნენ და უსამძიმრებდნენ, დამწუხრებული კაცი მადლობას იხდიდა, მოთქვამდა და წინ მდგომ შვილზე უთითებდა, ამას რა ეშველებაო, თან დაბლა იქნევდა ხელებს, სადაც პატარა ბიჭი ეგულებოდა. მალე ბავშვი დაიღალა ფეხზე დგომით და შეუმჩნევლად გაიპარა, კაცი კი მოთქმას აგრძელებდა და დაბლა დაუხედავად იშვერდა ხელებს. ხალხი, მართალია, დამწუხრებული იყო ახალგაზრდა ქალის ამ ქვეყნიდან წასვლით, მაგრამ მაინც ვერ იკავებდა სიცილს.

*ავთანდილ კუპრეიშვილი, სოხუმი*

## „სტუმრები როცა მოვლენ, მაშინ დავიყეფებ“



ერთ დღეს უახლოესი მეგობრები საქეიფოდ შევიკრიბეთ. ლაზათიანი მოლხენის შემდეგ გადავწყვიტეთ, ბავშვობა გაგვეხსენებინა და სახლობანა გვეთამაშა. მე ოჯახის დიასახლისის როლი მერგო. დანარჩენები ვითომ სტუმრები იყვნენ. ერთ-ერთმა ჩვენს შორის, რომელიც სხვებზე მეტად შეზარხოშებულიყო, განაცხადა, — მე დიასახლისის ძაღლი ვიქნები და აგერ წამოვწვები ჩემთვის ტახტის კუთხეშიო. ყველანი დავეთანხმეთ და თამაშიც დაიწყო.

მე — ოჯახის დიასახლისი, ვფაციფუცობ და ერთ ამბავში ვარ სტუმრების მოლოდინში. უცებ ტახტისკენ გავიხედე და რას ვხედავ, დაუხუჭავს ჩემს „ძაღლს“ თვალები და საცაა ტკბილად ჩაეძინება.

— ბიჭო, რანაირი ძაღლი ხარ, რაც თამაში დაიწყო, ერთხელაც არ დაგიყეფია-მეთქი — ვუსაყვედურე „ოთხფეხა მეგობარს“. მან, ძილბურანიდან გამოსულმა, თვალები მძიმედ გაახილა, ირიბად ამომხედა და მომიგო:

— კარგი რაა, ჯერ სტუმრები ხომ არ მოსულან, როცა ისინი მოვლენ, მაშინ დავიყეფებ.

(ვუძღვნი მიხოს, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს).

*კუკუშკა, თბილისი*

## „ბაგაჟნიკი არა მაქვს?“

კარგა ხნის წინ ქარელში ავტობუსზე ვმუშაობდი. ერთხელაც მომიახლოვდა კარგი შესახედაობის ოსის ქალი და მკითხა:

— შოფერ, ბაგაჟნიკი არა მაქს?

ავხედ-დავხედე და... მშვენიერი ბაგაჟნიკი გაქვთ, ქალბატონო-მეთქი... თვითონაც და იქ მყოფი მგზავრებიც კარგა ხანს გულიანად იცინოდნენ...

*ნოდარ ფიჩცხარაშვილი*
*თბილისი*



# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ებრაელს ღამით კარზე ყაჩაღებმა დაუკაკუნეს:

— რა გნებავთ, — იკითხა მოშემ შიგნიდან.

— სალაპარაკო გვაქვს შენთან.

— რამდენი ხართ, დაგენაცვლე... — ჰკითხა მოშემ.

— ორი, — უპასუხეს გარედან.

— კაი, მაშინ ერთმანეთში ილაპარაკეთ, ერთმანეთში.

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

გორელმა ძველ რკინიგზელს ჰკითხა:

— ავარიის დროს რომელი ვაგონია ყველაზე საშიში?

— ბოლო.

— მერე რატო არ ხსნიან მაგ ბოლო ვაგონსა?

*ეჩო ყელქცეული*



ბიჭიკია — ჭიჭიკიას:

— არა, ჭიჭიკია, შენ მართალი იყავი, განა გამტყუნებ!..

— აბა, რა გინდა, რას მერჩი?

— რა და, ჭიჭიკია, გამიგე — წაქცეული კაცისთვის აღარ უნდა დაგერტყა!..

— წაქცეული თვარა, შენ წამიქცევ!

*გოჩა ფაჩუაშვილი, ქუთაისი*



ნადირობისას მიხამ და ვალოდამ ყვავი და მწყერი მოინადირეს.

მიხა ეუბნება ვალოდას:

— მოდი, ეხლა, ნანადირევი გავიყოთ!.. მწყერი მე და ყვავი შენ!

ვალოდას არ მოეწონა ასეთი გაყოფა და მიხას უთხრა:

— სხვანაირად არ შეიძლება?

— კარგი! მაშინ ყვავი შენ და მწყერი მე!

— ეჰეე,? სენი წილიმე, ორივეჯერ მაინც მე შემხვდა, — ჩაილაპარაკა ვალოდამ.

*გოჩა ფაჩუაშვილი, ქუთაისი*



მიხო ორმოში ჩავარდა. მის საშველად ხალხი რომ მოგროვდა და მსჯელობს, მიხომ ასძახა:

— ხალხო, დროზე ამამიყვანეთ, სანამ ფესვები არ გამიდგია.

*თ., ს. დედოფლისწყარო*

მიხო ხევსურეთშია სტუმრად. ხედავს მთის ვიწრო ბილიკზე ქალი მიდის.

— იმ სიმაღლეზე რო არის ასული, ვინ არი ი ქალი? — იკითხა მიხომ.

— ის ქალი კი არა, ჩემი ქალიშვილია — მიუგო მასპინძელმა.

— ქალიშვილი იქნება მა რა, ხერგიანი აღარაა ცოცხალი და ვინ მიუდგება ამ სიმაღლეზე?

*თ., ს. დედოფლისწყარო*

მიტუა ფოტოგრაფთან მივიდა. მან მეზობელ ოთახზე მიუთითა, — გაემზადე და მოვალო. მიტუა შევიდა ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ მესურათეც შევიდა და რას ხედავს, — მიტუა მთლად შიშველი ტახტზე წამოგორებულა. მესურათე ეკითხება:

— რად გაშიშვლებულხარ?

— ბალღობის სურათი დავკარგე, შიშველს რო გადამიღეს, და ახლა უნდა გადავიღო.

*ზაურ გიორგევიჩი,*
*ს. ჭიკაანი*



კახელი საყვარელთან მივიდა. ქალის ქმარი ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა. ქალმა ისლა მოახერხა, რომ კახელს ხელში უთო მისცა თეთრეულის დასაუთოებლად. ქმარმა სახლიდან ფეხი არ მოიცვალა.. კახელმა თეთრეული დააუთოვა, გასამრჯელოდ 5 ლარი მიიღო და გამწარებული დაბრუნდა. გზად ძმას შეუარა და თავისი ამბავი გააგებინა.

— არა უშავს, ის თეთრეული მე გავრეცხე — ანუგეშა ძმამ.

*ზაურ გიორგევიჩი, სოფ. ჭიკაანი*



*ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს.*

# გამძვინვარებული გაგარინი ფეხზე წამოიჭრა და ბრეჟნევს შამპანური სახეში შეასხა...

ჩვენს ქალაქში საინტერესო პროფესიისა და ბიოგრაფიის პიროვნება ცხოვრობს... შემოთავაზებული ეპიზოდები, მართალია, მისი თავგადასავალია, მაგრამ იმდენ ცნობილ პიროვნებასა თუ მოვლენასთან ჰქონია პირდაპირი შეხება და შეხვედრა, ვგონებთ, მკითხველს მეტად საინტერესო საკითხავ გვერდს ვთავაზობთ...

## ნოდარი და ვანო, ანუ მინდვრის ყვავილების თაიგული

... 60 წლის წინ მსოფლიოში დენთის სუნი დატრიალდა, — დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. სსრ კავშირში ერთიმეორის მიყოლებით იხსნებოდა აეროკლუბები მფრინავთა მოსამზადებლად. 16 წლის ბორის გლებოვმაც ერთ ამგვარ კლუბს მიაშურა საპილოტაჟო ხელოვნების დასაუფლებლად და 1940 წელს გროზნოს აეროკლუბის კურსანტმა მე-3 კლასის პილოტის მოწმობა მიიღო. 17 წლისა იგი არმავირის საფრენოსნო სკოლაში ჩარიცხეს.


ბორის გლებოვი

22 ივლისს ქვეყნის საზღვრები ფაშისტთა ურდოებმა გადმოლახეს. დაიწყო არმავირის დაბომბვა, სკოლამ უზბეკეთს — ფერღანის ველს შეაფარა თავი. ბორიას რგოლის უფროსი იმხანად იყო დიდებული მფრინავი, ჩვენი თანამემამულე ნოდარ გაბუნია, რომელსაც ძალიან ეშინოდა... რომ ფრონტის ხაზზე ვერ მოხვდებოდა და ფაშისტთა განადგურებაში წვლილს ვერ შეიტანდა. პატაკს პატაკზე აგზავნიდა და ბოლოს ოცნება აუხდა — სტალინგრადის ფრონტზე გაგზავნეს. კურსკამდე სახელოვანი გზა განვლო. კურსკში სამსახურის დროს გამყოლად უფროსი სერჟანტი, შემდეგ სამგზის სსრკ გმირი, ავიაციის მარშალი ივან კოჟედუბი მიუჩინეს.

კოჟედუბი ხშირად უამბობდა გლებოვს, როგორ გაიცნო და დაუმეგობრდა შესანიშნავ ადამიანს და თავისი საქმის ოსტატს ნოდარ გაბუნიას. ნაწილში მოხვედრისთანავე, ჯერ სრულიად გამოუცდელ კოჟედუბს უმცროსი ლეიტენანტი გაბუნია გამოლაპარაკებია — რა კარგია, ერთად რომ ვიფრენთო...

ნოდარი ლაღად ფრენდა — პროფესიით პედაგოგი საავიაციო საქმეს აეროკლუბში დაეუფლა, მერე კი ომის მრისხანე დღეებში საფრენოსნო სასწავლებელი დაამთავრა. მათი მეგობრობა უანგარო იყო. მზად იყვნენ, ერთმანეთისთვის თავი გაეწირათ. ვანო, შენს მიმართ ორმაგი პასუხისმგებლობა მაქვს, — ეუბნებოდა კოჟედუბს, — როგორც მეთაურს და როგორც მეგობარსო. ივან კოჟედუბს ჯერ ბრძოლაში წრთობა არ მიეღო და ჩქარობდა, დასწეოდა მეგობარს მტრის თვითმფრინავების განადგურებაში. „ნუ ჩქარობ, ვანო, სიჩქარემ და სულსწრაფობამ შეიძლება შეგაცდინოს. ნუ გეშინია, ეს არამზადები იმდენი არიან, ორივეს გვეყოფა გასანადგურებლად. მერე კი, ომი რომ დამთავრდება, დავსხდეთ თბილისში, მთაწმინდაზე და ვთვალოთ, ვინ რამდენი ჩამოაგდო. იცი, მთაწმინდიდან თბილისი ისე მოჩანს, თითქოს თვითმფრინავის სარკმლიდან უყურებ“, — ეუბნებოდა ხშირად.

მაგრამ ნოდარ გაბუნიას ხვედრი სხვაგვარი აღმოჩნდა, აღარ ეწერა საყვარელ ქალაქში დაბრუნება. 1943 წლის აპრილში მფრინავთა ესკადრილია განგაშის ხმაზე ჰაერში აიჭრა. ივან კოჟედუბი კი მიწაზე დარჩა — მისი თვითმფრინავი გაუმართავი იყო. „ვანო, აფსუს, ვერ მომყვები, — დაუძახა ნოდარმა, — მაგრამ გული არ გაიტეხო. შენს საქმესაც მე გავაკეთებ! აი, ეს დაიჭირე!“ — და კოჟედუბს მინდვრის ყვავილების თაიგული ესროლა... ნოდარს გაგიჟებით უყვარდა ყვავილები და ახლაც მისი კრეფის დროს მოუსწრო განგაშმა.

საჰაერო ბრძოლა აეროდრომიდან 20-ოდე კმ-ზე გაჩაღდა. გავიდა ერთი საათი. ესკადრილია თანდათან უბრუნდებოდა თავის საფრენ მინდორს. ნოდარი კი არ ჩანდა. კოჟედუბი ყვავილებით ხელში მარტოდმარტო იდგა და ცას გასცქეროდა, მოულოდნელად ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. „წავიდეთ, ვანო, აღარ დაბრუნდება შენი ნოდარი. პროპელერით მუცელი გაურღვევია მტრის გამანადგურებელს და თვითონაც შეეწირა, გმირულად დაიღუპა,“ — მეთაურს ხმა უთრთოდა...

ნოდარ გაბუნია იქვე, აეროდრომის გვერდით დაასაფლავეს. საფლავის ბორცვთან ობლად დარჩენილმა კოჟედუბმა მეგობრის ხელით შეკრული თაიგული, რომელსაც თითქოს მისი თითების სითბო შერჩენოდა, გულზე დაადო და უთხრა, — მშვიდობით, ძმაო, შურს მე ვიძიებო. ვანო-ივანემ პირნათლად შეასრულა ვაჟკაცის სიტყვა — რამდენიმე ათეული მტრის თვითმფრინავი მიწაზე დასცა, თავის თვითმფრინავს კი დიდი ასოებით დააწერა — „ნოდარს...“

## სამეჯლისო კაბა აუცილებლად გრძელი უნდა იყოს

საფრენოსნო სკოლიდან გლებოვი ქუთაისში გაგზავნეს ამერიკული გამანადგურებლების „ბელ-აგრკობრა პ-39“-ისა და „ატ-6“-ის შესასწავლად. იქიდან კი უკვე უკრაინის მე-6 გამანადგურებელთა ავიაკორპუსში მოხვდა. ბევრი სახელოვანი მფრინავი გაიცნო ახალბედა პილოტმა — სამგზის სსრკ გმირი ა. პოკრიშკინი, ორგზის სსრკ გმირები, ძმები გლიცუკები, გ. რეჩკალოვი და სხვანი. ერთხელ ბორის გლებოვს მტრის ექვს გამანადგურებელთან მოუხდა შებმა — მტერი მოულოდნელად გამოჩნდა ღრუბლებიდან და უმალ შეეცადა, კუდში ჩასდგომოდა ეულად დარჩენილ რუს პილოტს. „გაქცევა არ შეიძლება — ჩამომაგდებენ. უნდა შევება“, — გადაწყვიტა მფრინავმა და ცეცხლი გაუხსნა მტერს.

თვითმფრინავი შექანდა და შურდულივით დაეშვა ძირს... ახალგაზრდა მფრინავს დიდი ძალისხმევა და ოსტატობა დასჭირდა, რათა მშვიდობიანად დაბრუნებოდა თავის აეროდრომს, თუმცა თვითმფრინავის პერანგი დაზიანებული აღმოჩნდა. ეს ერთი ეპიზოდია იმ 80 გაფრენიდან, რომელიც გლებოვმა განახორციელა ომის განმავლობაში, მისი ნადავლი კი ხუთი მოწინაალმდეგის თვითმფრინავია, თუმცა ეს რიცხვი შეიძლებოდა მეტიც ყოფილიყო, რომ არა ზოგიერთი მეთაურის არაკეთილსინდისიერება. ხანდაზმული მფრინავისთვის დღესაც მძიმეა იმის გახსენება, როგორ მიიწერა ერთმა მეთაურმა მისი ჩამოგდებული გამანადგურებელი, ამის მიზეზი კი, გარდა თავის გამოჩენისა, ისიც იყო, რომ ყოველ ჩამოგდებულ თვითმფრინავში, ანუ ვარსკვლავში, რომლებსაც მფრინავები თავიანთ თვითმფრინავებს ახატავდნენ საგმირო საქმეთა უკვდავსაყოფად, მფრინავს 1.000 მანეთი ერგებოდა და კიდევ ერთი ნაბიჯით აახლოებდა სანუკვარ მიზანთან — გმირის წოდებასთან. ასე რომ, ჩვენთვის საბჭოური ცხოვრებიდან კარგად ნაცნობი „მიწერები“ თურმე არც იმ გმირული ომისთვის ყოფილა უცხო, თუმცა ამაზე არც დღეს ლაპარაკობენ.

ომი ომია, მაგრამ იქაც აქვს ხოლმე ადგილი კურიოზულ შემთხვევებს... მფრინავთა ჯგუფთან ერთად გლებოვი ავსტრიაში ჩაფრინდა და ერთხანს მეფე ფრანც-იოსების სასახლეში მოუხდა ცხოვრება. ახალგაზრდა მფრინავებმა გადაწყვიტეს, ცეკვების საღამო გაემართათ და სწორედ მაშინ ირწმუნა გლებოვმა, რომ სამეჯლისო კაბა აუცილებლად გრძელი უნდა იყოს... დანიშნულ დროს, სამეჯლისო დარბაზში, გაუთოებულ-გაპრიალებული მფრინავები შეიყარნენ. მათი პარტნიორები — მფრინავი ქალიშვილები, სათანადო ტუალეტის უქონლობის გამო, სამხედრო ფორმებში — მოკლე ქვედატანებსა და მუნდირებში იყვნენ გამოწყობილნი, გაჩირაღდნებული საცეკვაო დარბაზი ბრწყინავდა, იატაკი სარკესავით კრიალებდა, ის იყო, წყვილებმა ფეხი შედგეს დარბაზში, რომ მფრინავი გოგონები ჭარხალივით გაწითლდნენ და... დარცხვენილებმა იქაურობა მიატოვეს. მეჯლისი არ შედგა. მართლაცდა, საიდან უნდა ჰქონოდათ მფრინავ ქალიშვილებს სამეჯლისო კაბები, რაც თურმე მაღალი წრის საზოგადოების ახირება სულაც არ ყოფილა?!


ივან კოჟედუბი

## ვოლოდია კომაროვი

1950 წელი. დაბა ხანკალა გროზნოს მახლობლად. ავიაბაზაზე ახალგაზრდა მფრინავები ჩამოვიდნენ. მათ შორის გამოირჩევა ლეიტენანტი ვლადიმირ კომაროვი, რომელიც გლებოვის „გამყოლად“ დაინიშნა. ასე რომ, კომაროვის პირველი მეთაური სწორედ ჩვენი მრავალჭირნანახი გლებოვი გახლდათ. ისინი უმალ დამეგობრდნენ. მეტიც, ვოლოდიას საცოლე სწორედ გლებოვმა შეურჩია და ქორწილიც თავის ბინაში გადაუხადა.

— ჩვენი შეჯიბრება დიდხანს გაგრძელდა, — გვიამბობს ბ-ნი ბორისი, — სწორედ ვოლოდიამ გამაცნო შემდგომ იური გაგარინი, ვალენტინა ტერეშკოვა, ვასილ ბიკოვსკი და ბევრი სხვა კოსმონავტი. ძალიან ყურადღებიანი იყო, მახსოვს, სუვენირის გარეშე არ ჩამოვიდოდა. დღემდე ვინახავ მის ნაჩუქარ ყალიონს, რომელიც მისთვის ფიდელ კასტროს უჩუქებია.

1965 წელი იდგა. მორიგი საფრენი ოპერაციის შემდეგ ვისვენებდი. იმ დროს ვოლოდია ირანში იყო მიწვეული, შაჰთან. უკან დაბრუნებული, როგორც კი თბილისის სივრცეში შემოსულა, რადიოთი დაკავშირებია დისპეტჩერს, ჩემთან საუბარი სურდა. უპასუხეს — ისვენებსო. მეორე დღეს მაგნიტოფონის ჩანაწერები მოვისმინე. ასე შედგა ჩვენი ბოლო კონტაქტი. არასოდეს დამავიწყდება 1967 წლის 24 აპრილი, ის საზარელი ამბავი, რაც იური გაგარინმა შემატყობინა — კომაროვი დაიღუპაო. მოსკოვში გავფრინდი, შევხვდი გაგარინს და ვოლოდიას მეუღლეს, ვალიას...

ჩემი ძვირფასი მეგობრის ცხედართან საპატიო ყარაულში ვიდექი, დღემდე ვინახავ სამგლოვიარო არშიას... ცხედარი გამოასვენეს და პროცესია წითელი მოედნისკენ დაიძრა. მთელი მოსკოვი ეთხოვებოდა გმირს... სამგლოვიარო ვახშამზე სამასამდე კაცმა მოიყარა თავი. სუფრას იური გაგარინი უძღვებოდა. ქვრივმა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მ. კელდიშს ჰკითხა, — მითხარით, ვოლოდიამ თავისი სიკვდილით რაიმე სასარგებლო მოუტანა მეცნიერებასო. კელდიშმა მიუგო: „დიახ, მან დიდი გმირობა ჩაიდინა... ხელმეორედ კოსმოსში გაფრენით კი არა, არამედ იმით, რაც სიკვდილის წინ გააკეთა“.

მაინც რა გააკეთა სიკვდილის წინ ვოლოდია კომაროვმა?..

აი, ახლა იმას გაუწყებთ, რაც პირადად მე მიამბო ვოლოდიამ და რაც დღემდე მკაცრად იყო გასაიდუმლოებული.

1961 წლის 12 აპრილს პირველი კოსმოსში ვოლოდია კომაროვი უნდა გაფრენილიყო, მაგრამ ერთ-ერთი ვარჯიშის დროს თიაქრის შეტევის გამო სასწრაფოდ გადააფრინეს ლენინგრადის კიროვის სახ. სამედიცინო აკადემიაში საოპერაციოდ. კომაროვი გაგარინით შეცვალეს. მანამდე ყველასთვის უცნობი უფროსი ლეიტენანტი მოკლე ხანში მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ადამიანი გახდა. ამგვარი დიდების ტვირთის ზიდვა კი აშკარად გაუჭირდა გაგარინს... ერთ-ერთ ბანკეტზე დედამიწის პირველი ადამიანი სკკპ ცკ გენერალური მდივნის, ლეონიდ ბრეჟნევის გვერდით აღმოჩნდა სუფრაზე. ბრეჟნევი ყურში რაღაცას ეჩურჩულებოდა (შესაძლოა, იურიმ კიდეც უამბო ვოლოდიას, რაზე იყო იმ ავბედით წუთებში საუბარი, მაგრამ მას ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს). უეცრად გამძვინვარებული გაგარინი ფეხზე წამოიჭრა და... ბრეჟნევს სახეში შამპანური შეასხა... გენერალურმა მდივანმა მშვიდად მოიწმინდა სახე ხელსახოცით, მაგრამ მისი მზერა აშკარად ამბობდა, — დამაცადე, გიჩვენებ სეირსო.


ს. კოროლიოვი და ვ. კომაროვი

ბრეჟნევმა გაგარინის მტრობა გულში ჩაიდო და შესაფერის მომენტს ეძებდა შურის საძიებლად... — ეს ვოლოდიას სიტყვებია.

დადგა 1967 წელი — მზადდება კოსმოსში მეორე პილოტის გამგზავრების პროგრამა. ვოლოდია პირველია რიგში, დუბლიორად ისევ გაგარინს ამზადებენ. სინამდვილეში კი უმაღლეს ეშელონებს გადაწყვეტილი ჰქონდათ გაგარინის გაფრენა. საწვრთნელ ვარჯიშზე ექიმები ათჯერადი დატვირთვით ამუშავებდნენ კოსმონავტებს, ვოლოდიას კი თერთმეტჯერადი დატვირთვა მოუწყვეს. მიზანი? საჭირო იყო ვოლოდიას გამოთიშვა პროგრამიდან, მაგრამ ამ გასაოცარი სიმტკიცის კაცმა ყველაფერს გაუძლო და პოზიცია არ დათმო. კომაროვი გაფრინდა, მაგრამ... ხომალდში ჩაიფერფლა...

კომაროვის სიკვდილი გარდაუვალი იყო. უფრო სწორად, ეს ხვედრი გაგარინს ელოდა, მაგრამ კომაროვმა არივ-დარია ხელმძღვანელების გეგმები და ყველაფერი გააკეთა რომ გაფრენილიყო.

გაფრენამდე ცოტა ხნით ადრე სუკის ერთი მაღალჩინოსანი აფრთხილებდა ვოლოდიას, — გაფრთხილებ, კოსმოსური ხომალდი გაუმართავი იქნება სტარტზეო. კომაროვმა მიუგო, — თუ უარს ვიტყვი, „პირველს“ გაუშვებენო. „პირველი“ — იური გაგარინი იყო. ლოგიკურ მსჯელობას საშინელ დასკვნამდე მივყავართ — ბრეჟნევს გაგარინის მოსპობა უნდოდა. მსოფლიოში პირველ კოსმონავტს კი მაშინ ისე უბრალოდ ვერ გაისტუმრებდი საიქიოს. ასე რომ, ვოლოდიამ იურის მაგივრად გასწირა თავი, მაგრამ... ერთი წლის შემდეგ იურიც მის გზას გაუყენეს.

...ქელეხის მეორე დღეს ახლო მეგობრები კვლავ შევიკრიბეთ კომაროვების ოჯახში. კოსმონავტ პოპოვიჩის მეუღლემ მარინა პავლოვნამ განაცხადა, — მინდა სიმართლე დავწერო ვოლოდიაზეო... იმ წიგნს დღის სინათლე არ უნახავს. იმავე საღამოს გაგარინმა გვითხრა, — ვოლოდიამ თავი გასწირა და მე სიცოცხლე შემინარჩუნაო.

გლებოვს იური გაგარინის სიკვდილის ვერსიაც აქვს, რომელიც თავის დროს სკკპ ცკ-შიც გაუგზავნია, მაგრამ... მისი ძახილი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

## ფრენსის პაუერსი

...1953 წლის ივლისში ვიმყოფებოდი სტუმრად სერგეი ანოხინის აგარაკზე და იქ გავიცანი მფრინავი-გამომცდელი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ამეთხან სულტანი, რომელთაც გადაწყვიტეს, ეთხოვათ მიხაილ გრომოვისთვის, რომელიც მაშინ გენერალ-პოლკოვნიკის წოდებით საავიაციო მრეწველობის სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, მფრინავ-გამომცდელების შტატში გადავეყვანე.

ჩემმა მეგობრებმა წერილი მისწერეს „მსოფლიოს პირველ მფრინავს“. მეორე დღეს მოსკოვში გრომოვმა გულთბილად მიმიღო, ყურადღებით წაიკითხა წერილი და გადასვლის ნება დამრთო. მაშინ ჩემი ნაწილი ქ. გროზნოში, აეროდრომ ხანკალაში იდგა. საქმეების მოსაგვარებლად ჩავედი პოლკში. იქ კი ბრძანება დამხვდა, რომ მფრინავ-გამანადგურებელთა ერთი ჯგუფი, მათ შორის მეც, გადაყვანილები ვართ პოლონეთში. როგორც იტყვიან „Приказ не обсуждается, а исполняется“. ისეთი ადამიანის თხოვნამაც, როგორიც იყო გრომოვი, არ გაჭრა. მაშინ უაზრო წესი არსებობდა: საზღვარგარეთ ნამსახურებ მფრინავს გამომცდელად არ ღებულობდნენ. შეიძლება ითქვას, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ კოსმონავტების რაზმში შემდგომშიც ვერ მოვხვდი.


მარცხნიდან: ვ. კომაროვი, ი. გაგარინი და ა. ნიკოლაევი

1958 წელს დასავლეთის საზღვარს ხშირად არღვევდა ამერიკული თვითმფრინავი-მზვერავი „ლოკჰიდ-უ-2“, რომელიც აფრენას აწარმოებდა დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი აეროდრომიდან. მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება: მის შესაპყრობად გაეგზავნათ გამოცდილი მფრინავი ბ. გლებოვი. და აი, საჰაერო განგაში! მეტეომდგომარეობა ურთულესი იყო: ღრუბლიანობა 10 ბალი, ქვედა ნაპირი — 300 მ, ზედა 12.500მ. 11.500 მ-ზე ცუდი მხედველობის გამო მიმყოლი თვითმფრინავი მოწყდა და დაკარგა გლებოვი. ბორისი შეპყრობაზე წავიდა მარტო. ის იყო სსრ კავშირში პირველი მფრინავი, რომელიც ერთი ერთზე უნდა დარჩენილიყო „უ-2“-თან! სიმაღლე 15.500 მ. გლებოვმა გადასცა მიწას: „მიზანს ვერ ვხედავ!“. მას უბრძანეს, გადასულიყო დინამიკურ ჭერზე, ე.ი. დიდი კუთხით დაეყენებინა თვითმფრინავი და კიდევ უფრო მაღლა აფრენილიყო. იმ მომენტში შვეული სიჩქარე იყო 45მ/წმ. ბორისი აფრინდა 16.700 მ-ზე, მიზანი კი 18.000 მ-დან გაქრა.

მოსკოვიდან გამოიძახეს ექვსი „მიგ-19“, მაგრამ მათაც ვერ შეიპყრეს „უ-2“. ამ ოპერაციის მთავარი აზრი კი ის იყო, რომ საჰაერო სივრცის დამრღვევს ფრენა შეეწყვიტა.

გავიდა კიდევ 1,5 წელი. „ლოკჰიდ-უ-2“-მა განაახლა ფრენა ირანის ტერიტორიიდან. 1960 წლის 1 მაისს დამრღვევი სვერდლოვსკის საჰაერო სივრცის მიდამოებში გამოჩნდა. შეპყრობაზე გაუშვეს ორი „მიგ-19“, რომლებიც 18.500 მ-ზე აფრინდნენ, „უ-2“ კი 20.000მ მიდიოდა. მიწიდან მოვიდა ბრძანება, რომ საბჭოთა თვითმფრინავებს თავი დაენებებინათ მისთვის. ერთმა თვითმფრინავმა მოასწრო მოცილება, მეორემ კი ვერა... საბჭოთა მერაკეტეებმა პირველივე გასროლით მოსპეს თავისივე თვითმფრინავი...

ამ ფაქტის შესახებ ადრე არავინ ლაპარაკობდა და ეს გასაგებიც არის.

მეორე რაკეტა მიზანს მოხვდა და „უ-2“-მა ვარდნა დაიწყო. მისი პილოტი გახლდათ ამერიკელი მზვერავი ფრენსის პაუერსი. პოლონეთის სივრცეებშიც სწორედ ის დაფრინავდა და ბორის გლებოვი მას უნდა შეხვედროდა პირისპირ...

მოგვიანებით პაუერსი გაცვალეს საბჭოთა მზვერავ აბელზე.

ამბობენ, რომ ამერიკის მთავრობა დაინტერესებული ყოფილა — თუ ფრენსისს ჩამოაგდებდნენ, ის ცოცხალი არ უნდა ჩავარდნილიყო სუკის თანამშრომლების ხელში. ამ მიზნით კატაპულტში ჩადგეს მეორე საბრძოლო მუხტი და კატაპულტირების შედეგად პაუერსისგან არაფერი დარჩებოდა — ის აფეთქდებოდა. ეს ინფორმაცია პაუერსამდეც მისულა და ამიტომ, როცა ჩამოაგდეს, მან კატაპულტირების თაობაზე ბრძანება არ შეასრულა და ცეცხლმოდებულ თვითმფრინავთან ერთად ვარდნა დაიწყო. მხოლოდ 6.000 მ სიმაღლეზე გადმოხტა პარაშუტით თვითმფრინავის კაბინიდან... და მშვიდად ჩაბარდა სუკის ოფიცრებს ხელში.

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

**7**



მზეზე ყოფნის შედეგი

**8**



ვირტუოზი მევიოლინე, განუმეორებელი ოსტატობისა და არტისტული ალმაფრენის განსახიერება

**10**

წყლის დანალექი ქანი

**11**



მეცნიერება, რომლის „მამად“ ჰეროდოტეა აღიარებული

**12**



შხამიანი, მათრობელა მცენარე

**15**



ადგილმდებარეობა

**16**



ავტოგიგანტი, რომელმაც „ჩაყლაპა“ „სკანია“

**18**

ნაოსნობის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო

**19**



(ამპლუა)

**20**

ცხრა შემსრულებლისაგან შემდგარი ანსამბლი

**24**



(ჯიში)

**25**



ლათინური სახელწოდება

**26**



თეტჩერი, მეიჯორი, ...?

**29**



მსუბუქი ოთხთვალა

**31**



ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელი (1856-1934)

**32**



პერუს დედაქალაქი

**33**




(ფრინველი)

**34**



(ფასადის ნაწილი)

## შვეულად:

**1**



გადმოსახტომი მოწყობილობა

**2**



მსჯელობის, განსჯის პროდუქტი

**3**



ზევსისა და ჰერას შვილი

**4**

ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი

**5**

1932 — „ყარყუმი“;
1942 — „ევრიდიკე“;
1946 — „რომეო და ჟანეტი“, „მედეა“, ანტიგონე“
ფრანგი დრამატურგი

**6**

ბრუნვაში იმაზე მეტი ფულის გამოშვება, რაც საჭიროა საქონელბრუნვისათვის

**9**



მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო

**13**




**14**



არქიტექტურულად გაფორმებული მთავარი შესასვლელი, ბჭე

**16**



(კომპოზიტორი)

**17**

დამახასიათებელი სუნის მქონე აირი, რომელიც წარმოიქმნება ჭექა-ქუხილის დროს

**21**



ადრეული აღორძინების ფლორენციული სკოლის წარმომადგენელი

**22**



ვირტუოზი შემსრულებელი

**23**



(სახელი)

**27**



წასაღებად მომზადებული მოძრავი ქონება

**28**



არქიტექტურული ძეგლი

**30**



(სახელი)

**32**

აუქციონზე გამოტანილი ნებისმიერი ნივთის სახელი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა“ №34 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. სეირნობა; 8. მალიორკა; 10. ედრი; 11. ედვარდი; 12. ავთო; 15. „ოტელო“; 16. მაზლი; 18. დათვი; 19. ეგეოსი; 20. სალარო; 24. „დიელო“; 25. ეტაპი; 26. „ოპელი“; 29. გული; 31. კვაზარი; 32. ილია; 33. მიუნხენი; 34. აისბერგი.

შვეულად: 1. ვერდიქტი; 2. „ორლი“; 3. აბადო; 4. ბარდო; 5. მონა; 6. მკითხავი; 9. ნაფაზი; 13. ფლიგელი; 14. სატრაპი; 16. მასნე; 17. ისანი; 21. დისკუსია; 22. პარიზი; 23. ფლემინგი; 27. ზვინი; 28. არშია; 30. იენა; 32. იდეა.

## იყიდება ბინები

სასწრაფოდ! სუფთა ბინა, მიშენების პერსპექტივით. მის: დ/მ, მე-5 კვ, კორპ. 22, ბ. 16. ტელ: 52-27-94; 899-57-28-94. გოგა

3-ოთახიანი, მაღალჭერიანი, არასტანდარტული, ტელეფონიანი, იზოლირებული ბინა მუხის პარკეტით, სარდაფით, მანქანის ადგილით, დაშენების პერსპექტივით, მეტროსთან ახლოს. ფასი 40.000$. მის: მარჯანიშვილის ქ. №33. ტელ: 95-26-46

ან იცვლება დიდუბიდან 2-ოთახიანი ბინა მიშენებით, აივნებით, გისოსებით, ავტომანქანის სადგომი ადგილით, ცივი და ცხელი წყლით (დენი მუდმივადაა), დიღმის მასივში, ხეივანთან ახლოს 2 ან 3-ოთახიან ბინაზე, მე-2 სართულზე. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. 1 სართ. ტელ: 34-52-34

ავჭალაში 1-სართულიანი საკუთარი სახლი მანსარდით (ს/ფ 850 კვმ, საცხ. ფართი – 250 კვმ), ხეხილით, ცხელი წყლით, ბუნებრივი აირით, აბაზანა-ტუალეტით, ცალკე 4 ოთახით. ფასი 12.000$. მის: ჩიქვანაიას ქ. №22. ტელ: 62-19-17. ბერიტაშვილი ვახო

საგურამოში 3-სართულიანი, ახალაშენებული, კეთილმოწყობილი სახლი, უცხო დიზაინით, კაპიტალური შემოღობვით, მიკროაუზით, ცალ-ცალკე საძინებლებით, აბაზანა-ტუალეტებით, კანალიზაციით, ცივი და ცხელი წყლით, მუდმივი დენით. ტელ: 899 57-52-71

## ვიქირავებ

ან ვიქირავებ (1 წლის ქირის წინასწარ გადახდით 50$-ის ფარგლებში) 1-ოთახიან, იზოლირებულ, უავეჯო ბინას ტელეფონით. მასივებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ: 22-36-45

## ქირავდება

50 კვმ მაღაზია პრესტიჟულ ადგილას, ევრორემონტით, კაბინეტით, სველი წერტილებით, ტელეფონით, რესტორან „ევროპასთან", კოსტავას ქ. №47. ტელ: 34-88-52

ან იყიდება, არცთუ ძალიან ძვირად, მხოლოდ მათთვის, ვინც იცის პრესტიჟის ყადრი და ფასი – იდეალური ფართი (120 კვმ) ოფისის ან მაღაზიისათვის, სასტუმრო „საქართველოსთან" ახლოს. მის: თარხნიშვილის ქ. №3. ტელ: 877 40-44-90; 877 40-44-80; 98-71-70. ანი (საღამოს)

## მილოცვა

**მარიკა და გოჩა შანშაშვილებს** ვულოცავ გაბედნიერებას! მზე დანათოდეს თქვენს ქორწილს, არ მოგკლებოდეთ სიყვარული, ხალისი, სიკეთე და სულგრძელობა, ნათელი მზე და გონიერება, გულის სითბო და რაც მთავარია, შვილთა მრავლობა. გაუმრავლდით საქართველოს, ჩვენო კარგებო!..

**ირინა შანშაშვილი**

„ფოტოპალიტრის" აქტიურ მონაწილეს ჯონი ქუთაისელს ვულოცავთ პატარა ქუთაისელის დაბადებას.

**„ფოტოპალიტრელები" და ი.ხ.**

ქეთი ბერეკაშვილს და ზურა ქაჩლიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეებს და ვუსურვებთ წარმატებებს პირად და პროფესიულ ცხოვრებაში.

**„კვირის პალიტრა"**

ჩემს ძვირფას შვილებს მანანას, თამრიკოს, რძალს ლალი ძიძარიას და სიძეს გივი გოგობერიშვილს ვულოცავ დაბადების დღეებს: 2, 23, 5 და 15 სექტემბერს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ჩაფიქრებული სურვილების და მიზნების ასრულებას.

**ჟორა ბენდელიანი ოჯახით.**

## მომსახურება

შპს „კინოვიდეორემმონტაჟი". ვაწარმოებთ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს, ვამზადებთ ხის კარფანჯარას და სხვა ნაწარმს. ტელ: 96-94-72; 37-00-65; 37-02-24; მობ. 97-11-69

ვაკეთებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას. ვარემონტებ მატრასებს, სკამებს, მაგიდებს, კარადებს. დაგიმზადებთ ავეჯს. ტელ: 95-27-88. გოჩა

სპეციალისტი მუშები გადაგატანინებთ: ავეჯს, როიალს, პიანინოს. ფასი შეთანხმებით. მანქანით მომსახურება ქალაქის ფარგლებში: 1 სთ – 10 ლარი. ტელ: 68-90-16 (დღისით); 99-81-90 (საღამოს). ვაჟა

ს/ს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს. სამუშაოები წარმოებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. მის: წერეთლის გამზ. №57. ტელ: 34-82-30; 34-14-81. ს/ს „მშვილდოსანი

ვამზადებ ფანჯრების და კარების ჟალუზებს უჟანგავი ლითონისაგან (თუნუქისაგან), ჩემი მასალით, ადგილზე დამონტაჟებით. ფასი 1 კვმ – 50 ლარი. ტელ: 899 57-86-88. გაიოზი

შპს ფირმა „ხვეული კიბე" – მონტაჟდება, მზადდება ნებისმიერი სახის შიდა კიბეები. მიიღება შეკვეთები კაკლის და მუხის კარ-ფანჯრებზე. ტელ: 22-02-44; 69-19-52; 899 55-76-53

ვაწარმოებთ საცხოვრებელი სახლების, აგარაკების, ოფისების, ბენზინგასამართი სადგურების მშენებლობის კაპიტალურ რემონტს. ვამზადებთ რკინის ოვალურ კარებს, ვიტრაჟებს, გისოსებს, მრგვალ და ჩვეულებრივ კიბეებს რკინის კონსტრუქციის გადახურვისათვის – ა.გ.ს.-ზე. ტელ: 899 56-30-04

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის 66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ყურადღება, სიახლე! გახდომა ფრანგული ფიტოპრეპარატებით: 5-15 კგ 1 თვეში (25 კგ – 2 თვეში); სიმაღლეში ზრდის ვიტამინები 18 წლამდე; ჯანმრთელობის პრობლემები (დიაბეტი, მარილები, ფიბრომა); ფრანგული ნაოჭების საწინააღმდეგო კრემი. ტელ: 61-75-81; 52-65-18. მზია

ჭარბი თმის მოცილება მცენარეული ნაყენით, დამუშავებული მოსკოვის ВИУА-ში, რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში, დოცენტის მიერ. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №113 (შესასვლელი თაღიდან), კაბ. 12. მიღება ყოველდღე, 12-19სთ

სილამაზის სალონი „სტილი" გთავაზობთ თმის მოცილებას სახეზე და ტანზე მცენარეული დეპილატორით (თმა მცირდება და ქრება), ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, კანის გაღიზიანების გარეშე; სახის გაწმენდას. მიღება წინასწარი ჩაწერით. აგრეთვე გთავაზობთ საპარიკმახერო მომსახურებას WELAA პრეპარატებზე: თმის მოდელური შეჭრა კატალოგების მიხედვით – 6 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 6-8 ლარი; შეღებვა – 15-18 ლარი; მელირება 10-15 ლარი; დეკორატიული მელირება – 15-50 ლარი; ქიმიური გასწორება – 15-30 ლარი; ქიმიური დახვევა – 10-15 ლარი; აგრეთვე წარმოებს კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. დამთავრებისას გაიცემა სერტიფიკატი. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოს დასაწყისში). ტელ: 94-01-82; 96-22-89; 95-83-18; 64-19-21. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია; პარიკმახერ-დიზაინერი ანჟელინა ბიგვავა.

სილამაზის სალონი „პოდიუმი-777"! თმის შეჭრა კატალოგების მიხედვით – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; მელირება 15 ლარი; ქიმიური გასწორება – 20 ლარი; შეღებვა (WELLA)-10 ლარი; ელექტროეპილაცია – 1სთ – 7 ლარი. თქვენ მოგემსახურებათ საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე სტილისტი ირა გურჯიანი და ექიმი-კოსმეტოლოგი მაია ფიფია. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №113 (ეზოს ბოლოს). სილამაზის სალონი „პოდიუმი-777". ტელ: 95-08-83 (სამს); 68-28-17 (ბინა)

გაუმართლებლობა, შემოსავალი, შავი ძალების ზეწოლა, სასიყვარულო უთანხმოება, ოჯახის აღდგენა-შენარჩუნება, ნევროზი, სექსუალური და ფსიქიკური დარღვევა. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №89. მე-2 სართ. მიღება ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, 17.30-19 სთ. ტელ: 877 41-60-03. ნანა

## მკურნალობა

წინაპართა მეთოდით მცენარეებისა და თეთრი მუმიისგან მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს მალამოებს, მკურნალობს ოსტეოქონდროზს, რევმატიზმს, მარილების დაგროვებას, რადიკულიტს, საშწველა ნერვის ანთებას, თავის ტკივილს. ჰაიმორიტი იკურნება 4-5 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია, ლიცენზირებული – ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ. მის. გორის ქ. №3. I სად. I სართ. მ. „წერეთელთან". მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა, 13-16სთ. ტელ: 34-05-69

ვმკურნალობ მცენარეებით: ბრონქიალურ ასთმას, ქრონიკულ და ალერგიულ ხველებას, ბრონქიტს განკურნების გარანტიით. მის: აღმაშენებლის 115. სამკურნალო ცენტრი „თემსო". კაბ. №19. ტელ: 96-03-11. ლალი

ბიორეზონანსული თერაპია – ალერგიების კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი თაობის სამედიცინო აპარატურით. მის: ვაჟა-ფშაველას 18ა, ბავშვთა და მოზრდილთა რეაბილიტაციის ცენტრი. VI სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. ტელ: 39-01-12 სამს. (10-16 სთ); 39-58-7. ბინა

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს რუსულ ენასა და მათემატიკაში. ტელ: 93-24-61

პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას, სწრაფად და ხარისხიანად. სწავლება ინდივიდუალურია. MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER. ტელ: 34-32-79 (დარეკეთ დღის საათებში)

შპს „ერჯი" გიწვევთ უცხო ენების სწრაფად და საფუძვლიანად შესასწავლად: 1) ინგლისური (ოქსფორდის ვიდეოკურსი); 2) იტალიური (პერუჯის აუდიოკურსი); 3) რუსული ენა; 4) გერმანული ენა; 5) კომპიუტერის კურსები (ინდივიდუალური სწავლებით ოპერატორის დონეზე). მის: მარჯანიშვილის ქ. №5. ოთახი 205. ტელ: 95-45-87; 60-01-50

კომპიუტერული ცენტრი „ინტელექტუალური სისტემები" და აუდიტური ფირმა „მელიტა" გთავაზობთ კომპიუტერისა და პრაქტიკული ბუღალტერიის შემსწავლელ კურსებს. მის: წერეთლის გამზირი №142, „სამთო ქიმიის" შენობა, II სართ. (მეტრო „დიდუბის" პირდაპირ). ტელ: 94-10-74; 34-08-46

## სხვადასხვა

მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ, მზია, მიყვარხარ!

88

მამულიშვილებო, ვისაც ძალგიძთ, ხელი გაუმართოთ მწვავე ლიმფობლასტური ლეიკოზით (სისხლის გათეთრება) დაავადებულ 16 წლის ჭაბუკს, გთხოვთ, გადარიცხოთ ნებისმიერი თანხა. ანგარიშის №000704201. სსბ სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკის ისნის ფილიალი

ინფორმაცია: ფსორიაზის, ეგზემის, ნეიროდერმიტის, სებორეის, მუნის შესახებ. ტელ: 39-02-98

ზაფხულია, ცხელა. ათასგვარი უცხოური სურნელის ხმარებას, გირჩევთ, მამაპაპური მალამოთი გაიქროთ ფეხის უსიამოვნო სუნი. მიაკითხეთ ქალბატონ მარეხს. ტელ: 96-18-26

## იყიდება

მხოლოდ ჩვენთან! უნიკალური სისტემა „კლეოპატრას ფორმულა": „ლუიზოლი" – ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემი; „ელჯე" – სახის კრემი, ლოსიონი (ნაოჭები, გამონაყარი, ლაქები). მოგვმართეთ, შეინარჩუნეთ ახალგაზრდობა. მის: იოსებიძის ქ. 53, კაბ. „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13 (11-18 ყოველდღე)

ახალი დახლ-მაცივარი, რუსეთის წარმოების. სიგრძე 2 მეტრი, სიმაღლე 90 სმ, სიგანე 85 სმ. ზემოდან დახურულია პლასტიკატით, იკეტება გასაღებით. ფასი 900 ლარი. ტელ: 66-40-83 ინგა

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი" სპილენძის ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი" აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას 27. სადღელამისო აფთიაქი „ნინო-დ" (რესპუბლიკური საავადმყოფოს ასახვევთან). ტელ: 38-80-75

უვნებელი, ადვილად მოსახმარი მცენარეული ლოსიონი „ანსალიტი" ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სხვა სინთეტიკური პრეპარატებისაგან. მის: იოსებიძის ქ. 53, კაბ. „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13 (11-18სთ)

## შევიძენ

შევისყიდი ადამიანის გრძელ თმას. პარიკმახერებს ვთავაზობთ თანამშრომლობას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართული. მაღაზია „ესთეტი". 12-17სთ, შაბათკვირის გარდა. ტელ: 68-19-80

## ხსოვნა

30 აგვისტოს უშენოდ უნდა აღვნიშნოთ შენი დაბადების დღე, ჩემო გია.



ჯერ შენ მხოლოდ 25 წელი შეგისრულდა. ვერაფრით ვეგუები იმას, რომ შენ ჩვენთან აღარა ხარ. ჩაგვიქრა ის სანთელი, რომელიც შენ პირველმა აგვინთე შენი დაბადებით, შენ ხომ ჩვენი პირველი სიხარული იყავი. როგორ გინდოდა სიცოცხლე, გიხაროდა ყველაფერი, გიყვარდა ყველა, მაგრამ არ დაგცალდა ყველაფრის გაზიარება. შენ ისე წახვედი ამქვეყნიდან, არავინ შეგიწუხებია. წყნარად, მშვიდად მიიღო შენი სული უფალმა. წახვედი და უნუგეშოდ დატოვე დამუნჯებული დედა, გაბოროტებული მამა და შენი პატარა, უმწეო ძმა, რომელსაც ძალიან სჭირდებოდი. დარდიანი და ცრემლიანია ჩვენი ყოველი დღე. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ შენგან მიღებულ ტკივილს რა დრომ ან რამ უნდა უმკურნალოს.

ჩვენგან ანთებული სანთელი მარადიულ სასუფეველს გაგინათებს მუდამ. ნათელი დასდგომოდეს შენს წმინდა სულს, ჩემო გია. იძინე მშვიდად.

**დეიდა**

ძალიან გვიჭირს, მამა, უშენობა. ერთი წელიწადი გახდა, რაც ჩვენგან



წახვედი და უფრო და უფრო ძნელად ვეგუებით ამას. შენი წასვლით მფარველი და პატრონი მოგვაკლდა, ის ძლიერი საყრდენი დავკარგეთ, რომელზეც ოჯახის ძალაა დამყარებული. გვენატრები, მამა... დედას ცრემლი ვერ შევაშრეთ... 31 აგვისტოს 70 წელი შეგისრულდებოდა, ახლა კი ეს ლამაზი თარიღი შენს წლისთავს ემთხვევა... გვენატრები და ეს მონატრება მუდმივ მოუშუშებელ ჭრილობად იქცა.

**შენი რუსიკო**

## ნეკროლოგი

სოხუმის პედინსტიტუტის 1952 წელს ის-



ტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი **ბორის გრიგოლის ძე ბერულავა** და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

**ჟორა ბენდელიანი ოჯახით**






სამხრეთკორეული ფირმა „დეუ“ ვალებში გაიყიდება. სახელწოდება „დეუ“ამ სამრეწველო ჯგუფიდან მხოლოდ იმ 6 კომპანიას შერჩება, რომლებიც მანქანებს უშვებენ და საქმე შედარებით უკეთ მისდით. დანარჩენი 19 კომპანია (უშვებენ გემებს, ელექტროტექნიკას, სამშენებლო მასალებს და ა.შ.) თანდათანობით ლიკვიდირებული იქნება. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, როგორ იქნება ტელევიზორების და მაცივრების საქმე — საფიქრელია, რომ ფირმის ახალი მესვეურები გააგრძელებენ მათ გამოშვებას, „დეუს“ მარკას ხომ კარგი გასავალი აქვს. თუ

## „დეუ“-ს საქმე ცუდადაა

2000 წლის 1 იანვრამდე ფირმა ვერ შეძლებს საკუთარი თავის გაყიდვას, აუქციონზე გაიტანენ, რომ როგორმე ვალები გადაიხადოს. თანხა კი, არაოფიციალური მონაცემებით, ასტროლოგიურ ციფრს აღწევს — 48-50 მლრდ დოლარს.

1967 წელს შექმნილი „დეუ“ სამხრეთ კორეის ეკონომიკური სასწაულის ერთ-ერთი სიმბოლო გახდა, რომელიც ქვეყნის მმართველი გენერლებისა და ყოვლისშემძლე ოლიგარქების კავშირს ეყრდნობოდა.

„დეუ“ დიდი ხნის განმავლობაში ახერხებდა თავისი ჭეშმარიტი ფინანსური მდგომარეობის დამალვას, მაგრამ აზიურმა ფინანსურმა კრიზისმა მის საიდუმლოს საბურველი ჩამოაცალა. ამასთან, ახლანდელი პრეზიდენტი კიმ დე ჩუნი ოლიგარქების ოჯახურ იმპერიებს (ერთ-ერთი „დეუ“ გახლავთ) დიქტატორული პერიოდის გადმონაშთად მიიჩნევს. იაპონელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ „დეუს“ გზას ბევრი სხვა კორეული გიგანტი დაადგება.

*იტოგი №34*



## ალბინოსები ძვირად იყიდება

ინდონეზიის თავს დატეხილი ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ჯაკარტის გარეუბანში განლაგებული ფირმა ნამდვილ სავაჭრო იმპერიად იქცა.

მისი წარმატების მიზეზი თეთრი ტყავი და წითელი თვალებია.

გუნარტო ჩანდრის ფირმაში ამრავლებენ და ჰყიდიან სხვადასხვა ცხოველ-ალბინოსებს. ბუნებაში თეთრი ცხოველები (ზოგიერთი სახეობის გარდა, ვთქვათ, თეთრი კურდღელი, თეთრი მწყერი, თეთრი დათვი და ა.შ.) იშვიათად გვხვდებიან და, როგორც წესი, ცოტა ხანს ცოცხლობენ; მეტისმეტად თვალში საცემნი არიან, ამიტომაც კოლექციონერებში ალბინოსი 50-100-ჯერ მეტად ფასობს, ვიდრე იმავე ცხოველის ჩვეულებრივი სახეობა. სწორედ ეს არის გუნარტოს ბიზნესის საძირკველი, რომელსაც სარგებლობა მოაქვს მისთვისაც და ინდონეზიის ბუნებისთვისაც, რადგან ასეთი ფირმები საუკეთესო საშუალებაა ბრაკონიური გზით იშვიათ ცხოველთა განადგურებასთან საბრძოლველად.

*იტოგი №24*

## პარიზი ლას ვეგასში გადავიდა



ლას-ვეგასში 1 სექტემბერს გაიხსნება მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კაზინო „პარიზი — ლას-ვეგასი“, რომლის მშენებლობა 790 მლნ დოლარი დაჯდა. გარეგნულად ეს 50 სართულიანი შენობა ეიფელის კოშკის თითქმის ზუსტი ასლია. მის გახსნაზე პარიზიდან მოწვეულები არიან პოლიტიკოსები, მსახიობები, მუსიკოსები.

*ვლასტი №34*

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში დააპატიმრეს ჩეჩნეთში მცხოვრები ყალბი ფულის მწარმოებელთა ჯგუფის ლიდერი მუჰამედ მახაური.**

**დაკითხვებზე მან სენსაციური ჩვენება მისცა იმის თაობაზე, რომ მისმა თანამშრომლებმა იჩქერიაში 10 მილიარდზე მეტი დოლარი დაბეჭდეს და, რომ ეს ფული პატარ-პატარა პარტიებად რეალიზებული იქნება საქართველოსა და დსთ-ის სხვა ქვეყნებში.**

*კომერსანტი №155*

## დიდი წმენდა ნიუ-იორკში

### რუსული დანაშაულებრივი სამყაროს ფული ამერიკული სარეცხის მანქანაში

გასულ წელს რუსეთის დანაშაულებრივი სამყაროს მილიარდობით დოლარი ბანკ „ბენკ ოფ ნიუ-იორკში“ მოხვდა. დანაშაულებრივ დაჯგუფებათა კუთვნილი გრანდიოზული თანხები ჩამოირეცხა. ამერიკის ისტორიაში ეს ერთ-ერთ დიდ მაქინაციად შეიძლება ჩაითვალოს.

ბანკმა განაცხადა, რომ სამუშაოდან დაითხოვა ორი თანამშრომელი ქალი, რომელთა სახელები ძიების დროს წამოტივტივდა. ორივეს ბანკის აღმოსავლეთევროპულ ქვეგანყოფილებაში მაღალი პოსტი ეჭირა და მათი მეუღლეებიც რუსი ბიზნესმენები არიან. გამომძიებლებს დიდი ჯაფა დაადგათ, სანამ დაადგენდნენ, საიდან მოდიოდა ფული და სად მიდიოდა. ბანკის ანგარიშების შესწავლამ ძიება მიიყვანა კაცთან, რომელიც ოფიციალურ პირთა მტკიცებით, რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობების უმთავრესი ფიგურაა. ეს გახლავთ სემიონ მოგილევიჩი, რომლის ქონება 1995 წელს 100 მლნ დოლარად შეფასდა. იგი ერთ-ერთ უმდიდრეს და უსასტიკეს კაცად ითვლება. გასულ წელს, როცა მასზე ნიუ-იორკულ ჟურნალ „ვილიჯ ვოისში“ მამხილებელი სტატია გამოქვეყნდა, მოგილევიჩი შეეცადა ჟურნალისტს დაქირავებული მკვლელის ხელით გასწორებოდა. როგორც ევროპის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ამბობენ, ჟურნალისტ რობერტ ფრიდმენის თავიდან მოსაშორებლად მოგილევიჩმა 100.000 დოლარიანი კონტრაქტი გააფორმა. ახლა მოგილევიჩი 53 წლისაა. ცსს-სა და ევროპის ქვეყნების დაზვერვა მას 5 წლის განმავლობაში ადევნებდა თვალ-ყურს. ერთ-ერთ ანგარიშში ნათქვამია, რომ აღმოსავლეთ გერმანიიდან საბჭოთა კავშირის ჯარების გაყვანის შემდეგ საბჭოთა გენერლებმა იარაღი მოგილევიჩს მიჰყიდეს, რომელმაც, თავის მხრივ, უფრო ძვირად გაყიდა ერაყში, ირანსა და სერბეთში. მრავალი დოკუმენტის შესწავლის შემდეგ, ბრიტანელი გამომძიებლები კვალმა კომპანია „ბენექსამდე“ მიიყვანა, რომელიც დაკავშირებული იყო ფილადელფიის ფირმა „უაი-ბი-ემთან“. სწორედ ეს უკანასკნელი გახლდათ ლეგალური ფასადი, რომლის უკან მოგილევიჩი იდგა. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც „ბენკ ოფ ნიუ-იორკში“ მოხდა. ამ ბანკში ფინანსური ოპერაციების მოცულობა უზარმაზარი იყო.

ანგარიშს აწარმოებდა ბანკის ზემოთ ნახსენები ორი თანამშრომელი ქალისგან ერთ-ერთი — ნატაშა გარფინკელ-კაგალოვსკაია, ბანკის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი. იგი რუსეთში დაიბადა, 1979 წელს ამერიკაში გაემგზავრა საცხოვრებლად და პრინსტონის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხით დამთავრების შემდეგ, საბანკო მენეჯმენტის კურსები გაიარა. 90-იან წლებში ახალ ბიზნესს მოჰკიდა ხელი, რაც აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირთან არის დაკავშირებული. რამდენიმე წლის წინ იგი ცოლად გაჰყვა რფ მთავრობის ეკონომიკურ მრჩეველსა და 1992-95 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდში რუსეთის წარმომადგენელს კონსტანტინ კაგალოვსკის. ძიებით დადგინდა, რომ ნიუ-იორკის ბანკის ერთ-ერთი საუკეთესო „კლიენტი“ რუსული ბანკი „ინკომბანკი“ იყო, რომელიც დღეში 250-ზე მეტ გადარიცხვას აკეთებდა ნიუ-იორკის ბანკში. აქტიურად თანამშრომლობდა ბანკთან მეორე რუსული ბანკი „მენატეპიც“. გასარკვევია მეორე თანამშრომელი ქალის, ლიუს ედვარდსის როლიც ფულის ჩამორეცხვაში. გამომძიებელთა აზრით, მისი მეუღლე, რუსი პიტერ ბერლინი განაგებდა კომპანია „ბენექსის“ ანგარიშს „ბენკ ოფ ნიუ-იორკში“.

*ნიუ-იორკ თაიმსის მასალების მიხედვით*
*ზა რუბეჟომ №33*



## კითხვა-პასუხი

*ადრე წერდით, რომ ქრისტიანები რაოდენობის მიხედვით ყველას სჭარბობენ. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რამდენი ქრისტიანია დედამიწაზე?*

*ნ. მეტრეველი*

თუ ქრისტიანობაში ქრისტიანული რელიგიის ყველა მიმდინარეობას ვიგულისხმებთ, მაშინ ქრისტიანები მართლაც ყველაზე მეტნი აღმოჩნდებიან დედამიწაზე. მართალია, რაოდენობის დადგენა ჭირს, მაგრამ თუ გაეროს მონაცემებს დავეყრდნობით, მათი რიცხვი 1 მილიარდზე მეტია, აქედან 300.000 პროტესტანტული მიმდინარეობის წარმომადგენელია, 600.000 — კათოლიკე, 200.000 კი — მართლმადიდებელი.

*ზურაბ დავითაშვილი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე*

***70-იანი წლებიდან ოჯახის ერთ-ერთი წევრი იყო ტელეფონის აღრიცხვაზე. საბუთები დაიკარგა, აღგვადგინეს 90-იანი წლიდან. თანხის გადახდასთან ერთად უნდა დაედგათ ტელეფონი რიგით, მაგრამ განმიცხადეს, რომ ჩემს ეზოში ჩემზე წინ აღრიცხვაზე სხვები არიან და ჯერ მეზობლები უნდა დაკმაყოფილდნენო. ამას გარდა, მომთხოვეს ნოტარიუსით დამოწმებული საბუთის მიტანა, რომ მეზობლები თანახმანი არიან, ურიგოდ დავიდგა ტელეფონი. მაინტერესებს, კერძო პირი ვალდებულია თუ არა დაეკითხოს მეზობლებს ტელეფონის დადგმას?***

***გოჩა***

1999 წლამდე ტელეფონის დადგმა ურიგო იყო და გადასახდელი თანხა 450 ლარით განისაზღვრებოდა. 99 წლიდან თანხა შემცირდა, გახდა 260 ლარი, რამაც ტელეფონის დადგმის მოთხოვნა გაზარდა და შესაბამისად, საკაბელო მეურნეობა შეზღუდა. ამ უკანასკნელის შეზღუდვის გამო კი ზემოხსენებული პრობლემისაგან თავის დაზღვევა მთელ რიგ შემთხვევაში შეუძლებელია. ამდენად, პირველად ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ ის აბონენტები, ვინც აღრიცხვაზე უფრო ადრე იმყოფებოდნენ. თუ ისინი უარს იტყვიან ტელეფონის დადგმაზე და 1 თვის მანძილზე არ გაიფორმებენ, მაშინ შესაძლებელი იქნება მათ მეზობელს დავუდგათ ტელეფონი. ამ ეტაპზე კი მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს ნოტარიუსით დამოწმებული საბუთი, რომ მეზობლები თანახმანი არიან მისთვის ტელეფონის დადგმაზე.

*ქალაქის ცენტრალური სატელეფონო კვანძის უფროსი ნოდარ დევიძე*

***მამა ომის ვეტერანი მყავდა. იგი ორი წლის წინ გარდაიცვალა. ეკუთვნის თუ არა დედას გაზრდილი პენსია და რამდენი?***

***ა.ა.***

მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ქვრივი ვერ მიიღებს გაზრდილ პენსიას, რადგან მას თავად დანიშნული ექნება მოხუცებულობის პენსია, ორი პენსიის გაცემა კი გათვალისწინებული არ არის.

*ი. ლობჟანიძე, სოცუზრუნველყოფის სამინისტრო*

***გთხოვთ, გამოაქვეყნოთ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული პირველი ხუთი გვარი და მიუთითოთ რაოდენობა.***

***ვ. გეგეშიძე, თბილისი***

საქართველოში რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტად გავრცელებულია შემდეგი ხუთი გვარი: ბერიძე (24.797), კაპანაძე (18.550), გელაშვილი (17.995), მაისურაძე (16.516), გიორგაძე (14.582).

*ანზორ თოთაძე, ჯანდაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარე*

## გადადგომაც სარფიანი ყოფილა

როცა ძლიერნი ამა ქვეყნისანი პოსტს ტოვებენ, მათ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება ეძლევათ — შეუძლიათ კონტრაქტი დადონ საჯარო გამოსვლების ორგანიზაციაზე. როგორც წესი, სტუდენტების, მეცნიერებისა და ბიზნესმენებისათვის წაკითხული ლექციის ჰონორარი დიდად აჭარბებს ხელფასს, რომელსაც ისინი სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობისას ღებულობენ. მაგალითად, ამერიკაში ყველაზე ძვირადღირებული „ლექტორი“ მიხაილ გორბაჩოვია. ერთსაათიან ლექციაში, რომელიც ინგლისურად ითარგმნება, მას 125.000 დოლარს უხდიან. ამერიკის ყოფილ პრეზიდენტებს ბუშს, კარტერს და ფორდს (მათ ლექციის თარგმნაც არ სჭირდებათ) „სალამოში“ მხოლოდ 80.000 დოლარს აძლევენ. ექს-პრემიერებს უფრო ნაკლებს უხდიან. მარგარეთ თეთჩერს, ვისი ხელფასიც ინგლისის პრემიერობის დროს წელიწადში 140.000 ამერიკული დოლარი იყო, ახლა შეუძლია ლექციაში 60.000 დოლარი მიიღოს. ისრაელის ყოფილმა პრემიერმა ბ. ნეთანიაჰუმ გადადგომისთანავე დადო კონტრაქტი ერთ-ერთ სააგენტოსთან, რომელიც ორგანიზაციას გაუ-კეთებს მის საჯარო გამოსვლებს. ახლა ლექციისათვის მასაც 60.000 ათასი დოლარი ეკუთვნის...

*იტოგი №24*


მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული

**მუყაოს კოლოფები**

გამომცემლობა «კოლორი»



☎ 70-76-45



**NGA**

დაგიმზადებთ:

ფარდა-ჟალუზს; ლითონის კარს — 350 ლარი; „გარმოშკას“, 1კვ.მ — 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ — 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ — 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი; ა...

მის: ჭავჭავაძის 25. ტოპოგრაფიული ტექნიკუმის შენობა

ტელ: 22-60-03; 877-41-87-75




საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 28 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,860 |
| გერმანული მარკა | 0,995 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 2,956 |
| ფრანგული ფრანკი | 0,296 |
| რუსული რუბლი | 0,075 |


**იაფად და ხარისხიანად!**

დაგიმზადებთ:

ფარდა-ჟალუზს; ლითონის კარს — 350 ლარი; „გარმოშკას“, 1კვ.მ — 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ — 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ — 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი; ავტოფარეხს.

მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.

ტელ: 63-67-52; 63-53-05; 877-41-87-75



**ფირმა „მოდინახე“**



ასრულებს ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს 12 წლამდე გარანტიით. ტოლით, მინაქსოვილით, ჰიდრომინაიზოლით, ბიტულინით.

მოგემსახურებათ გამოცდილი სპეციალისტები

მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3 (რკინიგზის დეპარტამენტთან)

☎ 96-80-99. დღისით; 22-08-58. საღამოს

# ბასაევმა უკან დაიხია, მაგრამ განაცხადა – დავბრუნდებით!

## დაღესტანში ბრძოლები გრძელდება

ფედერალურმა ჯარმა დაღესტნის ომში 59 ადამიანი დაკარგა, დაიჭრა 200-ზე მეტი. გათავისუფლებულია შამილ ბასაევისა და ხატაბის მიერ ბოთლიხის რაიონში დაკავებული ყველა სოფელი. მოჯაჰედებმა ჩეჩნეთისკენ დაიხიეს. ბასაევი აცხადებს, რომ ყველაფერი მისი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და უკან დახევა მხოლოდ ტაქტიკური სვლაა. ექსტრემისტთა ლიდერის თქმით, კამპანიის შემდეგ ეტაპს სამხედრო-პოლიტიკური ხასიათი ექნება. ამას მიანიშნებს ოპერაციის საკოდო სახელწოდება — „ჰამზათ-ბეგი". პირველ ოპერაციას ერქვა „ღაზი-მაჰომედი" — ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამის სახელი, რომლის ხელმძღვანელობითაც გასულ საუკუნეში დაიწყო კავკასიის პირველი ომი. ჰამზათ-ბეგი ღაზი-მაჰომედის მემკვიდრე და მეორე იმამი იყო. იგი მთის ტომთა თავკაცების ერთმანეთთან გამუდმებულ შუღლს მოხერხებულად იყენებდა დაღესტნის, ახლანდელი საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩრდილო რაიონებში ამბოხების გასავრცელებლად. დაღესტნის სახელმწიფო საბჭოს ახლანდელი თავკაცი მაჰომედალი მაჰომედოვი ავარიელია და ბოევიკების წინააღმდეგაც სწორედ ავარიელები გამოდიან. ომის დამთავრებაზე ლაპარაკი ნაადრევია. ეს მოსკოვსაც კარგად ესმის და ჩრდილო კავკასიაში საუკეთესოდ შეიარაღებული რაზმები გადაჰყავთ, რიგითი მებრძოლიც კი დღეში 800 რუბლს მიიღებს.



*კომერსანტი №152*

## შამილი საათს კურანტებზე აწონებს?

მოსკოვში დიდი მითქმა-მოთქმაა იმის თაობაზე, თუ რითაა გამოწვეული ჩრდილო კავკასიის ამჟამინდელი კრიზისი. ერთ-ერთი პოპულარული ვერსიით, ეს არის შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობენ კრემლის დიდი მოხელეები. ამასთან დაკავშირებით იმასაც ამბობენ, რომ ბორის ბერეზოვსკი დასავლეთ ევროპაში შეხვდა შამილ ბასაევს, რომელიც მეთაურობს დაღესტნის ამბებს. ამბობენ, ჩეჩენი ბოევიკების დაღესტანში შეჭრა მოსკოვის მიერ იყო პროვოცირებული ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების სურვილით და ამდენად, დეკემბერში დანიშნული არჩევნების გადადების ან კიდევ ახალი პრემიერ-მინისტრ პუტინისათვის მეამბოხე ჩეჩნებთან ანგარიშსწორების საშუალების მიცემით.

## ომში ხელებს კი არ ითბობენ, არამედ იწვავენ...

შესაძლოა, რუსეთმა დაღესტანში ჩეჩნური კამპანიის მწარე გამოცდილება გაიმეოროს.

დღეს პოლიტიკური სიტუაცია რამდენადმე სხვაა — ახლა შეიძლება მთელი ჩრდილო კავკასია აგიზგიზდეს და ეს ქვეყნის დასასრულად იქცევა.

სროლა, გმინვა. „ალაჰ, აქბარ!" კუბოები. ისევ სროლა, ისევ გმინვა, ისევ „ალაჰ, აქბარ!", კუბოები. კვლავ ავღანური, ჩეჩნური, ახლა დაღესტნური სინდრომი? კიდევ რამდენი ასეთი სინდრომი დაატყდება თავს ეკონომიკური, სოციალური თუ ეთნიკური ექსპერიმენტების სიმძიმით წელში მოხრილ რუსეთს? განა რამდენ ხანს გაუძლებს უგერბო და უჰიმნო ქვეყანა, რომელსაც ჩაუცმელი და მშიერი არმია იცავს კარგად გამომძღარი გენერლების მეთაურობით?

კითხვები უპასუხოდ რჩება. სხვა ქვეყნებში ხალხი ხელისუფლებას ეკითხება, ჩვენთან პასუხის გამცემი არავინაა.

*ზა რუბეჟომ №59*

# ბოშათა ბარონებმა ინგლისელი ლორდები შეაშინეს



პრაღა ძალიან განაწყენდა. ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ეს იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობაში უკან გადადგმული ნაბიჯი და ლონდონის მხრიდან — ჩეხეთში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმათა დაუნახაობა.

ბრიტანეთის ხელისუფლებამ მოლაპარაკება დაიწყო ჩეხ კოლეგებთან ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა მოსაძიებლად.

სხვათა შორის, მარტო ჩეხები არ არიან ანგლოსაქსთა არასტუმართმოყვარეობის ობიექტი — ბრიტანეთის პარლამენტში იხილავენ თავშესაფრის მიცემის გამკაცრების ზომებს. წლის დამლევიდან ეს ზომები ძალაში შევა. საპორტო ქალაქ დუვრის კემპინგებში კი ასეულობით ადამიანი უცდის სტატუსის მიღებას, მაგრამ, ალბათ, ამაოდ. რადგან ბრიტანელები იმას ფიქრობენ, როგორ გაისტუმრონ ისინი მეზობელ ქვეყნებში. ამასობაში, თავად ჩეხები დსთის ქვეყნების მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღების საკითხს განიხილავენ. პრაღის ვარაუდით, ჩეხეთი ევროკავშირს 2004-2005 წლებში უნდა შეუერთდეს.

სხვათა შორის, თუ პრაღა ლონდონს გაუნაწყენდა, მოსკოვი უკვე ნაწყენია — ჩეხეთი ხომ ფიქრობს რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებას. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ, რა თქმა უნდა, რუსეთიც ასევე მოექცევა ჩეხეთის მოქალაქეებს.

ჩეხეთი, რომელიც სადაცაა, ევროკავშირის წევრი გახდება, დაზაფრულია: ბრიტანეთმა, შესაძლოა, მისი მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი შემოიღოს. 90-იანი წლების დასაწყისიდან ჩეხებს ევროკავშირის ყველა ქვეყანაში შეუძლიათ უვიზოდ ჩასვლა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ლორდმა ბასემმა განაცხადა, — ამის მიზეზი ჩეხეთიდან არნახული ემიგრაცია შეიძლება გახდესო. ძირითადად ესენი არიან ბოშები, რომლებიც ირწმუნებიან, — ჩეხეთის მთავრობა გვდევნისო. ლორდ ბასემის თქმით, ბოშების განცხადებებში არ არის საკმარისი საბუთი იმისთვის, რომ მათ ლტოლვილის სტატუსი მიანიჭონ. მართალია, ლონდონს ძალიან არ უნდა სავიზო რეჟიმის შემოღება პერსპექტიულ სავაჭრო პარტნიორთან, მაგრამ მდგომარეობა დღითი დღე რთულდება. ბოშათა რიცხვი მატულობს და, შესაძლოა, ბუკინგემის სასახლესთანაც კი დასცენ ბანაკი.

*სეგოდნია №186*

# ობოლი ბიჭი რომან აბრამოვიჩი

აბრამოვიჩის პიროვნების ირგვლივ მრავალი ლეგენდა დადის. ამბობენ, რომას იდეა იყო რუსეთის კომპარტიის აკრძალვა, დუმის დათხოვნა, ლეგენდარული მუმიის კომფორტული მავზოლეუმიდან გამობრძანება და ცივ სამარეში ჩასვენებაო. ყველაზე ფანტასტიკური ჭორი კი ის არის, რომ თურმე აბრამოვიჩი ამერიკულ სპეცსამსახურებს რუსეთის კოსმოსური ტექნოლოგიებით ამარაგებს (რა თქმა უნდა, დიდ თანხად), აპირებს რომელიღაც მოსკოვური რადიოსადგურის ყიდვას. როცა 2000 წელს მსოფლიოს კომპიუტერული სისტემა კრახს განიცდის, ის კომპიუტერული ოლიგარქი გახდება. ამ ლეგენდების არც დადასტურებაა შესაძლებელი და არც უარყოფა. აბრამოვიჩი სულაც არ არის ინტელექტუალური მონსტრი. ის ნავთობის უბრალო მაგნატია ან ბანდიტი.

რომან აბრამოვიჩი 33 წლისაა, დაიბადა სარატოვში, მაგრამ უხტაში გაიზარდა. სწავლობდა ინდუსტრიულ ინსტიტუტში, შემდეგ კი მოსკოვის ნავთობის ინსტიტუტში გადავიდა. ადრე დაობლდა და შეძლებულმა ნათესავებმა შეიფარეს.

პირველი ფული საბურავის ვულკანიზაციით და წვრილმანი ვაჭრობით იშოვა. 90-იანი წლებიდან კი ნავთობის ბიზნესით დაინტერესდა.

პირველსავე გარიგებაზე „დაიწვა" და კინაღამ თავი ციხეში ამოყო. აბრამოვიჩმა უხტის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოსკოვს უნდა მიეღო 5 ტ დიზელის საწვავი. მოკლედ, მან რამდენიმე მაქინაცია ჩაატარა და ეს 5 ტ საწვავი რაღაც მანქანებით რიგაში აღმოჩნდა.

გაქურდული ქარხანა გონს მოეგო და ნავთობის საფასური მოითხოვა. საქმე სასამართლოს გადაეცა... მაგრამ აბრამოვიჩი „სუფთად" გამოძვრა. როგორც ამბობენ, ძლიერმა მფარველმა, ბორის ბერეზოვსკიმ გადაარჩინაო. სხვათა შორის, რომანმა საწყისი კაპიტალი ბერეზოვსკისგან მიიღო — ბაბი მას ფირმების გახსნაში დაეხმარა, საიდანაც ფულის გადაქაჩვა ხდებოდა. საბოლოოდ, სწორედ აბრამოვიჩი გახდა აქციების უდიდესი ნაწილისა და „სიბნეფტის" ფაქტობრივი პატრონი და არა ბერეზოვსკი. იმასაც ამბობენ, ბაბს აბრამოვიჩისა ეშინია კიდეცო.

მამილო კარლოსგან გამოჩორკნილმა ბურატინომ „შემქმნელი" ცარიელზე დასვა და თვითონ ძალიან კარგად გრძნობდა თავს ბრიყვების ქვეყანაში. ამბობენ, მთავრობაში ახალ ადგილებს აბრამოვიჩი არიგებსო.

რომან აბრამოვიჩი უკომპლექსო ადამიანია, ჩაცმას დიდ ყურადღებას არ აქცევს, ცხოვრობს ქალაქგარეთ და ჯავშნიანი „მერსედესით" დაქრის.

ძალიან უყვარს შვეიცარია, განსაკუთრებით კი მდიდრული სასტუმროები და ანგარიშები ბანკებში. დედარუსეთს როგორღაც იტანს და მომგებიანად იყენებს სულელებსა და... გზებს.

*ვერსია №30*

# თურქეთის მწუხარე ბალანსი

XX საუკუნის უდიდესი მიწისძვრის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტმა გულისტკივილით განაცხადა, — ჩვენს ქვეშ მიწა ბობოქრობს, მაგრამ ჩვენ სხვა მიწა არა გვაქვსო...

უმრავლესობის აზრით, მიწისძვრამ გამოავლინა თურქეთის პოლიტიკური და ადმინისტრაციული სისტემის არაკომპეტენტურობა და არაეფექტურობა. მიწისძვრით დაზარალებულებისთვის არ აღმოჩნდა არც კარვები, არც მედიკამენტები, არც სურსათი და არც სასმელი წყალი. სამხედრო ნაწილებმა განგაშის დროს სათანადოდ ვერ იმუშავეს. დაღუპულთა დაკრძალვაც პრობლემად იქცა.

სპეციალისტების ცნობით, მიწისძვრამ დაახლოებით 50 ათასი ადამიანი იმსხვერპლა. საზოგადოების ნაწილი სამშენებლო კომპანიებს ადანაშაულებს, რომლებიც მასობრივი მშენებლობების დროს პირადი გამდიდრებისთვის ზოგავდნენ ცემენტს, საარმატურე რკინას თუ სახურავ მასალას და საერთოდ, სამშენებლო მასალებს. დღეს საძიებო სამუშაოები პრაქტიკულად შეწყვეტილია.

ხელისუფლება ამჟამად ცდილობს, როგორმე დაასახლოს და გამოკვებოს უსახლკაროდ დარჩენილი 250 ათასი ადამიანი, დაიცვას ხალხი მოსალოდნელი ეპიდემიებისგან. ქვეყნის ხელმძღვანელობა მადლობას უცხადებს რუსეთს პირველი დახმარებისთვის და მიიღებს ნებისმიერ დახმარებას უცხოეთიდან.



ეროვნულმა მეჯლისმა შექმნა საგანგებო კომისია, რომელიც მიწისძვრის ტრაგიკულ შედეგებს გამოიძიებს.

*ტრუდი №138*

# ბიშკეკს თავისი დაღესტანი გაუჩნდა



ბიშკეკში მიმდინარე „შანხაის ხუთეულის" წევრი ქვეყნების ლიდერთა სამიტს ყირგიზეთის სამხრეთით მიმდინარე სროლები ახლდა. წინა კვირას იქ ტაჯიკეთიდან ისლამის ბოევიკთა ჯგუფი შეიჭრა, რომლებმაც მძევლებად აიყვანეს ქვეყნის შინაგანი ჯარების მთავარსარდალი — გენერალ-მაიორი ა. შამკეევი და 4 იაპონელი გეოლოგი.

ის, რაც თავდაპირველად ყირგიზეთის ხელისუფლებამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბოევიკების შემთხვევით შემოჭრად წარმოაჩინა, სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს. ყირგიზეთის პრეზიდენტმა აკაევმა განაცხადა, — ჩვენს ტერიტორიაზე 350-ზე მეტი ბოევიკია შემოჭრილი, თუმცა მანამდე ამბობდნენ, 10-15 კაცი თუ იქნებაო.

სამიტზე აკაევმა და ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ემომალი რახმონოვმა მოილაპარაკეს, რომ ერთობლივ ზომებს მიიღებენ ისლამური ექსტრემიზმის აღმოსაფხვრელად. ყირგიზეთისთვის ისლამური ექსტრემიზმი ახალი მოვლენაა. ყირგიზეთი არც კი შეუერთდა რუსეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის მიერ ისლამური ექსტრემიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მიღებულ ერთობლივ შეთანხმებას. როგორც ჩანს, ბიშკეკი არც ახლა აპირებს მოსკოვისთვის დახმარების თხოვნას.

ის, რაც დღეს ყირგიზეთში ხდება, ძალიან ჰგავს დაღესტნის მოვლენებს. ეთნიკურ უზბეკთა პატარა ჯგუფი, რომელიც იძულებული იყო ტაჯიკეთი დაეტოვებინა, ისლამისტთა არმიად იქცა; მასში ავღანელებიც არიან და არაბებიც. ბოევიკები კარგად შეიარაღებულები აღმოჩნდნენ და არა მარტო წინააღმდეგობას უწევენ ყირგიზეთის ჯარს, არამედ რესპუბლიკის სიღრმეში შესვლასაც ლამობენ. ვარაუდობენ, რომ ყირგიზეთში ბოევიკების შეჭრა ფერღანის ველზე ისლამური სახელმწიფოს შექმნის გეგმითაა გათვალისწინებული.

*სეგოდნია №190*

# სტეპაშინის მოკვლას შეეცადნენ

(შეკითხვებს უპასუხებს ალ. მიხაილოვი, ყოფილი პრემიერის პრესმდივანი)

— **სტეპაშინი თანამდებობიდან ტატიანა დიაჩენკომ მოისროლა?**

— კრემლს საკუთარი ისეთი საიდუმლოებებიც გააჩნია, კაბინეტის წევრებს და მთავრობასაც რომ არ უმხელს ხოლმე.

— **როგორი ურთიერთობა ჰქონდა სტეპაშინს ბორის ბერეზოვსკისთან, ტატიანა დიაჩენკოსა და რომან აბრამოვიჩთან?**

— სტეპაშინს კაბინეტის სათავეში ყოფნის დროს, პრემიერის შეხვედრების გრაფიკში მათთან შეხვედრები არ ეწერა. თუმცა, ტატიანას, ალბათ, მისდაუნებურად ხვდებოდა, ის ხომ ელცინის მრჩეველია.

— **სტეპაშინს ჩეჩნეთთანაც გართულებული ურთიერთობა ჰქონია...**

— თავდასხმას უპირებდნენ რამდენიმეჯერ. ამაზე თავად მასხადოვი აფრთხილებდა. სპეცსამსახურები იღებდნენ დროულად ზომებს და ამით ავიცილეთ ტერაქტები.

— **როგორ გგონიათ, პუტინი უშველის ჩეჩნეთის პრობლემას?**

— საქმე პუტინში არ გახლავთ... არც წინა პრემიერს დაუკლია ხელი. რა ხდება იცით? სამხედროებში ე.წ. „თბილისური სინდრომია" გამჯდარი, როცა გგონია, ბრძანება შეასრულე და მერე შენი ღვაწლი უკანონოდაა შერაცხული და სამხედრო პროკურატურა გჯიჯგნის... სამხედროები ზურგს უკან სახელმწიფოს და მის მხარდაჭერას ვერ გრძნობენ.

*ვერსია №31*

# ელ-კუდსი პალესტინას ეკუთვნის?

როგორც ჩანს, პრაგმატიკოსი ეჰუდ ბარაქი პალესტინის სახელმწიფოს არსებობას რეალურ ფაქტად მიიჩნევს. პალესტინის სახელმწიფო ჯერ არ არსებობს და იმავდროულად არსებობს კიდეც. ყოველ სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, დედაქალაქიც უნდა ჰქონდეს. პალესტინის ავტონომიის მეთაური იასირ არაფატი და მისი თანამოაზრეები ამტკიცებენ, ჩვენს დედაქალაქს იერუსალიმი უნდა ერქვასო. ისრაელის მმართველი წრეების განცხადების მიუხედავად, რომ იერუსალიმს ყოველთვის ჩვენ გავაკონტროლებთო, პალესტინელები ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილს თავიანთ საკუთრებად მიიჩნევენ.

დღეს ელ-კუდსი (ასე ჟღერს იერუსალიმი არაბულად) როგორც პალესტინის სახელმწიფოს დედაქალაქი, უკვე არსებობს. ელ-კუდსში თავმოყრილია საზღვაო და საჰაერო პორტები, სახელმწიფო დაწესებულებები. თავის დროზე მაშინდელი პრემიერ-მინისტრი შიმონ პერესი ხელს არ უშლიდა მათ გახსნას, თუმცა, მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამის უმტკივნეულოდ გაკეთება. დღეს პალესტინის ინფრასტრუქტურის ლიკვიდაცია საერთაშორისო მნიშვნელობის სკანდალს გამოიწვევს. ელ-კუდსში განლაგებულმა პალესტინის წარმომადგენლობამ ევროკავშირის, რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და სხვა ქვეყნების ჩუმი აღიარება მოიპოვა. აქ ჩამოდიან სხვადასხვა რანგის დიპლომატები, კომერსანტები, საზოგადო მოღვაწეები.



ისრაელელებს მიაჩნიათ, რომ პალესტინელების მიერ თავიანთი „სამინისტროების" შექმნა იერუსალიმში ეწინააღმდეგება ნორვეგიის შეთანხმებას, რომლის თანახმად, პალესტინის ავტონომიის დაწესებულებები ღაზასა და იერიქონში უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეცდომებით სავსე შეთანხმებამ, რომელსაც განსვენებულმა პრემიერ-მინისტრმა იცხაკ რაბინმა ნასვრეტების გამო შვეიცარიული ყველი უწოდა, პალესტინელებს იერუსალიმში თავიანთი დაწესებულებების დაფუძნების ნება მისცა.

შეიძლება ითქვას, რომ პალესტინელებმა შეძლეს მიზნის განხორციელება. 5 წლის განმავლობაში მათ იერუსალიმში საკუთარი ინფრასტრუქტურა შექმნეს და მაინც ბოლომდე გარკვეული არ არის, შეინარჩუნებს „ერთიან და განუყოფელ" (როგორც ამბობს ბარაქი) იერუსალიმს, თუ მასაც ბერლინის ბედი ელის, რომელიც წლების განმავლობაში კედლით ორ ქალაქად იყო გაყოფილი.

*იზვესტია №151*

## მოკლედ

ცნობილი გახდა, რომ **ჩეჩნეთში** გარდაიცვალა შამილ ბასაევის ერთადერთი ძმა — შირვანი. იგი ბოთლიხის რაიონში ბრძოლების დროს დაიჭრა. შირვან ბასაევი სოფელ ვედენოში დაკრძალეს.

**ავღანეთის** რელიგიურმა მოღვაწემ მაულინ აბდურ რაჰიმ მუსლიმ დოსტმა, რომელიც ამჟამად პაკისტანში იმყოფება, 5 მლნ ავღანი (ანუ 115 დოლარი) ჯილდოდ დაუწესა იმას, ვინც ბილ კლინტონს მოკლავს. ამერიკის პრეზიდენტის თავი მეტი არ ღირსო, — ამბობს მუსლიმ დოსტი. მან ისიც ბრძანა, ეს ჯილდო ამერიკის საპასუხოდ დავაწესე, რომელიც 5 მლნ დოლარით ასაჩუქრებს იმას, ვინც ბენ ლადენს მოკლავსო.

# ვინ არიან მონღოლები?



კაცობრიობამ ათასწლეულების მანძილზე ვერ დაადგინა, — რა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისთვის. ყველას თავ-თავისი მოთხოვნილება გააჩნია... მონღოლებს კი...

მონღოლებმა უძველესი დროიდან ერთხელ და სამუდამოდ იპოვეს მარადიული ბედნიერება... ჩვილს დედის რძესთან ერთად აქვს შეთვისებული, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იბანაოს, თორემ ბედნიერებას ჩამოირეცხავს (ეს წყლისა და საპნის ეკონომიაც არის!), წელიწადში ერთხელ მაინც მიდიან ულან-ბატორში, სადაც ჯადოსნურ რკინის ბოძს გაეხახუნებიან ზურგით. ეს არის და ეს მათი სიბრძნის საწყისი... პირადი ჰიგიენის პრობლემას აქ თავისებურად წყვეტენ — სხეულს ცხვრის ქონით დაიზელენ და დადიან „გაბზინებულნი"... ხოლო „შესანიშნავ" სურნელს ვერაფერი „არმანი" ვერ შველის. ვინც იურტებიდან აბაზანიან ბინებში გადასახლდა, იშვიათად, მაგრამ მაინც სწირავს მსხვერპლად ილბალს სისუფთავეს და ამას დიდ გმირობად მიიჩნევს. ჯადოსნური ბოძის გარდა, ულან-ბატორში არის ტაძარი, რომლის კედლებზე გამოსახულია ნამდვილი კამასუტრას ეპიზოდები. მისი გმირები ღმერთები და ქალღმერთები არიან. მაგრამ ეს გარყვნილება არ გეგონოთ. მონღოლების უპირველესი ამოცანაა, მოსახლეობის შობადობის გაზრდა. მონღოლი ქალი ღირსებად მიიჩნევს, თუ ბავშვი რუსისგან ეყოლა — რუსივით ლამაზი და მონღოლივით ჭკვიანიო, — ამბობენ ასეთ შემთხვევაში. ქმარსაც არაფერი აქვს საწინააღმდეგო.

მონღოლეთი მდიდარია სასწაულმოქმედი საშუალებებით. მთელ მსოფლიოს რომ პირზე ვიაგრა აკერია, მონღოლეთს ეს პრობლემა არ აწუხებს. ჯადოსნური ფხვნილი, რომელიც აქლემის სასქესო ორგანოსგან მზადდება, ასი წლის ბერიკაცებსაც კი გააყმაწვილებს. ამ წამლის დამზადება საოცარ სისწრაფესა და სიზუსტეს მოითხოვს — აქლემს ასო თვალის დახამხამებაში უნდა მოკვეთო, უსათუოდ აქტის დროს. შემდეგ მას ახმობენ და ფქვავენ. სპეციალისტების აზრით, ეს სამკურნალო ნივთიერება, მონღოლების გარდა, სხვა ხალხზეც მოქმედებს.

მონღოლებს ძალზე საინტერესო კერძები აქვთ. დელიკატესად ითვლება „ბოდიგი". ახალდაკლულ თხას ატყავებენ, ხორცს კეპავენ, ურევენ სანელებლებს, ტყავის ნედლ გუდაში ჰყრიან, ასხამენ არაყს და მავთულით შეკრავენ. მერე ორი საათის განმავლობაში კოცონზე წვავენ — ამ დროს ბეწვი იხრუკება და ხორციც იშუშება. შემდეგ მუცელს დანით ფატრავენ, საიდანაც წვენი შადრევანივით გადმოსჩქეფს. ადათის მიხედვით, ვინც პირველი მიუშვერს ჯამს ბოდიგს, ას წლამდე იცოცხლებს.

ყველაზე გავრცელებულია ცხვრისა და თხის ხორცისგან დამზადებული კერძი. თევზი და ფრინველი არ იჭმება, მათში გარდაცვლილთა სულებია ჩასახლებულიო,— ასე სჯერათ. დაკრძალვის ცერემონიალზე, როგორც კი სუდარაში გახვეულ მიცვალებულს მიწას დააყრიან, ახლომდგომნი უკანმოუხედავად უნდა გაიქცნენ, რომ მათში მიცვალებულის „სული არ ჩასახლდეს".

მონღოლები დიდ პატივს სცემენ დედამიწას... ეროვნული ფეხსაცმლის ცხვირი ზევით არის აპრეხილი, შემთხვევით რომ არ შეეხოს მიწას... თევზის ჭერის რიტუალიც იქ განსხვავდება ჩვეულებრივი თევზაობისგან (თევზს საიმპორტოდ ამზადებენ): წყალში აგდებენ ცხვრის ტყავშემოხვეულ ბურთს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი მეთოდით 10-12 კგ თევზს იჭერენ.

მონღოლები სტუმართმოყვარენი არიან. სტუმარს არყით სავსე 3 ფიალას მიართმევენ ხოლმე — ღმერთის, მზის და მასპინძლის სადღეგრძელო უნდა შეისვას. ვაი მას, ვინც უარს იტყვის... სამიდან ერთ-ერთს ხომ არ აწყენინებს!..

ყველა საოცრებას ვინ ჩამოთვლის... აი, ერთი მათგანი: ჩვენი ბავშვებივით, ჩვილები „მატყუარას" კი არ წოვენ, არამედ ცხვრის ქონს ლოლნიან... მემანქანე შუა სტეპში გააჩერებს მატარებელს, რომელიმე იურტაში ჩაის დალევს და გზას განაგრძობს...

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №129*

# ოქროს ზოსტანში მოიპოვეთ

200 წლის წინ ფრანგმა ფიზიკოსმა, ვოკელანმა დაადგინა, რომ ქათმის კვერცხის ნაჭუჭი უმთავრესად კალციუმისგან შედგება. ნაჭუჭის „შესაქმნელად" ფრინველმა, ცხადია, შესაბამისი რაოდენობის კალციუმი უნდა მიიღოს. საგულისხმოა, რომ ქათამი გაცილებით მეტ კალციუმს იძლევა, ვიდრე იღებს.

მკვლევარებიც დაინტერესდნენ ამ ფაქტით და საცდელად დაიწყეს ქათმების მხოლოდ შვრიით გამოკვება. მრავალგზისი ცდის შედეგად დადგინდა, რომ კვერცხის ნაჭუჭში კალციუმი ოთხჯერ აღემატება მიღებულს. ისიც დადგინდა, რომ ქათამი კალციუმს ან თავად წარმოქმნის ან სხვა ელემენტებს გარდაქმნის. მსგავსი პროცესი ხდება მცენარეთა ქსოვილში.

პიერ ბერანჟეს ცდების შედეგად კალციუმის ხსნარში მოყვანილი მცენარის ქსოვილში ეს ელემენტი ფოსფორად და კალიუმად გარდაიქმნა.

მანგანუმის ხსნარით გაზრდილმა მცენარემ ცხადია, შეიწოვა ეს ელემენტი, მაგრამ მის ქსოვილებში იგი არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ, არავინ იცის, საიდან გაჩნდა ორგანიზმში რკინა.

გამოირკვა, რომ მცენარე ნამდვილი ალქიმიკოსია. იგი თავად ქმნის თავისთვის საჭირო ელემენტებს, მაგრამ როგორ, ეს მეცნიერებისთვის ჯერჯერობით გაუგებარია.

ინგლისელმა ეკოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ მცენარეები ეკოლოგიურად დაბინძურებულ ნიადაგზეც ხარობენ. ტყვიითა და თუთიით მოწამლულ ადგილზე ორქიდეის განსაკუთრებული ჯიში თავს მშვენივრად გრძნობს.



მსგავსი მაგალითი ბევრია.

მიუნხენის უნივერსიტეტის მეცნიერ-ბიოლოგებმა დაადგინეს, რომ მცენარე ახდენს მავნე ლითონების დეზაქტივიზაციას.

სხვათა შორის, ამგვარივე მოვლენა ხდება წვიმის ჭიის ორგანიზმშიც. თუკი ჭიის ქსოვილში შეაღწია ტოქსიკურმა ნივთიერებებმა, იგი უსათუოდ გარდაქმნის მას.

ზოგიერთ მცენარეში აღმოჩნდა ძვირფასი ლითონები — ოქრო და ვერცხლი. თუმცა, ისინი არც ნიადაგში იყო და არც მეზობლად მდგარი სხვა მცენარეების ქსოვილებში დაფიქსირდა. ცხადია, ეს მოვლენაც ელემენტთა გარდაქმნის შედეგია.

ასე რომ, კაცობრიობის წინაშე ახალი, მოულოდნელი ჰორიზონტი იშლება. ზოგი მეცნიერის ვარაუდით, ამ მცენარეებში ოქროს შემადგენლობის გაზრდა შესაძლებელია გენური ინჟინერიის მეშვეობით. თუ ეს მოხდა, მაშინ ძვირფასი ლითონების მოპოვების მეთოდი ტრადიციულზე ხელსაყრელი, იოლი და ეკოლოგიურად სუფთა გახდება.

*ტრუდ-7 №140*

# რას გვპირდება ახალი კალენდარი?

არაერთხელ გამართულა მსჯელობა ამჟამინდელი კალენდრის ყოფნას-არყოფნის თაობაზე. 1956 წელს გაეროში ამ თემაზე მიმდინარე დებატები შეწყვიტა გაეროს უშიშროების საბჭომ. 1962 წელს კვლავ დაისვა კალენდრის საკითხი სამეცნიერო ფორუმებზე. ვატიკანის მე-11 კონსილიუმმა ყოველგვარი კამათი აკრძალა ამჟამინდელი დროის ათვლის ირგვლივ.

კოსტა-რიკაში, საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებმა, კვლავ განიხილეს დროის ათვლის სისტემის რეფორმირების იდეა — წელიწადში 12 თვის ნაცვლად იყოს 13 და ყოველი თვე 30 დღისაგან შედგებოდეს. მთელი კონტინენტის ათასზე მეტი დელეგატი იხილავდა საუკუნის ბოლოს ისეთი კრიზისული მოვლენების მიზეზებს, როგორებიცაა ეთნიკური კონფლიქტები, ძალადობა და სიღარიბე, მომავლის უიმედობა და დაასკვნეს, რომ: ასწლეულის ბოლოს ყველა უბედურების მიზეზი დროის არასწორი ათვლააო. კათოლიკური ეკლესიის ინიციატივით მიღებული გრიგორიანული კალენდარი, რომლის მიხედვითაც ამჟამად ვცხოვრობთ, თურმე „ადამიანის ბუნებრივ ბიორიტმებს არ შეესატყვისება და ენერგეტიკულ დისბალანსსაც იწვევს. ეს კი, თავის მხრივ, უიმედობის და სასოწარკვეთილების გრძნობას ამძაფრებს, რომელიც მოულოდნელ გაბოროტებაში ვლინდება".

კოსტა-რიკის შეხვედრის მონაწილეთა აზრით, ამჟამინდელი კალენდარი არის ადამიანსა და ბუნებას შორის წონასწორობის დარღვევის მიზეზი; შესაბამისად, ამიტომ გვატყდება თავს ბოლო დროს ყველა უბედურება. ფორუმმა დეკლარაციაში აღნიშნა: „უკანასკნელი წლების მოვლენებმა დაგვიდასტურა, რომ კაცობრიობა უნდა დაუბრუნდეს თავის წარსულს, აიღოს ყველაფერი საუკეთესო და აღადგინოს დაკარგული კავშირი გარესამყაროსა (ბუნებასთან) და დაკარგულ ენერგეტიკასთან. ძველად წელიწადი 13 თვედ იყოფოდა (თითოეული 30 დღიანი), დედამიწის ირგვლივ მთვარის სრული ციკლური მოქცევის შესაბამისად. „ახალი კალენდრის მიღება კაცობრიობას სულიერ წონასწორობას, დადებით ენერგეტიკას და შემოქმედებით ძალას მოუტანს", — ამბობს მექსიკელი ანთროპოლოგი ხოსე არჯელიესი.

ფორუმის მონაწილეებმა თავიანთი დასკვნები გაუგზავნეს გაეროს გენერალურ მდივანს, კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელს და მაროკოს პოლიტიკურ ლიდერებს.

*მეხიკო-სთარი*

# გენიოსთა მემკვიდრენი...



მიურიელ ჰემინგუეი

მსოფლიო მიზიდულობის კანონის თანახმად, ვაშლი ვაშლის ხის ახლოს დავარდება. მაგრამ გამონაკლისი ყველგან და ყველაფერში არსებობს... წარმოიდგენდა ლონდონის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი სერ ნიუტონი, რომ 300 წლის შემდეგ, XX საუკუნის დასასრულს მისი ერთ-ერთი შთამომავალი — სექს-სიმბოლო გახდებოდა და თავს ფიზიკოსობით კი არ ირჩენდა, არამედ ფიზიკური მონაცემებით. ისააკ ნიუტონის შვილთაშვილს, 27 წლის მომხიბვლელი **ჯინა ლის** ფოტოები მსოფლიოს მრავალ ჟურნალს ამშვენებს. ჯინას არ უყვარდა ფიზიკა, სამაგიეროდ, მოსწონდა სათავგადასავლო ლიტერატურა, თანატოლებთან ჩხუბი. „იმდენი თაყვანისმცემელი მეხვია, რომ იძულებული ვიყავი, თავი დამეცვა", — იხსენებს ჯინა. იგი სრულიად ახალგაზრდა გაჰყვა ცოლად ვიდეოპროდიუსერ — გრეგ ფალმენს. 6 წლის შემდეგ ვაჟიშვილი — სპენსერი ეყოლათ. პატარას ისააკი იმიტომ არ დავარქვით, რომ არავინ იცის, რა გამოვა — პოპულარული მსახიობი თუ ცნობილი ფიზიკოსი. „მთავარია, სპენსერმა თავისი საქმე იპოვოს, იცოდეს სიცოცხლის სიყვარული და იუმორის გრძნობა არასოდეს დაკარგოს", — ამბობს ჯინა ლი.



კატარინა მარქსი

კანის უკანასკნელ ფესტივალზე მსახიობი **კატარინა მარქსი** წითელი კაბით მობრძანდა... განა მოდის გამო, წითელი საყვარელი ფერი იყო მისი პაპის პაპის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ფუძემდებლის — კარლ მარქსისა. მისი შემხედვარე ჟურნალისტები ხუმრობდნენ, — მზეთუნახავის დროშის ქვეშ ნამდვილად ადვილად გაერთიანდებოდნენ ყველა ქვეყნის პროლეტარებიო. მსახიობობა აირჩიეს პროფესიად დიდი ამერიკელი მწერლის, ერნესტ ჰემინგუეის შვილიშვილებმა **მარგომ და მიურიელმა**. სამწუხაროდ, მარგო უიღბლო გამოდგა — ორჯერ გათხოვდა, არც ერთი ქმარი არ გამოადგა, იმედგადაწურული — ალკოჰოლს მიეძალა... მელანქოლიას მაინც ვერაფერი უშველა და 41 წლისამ თავი მოიკლა... მიურიელს 15 წლიდან იღებენ კინოში; 18 წლისამ მაყურებელი მოხიბლა „მანჰეტენში" უბადლო თამაშით. იგი 30 ფილმშია გადაღებული, ჰყავს ორი ქალიშვილი, შინ და გარეთ მუხლჩაუხრელად შრომობს და არც სიცოცხლის ხალისი აკლია.



ჯინა ლი

*7 დღე №32*

# ძლიერთა ამა ქვეყნისა
## სამედიცინო საიდუმლო



ფრანსუა მიტერანი

ვიცით, რომ მკურნალები მტკიცედ იცავენ „ჰიპოკრატეს ფიცს" და მიამიტად გვჯერა, ჩვენი ჯანმრთელობის ინტიმური დეტალები არასდროს გახმაურდება. უბრალო მოკვდავთათვის ეს მართლაც ასეა, მაგრამ ცნობილი ადამიანების, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსების, ჯანმრთელობას ბევრი ცნობისმოყვარე ადევნებს თვალს.

ყოველ ექიმს თავისებურად ესმის „საექიმო საიდუმლო", ზოგს ძლიერ აქვს განვითარებული მოვალეობის გრძნობა, ზოგს კი სიხარბე სძლევს და სარფიანადაც იყენებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას.

საიდუმლო ცნობების გაყიდვის მოთავე გახლავთ პაპი პიუს XII-ის მკურნალი ექიმი მელეაცია-ლიზი. იგი ყველაფერს კადრულობდა ფულის გულისთვის. 1958 წელს, მომაკვდავ პაპს დახმარების მაგივრად ფოტოების გადაღება დაუწყო და მისი გარდაცვალებისთანავე ფოტონეგატივი დიდ თანხად გაყიდა.

სერ უინსთონ ჩერჩილის მკურნალი ექიმი ჩარლზ უინსონი უფრო წესიერი გამოდგა — თავისი დღიური გამოაქვეყნა ჩერჩილის სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ, რითაც, შესაძლოა, სიცოცხლე შეინარჩუნა, რადგან ხშირად ენაგრძელებს სიცოცხლეს უმოკლებენ... თურმე, ჩერჩილი ყოველდღიურად თითო ბოთლ ვისკის სვამდა, დეპრესიისგან იტანჯებოდა, რომლის დროსაც არასრულფასოვნების კომპლექსი ეუფლებოდა... საკუთარ თავს სტალინს ადარებდა.

მაო ძე დუნის პირველმა ექიმმა ლიმ, რომელიც აშშ-ში გადასახლდა, გამოსცა წიგნი „თავმჯდომარე მაოს პირადი ცხოვრება". თურმე, დიქტატორი საკმაოდ ბინძური ყოფილა, კბილებს არასდროს იხეხავდა, ტანს იშვიათად იბანდა და ვენერიული დაავადებაც ჰქონდა. მაოს ჯერ კიდევ 1960 წელს შეუწყვეტია სექსუალური ურთიერთობა თავის მეორე ცოლთან, მცირეწლოვანი გოგონების ჰარამხანა მოუწყვია და ბევრი მათგანი სამუდამოდ დაუავადებია.

თუ რამდენად საშიშია ასეთი პაციენტის დიაგნოზის გახმაურება, ნათლად გამოჩნდა ცნობილი რუსი ფსიქიატრის, ბეხტერევის მაგალითზე, როცა სრულიად ჯანმრთელი და ფიზიკურად ძლიერი, მოულოდნელად გარდაიცვალა სტალინის გასინჯვის შემდეგ. ფსიქიატრმა სტალინს დაუსვა დიაგნოზი: „პარანოია და შიზოფრენია"...

კრემლის დიქტატორს უკავშირდება მეორე ამბავი, რომელიც 1952 წელს მოხდა. პროფესორმა ვინოგრადოვმა სტალინს აცნობა მისი ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ და ურჩია, შეეწყვიტა ინტენსიური მუშაობა. ზედმეტად ეჭვიანმა სტალინმა იფიქრა, ალბათ ჩემთვის ძალაუფლების წართმევა უნდათო... სამი კვირის შემდეგ საბჭოთა მედიცინის ნალები ღალატისთვის დააპატიმრეს და შეიქმნა ცნობილი „ექიმთა საქმე". დახვრეტისგან ექიმები ბელადის სიკვდილმა გადაარჩინა...

ზოგჯერ ექიმები სდუმან არა მარტო საკუთარი სიცოცხლის დასაცავად, არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც. რა თქმა უნდა, ექიმებს არ გაუხმაურებიათ ის ფაქტი, რომ 1920 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა პოლ დეშანელმა ხეებზე ძრომიალი დაიწყო და ყველას თვალწინ გაქანებული მატარებლიდან გადმოხტა. მაგრამ ხალხმა მაინც გაიგო, რომ ქვეყანას გიჟი მართავდა...

ფრანსუა მიტერანის პირადი ექიმი მის სიცოცხლეში დუმდა, მაგრამ პრეზიდენტის სიკვდილისთანავე თქვა, — მიტერანს კიბო ჰქონდა ჯერ კიდევ პრეზიდენტად არჩევამდეო.

პოლიტიკოსების ჯანმრთელობა მხოლოდ მათი კაპიტალი როდია. ინფორმაციის გამოქვეყნებით შეიძლება დიდი ფულის შოვნა. ექიმებიც ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან, ხშირად ვერ უძლებენ ცდუნებას და სწორედ მაშინ ხდება ცნობილი ის, რასაც ადრე განსაკუთრებული საიდუმლო ერქვა.

*ვერსია №25*

# XX საუკუნის მთავარი მოვლენები
## ამერიკელთა აზრით



1. აშშ-ის მიერ ჰიროსიმისა და ნაგასაკის დაბომბვა ატომური ბომბებით, II მსოფლიო ომის (1945) დროს იაპონიის კაპიტულაცია.
2. მთვარეზე (1969) პირველი ადამიანის (ამერიკელი ნეილ არმსტრონგი) გავლა.
3. იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე. აშშ-ის ჩართვა მსოფლიო ომში (1941).
4. ვილბერ და ორველ რაითების გაფრენა პირველად ძრავიანი თვითმფრინავით (1903).
5. ამერიკელ ქალთა მიერ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღება (1920).
6. აშშ პრეზიდენტის ჯონ კენედის მკვლელობა დალასში (1963).
7. მსოფლიომ შეიტყო ნაცისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ (1945).
8. ევროპაში დაიწყო I მსოფლიო ომი (1914).
9. ამერიკის საფონდო ბაზრის კრახი. უდიდესი დეპრესიის დასაწყისი (1929).

*ვოკრუგ სვეტა №3*

# ქეთრინ ზეტა-ჯონსი: „მე არ ვიქნები „დესერტი"



ანტონიო ბანდერასისა და შონ კონერის პარტნიორ ქალს ფილმებში — „ზოროს ნიღაბი" და „მახე", ინგლისელ მსახიობს ქეთრინ ზეტა-ჯონსს რამდენიმე წლის წინ არავინ იცნობდა. ზეტა-ჯონსი ამ ორი ფილმის შემდეგ იმ კატეგორიის მსახიობთა ჯგუფში შევიდა, რომელსაც განეკუთვნებიან ჯულია რობერტსი, ჯოდი ფოსტერი და სხვ. დადის ხმები, რომ მაიკლ დუგლასთან ხანმოკლე კავშირმა დიდი როლი ითამაშა მსახიობის წარმატებაში.

**— ქეთრინ, ისეთ სექს-სიმბოლოებთან მუშაობამ, როგორებიც არიან ბანდერასი და კონერი, თავბრუ არ დაგახვიათ?**

— მთელი ძალით ვუწევდი წინააღმდეგობას საკუთარ თავს. მათ ტყუილად არ მიიჩნევენ სექს-სიმბოლოებად. ეკრანსა და ცხოვრებაში ისეთი ანდამატი აქვთ, რომ...

**— რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?**

— ანტონიო ქარიშხალივით არის, რომელსაც ხანდახან ვერ აჰყვები. ის დიდი ბავშვია.

**— გადაღებების დროს გქონდათ ახლო ურთიერთობა?**

— რას ბრძანებთ, ანტონიოს თავდავიწყებით უყვარს მელანი.

**— შონ კონერის ასაკი ხელს არ გიშლიდათ მასთან ურთიერთობისას?**

— შონი ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო, თავაზიანი და ყურადღებიანი ადამიანია, ვისაც მე ვიცნობ. თანაც დიდი პროფესიონალი გახლავთ, ნამდვილი ჯენტლმენია და იუმორის დიდი გრძნობა აქვს.

**— და ამდენ რამეს გაუძელით, არ შეგიყვარდათ?**

— ცოტათი. იმდენად, რამდენიც მჭირდებოდა ფილმისთვის. მეც ხომ პროფესიონალი ვარ.

**— არ გაშინებთ ასეთი მოულოდნელი წარმატება?**

— უკვე 10 წელია, მსახიობი ვარ. შეუძლებელია იმის აღწერა, რაც განმიცდია. ყველაფერს ჩემი შრომით მივაღწიე.

**— წარმატებამ შეცვალა თქვენი ცხოვრება?**

— მთლიანად. ახლა ყველაფერი სულ სხვა სიჩქარით მიდის...

**— ერთ-ერთმა პოპულარულმა ჟურნალმა „სექს-სიმბოლოდ" დაგასახელათ. როგორ უდგებით ამ საკითხს?**

— მე არ ვაპირებ ვიყო არც „სექს- საგანი" და არც „დესერტი". ასეთი წარმატება ხანმოკლეა, მე კი ხანგრძლივი კარიერისთვის ვიბრძვი.

**— ფილმებში დუბლიორის გარეშე ბევრ ქორეოგრაფიულ და სპორტულ ნომერს ასრულებთ. ამაყობთ?**

— ყველაზე მეტად იმით ვამაყობ, რომ ფესტივალის წითელ ხალიჩაზე ისე ავედი, არ მოვიტეხე ქუსლი, არ გავიხლართე კაბაში და არ დავეცი მღელვარებისგან. ეს ის საოცარი წამია, რაზეც დიდი ხანია ვოცნებობდი!!!

*მირ ნოვოსტეი №137*

# თუ ჰოლივუდის ვარსკვლავი გყავთ სტუმრად



თუ ბედმა გაგიღიმათ და ჰოლივუდის ვარსკვლავი გესტუმრათ, ძალიან ნუ გაიხარებთ, ვინაიდან ყველა ცნობილმა მსახიობმა როდი იცის სუფრასთან მოქცევის წესები. ვარსკვლავებს შორის არიან ჭირვეულები, ხულიგნები და, უბრალოდ, ფსიქიკურად დაავადებულები.

**რობერტ დე ნირო** ძალიან მორცხვია. ძნელია ლხინის დროს მისგან თუნდაც ერთი სიტყვის ამოქაჩვა. **კიანუ რივზი** კი პირიქით, ქაქანაა და საზოგადოებას თავს აბეზრებს თავისი ბიოგრაფიის გაცნობით. ვარსკვლავს ერთი ძალზე უარყოფითი თვისებაც აქვს — ნასადილევს ბოყინს იწყებს, სულაც არ ერიდება გარშემო მყოფთ.

თუ **კიმ ბეისინჯერი** ან **ალისია სილვერსთოუნი** გყავთ სტუმრად, გაითვალისწინეთ, რომ ვეგეტარიანული კერძები უნდა მოამზადოთ. ალისია კომბოსტოს სალათის მირთმევის შემდეგ თავის საყვარელ ოთხფეხა მეგობარზე საუბრობს გაუთავებლად.

**ლეონარდო დი კაპრიო** უხვად აფრქვევს უაზრო ანეკდოტებს. თანაც, თუ ლეონარდოს მიიპატიჟებთ, აუცილებლად დაგჭირდებათ მეზობლებისგან სკამების თხოვება, ვინაიდან მსახიობი სულ ცოტა, ათი მეგობრის გარეშე არ დადის სტუმრად.

ჰოლივუდის ვეტერანი **ლორინ ბაქლი** არ მიუჯდება სუფრას, თუ მისი დანაოჭებული სახე შესაფერისად არ იქნა განათებული. ე.ი. მანამ ამ მანდილოსანს დაპატიჟებთ, ჯერ ელექტრიკოსები მიიწვიეთ ოჯახში განათების დასამონტაჟებლად.

განუმეორებელი სტუმარია **რობერტ რედფორდი**. ის აჯადოებს მეინახეთ მომხიბვლელობითა და ენაწყლიანობით. მსახიობის ერთადერთი ნაკლია ის, რომ სტუმრად მისვლას ყოველთვის 2 საათით აგვიანებს.

**ჯონ ტრავოლტა** ნებისმიერი კომპანიის სული და გულია, თანაც საოცარი გურმანია.

სასურველი სტუმრები არიან, აგრეთვე, რეჟისორები: **სტივენ სპილბერგი** და **რობერტ ზემეკისი**. ორივე შესანიშნავი მოსაუბრეა, მაგრამ ნუ დასვამთ ერთმანეთის გვერდით. ორივეს საყვარელი თემაა (თუ ერთად მოხვდნენ სუფრასთან) კომპიუტერის როლი ფილმის გადაღებისას.

*პოსლედნიე ნოვოსტი №30*

# სიგურნი უივერს ლიფტის ეშინია



მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლისთვის სიგურნი უივერი უპირველესად მამაცი ლეიტენანტი რიპლია, რომელიც ებრძვის უცხოპლანეტელ ურჩხულებს და ამარცხებს კიდეც მათ.

უივერის მამა ამერიკული ტელეკომპანია ენ-ბი-სის პრეზიდენტია. დედა — მსახიობი. ისე რომ, სიგურნის არჩევანი ოჯახმა განაპირობა და სკოლის შემდეგ დრამატული ხელოვნების პრესტიჟული კოლეჯის სტუდენტი გახდა. მისი მეგობრები იყვნენ მომავალი მსახიობები: პოლ ნიუმენი, ჩარლზ დატონი და მერილ სტრიპი.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ნიუიორკის თეატრებში მუშაობდა. მიიწვიეს ფილმში „უცხო", რომელმაც პოპულარული გახადა. სუპერქალმა — ლეიტენანტმა რიპლიმ ალაფრთოვანა მაყურებელი. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, წინადადებას წინადადება მოჰყვა. 1988 წელს ეკრანებზე გამოდის მისი ორი ფილმი „საქმიანი ქალიშვილი" და „გორილები ნისლში". სიგურნი ამ ფილმებით „ოსკარზე" წარადგინეს. სხვათა შორის, სურათში „გორილები ნისლში" ბევრ ცნობილ მსახიობს უნდოდა თამაში, მაგრამ ვერავინ გაბედა ნამდვილ გორილასთან შეხვედრა. სიგურნის კი არაფრის შეშინებია. გორილასთან მალე გამონახა საერთო. მესამე ფილმში რიპლი იღუპება, მაგრამ უივერს სულაც არ სწყენია, რადგან ცოტა არ იყოს, მობეზრდა გაუთავებელი ომი უცხოპლანეტელ ურჩხულებთან, მაგრამ როცა ჯ. უიდენის სცენარი წაიკითხა, მოეწონა და ისევ გადასაღებ მოედანზე აღმოჩნდა.

ჰოლივუდის ბევრი ვარსკვლავისგან განსხვავებით, სიგურნის მტკიცე ოჯახი აქვს. მისი ქმარი ბროდვეის ერთ-ერთი თეატრის დირექტორია. მათ ერთი გოგონა ჰყავთ. „როცა ჯიმი სიმფსონს — თეატრის რიგით დირექტორს გავყევი, ბევრს გაუკვირდა, რადგან ჩემს თაყვანისმცემელთა შორის დიდი შოუმენები, დიდი საქმოსნებიც იყვნენ, მაგრამ ჯიმი ამქვეყნად საუკეთესო ადამიანია და მას ვერავისზე გავცვლი", — ამბობს სიგურნი.

*კალეიდოსკოპი №34*

# ბრედ პიტი პოპულარობის მძევალი



ჰოლივუდის სექს-სიმბოლო, მილიონობით მაყურებლის კერპი, ბრედ პიტი ვერ იტანს საკუთარ სუპერ-პოპულარობას. გაუთავებლად სასამართლოში უჩივის პრესას, რომელიც რაღაც არ წერს მასზე, საკუთარი სახლს მავთულხლართები შემოარტყა თაყვანისმცემლებისაგან თავის დასაცავად. მისი აუხდენელი ოცნებაა, რომ როგორმე ყველამ თავი დაანებოს.

ბრედ პიტი პირველად დიდ ეკრანზე სულ 15 წუთს იყო ფილმში „ტელმა და ლუიზა", მაგრამ მაყურებელმა კარგად დაიხსომა მშვენიერი გარეგნობის ჭაბუკი. შეიძლება ითქვას, რომ მისი პოპულარობა ეკრანზე გამოჩენისთანავე დაიწყო და მას შემდეგ როლები არ მოჰკლებია. პიტმა მალე იგრძნო, რომ ვარსკვლავის ტიტული არც თუ იოლი სატარებელია — გაუთავებელი ინტერვიუები, თაყვანისმცემლების მომაბეზრებელი ყურადღება... მისი ცხოვრების ყოველი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო დეტალი მაშინვე პრესის ფურცლებზე ხვდებოდა. ბრედმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

მსახიობ გვინეთ პელთროუ ფილმის „შვიდის" გადაღებებზე გაიცნო და მაშინვე შეუყვარდა: დახვეწილი, განათლებული გვინეთი პიტს არამიწიერ არსებად ეჩვენებოდა, ქალიშვილს ანგელოზს ეძახდა: პელთროუმ მსახიობის კარიერის მიტოვებაც კი გადაწყვიტა, რომ ბრედისთვის შვილები გაეჩინა. ქალის მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ. პიტი გაუთლელი, უნიგნური და მეტისმეტად ცნობილია იმისათვის, რომ ჩვენი ქალიშვილის ქმარი გახდესო. ბევრს ეცადა გვინეთი, კარგი მანერები ესწავლებინა, გამოფენებსა და მუზეუმებში ეტარებინა, მაგრამ ამაოდ. ნელნელა გვინეთიც მიხვდა, რომ ბრედი მისი ტოლი არ იყო. არ მოსწონდა, რომ პიტს მთელი დღე სპორტული პიჟამა ეცვა, სვამდა ლუდს, გაუთავებლად მისჩერებოდა ტელევიზორს, არხების გადართვაც კი ეზარებოდა, რომ რაიმე უფრო საინტერესო მოეძებნა. ამ პერიოდში პიტი მიიწვიეს ფილმში „7 წელი ტიბეტში" სათამაშოდ. ისინი ცოტა ხნით დაშორდნენ. ლოს-ანჯელესში დაბრუნებული ბრედ პიტი პირველ რიგში გვინეთთან გაქანდა, არგენტინაში ნაყიდი საქორწინო ბეჭედი მიართვა, მაგრამ ქალმა ცივად მიიღო, — მიახვედრა — ქორწინებაზე ლაპარაკი არ ღირსო.

გვინეთთან დაშორებამ მძიმე დაღი დაასვა ბრედს. ერთი ხანობა გადაღებებზეც უარს ამბობდა, ან ისეთ როლებს ირჩევდა, რომლებიც სულ არ შეეფერებოდა მის ბუნებას, გარეგნობას. არავინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა მისი ცხოვრების ულიმღამო პერიოდი, რომ მსახიობ ჯენიფერ ენისთონს არ შეხვედროდა. პიტს ძალიან ეშინია მისი დაკარგვის. ჯენიფერი არ ცდილობს მის აღზრდას. თუკი ბრედს მოსწონს შინ სპორტულ პიჟამაში ყოფნა, იყოს, მერე რა უჭირსო. მის ახირებებს აინუნშიაც არ აგდებს. ამას წინათ ბრედმა გამოუცხადა — ჩემი ცხოვრების მიზანი მსახიობობა კი არა, მუსიკის შეთხზვააო, თუმცა მისი დაწერილი მუსიკა არავის მოუსმენია.

ახალი სახლი ჯენიფერმა და ბრედმა ერთად შეიძინეს, სადაც უზარმაზარი ოთახი დაეთმო ველოსიპედების კოლექციას, თუმცა არც ველოსიპედზე დამჯდარი უნახავს ბრედი ვინმეს.

*7 დღე №33*

# როგორ გახდა ნატალი

## „ვარსკვლავთ ომების" დედოფალი



„ვარსკვლავთ ომების" ახალ სერიაში ნატალი პორტმანმა ორი როლი შეასრულა: დედოფალ ამიდალის და პრინცესა პამდესი. ამერიკაში, სადაც ფილმი მაისში ნახეს, ახლაც დიდი ბუმია, მარტო ფილმზე კი არა, სარეკლამო რგოლებზეც კი ბილეთები ელვის სისწრაფით იყიდება. ამერიკის სახლების თაროები და კარადები ველარ იტევენ თოჯინებს, რომლებიც ფილმის გმირებს განასახიერებენ. რეჟისორ ლუკასს თავიდან უცნობი მსახიობების აყვანა უნდოდა, ნატალი პორტმანზე არც უფიქრია, რადგან იგი უკვე ძალიან პოპულარული იყო, მაგრამ ნატალის ხიბლს მაინც ვერ გაუძლო და „ვარსკვლავთ ომებში" გადაიღო. ჰოლივუდში პრემიერას ნატალი არ დასწრებია, რადგან სკოლის გამოსაშვები გამოცდებისათვის ემზადებოდა.

3 წლის იყო ნატალი, როცა პორტმანების ოჯახი ისრაელიდან ამერიკაში გადავიდა. მამა ექიმი ჰყავს, დედა კი პროფესიით მხატვარი, დიასახლისია. პატარა ნატალი დედამ ცეკვაზეც მიაბარა, ვიოლინოზე დაკვრის სწავლაც დააწყებინა, მაგრამ გოგონამ სულ პატარაობიდანვე მტკიცედ იცოდა, რომ მსახიობი გახდებოდა.

...ახალგაზრდა, მსოფლიო კინემატოგრაფიისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ლუკ ბესონი სასოწარკვეთილი ფიქრობდა, რომ 2 ათასზე მეტ პრეტენდენტში, არავინაა ვინც მატილდას როლის თამაშს შეძლებს მის ფილმში „ლეონი". ლუკას უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, როცა ეკრანზე თვალი მოჰკრა კოსმეტიკური ფირმა „რევლონისათვის" გადაღებულ რგოლს, რომელშიც ნატალი მონაწილეობდა. ლუკ ბესონი მეორე დღეს უკვე ამერიკაში მიფრინავდა. 12 წლის ნატალიმ რეჟისორს განუცხადა — თანახმა ვარ, მაგრამ ტანზე არ გავიხდი. ეს საერთოდ არ სჭირდება ჩემი გმირის სახის და ფილმის გახსნასო. ბესონი ცდილობდა თავისი რეჟისორული „მე" დაეცვა — გაბრაზებით ეკითხებოდა ნატალის გადასაღებ მოედანზე — შენ რა იცი, რა სჭირდება ფილმსო? პორტმანი იქით უტევდა — თქვენ რაღა იცით, რას გრძნობენ ჩემი ასაკის გოგონები, როცა რაღაცას მაძალებთო? ამას ყველაფერს შედეგად ის მოჰყვა, რომ ბესონმა გადამღებ ჯგუფს გამოუცხადა — ვფიქრობ, ეროტიკული სცენები არ შეესაბამება მატილდას სახეს და მთლიანად ფილმსაცო...

ნატალის დედასაც, რომელიც ესწრებოდა გადაღებებს, თავისი კორექტივები შეჰქონდა სცენარში. მან კატეგორიულად აუკრძალა ქალიშვილს სისხლიან სცენებში მონაწილეობა (სცენარის თავდაპირველ ვარიანტში თავად მატილდასაც უნდა მოეკლა რამდენიმე ადამიანი). ბესონი ყალყზე შედგა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მას კარგად ესმოდა, რომ თუ იქნება ნატალი, იქნება ფილმიც, ე.ი. მსოფლიო წარმატებაც.

15 წლის ნატალი პორტმანი პლანეტის ყველაზე ლამაზ გოგონად იქცა. „ვარსკვლავთ ომებში" მას ფანტასტიკური სამოსი აცვია. დიზაინერები და ბუტაფორები მრავალ თვეს მუშაობდნენ ტანსაცმლის შესაქმნელად. ფილმის გადაღების დამთავრების შემდეგ რეჟისორმა ნატალის შესთავაზა — კოსტიუმი შინ წაიღე, სახსოვრად გქონდესო. ნატალის, ისე როგორც ყველა ქალს, ძალიან უყვარს ტანსაცმელი, მაგრამ დედამ ნება არ მისცა. ეს კაბები ათიათასობით დოლარი დაჯდა, ქურდები თავს დაგვესხმიანო და ნატალიც დაემორჩილა.

სცენარებს, რომლებსაც პორტმანს უგზავნიან, თავდაპირველად მისი მშობლები კითხულობენ, მათ დიდ უმეტესობას ნაგვის ყუთში ყრიან. დედამისი ესწრება რეპეტიციებს და გადაღებებს. მშობლებს მიაჩნიათ, რომ ფილმები ნატალის მონაწილეობით ზნეობრივი უნდა იყოს. შეთავაზებულ წინადადებებზე უარი კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს ახალგაზრდა მსახიობისადმი. „ლოლიტაზე" ნატალიმ კატეგორიული უარი თქვა, არც ჯულიეტას თამაში ინდომა იმ მოსაზრებით, რომ მისი პარტნიორი მასზე 7 წლით უფროსია. პარტნიორი კი ლეონარდო დი კაპრიო გახლდათ.

ამჟამად ნატალი საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტზე სწავლობს. გოგონამ ჯერ კიდევ სკოლაში დაიწყო ფრანგულისა და იაპონურის შესწავლა. იგი ელჩობაზე ოცნებობს. მსოფლიო კინოს ვარსკვლავი ნატალი პორტმანი ამბობს, რომ სურს თავის მამასავით სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს, კინო კი მხოლოდ ჰობია მისთვის.

*7 დღე №3*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თაფლი კუჭის წყლულის წამალია



თაფლი რომ უხვად შეიცავს სხვადასხვაგვარ მინერალს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინს, ჰორმონებს, ფერმენტებს, ანტიბიოტიკებს და მრავალ ავადმყოფობას კურნავს, საყოველთაოდ ცნობილია. თაფლი მეტად უსიამოვნო დაავადების — გაციების ჩინებული მკურნალიცაა. ძალიან უხდება ხველას, ოფლმდენია და ადვილად ერევა ინფექციას. ჩვეულებრივ, თაფლს რძესთან ერთად იღებენ, მაგრამ არის უფრო ეფექტური საშუალებაც — თუ გაციებული ხართ ან დაღლილობა მოგეძალათ, დილაობით 100 გრ თაფლი მიირთვით ერთი ლიმონის წვენთან ერთად. თაფლს ღვიძლის დაავადების დროსაც მოაქვს სარგებლობა. ღვიძლი ხომ ფილტრია, რომელიც ბაქტერიულ შხამებს აუვნებლებს. თაფლი კი ორგანიზმს ინფექციებისგან წმენდს და ღვიძლსაც უმსუბუქებს მუშაობას.

განსაკუთრებით მარგებელია კუჭის წყლულის მკურნალობა თაფლით. იგი დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის გააქტიურებასთან. გარდა ამისა, თაფლი ხელს უწყობს შეხორცების პროცესს — სწრაფად მოქმედი, ბუნებრივი კომპონენტები აძლიერებენ სისხლისა და ლიმფის მიწოდებას მტკივან ადგილას.

გარეგანი ჭრილობების სამკურნალოდ კი მეტად ეფექტურია თაფლისა და თევზის ქონის ნარევის კომპრესები, პროპორციით 1:2-თან.

ასე რომ, ნუ დაიზარებთ, იმკურნალეთ ამ საოცარი პროდუქტით, რომელსაც ასე უხვად გვაწვდის დედაბუნება.

*ოტდოხნი №34*

# ნუ დაეწაფებით საძილე საშუალებებს



როგორც მეცნიერები გვამცნობენ, თითოეულ ადამიანს აქვს ძილის ინდივიდუალური თვისება — რიტმი, ხანგრძლივობა, სიღრმე. ნებისმიერი გადახრა ბუნების მიერ მხოლოდ თქვენთვის დაპროგრამებულ ძილის პროგრამაში უსიამოვნო შედეგს იძლევა.

ძილი რამდენიმე ციკლისგან შედგება, თითოეული მათგანი ძილის მთელ პროცესში თავის ფუნქციას ასრულებს. პირველი და მეორე სტადია — მოსამზადებელია, მესამე და მეოთხე — ღრმა ძილს გულისხმობს. სწორედ ამ დროს ხდება ძალების აღდგენის და სხვადასხვა სნეულებათა განკურნება. გამომუშავდება ზრდის ჰორმონი, აღსანიშნავია, რომ ბავშვები, რომლებსაც ცუდად სძინავთ, ძნელად იზრდებიან სიმაღლეში. მეხუთე სტადია ორგანიზმის ფსიქიკურ წონასწორობას უზრუნველყოფს, აგრეთვე ხელს უწყობს იმის დახსომებას, რაც დღის განმავლობაში ისწავლეთ ან გაიგეთ.

ჩვენს ცივილიზებულ და აფორიაქებულ სამყაროში, ძილის, ანუ უძილობის პრობლემა დღითი დღე მწვავდება. ეს კი დაკავშირებულია სტრესებთან, დღის რეჟიმის დარღვევასა, გულსისხლძარღვთა თუ რესპირატორულ დაავადებებთან და, რა თქმა უნდა, ალკოჰოლის, თამბაქოს, ყავისა და აბების მოყვარულობასთან.

გირჩევთ, ძილის წინ ნუ ჩააქრობთ შუქს, სანამ თვალი არ დაგეხუჭებათ, ნუ შეებრძოლებით ძილს — დაემორჩილეთ. შეძლებისდაგვარად, ერთსა და იმავე დროს დაიძინეთ, ძილის წინ გაანიავეთ ოთახი, ეცადეთ თბილ ოთახში არ დაიძინოთ. ვახშამი მსუბუქი უნდა იყოს, ძილის წინ მარგებელია მწვანე სალათის ფოთლების ჭამა — იგი ძილის მომგვრელია. ნუ მოტყუვდებით, ალკოჰოლი არ არის ძილის წამალი. თავდაპირველად შეიძლება სწრაფად დაგაძინოთ, მაგრამ გვიან ღამით აუცილებლად შეგაწუხებთ. გაითვალისწინეთ — ძილის წამლების არასწორი მიღებაც შეიძლება უძილობის მიზეზად გექცეთ.

*ლიზა №33*

# რას მოგვითხრობს ჰიპოკრატეს ფიცი?

ცნობილ ძველბერძენ ექიმს ჰიპოკრატეს, რომელიც ქრისტეშობამდე 377 წელს გარდაიცვალა, სინამდვილეში არანაირი ფიცი არ დაუდევია. ეს ჰიპოკრატეს მოგვიანებით მიაწერეს — ავტორიტეტისთვის. ექიმის ფიცის თანამედროვე ვერსია პირველად 1848 წელს გამოქვეყნდა ჟენევაში. ექიმის საიდუმლოს დაცვის ცნობილი პასაჟის გარდა „ფიცში" არის სტრიქონები, რომლებშიც ექიმთა კორპორაციული ინტერესი უფრო გამოსჭვივის, ვიდრე პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვა: „ჩემს საექიმო ცოდნას გადავცემ მხოლოდ საკუთარ ვაჟიშვილებს, ჩემი მასწავლებლების შვილებსა და ოფიციალურად რეგისტრირებულ სტუდენტებს, სხვას არავის".

უძველესი „ფიცის" სხვა ვარიანტებში ნათქვამია, რომ ექიმი ვალდებულია, მოემსახუროს კოლეგებსა და მათ ოჯახებს უსასყიდლოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი პროფესია სპეციალისტების შეთქმულებაა ბრიყვების წინააღმდეგ.

*მედიცინა №2*

# შაკიკი



შაკიკი მძიმე დაავადებაა. მას ახასიათებს თავის ნახევარი მხარის მწვავე ტკივილი. ტკივილი შეიძლება რამდენიმე დღე-ღამე გაგრძელდეს.

იგი, უმეტესწილად, ქალებს ემართებათ, შაკიკის გამომწვევი ფაქტორი სხვადასხვა შეიძლება იყოს — ძლიერი სინათლე, ციტრუსები, შოკოლადი, ზოგიერთი ხარისხის ყველი, წითელი ღვინო, ანტიბიოტიკები, ნერვიული განცდები, ზოგჯერ იგი მენსტრუალურ ციკლს უკავშირდება.

ამ ბოლო ხანებში გამოჩნდა მკურნალობის ახალი საშუალება — ტრიპტანები. მათ შორის ძალზე ეფექტურია იმიტრექსი. მისი მიღებიდან 20 წუთის გასვლის შემდეგ აუტანელი ტკივილი ყუჩდება. კარგია, აგრეთვე, ასპირინი, ერგოტამინი და სხვ.

*პოსლედნიე ნოვოსტი №32*

# სიცხეში გოგონები არ იბადებიან

გაისად ევროპის სამშობიაროებში პრაქტიკულად მხოლოდ ვაჟები დაიბადებიან. ამ დასკვნამდე მივიდა გერმანელი ექიმი ალექსანდრ ლერჩლი, რომელიც ადარებდა სხვადასხვა სქესის პაწიების რაოდენობას მათი ჩასახვისას არსებულ ტემპერატურას.

აღმოჩნდა, რომ ვაჟების ქრომოსომებს სითბო უფრო სიამოვნებთ, ხოლო გოგონებისას — სიცივე. ამ მოვლენის ახსნა ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ შედეგის სიზუსტეში ეჭვს ვერ შევიტანთ, ვინაიდან ექიმი ლერჩლი ამ ტენდენციას 40 წლის მანძილზე აკვირდებოდა.

*ნიუზუიქ, 26 აგვისტო*

# მკურნალი გოგრა

მექსიკაში გოგრას ჩვენს წელთაღრიცხვამდე კარგად იცნობდნენ. მას მიირთმევდნენ ძველ ეგვიპტეშიც. ასი წლის წინ გოგრის თესლს მუცლის ჭიების საწინააღმდეგოდ იყენებდნენ. მაშინდელმა ექიმებმა არ იცოდნენ, რომ რბილობსაც სამკურნალო თვისებები ჰქონდა. მასში არის მნიშვნელოვანი მიკროელემენტები, ვიტამინები და განსაკუთრებით K ვიტამინი, რომელიც საერთოდ არ არის არც ერთ ბოსტნეულსა და ხილში. მასში დიდი რაოდენობით პექტინია, რომელიც ნაწლავების მოქმედებას უწყობს ხელს. გოგრის თესლი კი შეიცავს დიდი რაოდენობით ამინომჟავას და ვიტამინ E-ს, რაც ნაადრევ სიბერეს აგვაცილებს და სქესობრივი ჯირკვლების მასტიმულირებელ ფუნქციას ასრულებს. ეფექტურია საჭმლის მომნელებელი ორგანოების მკურნალობისას.

ანთების და ღვიძლის ციროზის, ქრონიკული ჰეპატიტის და ღვიძლის შეშუპებისას ავადმყოფს უნიშნავენ ბრინჯისა და გოგრის ფაფებს. კოლიტის, გულისრევისას უებარია 0,5 ჭიქა გოგრის წვენის მიღება.

გარდა ამისა, წვენს და რბილობს კარიესის პროფილაქტიკისათვის იყენებენ. პიელონეფრიტის, მწვავე და ქრონიკული ცისტიტის, დიაბეტის და ნიკრისის ქარის დროს გოგრის ფაფებს უნიშნავენ, იგი კარგი შარდმდენი საშუალებაცაა.

თირკმლების და შარდის ბუშტის დაავადებებისას გოგრის და კანაფის თესლისაგან ამზადებენ სამკურნალო „რძეს": თითო-თითო ჭიქა თესლს ნაყავენ ფაიფურის როდინში და თანდათანობით უმატებენ 3 ჭიქა ადუღებულ წყალს, შემდეგ ფილტრავენ, ჩეჩნოს წურავენ. მიღებულ „რძეს" იღებენ მთელი დღის განმავლობაში. ეს საშუალება უებარია სისხლიანი შარდის ან შარდის სპაზმური შეკავებისას.

შარდის ბუშტის კუნთების გასამაგრებლად კარგია, დღეში 2-3 სუფრის კოვზი გარჩეული გოგრის თესლი. ის კარგია პროსტატის დროსაც.

დაბალი კალორიულობის წყალობით, გოგრა დიეტურიცაა. მისი უმი რბილობის წვენი გაციებისას ხველას და ტუბერკულოზსაც შველის. გოგრის ფაფა კი ბრონქიტის დროს ტემპერატურას აქვეითებს. რბილობის უმ ფაფას იდებენ დამწვარ, ეგზემიან, გამონაყრებიან ადგილებზე. იგი კარგი საშუალებაა ძირმაგარების და ჩირქოვანი მუწუკების მოსამწიფებლად. ადამიანებს, რომელთაც მთელი დღე ფეხზე დგომა უწევთ, შეუძლიათ ტერფების ტკივილების დასაამებლად გოგრის ფაფა დაიდონ.

უძილობას შველის თაფლიანი 1/3 ჭიქა გოგრის წვენი.

*პრიროდა*

# დიდება ბოსტნეულს!



ზაფხული მიიწურა, მაგრამ ხილი და ბოსტნეული კიდევ კარგა ხანს გაახარებს ჩვენს თვალსა და გულს. სწორედ ახლა გვაქვს შესაძლებლობა, შევავსოთ ვიტამინებისა და მიკროელემენტების მარაგი და გრძელი ზამთრისთვის მოვემზადოთ. რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მოიხმარეთ: ოხრახუში, ნიახური, კამა, სალათის ფოთლები. მარტო ნიახურში ოცზე მეტი მიკროელემენტი შედის. ნუ დაივიწყებთ, ორგანიზმს შესწევს ძალა, ზოგიერთი ვიტამინი 1-2 წლის სამყოფიც კი დააგროვოს. ასეთია, მაგალითად, ორგანიზმისთვის მეტად საჭირო ბეტა-კაროტინი (ვიტამინი A), რომელიც ათეროსკლეროზული ბალთების წარმოქმნას უშლის ხელს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბეტა-კაროტინი გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკაა და ნივთიერებათა ცვლისა და ქსოვილის აღდგენის ფუნქციასაც ითავსებს. ეს ვიტამინი მწვანილსა და წითელ-ყვითელ ბოსტნეულსა და ხილშია თავმოყრილი — წითელ წიწაკასა და სტაფილოში, ფორთოხალში, ქოლოსა და ალუბალში. კენკროვანებში მარწყვი გამოირჩევა — მასში შემავალი ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობა უნიკალურია. მარწყვი, ნებისმიერი სახით — „ცოცხალი" წვენი თუ მურაბა — კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ორგანიზმზე და წარმოიდგინეთ, ონკოლოგიურ დაავადებათა წარმოქმნასაც კი უშლის ხელს. ძალზე სასარგებლოა „მწვანე" წვნიანი, რომელშიც უხვად იხმარება ჭარხლის ფოჩი, ბოლოკი, სტაფილო. განსაკუთრებით სასარგებლოა ჭარხლის ფოჩი — მასში მეტია ვიტამინი, ვიდრე თავად ბოლქვში. ასევე მდიდარია ბოსტნეულის მარინადი. მაგალითად, კიტრი. გვერდს ვერ ავუვლით ბურახსაც. მხედველობაში პურის ბურახი გვაქვს, რომელიც ძალზე ჯანსაღი და გემრიელი ალტერნატივაა მაღაზიის დახლებზე ჩამწკრივებულ „პეპსის", „ფანტას" თუ სხვა გაზიანი სასმელებისა, რომლებიც როგორც წესი, შეიცავენ ათასგვარ დანამატს და სალებავს. ამის თაობაზე მხოლოდ ჩვენში როდი ლაპარაკობენ. ამერიკის ჯანსაღი კვების აკადემიაც გვაფრთხილებს, ფრთხილად ვიყოთ ამ მეტად პოპულარული გამაგრილებელი სასმელების მიღებისას.

ნივრის სარგებლიანობაზე ზედმეტ ლაპარაკს აღარ დავიწყებთ — ეს ისედაც ცნობილია, მაგრამ მასთან ერთად კერძში თუ ხახვს, კამას, წიწაკას და სხვა სანელებლებს იხმართ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — თქვენი ორგანიზმი ინფექციას ადვილად გაუმკლავდება.

*ტრუდი №155*

# რძე და რძით მკურნალობა



რძე ბუნების საოცარი მოვლენაა. რძით იწყება ჩვენი სიცოცხლე, რძეა ბავშვის კვების ძირითადი პროდუქტი. მაგრამ მოწიფულობას მიღწეული ადამიანი თანდათან უარს ამბობს ამ ძვირფას პროდუქტზე.

რა იწვევს ადამიანთა გაუცხოებას რძის მიმართ? ამ კითხვის პასუხი მედიცინამ დიდი ხანია იცის — ეს გახლავთ ლაქტაზა, ფერმენტი, რომელიც ლაქტოზას (რძის შაქარი) გადამუშავებას უწყობს ხელს. არ აგერიოთ ლაქტოზა — შაქარია, ლაქტაზა — ფერმენტი.

ასაკთან ერთად ადამიანის ნაწლავებში მცირდება ფერმენტ ლაქტაზას გამომუშავება და დროთა განმავლობაში ველარ ერევა ორგანიზმში მოხვედრილ რძის შაქარს — ლაქტოზას. გადაუმუშავებელი რძის შაქარი „ცუდად იქცევა" — იწყებს დუღილს, წარმოქმნის გაზებს და იზიდავს სითხეს, რის გამოც ნაწლავებში გროვდება გაზებით გაჯერებული ფეთქებადი მასა. იწყება მუცლის შებერვა, ჭინთვისმაგვარი ტკივილები, ბუყბუყი, ფაღარათი.

ამ მეტად უსიამოვნო დაავადებით დედამიწის მცხოვრებთა სამი მეოთხედი იტანჯება. ლაქტაზას ნაკლებობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების და აფრიკის მოსახლეობის 75-100%-ს აღენიშნება, ამერიკაში — 50 მილიონ კაცს, ევროპაში — ყოველ მეხუთეს. ავადმყოფობა ინდივიდუალურად მიმდინარეობს — ზოგს რძის შემცველი პროდუქტიც კი აუტეხს „ქარტეხილს" მუცლის ღრუში, ზოგს 1 ჭიქა რძე, ზოგს კი — 2-3 ჭიქა. არადა ამ უბედურების თავიდან აცილება შესაძლებელი ყოფილა... თუ რძის პროდუქტს საერთოდ არ მიიღებთ. თუმცა ეს ცუდი რჩევაა — რძე აუცილებელია ჩვენი ორგანიზმისთვის, რადგან კალციუმის საუკეთესო და მთავარი წყაროა. კალციუმის უკმარისობა კი მოგეხსენებათ, უმძიმეს დაავადებას — ოსტეოპოროზს (ძვლების გამყიფება) იწვევს. ოსტეოპოროზს საფუძველი ბავშვობაში ეყრება, როცა ძვალი იზრდება. თუ იმ ასაკში ბავშვი კალციუმის ნაკლებობას განიცდის, მოწიფულობაში ოსტეოპოროზი გარანტირებული აქვს. ასეთ სუბიექტებს ადვილად უტყდებათ ხელები, ფეხები, თეძო, ხერხემალი. ამ დაავადებას დღეს მწვავე ეპიდემიის სახე აქვს მიღებული — კაცობრიობა რძეზე უარისთვის სასტიკად ისჯება. დღევანდელი, „პეპსისა" და „კოლაზე" გაზრდილი თაობა ხანდაზმულობისას მწარედ ინანებს — ეპიდემიის მასშტაბები გრანდიოზული იქნება. ნუ იფიქრებთ, რომ ექიმები გვაშინებენ — ეს მწარე რეალობაა. და მაინც, რამდენი რძე შეიძლება მიიღოს ორგანიზმმა? უპირველესად, თავად შეეცადეთ, განსაზღვროთ, რამდენ ჭიქას ეგუება თქვენი კუჭ-ნაწლავი, სვით ნება-ნება, ცოტ-ცოტა. თუ რაიმეს მიაყოლებთ, უმჯობესია — ფერმენტის გამოსამუშავებლად მეტი დრო დარჩება.

თუ 1 ჭიქა რძეა თქვენი ნორმა, შეეცადეთ, სხვა სახის რძის პროდუქტით აინაზღაუროთ ლაქტოზას ნაკლებობა. ყველაფერს იოგურტი (მაწონი) სჯობს, რადგან მასში შემავალი ბაქტერიები ლაქტოზას შლის, თანაც მასში ლაქტაზაც შედის და ნაწლავებში ამ ფერმენტის ნაკლებობას ანაზღაურებს. თუ რძის მიღების კრიტიკული დოზაც კი საძნელოა თქვენთვის, იხმარეთ ფესტალი, მეზიმი, პანზინორმი და სხვ. ფერმენტიანი პრეპარატი.

თუ რძის სმა გიჭირთ, კალციუმი უთუოდ უნდა მიიღოთ. ოღონდ სხვა სახით. ასეთი პრეპარატი კი დღეს უამრავია — ზოგი მინერალებსა და პოლივიტამინებს შეიცავს. ასე რომ, აირჩიეთ, რა უფრო მოგეწონებათ, მაგრამ გახსოვდეთ, კალციუმის დღიური დოზა 1.000მგ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

*მირ ნოვოსტეი №34*

ტრადიციული ჩინური მედიცინა:
ნემსოთერაპია, ელ. პუნქტურა, ლაზეროპუნქტურა.
1. ზოგადი ათეროსკლეროზი;
2. იმუნოლოგიური სისტემის გულსისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, თირკმლის, შარდისა და ნაღვლის ბუშტის, სასქესო ორგანოების პათოლოგია.
3. ნევროზები, კლიმაქსი, თავის ტკივილები, ეპილეფსია, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სახსრების ტკივილი, ქრონიკული სისხლნაკლებობა, ალერგია, ბრონქიალური ასთმა, ქრ. სურდო, ღამე შარდვა, დამბლები, ჰორმონალური გინეკოლოგიური დაავადებები, დიაბეტი და მისი გართულებები, სიმსუქნე. ლიც. №9350.
მის: №13 მოზარდთა პოლიკლინიკა, რუსთაველის №28. თემური მიქაბერიძე. ტ: 99-81-95; 99-63-33

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

# ჩემპიონთა ლიგის გათამაშება 14 სექტემბერს დაიწყება

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი შეხვედრები და გაირკვა იმ 16 გუნდის ვინაობა, რომლებიც ამდენსავე წინასწარ განთესილ კლუბს შეუერთდნენ და ევროპის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს გაითამაშებენ.

**სკონტო** (ლატვია) — **ჩელსი** (ინგლისი) 0:0 (პირველი მატჩი 0:3)
**ვიძევი** (პოლონეთი) — **ფიორენტინა** (იტალია) 0:2 (1:3)
**დინამო** (უკრაინა) — **ოლბორგი** (დანია) 2:2 (1:2)
**მალიორკა** (ესპანეთი) — **მოლდე** (ნორვეგია) 1:1 (0:0)
**მარიბორი** (სლოვენია) — **ლიონი** (საფრანგეთი) 2:0 (1:0)
**მ.ტ.კ.** (უნგრეთი) — **კროაცია** (ხორვატია) 0:2 (0:0)
**პარმა** (იტალია) — **რეინჯერსი** (შოტლანდია) 1:0 (0:2)
**ბოავიშტა** (პორტუგალია) — **ბრონდბიუ** (დანია) 4:2 (1:2)
აიკ (შვედეთი) — **აიკ** (საბერძნეთი) 1:0 (0:0)
**ანორთოსისი** (კვიპროსი) — **ჰერტა** (გერმანია) 0:0 (0:2)
**პარტიზანი** (იუგოსლავია) — **სპარტაკი** (რუსეთი) 1:3 (0:2)
**ვალენსია** (ესპანეთი) — **ჰაპოელი** (ისრაელი) 2:0 (2:0)
**სერვეტი** (შვეიცარია) — **შტურმი** (ავსტრია) 2:2 (1:2)
**დორტმუნდი** (გერმანია) — **ტეპლიცე** (ჩეხეთი) 1:0 (1:0)

ხუთშაბათს მონტე-კარლოში გაიმართა წილისყრა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე 32 გუნდი 8 ქვეჯგუფად დააწყვილა, თითოეული ჯგუფიდან პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები (სულ 16 გუნდი) შეადგენენ ოთხ ოთხგუნდიან ჯგუფს, საიდანაც პირველ და მეორე ადგილზე გასული კლუბები (სულ 8 გუნდი) მეოთხედფინალებიდან გააგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონთა თასისათვის. გაგაცნობთ ჯგუფების შემადგენლობას და მატჩების განრიგს.

| A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|---|---|
| **ლაციო** *იტალია* | **ბარსელონა** *ესპანეთი* | **დორტმუნდი** *გერმანია* | **მანჩესტერი** *ინგლისი* |
| **ლევერკუზენი** *გერმანია* | **ფიორენტინა** *იტალია* | **ფეიენოორდი** *ჰოლანდია* | **მარსელი** *საფრანგეთი* |
| **დინამო** *უკრაინა* | **არსენალი** *ინგლისი* | **რუსენბორგი** *ნორვეგია* | **კროაცია** *ხორვატია* |
| **მარიბორი** *სლოვენია* | **აიკ** *შვედეთი* | **ბოავიშტა** *პორტუგალია* | **შტურმი** *ავსტრია* |
| I ტური | I ტური | I ტური | I ტური |
| 14 სექტემბერი<br>ლევერკუზენი-ლაციო<br>დინამო-მარიბორი | 14 სექტემბერი<br>აიკ-ბარსელონა<br>ფიორენტინა-არსენალი | 14 სექტემბერი<br>ბოავიშტა-რუსენბორგი<br>ფეიენოორდი-დორტმუნდი | 14 სექტემბერი<br>მანჩესტერი-კროაცია<br>მარსელი-შტურმი |
| II ტური | II ტური | II ტური | II ტური |
| 22 სექტემბერი<br>მარიბორი-ლევერკუზენი<br>ლაციო-დინამო | 22 სექტემბერი<br>არსენალი-აიკ<br>ბარსელონა-ფიორენტინა | 22 სექტემბერი<br>დორტმუნდი-ბოავიშტა<br>რუსენბორგი-ფეიენოორდი | 22 სექტემბერი<br>შტურმი-მანჩესტერი<br>კროაცია-მარსელი |
| III ტური | III ტური | III ტური | III ტური |
| 29 სექტემბერი<br>ლაციო-მარიბორი<br>ლევერკუზენი-დინამო | 29 სექტემბერი<br>ბარსელონა-არსენალი<br>აიკ-ფიორენტინა | 29 სექტემბერი<br>რუსენბორგი-დორტმუნდი<br>ბოავიშტა-ფეიენოორდი | 29 სექტემბერი<br>კროაცია-შტურმი<br>მანჩესტერი-მარსელი |
| IV ტური | IV ტური | IV ტური | IV ტური |
| 19 ოქტომბერი<br>მარიბორი-ლაციო<br>დინამო-ლევერკუზენი | 19 ოქტომბერი<br>არსენალი-ბარსელონა<br>ფიორენტინა-აიკ | 19 ოქტომბერი<br>დორტმუნდი-რუსენბორგი<br>ფეიენოორდი-ბოავიშტა | 19 ოქტომბერი<br>შტურმი-კროაცია<br>მარსელი-მანჩესტერი |
| V ტური | V ტური | V ტური | V ტური |
| 27 ოქტომბერი<br>ლაციო-ლევერკუზენი<br>მარიბორი-დინამო | 27 ოქტომბერი<br>ბარსელონა-აიკ<br>არსენალი-ფიორენტინა | 27 ოქტომბერი<br>რუსენბორგი-ბოავიშტა<br>დორტმუნდი-ფეიენოორდი | 27 ოქტომბერი<br>კროაცია-მანჩესტერი<br>შტურმი-მარსელი |
| VI ტური | VI ტური | VI ტური | VI ტური |
| 2 ნოემბერი<br>ლევერკუზენი-მარიბორი<br>დინამო-ლაციო | 2 ნოემბერი<br>აიკ-არსენალი<br>ფიორენტინა-ბარსელონა | 2 ნოემბერი<br>ბოავიშტა-დორტმუნდი<br>ფეიენოორდი-რუსენბორგი | 2 ნოემბერი<br>მანჩესტერი-შტურმი<br>მარსელი-კროაცია |

| E ჯგუფი | F ჯგუფი | G ჯგუფი | H ჯგუფი |
|---|---|---|---|
| **რეალი** *ესპანეთი* | **ბაიერნი** *გერმანია* | **სპარტაკი** *რუსეთი* | **მილანი** *იტალია* |
| **პორტუ** *პორტუგალია* | **ეინდჰოვენი** *ჰოლანდია* | **ბორდო** *საფრანგეთი* | **ჩელსი** *ინგლისი* |
| **ოლიმპიაკოსი** *საბერძნეთი* | **ვალენსია** *ესპანეთი* | **სპარტა** *ჩეხეთი* | **გალათასარაი** *თურქეთი* |
| **მოლდე** *ნორვეგია* | **რეინჯერსი** *შოტლანდია* | **ტილბურგი** *ჰოლანდია* | **ჰერტა** *გერმანია* |
| I ტური | I ტური | I ტური | I ტური |
| 15 სექტემბერი<br>ოლიმპიაკოსი-რეალი<br>მოლდე-პორტუ | 15 სექტემბერი<br>ბაიერნი-ეინდჰოვენი<br>ვალენსია-რეინჯერსი | 15 სექტემბერი<br>სპარტა-ბორდო<br>ტილბურგი-სპარტაკი | 15 სექტემბერი<br>ჩელსი-მილანი<br>გალათასარაი-ჰერტა |
| II ტური | II ტური | II ტური | II ტური |
| 21 სექტემბერი<br>პორტუ-ოლიმპიაკოსი<br>რეალი-მოლდე | 21 სექტემბერი<br>რეინჯერსი-ბაიერნი<br>ეინდჰოვენი-ვალენსია | 21 სექტემბერი<br>სპარტაკი-სპარტა<br>ბორდო-ტილბურგი | 21 სექტემბერი<br>ჰერტა-ჩელსი<br>მილანი-გალათასარაი |
| III ტური | III ტური | III ტური | III ტური |
| 28 სექტემბერი<br>რეალი-პორტუ<br>ოლიმპიაკოსი-მოლდე | 28 სექტემბერი<br>ეინდჰოვენი-რეინჯერსი<br>ბაიერნი-ვალენსია | 28 სექტემბერი<br>ბორდო-სპარტაკი<br>სპარტა-ტილბურგი | 28 სექტემბერი<br>მილანი-ჰერტა<br>ჩელსი-გალათასარაი |
| IV ტური | IV ტური | IV ტური | IV ტური |
| 20 ოქტომბერი<br>პორტუ-რეალი<br>მოლდე-ოლიმპიაკოსი | 20 ოქტომბერი<br>რეინჯერსი-ეინდჰოვენი<br>ვალენსია-ბაიერნი | 20 ოქტომბერი<br>სპარტაკი-ბორდო<br>ტილბურგი-სპარტა | 20 ოქტომბერი<br>ჰერტა-მილანი<br>გალათასარაი-ჩელსი |
| V ტური | V ტური | V ტური | V ტური |
| 26 ოქტომბერი<br>რეალი-ოლიმპიაკოსი<br>პორტუ-მოლდე | 26 ოქტომბერი<br>ეინდჰოვენი-ბაიერნი<br>რეინჯერსი-ვალენსია | 26 ოქტომბერი<br>ბორდო-სპარტა<br>სპარტაკი-ტილბურგი | 26 ოქტომბერა<br>მილანი-ჩელსი<br>ჰერტა-გალათასარაი |
| VI ტური | VI ტური | VI ტური | VI ტური |
| 3 ნოემბერი<br>ოლიმპიაკოსი-პორტუ<br>მოლდე-რეალი | 3 ნოემბერი<br>ბაიერნი-რეინჯერსი<br>ვალენსია-ეინდჰოვენი | 3 ნოემბერი<br>სპარტა-სპარტაკი<br>ტილბურგი-ბორდო | 3 ნოემბერი<br>ჩელსი-ჰერტა<br>გალათასარაი-მილანი |

# სუპერთასი — „ლაციოს“

გასული კვირის მსოფლიო საფეხბურთო ცენტრად უდავოდ მონტე კარლო იქცა. ჩემპიონთა ლიგის წილისყრის მეორე დღეს მონაკოში უეფას თასის კენჭისყრა ჩატარდა, იმავე საღამოს კი ლუი II-ის სახელობის დიდებულმა სტადიონმა ევროპის სუპერთასის ფინალს უმასპინძლა, სადაც ტრადიციულად ჩემპიონთა ლიგისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებულები ხვდებიან ერთმანეთს. ვინაიდან, ამიერიდან თასების მფლობელთა თასი აღარ გათამაშდება, ამ პრინციპით სუპერთასი უკანასკნელად გათამაშდა. „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და რომის „ლაციოს“ შეხვედრა იტალიელებმა 1:0 მოიგეს. „მანჩესტერმა“ ინგლისის სუპერთასის დათმობის შემდეგ ევროპის სუპერთასიც წააგო. ერთადერთი გოლი ბრიტანელთა კარში შეცვლაზე შემოსულმა ჩილელმა ფორვარდმა მარსელო სალასმა გაიტანა.



აღსანიშნავია, რომ რომაელებს არაერთხელ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, „მანჩესტერი“ კი თავის თავს არ ჰგავდა. „ეშმაკებმა“ ერთადერთი მომენტი შექმნეს იტალიელთა კართან. ენდი კოულის თავური ზემოდან გადაცდა „ლაციოს“ კარს. გამარჯვებულებს სუპერთასი თავად მონაკოს პრინცმა, ალბერმა გადასცა. ამიერიდან ამ საპატიო ჯილდოს ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გამარჯვებულნი შეეცილებიან ერთმანეთს.

## ზიკოს მწვრთნელობა დაიწყო

46 წლის ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო, იაპონიის ჩემპიონის — „კასიმა ანტლერსის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.



საინტერესოა, რომ ზიკო თავად გამოდიოდა ამ კლუბში 1992-94 წლებში, იქვე დაასრულა საფეხბურთო კარიერა.

ახალმა მწვრთნელმა იაპონური კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მისივე თანამემამულე ზე მარიო შეცვალა, რომელიც არადამაკმაყოფილებელი შედეგებისათვის გაათავისუფლეს.

# ბერძნები მოდიან

ქუთაისის „ტორპედოს“ გასვლა უეფას თასის შემდგომ ეტაპზე, სტუმრად 5:0-ის მოგების შემდეგ, არავითარ ეჭვს არ იწვევდა. ქუთაისელებმა ამჯერად „დაინდეს“ მეტოქე და 4:2 აკმარეს. ბევრად რთულად ჰქონდა საქმე თბილისის „ლოკომოტივს“, რომელმაც პირველი მატჩი შინ 1:0 მოუგო ირლანდიურ „ლინფილდს“. სტუმრად 5.000 მაყურებლის თვალწინ რკინიგზელებმა სასურველ ფრეს მიაღწიეს — 1:1 და ორი მატჩის ჯამშიც გაიმარჯვეს. მონტე კარლოში გამართულმა წილისყრამ „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივს“ მომდევნო მეტოქენიც გამოავლინა: პირველ მათგანს — საბერძნეთის აეკი, ხოლო მეორეს, იმავე ქვეყნის მსგავსი სახელწოდების — პაოკი შეხვდა. საინტერესოა, რომ წინასწარ შედგენილი ჯგუფების თანახმად, ქუთაისელთა შესაძლო მეტოქეთა შორის „მონაკო“, „ვესტჰემი“ და „ვიტესი“, „ლოკომოტივისა“ კი „რომა“, „ბრონდბიუ“ და „ანდერლეხტი“ გახლდნენ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ერთსაც და მეორესაც გაუმართლა. მართალია, „აეკიც“ და „პაოკიც“ „ლინფილდზე“ და „ლანტანაზე“ ბევრად ძლიერი გუნდებია, მაგრამ მათთან ბრძოლა შეიძლება. არც ის არის გამორიცხული, ქართული გუნდები ერთის შემდგომ ეტაპზეც ვიხილოთ. აღსანიშნავია, რომ „ტორპედოც“ და „ლოკომოტივიც“ პირველ მატჩებს შინ, 16 სექტემბერს გამართავენ. საპასუხო შეხვედრები კი ორი კვირის შემდეგ გაიმართება.

## ყაჩაღობა ქუთაისურად

ქუთაისის „ტორპედომ“ რომ „ლანტანა“ დაამარცხა, ყველასათვის ცნობილია. საქმე ის არის, რომ თამაშის დროს სტადიონზე უფრო საინტერესო რამ „ტორპედოელთა“ საწვრთნელ ბაზაზე ხდებოდა. ორი შეიარაღებული და ნიღბიანი პიროვნება ქუთაითურთა ბაზას თამაშის მსვლელობის დროს ესტუმრა, დარაჯი გაკოჭეს, პირი აუკრეს, სკამზე მიაბეს, და მთელ ბაზაზე გაილაღეს. ყველა ოთახი მოიარეს და ხელს გააყოლეს ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა: ტანსაცმელი, ფეხბურთელთა პირადი ნივთები, სპორტული მაისურები, ბუცები და ტრუსებიც კი. დავით ყიფიანის ოთახიდან ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი წაუღიათ. მომხდარის შესახებ სტადიონზე შესვენებისას შეიტყვეს. შემთხვევის ადგილზე უცებ მივიდა პოლიცია, ქალაქის მერი იმერეთის გუბერნატორი, ტორპედოელთა პრეზიდენტი მიხეილ ქორქია და სხვები. მათ მომხდარი ქალაქის შეურაცხყოფად და უდიდეს სირცხვილად მონათლეს. დამნაშავეთა ძებნა მიმდინარეობს...

*სპორტ-ექსპრესი* №196

## ალეზი „პროსტში“ გადადის



ფორმულა-1-ის მიმდინარე ჩემპიონატის დასრულებისთანავე სახელგანთქმული ფრანგი პილოტი ჟან ალეზი, რომელიც ამჟამად „ზაუბერში“ გამოდის, გუნდს დატოვებს და „პროსტში“ გადავა. ამგვარად განხორციელდა ლეგენდარული ალენ პროსტის ოცნება — შეექმნა წმინდა ფრანგული გუნდი, სადაც მრბოლელებიდან დაწყებული, მანქანებითა და ძრავებით დამთავრებული — ყველაფერი მხოლოდ ფრანგული იქნებოდა. ალეზისათვის უკანასკნელ 11 წელიწადში „პროსტი“ უკვე მეხუთე გუნდია. ფორმულა-1-ში გამოსვლისას ფრანგს 161 ეტაპი აქვს გავლილი, მისი საუკეთესო მიღწევა კი 1995 წელს, კანადის გრან-პრიში გამარჯვებაა. ჟან ალეზი ამჟამად 35 წლისაა. მანაც და ალენ პროსტმაც განაცხადეს, რომ მომავალ სეზონში მათი გუნდი პირველობისათვის იბრძოლებს.

## ლატვიელებს ინგლისელი გაწვრთნის

ლატვიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნულია ინგლისელი სპეციალისტი გარი ჯონსონი, რომელმაც ამ პოსტზე აგვისტოში საუდის არაბეთს გამგზავრებული ქართველი რევაზ ძოძუაშვილი შეცვალა. ჯონსონი, რომელიც 44 წლისაა, 9 წელიწადი მუშაობდა და მეოთხედან მეორე დივიზიონში აიყვანა კემბრიჯის გუნდი, შემდეგ გადავიდა „უოტფორდში“ — გუნდში, რომელიც მეორე დივიზიონიდან პრემიერლიგაში ალზევდა. ინგლისელმა 2002 წლის ნოემბრამდე, ე.ი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებამდე მოაწერა კონტრაქტს ხელი.

## „მეჯიქ“ ჯონსონი შვედეთში ითამაშებს



ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელი ირვინ „მეჯიქ“ ჯონსონი, რომელიც უკანასკნელად შვიდი წლის წინ გამოვიდა საკალათბურთო მოედანზე, შვედეთის ეროვნულ ჩემპიონატში აპირებს თამაშს. 40 წლის კალათბურთელი, რომელსაც 1991 წელს შიდსის ვირუსი აღმოაჩნდა, თუნდაც ერთი მატჩის ჩასატარებლად მიიწვიეს შვედურ კლუბ M7-ში. NBA-ს ყველა დროის საუკეთესო გამთამაშებელმა მიწვევა სიამოვნებით მიიღო და განაცხადა, რომ შვედეთი ძალიან უყვარს და ყველაზე მეტად იქაურ პუბლიკას აფასებს. შეგახსენებთ, რომ ჯონსონი მას შემდეგაც აპირებდა ამერიკაში თამაშს, რაც შიდსის ვირუსი აღმოაჩნდა, მაგრამ სხვა კალათბურთელებმა განაცხადეს უარი, აქაოდა „მეჯიქთან“ კონტაქტისას შიდსი არ გადაგვედოსო.

## „აიაქსის“ ახალი შენაძენი

მომდევნო ახალგაზრდა ვარსკვლავი შეიძინა ამსტერდამის „აიაქსმა“. ამჯერად ჰოლანდიური კლუბის სელექციონერთა ყურადღება 19 წლის რუმინელმა მცველმა კრისტიან ჩივუმ მიიპყრო, რომლის სანაცვლოდაც ჰოლანდიურმა კლუბმა 2,7 მლნ დოლარი გადაიხადა. „აიაქსმა“ შესანიშნავი ფეხბურთელი შეიძინა, ჩივუს უდიდესი მომავალი აქვს“ — განაცხადა ამსტერდამული კლუბის გენერალურმა დირექტორმა, ჰოლანდიის ნაკრებისა და „აიაქსის“ ყოფილმა ვარსკვლავმა დენი ბლინდმა.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ .(თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლg2!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს მე სვლაში.

3. ევდოკიმოვი



1919 წლის 8 თებერვალს ნორვეგიის სოფელ ტორენსონში აუგუსტა ლანჰარდს გოგონა შეეძინე. ნამშობიარებ, დაღლილ-დაქანცულ ქალს ჩაეძინა და... 22 წლის შემდეგ გაეღვიძა.

ქმრის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა.

აუგუსტას დროდადრო ექიმი ნახულობდა. ქალს პულსი ნორმალური ჰქონდა. საოცარი ის იყო, რომ გარეგნულად არ იცვლებოდა — კვლავ ნორჩი და მშვენიერი რჩებოდა.

1941 წლის 23 ნოემბერს აუგუსტამ უეცრად თვალი გაახილა და ქმარს დაუძახა, — ფრედ-



# სალათას ძილი

ერიკ, ალბათ უკვე გვიანია, ბავშვი მომიყვანე, უნდა მოვაწოვოო...

ქალი გაოგნებული შეჰყურებდა მის საწოლთან მდგარ ჭაღარა კაცს და კოხტა ქალიშვილს — უიმისოდ გაზრდილ-დაბერებულ ქმარშვილს.

გაღვიძების სიხარულს მწუხარება მოჰყვა — მშვენიერი ყმაწვილი ქალი თვალდათვალ დაბერდა და 5 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

80-იან წლებში მსგავსი ორი შემთხვევა მოხდა — რუსეთში ქალს 20 წელი ეძინა, ჩინეთში ერთმა მანდილოსანმა 30 წელი გაატარა ძილში. გაღვიძებულნი თვალის დახამხამებაში დაბერდნენ...

ეს მოვლენები მოწმობს, რომ ადამიანის ორგანიზმში დაბადებიდანვე იწყებს მოქმედებას ზრდის, შემდეგ სიბერის და კვდომის პროგრამა, რომელიც მოლეკულურ დონეზე მართავს უჯრედთა ცვალებადობის პროცესს. ნორმალური სიცოცხლის მანძილზე ორგანიზმში ყველა სახის უჯრედული ქსოვილი 8-10-ჯერ იცვლება. 40 წლის ადამიანს 20 წლის დროინდელი თითქმის არაფერი აქვს შერჩენილი.

სალათას ძილის დროს ორგანიზმი არ ხარჯავს სასიცოცხლო ნივთიერებებს, ქსოვილთა ცვალებადობა ჩერდება და ხდება მისი კონსერვირება. მაგრამ გენეტიკური პროგრამის „მაგნიტოფირი" განაგრძობს ბრუნვას და გაღვიძების შემდეგ ორგანიზმი უმალ გადაერთვება ამ პროგრამაზე. ამგვარ ნახტომისებურ ცვლილებას ვერ უძლებს ორგანიზმი.

მძინარის გაღვიძება შეუძლებელია, მაგრამ ზოგ მოვლენას იგი გამოჰყავს სალათას ძილიდან.

ზემოთ ნახსენებმა რუსმა ქალმა ზუსტად იმ დროს გამოიღვიძა, როცა მეორე ოთახში დედამისი კვდებოდა, ჩინელმა თვალი გაახილა ქმრის სიკვდილის წამს.

ერთი 8 წლის გოგონა სალათას ძილში ჩავარდა ძმის გაჩენის დროს, ხოლო გაეღვიძა, როცა პატარა გარდაიცვალა.

ფრანგი ექიმის, ანრი რიშარის დაკვირვებით, სალათას ძილიდან გამოდიან ახლობლის გარდაცვალების დროს, თუნდაც იგი ძალიან შორს იყოს მათგან. ერთმა ფრანგმა ქალმა 14 წლის შემდეგ გაახილა თვალი და მაშინვე დაიწყო ამერიკაში მცხოვრები ქალიშვილის ამბის გამოკითხვა. გამოირკვა, რომ ქალიშვილი სწორედ იმ დროს დაიღუპა ავტოკატასტროფაში, რა წამსაც დედამისს გაეღვიძა.

30-იან წლებში ექიმმა ვ. ლეპიოშკინმა დაკვირვებისას აღმოაჩინა ე.წ. ნეკრობიოტიკური გამოსხივება, რომელიც წარმოიქმნება ცოცხალი ორგანიზმის დაღუპვის (სიკვდილის) წამს. მან დააფიქსირა ამ გამოსხივების ხანმოკლე მოქმედების ულტრაიისფერი კომპონენტი.

70-იან წლებში ფიზიკოსმა ვ. დოკუჩაევმა აღმოაჩინა უცნობი ფიზიკური ბუნების ხანგრძლივმოქმედი კომპონენტი, რომელიც ლითონის ზედაპირიდანაც კი წარმოიქმნებოდა.

მისი არსებობის შესახებ პირველად ოფიციალურად განაცხადა ფრანგმა ბუნებისმეტყველმა კამილ ფლორიანმა (მე-19 ს.), რომელმაც დაწერა წიგნი იმ ადამიანთა მონათხრობის საფუძველზე, რომლებმაც შორ მანძილზე იგრძნეს ახლობლის სიკვდილი.

ასე რომ, ნეკრობიოტიკური გამოსხივების ხანგრძლივმოქმედი კომპონენტი იმდენად ძლიერია, რომ ძალუძს შორ მანძილზეც კი გააღვიძოს სალათას ძილის ტყვე.

*ნლო №31*

# სპირიტული რომანი



ინგლისელი მწერალი ჩარლზ დიკენსი 1870 წლის 9 ივნისს გარდაიცვალა. უკანასკნელ ხანს იგი მუშაობდა რომანზე „ედვინ დრუდის საიდუმლო". რომანში მოთხრობილია ამბავი ერთი მკვლელობისა, რომელიც ქალის გულისთვის მოხდა. ამ დანაშაულის გამოძიების შესახებ ნაწარმოები ნაწყვეტ-ნაწყვეტ იბეჭდებოდა, ნაწილი მწერლის სიცოცხლეში, ნაწილი — მისი გარდაცვალების შემდეგ. რომანი დაუმთავრებელი დარჩა.

გასული საუკუნის შუა ხანებში ევროპასა და ამერიკაში მეტად პოპულარული იყო სპირიტიზმი. პატარა ამერიკული ქალაქის, ბრატლბორის მკვიდრი, ახალგაზრდა მამაკაცი, ვინმე ჯემსი, ამ საქმით გატაცებულებს შერეკილებს ეძახდა, მაგრამ მეგობრების დაჟინებული თხოვნით, ერთ დღეს ისიც მიუჯდა მაგიდას დასატრიალებლად. სწორედ აქ გამოირკვა, რომ ჯემსს მედიუმის უნიკალური თვისებები ჰქონდა. ჯემსი განსაკუთრებით დააინტერესა ე.წ. ავტომატურმა წერილმა. სპირიტული სეანსის დროს გამოძახებული სული მედიუმის ხელს დაატარებს და ზოგჯერ სავსებით აზრიანი წერილი გამოდის. როგორც ამბობენ, ასეთი გზით მიუღია ჯემსს 1872 წლის დამლევს წერილი ჩარლზ დიკენსის სულისგან.

მწერლის სული ჯემსს სთხოვდა, 15 ნოემბერს ჩემთვის სპირიტული სეანსი ჩაატარეო. ჯემსი ბნელ ოთახში უნდა დამჯდარიყო და ჩაეწერა ყველაფერი, რასაც კი სული უკარნახებდა. მართლაც, 15 ნოემბერს დიკენსის სული მედიუმის ხელს დაეუფლა და დაწერა: „დიდი ხანია მსურდა ჩემი რომანის დასრულება. გთხოვთ, ერთი ღამე მომიძღვნათ და გაგრძელება დავწეროთ". გაოგნებული ჯემსი მაშინვე დასთანხმდა და დანიშნულ ღამეს უეცრად გონება დაკარგა. როდესაც გამოფხიზლდა, მაგიდა სავსე იყო ნაწერი ფურცლებით.

ჯემსმა ხელნაწერები აკრიფა, დანომრა და შეინახა. ასე გაგრძელდა რამდენიმე ღამეს, სანამ რომანი არ დამთავრდა.

1873 წელს ამერიკაში დაიბეჭდა რომანის — „ედვინ დრუდის საიდუმლო" — მეორე ნაწილი.

1960 წელს გამოცემულ ჩარლზ დიკენსის ოცდაათტომეულში ეს რომანი ასე მოიხსენიება — „ფანტასტიკური ნაწარმოები, თითქოს სპირიტულ სეანსზე ჩარლზ დიკენსის მიერ ნაკარნახევი".

*სთარი №28*

# ფარაონთა წყევლა

ლორდ კარნარვონის არქეოლოგიური ექსპედიციის ისტორია საყოველთაოდაა ცნობილი. „სიკვდილი თავის ფრთებს გადააფარებს იმათ, ვინც დაარღვევს ფარაონის სიმშვიდეს", — ასეთი წარწერა წაიკითხეს მეცნიერებმა, როცა 1932 წელს ფარაონის მიწისქვეშა აკლდამაში შევიდნენ. მერე რა მოჰყვა ამას? 6 წლის განმავლობაში ექსპედიციის 6 მონაწილე უეცრად დაიღუპა. „ფარაონთა წყევლა" დიდი ხნის განმავლობაში ამოუცნობი ფენომენი იყო. რამდენიმე წლის წინ გაირკვა, რომ წყევლა მარტო აკლდამებს არ იცავს. რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინისა და საბჭოთა კავშირის ყოფილ ბევრ რესპუბლიკაში სარაკეტო კომპლექტების მიწისქვეშა ბუნკერებში მომუშავეებსაც დაეწყოთ თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გონების დაკარგვა — ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც დაემართათ ლორდ კარნარვონის ექსპედიციის მონაწილეებს სიკვდილის წინ. როცა ბუნკერებიდან სარაკეტო კომპლექსების უქეიფოდ შექმნილი სამხედრო მოსამსახურეები ჰაერზე გამოჰყავდათ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კარგად ხდებოდნენ. ამ დაავადებამ მერაკეტეები დააფრთხო, თუმცა მიკრობიოლოგებმა მალე გააქარწყლეს მათი შიში. დაადგინეს, რომ „ფარაონის წყევლა" — სხვა არაფერია, თუ არა ნესტიან სიბნელეში წარმოქმნილი სოკოვანი დაავადება, რომელიც ასნებოვნებს იქ საათობით სამორიგეოდ მყოფ პირებს. ისე რომ, როცა გამოქვაბულში შედიხართ, გახსოვდეთ, თქვენს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია უჩინარი წარწერა, — „სიკვდილი თავის ფრთებს გადააფარებს იმათ, ვინც დაარღვევს ფარაონის სიმშვიდეს".

*ტაინაია ვლასტ №8*



# ძაღლს ჰკითხეთ

თუ ღამლამობით ცუდად გძინავთ, ავი სიზმრები განუხებთ, დილით ცხადია, უგუნებოდ იღვიძებთ და არაფრის ხალისი არა გაქვთ. ავსტრიელი ექიმი-ეკოლოგი კ. ბაჰლერი დარწმუნებულია, რომ ამის მიზეზი ენერგეტიკულ ხაზთა გადაკვეთის თვალით უხილავი წერტილებია. არახელსაყრელი ენერგეტიკული ზონები პატარაა და ცოტა, მაგრამ თუ ასეთი ზონა თქვენი საწოლის ადგილზე მოხვდა, შესაძლოა, ძილი დაგიკარგოთ. იგივე დამოკიდებულება არსებობს სამუშაო და, წარმოიდგინეთ, სამზარეულო მაგიდის მიმართაც. კ. ბაჰლერის აზრით, სწორედ მაშინ იჭრის ხელს დიასახლისი, როცა მაგიდა ცუდ ადგილზე დგას. როგორ მოვიქცეთ? ამის თავიდან ასაცილებლად არსებობს ძალიან მარტივი ხერხი — იქ, სადაც ძაღლი დაწვება, საფრთხე არავის ემუქრება, ძაღლი არამც და არამც არ აირჩევს საშიშ ზონას. ამიტომაც სწორედ იქ დადგით საწოლი. ამ ზონას კიდევ უკეთესად გრძნობს ცხენი და ძროხა, მაგრამ ბინაში ხომ ვერ შეიყვანთ? ისე რომ, ისევ ძაღლს მიანდეთ ეს საქმე. სხვათა შორის, თურმე არც ის ადგილი ვარგა, სადაც კატას უყვარს მოკალათება.

*ორაკული №9*

# პიკასოს სურათი — ღელვას იწვევს



საფრანგეთის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში უხამსი საქციელისათვის დააკავეს აფრიკელი მოხუცი გლეხი ჩადა. რამდენიმე წლის წინ მისი ვაჟი, ტუნუ, სამუშაოს საშოვნელად სამხრეთ საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც კაფეში მოეწყო ოფიციანტად და მამაც ჩაიყვანა თავისთან. შვილმა გადაწყვიტა, მამისთვის ევროპის კულტურა გაეცნო. დარბაზიდან დარბაზში სიარულისას ტუნუმ მხედველობიდან დაკარგა მამა, დიდხანს ეძება და ბოლოს, პიკასოს დარბაზში აღმოაჩინა ბორკილებდადებული, პოლიციელთა თანხლებით. მოხუცი რაღაცის ახსნას ცდილობდა. გაირკვა, რომ პიკასოს ტილოს — „მჯდომარე ქალი" — დანახვისთანავე მოხუცი სურათთან ახლოს მივიდა. შარვალი ჩაიწია და ტილოზე მოშარდვა მოისურვა, მაგრამ კანონდამცავებმა დ რ ო ზ ე მიუსწრეს.

თურმე, პიკასოს „ქალში" მოხუცმა ერთ-ერთი ყველაზე საშიში აფრიკელი დემონი ჩუნგუ შეიცნო, რომელსაც მისი თანამემამულენი საკუთარი შარდით რწყავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აფრიკელი ჩუნგუ გვალვას გამოიწვევს.

*პოსლედნიე ნოვოსტი №32*

# წინასწარმეტყველება

მესამე ათასწლეულის დასაწყისში კოსოვო ბულგარეთში განმეორდება, — ამბობს ბულგარელი ნათელმხილველი თეოდორა სტეფანოვა. ბოლო ორი წელია, თეოდორა იტალიაში ცხოვრობს და ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ფინანსური მაგნატის სილვიო ბერლუსკონის „პირადი მკითხავია". სამწუხაროდ, მისი წინასწარმეტყველება ხშირად ახდება. ასე იყო 1998 წელსაც, როცა მან იწინასწარმეტყველა, რომ ბელგრადს დაბომბავდნენ. თეოდორას აზრით, მომავალ კონფლიქტს გამოიწვევს ის, რომ ადგილობრივი თურქები ტერიტორიულ ავტონომიას მოითხოვენ.

*რელიგია ი ნაუკა №7*

# რას გვეტყვით, ვარსკვლავებო!

**30 აგვისტო — 5 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**




**ვერძი**

ამ კვირას უამრავი საქმე გაგიჩნდებათ.შეფთან უთანხმოება გელით, რაც გუნებას გაგიფუჭებთ. დათმეთ თქვენი პოზიცია, ნუ დაემონებით საკუთარ სურვილებს.




**კურო**

ამ დღეებში თქვენი ბედი გადაწყდება. ქორწინებას ბევრი პრობლემა მოჰყვება. მოითმინეთ. მეგობრები გვერდით დაგიდგებიან.




**მარჩბივი**

ოთხშაბათს სამსახურში სიხარული გელით. მიხედეთ ჯანმრთელობას. დაისვენეთ ქალაქგარეთ. ერიდეთ ახალ ნაცნობობას.




**კირჩხიბი**

კოლეგებთან პოზიციების დაცვა მოგიწევთ. შეძლებთ საკუთარი სიმართლის დაცვას. მიხედეთ ოჯახის წევრებს. მოითმინეთ და მოიგებთ.




**ლომი**

არ გირჩევთ აჩქარებას. მეტი მოთმინება გმართებთ. იმედი გაგიმართლდებათ. კონფლიქტი წარსულს ჩაბარდა. წარმატება გელით.




**ქალწული**

ფარ-ხმალი არ დაყაროთ. სასიამოვნო სიახლეები გელით. თავი შეიკავეთ დაუფიქრებელი ნაბიჯისა და სიტყვისგან.




**სასწორი**

გტანჯავთ დაღლილობა, ოჯახური უსიამოვნებანი. თავი შეიკავეთ. გაუძელით და ყველაფრის ბოლო კეთილი იქნება.




**ღრიანკალი**

დამშვიდდით. იმოქმედეთ გარემოების მიხედვით. სიყვარულში გაგიმართლებთ. დრო გაატარეთ. იზრუნეთ საყვარელ ადამიანზე.




**მშვილდოსანი**

დადგა თქვენი იდეების განხორციელების დრო. სურვილები და შესაძლებლობანი ერთურთს ემთხვევა. ნუ გაუშვებთ ხელიდან ბედნიერების შანსს.




**თხის რქა**

პოპულარობა თავბრუს გახვევთ. შეიკავეთ თავი. მხოლოდ ის აკეთეთ, რაც მოგებას მოგიტანთ თქვენც და თქვენს ახლობლებსაც. დაისვენეთ, გახალისდით.




**მერწყული**

ეცადეთ, თავი დააღწიოთ უსაგნო ოცნებებს. დაივიწყეთ გულისტკივილი. მეტი დრო გაატარეთ ოჯახში. მიხედეთ შინაურ საქმეებს. მიეფერეთ მშობლებს.




**თევზები**

კოლეგებისგან ნატკენ გულს საყვარელი ადამიანის ალერსი დაგიამებთ. თქვენი ტაქტი და თავშეკავება ყველას ხიბლავს. მიხედეთ ჯანმრთელობას.

**გისურვებთ წარმატებებს!**

ლითონნაკეთობათა საამქრო
ლითონის კარი — 350 ლარი; ავტოფარეხი „ვარმოშკა", 1კვ.მ — 80 ლარი;
ფანჯრის ჟალუზი, 1კვ.მ — 80 ლარი;
ფანჯრის უძრავი გისოსი, 1კვ.მ — 50 ლარი.
ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი;
მის: ბარნოვის 84, საბურთალოს 37/კუტუზოვის 4
29-39-81 (9-19 სთ-მდე); 38-42-34 877-41-87-75

და შტამპების
ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎ 99-86-09; 99-00-37
38-37-89 (საღამოს)

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
დღეისათვის არსებული უველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით. მათ შორის, პროფ. ბუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არა აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. №20-ე (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

ქაღალდი
საგაზეთო
ნისმ
კონდოპოგა,
ოფსეტური
რუსეთის, თურქეთის, ფინეთის
ცარცის. მუყაო
სხვადასხვა ფორმატისა და სიმკვრივის
☎: 33-78-07; 877403866



## ჩვენი შთამომავალი ჯუჯა იქნება



ჩვენი დიდი ბებია ტანდაბალი იყო, სულ 120 სმ სიმაღლისა და 30 კგ-ს იწონიდა; თანაც ბანჯგვლიანი, ღრჯოლებიანი და ჩერჩეტი — მისი თავის ქალა 1,5-ჯერ მცირე იყო თანამედროვე ადამიანისაზე.

მას 2 მლნ წელიწადზე მეტი დასჭირდა, სანამ „დაჭკვიანდებოდა“ და თუ ევოლუციური საზომით ვიმსჯელებთ, თვალის დახამხამებაში — რამდენიმე ათეულ ათასწლეულში — გაიზარდა (სიმაღლე — 170 სმ), მხრები გაუგანიერდა, ტვინი გაუდიდდა... შემდეგ ევოლუციური პროცესი შეყოვნდა და დღეს 40 ათასი წლის წინათ მცხოვრებ ბებიებზე 10 სმ-ით დაბლები ვართ.

ნეტა, როგორი ვიქნებით ხვალ?

ადამიანის ორგანიზმში უმნიშვნელო ცვლილებები გამუდმებით მიმდინარეობს. მაგალითად, საშუალო სიმაღლე კვლავ გაიზარდა. გასულ საუკუნეში ახალგაზრდა 25-26 წლამდე იზრდებოდა, ჩვენი საუკუნის ნახევარში — 20-21 წლამდე, ხოლო ახლა 18-19 წლის ასაკში წყვეტენ ზრდას. ჩვილები უფრო დიდები იბადებიან და სწრაფადაც მატულობენ. გოგონებს მეორადი სასქესო ნიშნები საუკუნის წინანდელ თანატოლებზე 2 წლით ადრე უვითარდებათ, ხოლო მენიზი ეწყებათ არა 14,5 წლისებს, არამედ 12,5 წლის ასაკში. სწავლულებმა ამ პროცესს აქსელერაცია უწოდეს. თუ იგი გაგრძელდა, 23-ე საუკუნეში ორმეტრიანი ქალიშვილები გვეყოლება და ისინი 7 წლის ასაკში იმშობიარებენ!

არსებითი ცვლილებები შორეულ მომავალშია სავარაუდო. გარკვეული ხნის შემდეგ აქსელერაციის პროცესი შეწყდება. აი, როგორია ინგლისელი მეცნიერის დ. ჰოლდენის ჰიპოთეზა: ადამიანი გონიერი იქნება, მაგრამ უძლური. ნელა განვითარდება. სწავლას ვერ დაასრულებს მოწიფულობამდე (40 წლამდე!). იცოცხლებს რამდენიმე საუკუნე. იქნება ჩვენზე გონიერი, ნაკლებემოციური და სექსუალური.

ანთროპოლოგები ვარაუდობენ, რომ ადამიანი ევოლუციის შედეგად დაკარგავს ყველაფერ ზედმეტს.

მომავალ საუკუნეებში ჩვენი შთამომავალი იქნება 1 მ სიმაღლის ჯუჯა, ფეხები უზარმაზარ თავზე ექნება გამობმული. იმ საცოდავებს (იქნებ, ბედნიერებს?) გრძელი ხერხემლიდან დარჩებათ მხოლოდ თითო მალა — კისრის, გულმკერდისა და წელისა, 2-3 გავის ძვალი, გაუქრებათ ლავიწი, როგორც დღეს არა აქვს ზოგიერთ ძუძუმწოვარს. ხელებზე სამი ორფალანგიანი თითი ექნებათ, ტერფებზე — 4. წარმოიდგინეთ, როგორ მომხიბლავად გაიღიმებს ეს არსება — პირს გააღებს და ჩანიკნიკებული კბილების მაგიერ გომბეშოსავით ერთიანი ჩანა გამოუჩნდება...

ნეტა, როგორ შეარცხვენენ ჭორიკანა ქალებს მომავალში? სხვის საქმეში ნუ ჰყოფ ცხვირსო, ეს გამოთქმა ნამდვილად უაზრო იქნება, რადგან ჩვენს ტურფა შთამომავალს ცხვირის მაგიერ ორი პაწია ნასვრეტილა ექნება...

*არგუმენტი ი ფაკტი №34*

## ჰიტლერი და მაორები



ახალზელანდიელმა ისტორიკოსებმა ძალიან საინტერესო ფაქტები ამოქექეს ადოლფ ჰიტლერისა და მაორის (გახსოვთ ალბათ, „კაპიტან გ რ ა ნ ტ ი ს შვილებიდან“ ვინ არიან მაორები) ხალხის ურთიერთობიდან. მეორე მსოფლიო ომის დროს ახალი ზელანდიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოხალისეები მაორის ტომში მოეძებნა. მსურველები მაინცდამაინც არ იყვნენ. მაშინ ხელისუფლებამ ტომის ახალგაზრდა მამაკაცებს ფიურერის ნათქვამი გააცნო. ფიურერი ამტკიცებდა — ახალზელანდიაში უმდაბლესი რასის წარმომადგენლები ცხოვრობენ, ოთხზე დარბიან, ხეებზე სძინავთ, მათ ადამიანებადაც კი ვერ ჩათვლის კაციო. ამაყი მაორელები გაბრაზდნენ, ასეთ შეურაცხყოფას ვერ ავიტანთო და მაშინვე მოხალისეებად ჩაეწერნენ. ერთი სიტყვით, თავისი წვლილი შეიტანეს ფაშისტების განადგურებაში. გარდა ამისა, ახალზელანდიელ გენერალს ოფიციალურად მოსთხოვეს ალაფის სახით ჰიტლერის ენა გადმოგვეცით დასასჯელადო. ვიდრე ომი გრძელდებოდა, შინ დარჩენილები რეპეტიციას ატარებდნენ, როგორ ჩაატარებდნენ რიტუალს, სიმღერაც კი შეთხზეს. მისი სიტყვები დაახლოებით ასე ითარგმნება — „განა შენი წუნკალი ენა არ როშავდა სისულელეებს. ახლა ნახე, რა დაგემართება“.

ეს ფაქტები ისტორიკოსებმა კი გაქექეს, მაგრამ რეპეტიციები ისევ გრძელდება თუ არა, არავინ იცის.

*ორაკული №9*

## დაკავებულია 10 ტონა კოკაინი



ბალთაზარ გარტონი მადრიდის ნაციონალურ სასამართლო პალატაში გამომძიებლად მუშაობს.

ამ უკომპრომისო გამომძიებლის ნესტრის მსხვერპლნი ძირითადად ცნობილი ადამიანები არიან. სირერ მონცერალ კახარს, ესპანეთის უმდიდრეს კაცს, მან იარაღით უკანონოდ ვაჭრობის გამო ცხაურს მიღმა ამოაყოფინა თავი. ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ხოსე ბარიონუევო სახელმწიფო ტერორიზმის ბრალდებით ჩასვა ციხეში. გამომძიებელს დღე-ღამეში მხოლოდ 3 საათი სძინავს. არ ეწევა, არ სვამს. თავის მცირეოდენ თავისუფალ დროს შვილებთან ატარებს. ესპანელებისთვის გარტონი გმირია, ერის სანიტარი, მოუსყიდველი: ბანკს, სადაც გარტონის ანგარიშია გახსნილი, ნაბრძანები აქვს, თუ მის ბარათზე საეჭვო თანხა გადმოირიცხა, მაშინვე პატრონს აცნობონ.

სწორედ გარტონის დაჟინებული მოთხოვნაა, რომ ჩილეს ექს-დიქტატორი აუგუსტო პინოჩეტი ესპანეთის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლოს.

ახლახან გარტონმა, ასე ვთქვათ, „სარეკორდო წარმატებას“ მიაღწია. კანარის კუნძულებიდან დასავლეთით 900 მილის დაშორებით მან და მისმა ჯგუფმა დააკავეს რუსეთის გემი „TAMSAARE“. გემზე 10 ტ კოკაინი აღმოჩნდა — ეს არის ყველაზე დიდი რაოდენობის ნარკოტიკი, რაც კი დაუკავებია საერთოდ ევროპის რომელიმე ქვეყნის პოლიციას. ნარკოტიკის საბაზრო ფასია 700 მლნ მარკა.

*ფოკუსი №29*

## განუყრელი ფიფი



67 წლის ლიზ ტეილორის ცხოვრების ახალი კრედოა: „არც ერთი ნაბიჯი ფიფის გარეშე!“ თეთრმა ფიფიმ შავ კატასავით გაიარა ჰოლივუდის ვარსკვლავსა და მაიკლ ჯექსონს შორის.

მაიკლს მიუნხენში საბენეფისო კონცერტზე სხვა ვარსკვლავებთან ერთად ლიზ ტეილორიც ჰყავდა მიწვეული. ჰოდა, ლიზმაც დაუზარებლად გაიარა შორი, დამქანცველი გზა. მაგრამ მებაჟეებმა დააკავეს მისი ერთგული მეგობარი. თურმე ფიფი სათანადოდ აცრილი არ ყოფილა და ლიზსაც არც ერთი დოკუმენტი არ ჰქონია თან. ამ ამბავმა დიდად აღაშფოთა მსახიობი და ყველაფერი მაიკლს დააბრალა, — ხომ ვუთხარი მაიკლს, ფიფის გარეშე არსად დავდივარ-მეთქი. ვერ მოაგვარა საბაჟოსთან ეს საქმე? ისედაც ნაწყენი ვიყავი, რომ მოსაწვევში ჩემი ძაღლი არ იყო ნახსენები“. ლიზ ტეილორმა სასწრაფოდ შეუთვალა მაიკლს საბენეფისო კონცერტზე მონაწილეობაზე უარი, დაავლო ხელი თავის განუყრელ მეგობარს და ამერიკისკენ ქნა პირი.

*შტერნი №27*

## დაასაჭურისეს მაიმუნები



სამხრეთ ბანგკოკის ქალაქების ახლოს უამრავი მაიმუნი ბინადრობს. ეს ეშმაკი ცხოველები წამდაუწუმ აწიოკებდნენ მოსახლეობას, იჭრებოდნენ ბინებში, არბევდნენ ქუჩის ვაჭრებს, აჩანაგებდნენ პროდუქტებს და ყველაფერს, რაც შეხვდებოდათ. რაც მთავარია, მაიმუნები თვალის დახამხამებაში მრავლდებოდნენ და მართლაც ქვიშაზე უმრავლესი გახდნენ. მათი დახოცვა აკრძალულია, ამიტომ ქალაქის მამებმა, ცოტა არ იყოს, უცნაურ ხერხს მიმართეს მათგან თავდასაცავად.

ერთ მშვენიერ დღეს პოლიციელები და ვეტერინარები მოედვნენ ტყეებს, დაიჭირეს ხვადი მაიმუნები, ნემსით დააძინეს და დაასაჭურისეს...

*თაიმსი*

## მცურავი ტაძარი



უკვე ორი წელია, ვოლგასა და დონზე ვოლგოგრადის ოლქში, დაცურავს ტაძარი და მორწმუნეთ სალოცავად იწვევს. ეს უნიკალური, მსოფლიოში ერთადერთი მცურავი საყდარი აიგო ჰოლანდიელი მართლმადიდებელი მღვდლის, მამა თევდორესა და საერთაშორისო ორგანიზაციის, „ეკლესიას უჭირს“, ხელშეწყობით.

მცურავ ტაძართან ერთად რამდენიმე სტანიცა გაიარეს უცხოელმა ჟურნალისტებმა. ისინი განცვიფრებულნი დარჩნენ ხალხის ღრმა რწმენით. საერთაშორისო ქრისტიანულ ორგანიზაციას განზრახული აქვს ამგვარი მცურავი ტაძრების აგება.

*ჟენსკიე დელა №15*

## თხებს ბედმა გაუღიმა



ტრადიციისამებრ, ბრიტანეთის პარლამენტის კანონები და აქტები თხის ტყავის პერგამენტზე იწერება და ინახება შუა საუკუნეების ცნობილ ვიქტორიას კოშკში. ამ კანონთა ერთობლიობა კონსტიტუციად არის მიჩნეული.

კოშკის საცავში პირველი საბუთი შევიდა 1497 წელს, მეფე ჰენრიხ VII-ის დროს.

1 ფურცელი პერგამენტი 50 დოლარი ჯდება. წელიწადში კი პარლამენტი ათას აქტს იღებს.

ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ, ბუღალტერიამ და სწავლულებმა ლორდთა პალატას მიმართეს თხოვნით, შეეცვალათ პერგამენტი საგანგებო ძვირფასი ქაღალდით, რომელიც 200-500 წელიწადს ინახება.

როგორც იქნა, ლორდთა პალატა დასთანხმდა მრავალწლიან თხოვნას. ამიერიდან ყველა აქტი ქაღალდზე დაიბეჭდება.

ლორდთა პალატის გადაწყვეტილებით თხები ალბათ ძალზე გახარებულნი დარჩნენ.

*ფავორიტი №15*

## ვესაუბროთ ხალხს ლექსად



ყოფილმა მსახიობმა იოზეფ ესტრადამ 1998 წელს ფილიპინების საპრეზიდენტო არჩევნებში ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ხალხი ენდო პოპულარული მსახიობის ხალისიან საარჩევნო კამპანიას და მეტად ექსტრავაგანტური ფორმის დაპირებებს. მაგალითად, მისი ერთ-ერთი პლაკატი ამგვარად ჟღერდა:

„ბრინჯის თესვა არ გვიშველის,
საჭიროა ფერმის შექმნა.
იქ ჰაერი ჯანსაღია
და შრომაც ხალისიანია!“

პრეზიდენტობა რომ გაინაღდა, ახლა უფრო გატაცებით მოჰკიდა ხელი აგრონომობას:

„ვთესოთ, ვთესოთ ბრინჯი,
ბრინჯი მოგვცემს ფაფასა,
დააპურებს ყველასა,
შეგვმატებს ბარაქასა!“

ამ ლექსებს კუნძულზე ახალენაამოდგმული ბავშვიც კი მღერის დიდი გატაცებით.

მაგრამ ახალგაზრდობა, ცოტა არ იყოს, გვერდს უვლის დაჭაობებულ ყანებში ბრინჯის მოვლას და კუნძულიდან გარბის. ცოტად თუ ბევრად შესახედავი ქალიშვილი ყველანაირად ცდილობს, თავი აარიდოს წუმპეში მომქანცველ მუშაობას, მით უფრო, რომ გასამრჯელოდ ფულის მაგიერ ორიოდ ტომარა ბრინჯს აძლევენ. ამ მწირი ულუფით კი ვერც ოჯახს არჩენ და არც მომავალზე ფიქრობ.

რას იზამ, ესტრადას ყველგან კინო, თეატრი და ესტრადა ჰგონია და იოლად უყურებს შრომას...

*ფოკუსი №31*




**თარაზულად:** 7. წერილი, ყუთი; 8. სიგარეტი, შხამი; 10. მონადირე, სპეციალისტი; 11. მთავარი, არაბეთი; 12. ოფიცერი, შტაბი; 15. ჯარისკაცი, თურქეთი; 18. ცეცხლი, ბოლი; 19. მთვარე, მანძილი; 20. ფურცელი, პოლიკლინიკა; 21. მხედარი, საჭურველი; 23. ვულკანი, ძაბრი; 26. პიანინო, კონცერტი; 27. აბრაგი, ზღვა; 31. პიესა, თეატრი; 33. სიცხე, კონდიციონერი; 34. ყავა, ჯადო; 35. დანა, ოპერაცია; 36. ფრინველი, სელაპი.

**შვეულად:** 1. პარლამენტი, ამერიკა; 2. პური, მჭადი; 3. მონახაზი, სავარჯიშო; 4. მძღოლი, თვითმფრინავი; 5. მოლეკულა, ელექტრონი; 6. ლანდი, სარკე; 9. ქურთუკი, სამხედრო; 13. ჰოროსკოპი, მორიელი; 14. ზელანდია, კონტინენტი; 16. სასმელი, ღმერთი; 17. ბრმა, კოჭლი; 22. ვაკის პარკი, ცხოველი; 24. ნამცხვარი, სანთელი; 25. ტრეკი, ფეხბურთი; 28. იანვარი, გაზაფხული; 29. მახაჩყალა, ოსეთი; 30. საქათმე, ცხენი; 32. კურდღელი, კვერნა.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ძროხა; 6. ომარი; 9. კაკაბი; 10. აბვერი; 14. კნუტი; 15. კულტი; 17. ნეფე; 19. კიტო; 21. კლასიკა; 23. იაპონია; 24. კალანდა; 28. ბოდლერი; 30. ცული; 33. გამა; 34. კინგი; 35. მდადე; 36. სენატი; 39. ეგეოსი; 40. ლისტი; 41. სირია.

**შვეულად:** 1. მახე; 2. ტომი; 3. ალაყაფი; 5. რაბინი; 7. რობოტი; 8. კოროზია; 11. ოტელო; 12. კურკა; 13. ინკვიზიცია; 16. მონპარნასი; 18. ქსოვილი; 20. დენთი; 22. პალმა; 25. კონგო; 26. პრადო; 27. პლანეტა; 29. ფაშისტი; 31. სიეტლი; 32. მდოგვი; 37. ფრი; 38. მის.

# რაისა — უკანასკნელი ბრძოლა

## „ახლა მთავარია, ის გადამირჩეს... სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია“ — მიხეილ გორბაჩოვი

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მის ცხოვრებას საფრთხე დაემუქრა. ქალი, რომელმაც უდიდესი ენერგია მოახმარა იმ საშინელი ბორკილების მსხვრევას, რომელიც „ჰომო სოვიეტიკუსს“ 70 წელზე მეტი ხანი ედო, ფოროსის აგარაკზე რამდენიმე კაცმა დაატყვევა, რომელთა შორის მის ქმართან დაახლოებული პირებიც იყვნენ. „მათი სახლში შემოჭრა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. გვერდით ისე ჩამიარეს, თითქოს იქ არც ვყოფილიყავი“, — იგონებს რაისა მაქსიმოვნა. ძნელი იყო ცხოვრება ქვეყანაში, სადაც ხელმძღვანელთა მეუღლეები მხოლოდ მაშინ თუ გამოჩნდებოდნენ საზოგადოებაში, როცა ქმრის კუზოს უნდა გაჰყოლოდნენ უკან.

რაც კი რაისას თავი ახსოვს, სულ შიშში იყო, ომის შიშში, მისი ბავშვობა სულ ომების გამოძახილით იყო აღსავსე: ესპანეთის ომი, რომელიც მოხალისეებს უხმობდა, „დიდი სამამულო ომი“, მილიონობით მსხვერპლითა და იავარქმნილი ქალაქებით, სამოქალაქო ომები... „შინაურ მტრებთან“...

რაისას მთელი სიცოცხლე ეშინოდა, რომ ბაბუამისივით არ შეეპყროთ. გლეხი პიოტრ სტეფანოვიჩი 1937 წელს, სტალინური წმენდების დროს ტროცკისტობაში დაადანაშაულეს და დახვრიტეს... მთელი ოჯახი საგონებელში იყო ჩავარდნილი, ნეტავ ეს ტროცკი ვინლააო. „და აი, 54 წლის შემდეგ, ზუსტად იმავე დღეს, ჩვენი ოჯახი კვლავ ტოტალიტარიზმის მსხვერპლი აღმოჩნდა“ — რაისამ ირწმუნა, რომ პუტჩისტები მათაც სიკვდილით დასჯიდნენ. მან იცის, თუ როგორ მოექცნენ ბოლშევიკები სამეფო ოჯახს. როგორც დედოფალი ალექსანდრა წერდა დღიურს ეკატერინბურგის დილეგში, რაისამაც რა არ ილონა, რომ გარეთ ხმა მიეწვდინა შვილიშვილების გადასარჩენად. ისევე, როგორც ყველა რუსს, მასაც აქვს წაკითხული ბუნინი — მან იცის, რომ კაცები ტყუიან, როცა ამბობენ, სისხლის ღვრა არ გვსურსო. როცა რაისა, სამდღიანი ტანჯვის შემდეგ მოსკოვში თვითმფრინავიდან ჩაფრინდა და შვილიშვილს, ქსენიას იხუტებდა, უკვე ის რაისა აღარ იყო. არა მარტო იმიტომ კი არა, რომ ნაწილობრივი გაყონვა და დამბლა დაემართა, არა, თითქოს რაღაც დაიმსხვრა მასში. შინ ჩაიკეტა, სათითაოდ გადაიკითხა მიხაილის ახალგაზრდობის დროინდელი წერილები და დახია. „ეს სიტყვები მხოლოდ მე მეკუთვნის. მათ სხვა ვერავინ მიეკარება, მხოლოდ ჩვენს ცხოვრებას ეხება, არ მინდა, რომ ვინმემ შებღალოს“... მას შემდეგ თავი უსაფრთხოდ აღარ დაუგულებია. სამი წლის წინ გორბაჩოვი ამბობდა, — რაისა ველარასოდეს დაიბრუნებს ამ ტრაგედიის წინანდელ ჯანმრთელობასო.



პუტჩისტებმა ერთ ღამეში გაანადგურეს ის, რასაც რაისა გორბაჩოვა მთელი სიცოცხლე რუდუნებით აგებდა. რაკილა თავისი ბედის მართვა არ შეეძლო, ეცადა, გაეაზრებინა მაინც. სხვათა შორის, სწორედ ეს გახლდათ იმ გაუგებრობის მთავარი მიზეზი, რამაც რაისა დასავლეთს დაუპირისპირა — იგი ქარაფშუტად და თავქარიანად მიჩნეული, სრულიად სერიოზული და სევდიანი, მთელი ნებისყოფის დაძაბვით ილვწოდა მიზნის მისაღწევად.

რაისას ადამიანის მოხიბვლის თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა; აკი გორბაჩოვმა ქორწინების პირველ წლებში ოჯახის „საგარეო საქმეთა მინისტრის“ პოსტი მიანდო — მაგრამ საერთო ინტერესების პრინციპს ნუ დაივიწყებო, — სწერდა ირონიულად იგი მეუღლეს.

არც დავიწყნია. სტავროპოლში, სადაც მათ 23 წელი გაატარეს, გორბაჩოვებმა მალე გაითქვეს სახელი სტუმართმოყვარეობით. იმ მხარეში ხშირად ჩადიოდნენ სამკურნალოდ საბჭოთა ხელმძღვანელები — კოსიგინი, სუსლოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი. იური ანდროპოვი გორბაჩოვის მფარველად იქცა და მოსკოვშიც გადაიყვანა. რაისამ აქაც არ უღალატა თავს და თავისი „მიშა“ ნელ-ნელა გარდაქმნა. ცოლის წყალობით ახალგაზრდა პროვინციელი „აპარატჩიკი“ თანდათან დაიხვეწა. რაისამ მეუღლეს ასწავლა დინჯი, უაქცენტო საუბარი, ჩააცვა საგანგებოდ მისთვის შეკერილი კოსტიუმები, დაჰყავდა თეატრებსა და ოპერაში. „რაისა მიხაილის საიდუმლო იარაღი იყო, — ამბობს მიხაილის უმცროსი ძმა და ბოლოს ხელისუფლების სათავეში მოიყვანა კიდეც“. ქვეყანაში, სადაც ხელმძღვანელთა ცოლების წონა სასწორზე უფრო იგრძნობოდა, ვიდრე ოჯახში, ცოლ-ქმრის ურთიერთგაგება ყველას უკვირდა. ვიქტორ სუხოდრიოვი, რომელიც 40 წლის განმავლობაში ხრუშჩოვის, ბრეჟნევისა და გრომიკოს თარჯიმანი იყო, იგონებს, რა დღეში ჩავარდა, როცა ამერიკული ტელეარხის შეკითხვას, რაზე საუბრობს მეუღლესთან სამუშაოდან დაბრუნებული გორბაჩოვიო, საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა. „მერე ყურსაცვამებში ჩამესმა გორბაჩოვის სუსტი ხმა: „ყველაფერზე“. საბჭოეთის სახელმწიფო ტელევიზიამ ტელეგადაცემა გაწყვიტა. მაგრამ ეს ფაქტი მაინც გახმაურდა.

მთელი მოსკოვი იმეორებდა ჭორებს რაისას მფლანგველობის შესახებ — ვიდეოკასეტაზეა გადაღებული, რაისა American Express-ის ბარათით სამკაულებს ყიდულობს ლონდონსა და პარიზში, დღეში ოთხჯერ იცვლის კაბასო... თუმცა ასეთი ვიდეოკასეტა თვალით არავის უნახავს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა! ყველა აკრიტიკებდა გენერალური მდივნის მეუღლის მზარდ როლს. გაჩნდა ანეკდოტებისა და ჭორების მთელი სერია. ყველაზე ცნობილი მათ შორის ნყვილის საძინებელ ოთახს ეხება: „მიშა, — ეკითხება რაისა, — ოდესმე წარმოიდგენდი, რომ გენერალური მდივნის ცოლთან დაწვებოდი?“

რაღას არ ამბობენ რაისაზე — ცრურწმენის გამო, აქაოდა, საბრძოლო ხომალდზე ქალმა ფეხი არ უნდა დაადგასო, — წყალქვეშა ატომური ნავი გადასადნობად გაუგზავნიათო. რაისას კულტურის საბჭოთა ფონდში ხელის ჩაყოფასაც აბრალებდნენ.

1991 წლის 25 დეკემბერს მიხაილ გორბაჩოვი გადადგა. ამობრწყინდა ბორის ელცინის მზე. იგი კრემლს ნაადრევადაც კი მიადგა რამდენიმე ბოთლისა და მეგობრების თანხლებით. „რაისას ბრძოლის გაგრძელება სურდა. უბედურება ის იყო, რომ მან ვერ გაიგო და ვერც მიიღო შექმნილი სიტუაცია“, — იგონებს მათი მეგობარი. თუ გორბაჩოვს სქელი კანი აღმოაჩნდა განსაცდელის გადასატანად, რაისა უფრო მგრძნობიარე გამოდგა.

საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ ნორმალური საცხოვრებელი პირობებიც კი აღარ ჰქონდათ. 3.000 რუბლი — პენსია, ინფლაციამ შთანთქა.

„საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი“ — ასეთი პოსტი აღარ არსებობს. დღეს „გარდაქმნის გამომგონებლის“ შემოსავალი 1.300 ფრანკს უდრის. როგორც კი გორბაჩოვმა მეფე ბორისი გააკრიტიკა, ჯერ ლიმუზინი „ზილი“ ჩამოართვეს, მერე პირადი დაცვაც მოუხსნეს. გორბაჩოვმა სამი წლის წინ არჩევნებში მონაწილეობა რომ გადაწყვიტა, საგადასახადო ორგანოებმა შემოწმება მოუწდომეს და მაშინვე გადაათქმევინეს!..

„რუსმა ქალებმა იგი არ მიიღეს, — წერდა „იზვესტია“, — რადგან რაისა განსხვავებული იყო — სიფრიფანა, თავაზიანი, დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა. იგი იმ ქვეყნის სიმბოლოდ იქცა, რომელიც უბადრუკობისგან თავის დახსნას ცდილობდა“.

...როგორც ჩანს, დღეს რუსები უკვე შეურიგდნენ თავიანთ ყოფილ პირველ ლედის. საავადმყოფოში რაისას ყოველდღე ათასობით წერილი მისდის რუსეთიდან.

რაც შეეხება მიხაილ გორბაჩოვს, იგი გამოკითხვის შემდეგ საუკუნის ყველაზე გამორჩეულ პიროვნებად დაასახელეს. გორბაჩოვმა საგრძნობლად გაუსწრო ელცინს, რომელიც რეიტინგით მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა.

ასე რომ, გარდაქმნის და „გლასნოსტის“ შემოქმედის მიერ წამოწყებულ ახალ ბრძოლაში ისტორია მას, ბოლოს და ბოლოს, სათანადო ადგილს მიაკუთვნებს.

*პარი მატჩი №26/21*

# წინასაარჩევნო ნეიტრალიზება?!

**რაც უფრო ახლოვდება დუმის (1999 წლის 19 დეკემბერი) და პრეზიდენტის (2000 წელი) არჩევნები რუსეთში, მით უფრო აქტიურდებიან პოლიტიკური ძალები, გააფთრებით ებრძვიან ერთმანეთს და ყველაფერს კადრულობენ, რათა მოწინააღმდეგე „ჩაძირონ“.**

1999 წლის 25 ივლისს სსრკ-ის ექს-პრეზიდენტის მიხაილ გორბაჩოვის 67 წლის მეუღლე რაისა გორბაჩოვა გერმანიის ქალაქ მიუნსტერის კლინიკაში მოათავსეს მძიმე დიაგნოზით — ლეიკემია. ერთი კვირით ადრე მიხაილ სერგეევიჩმა ბილ კლინტონსა და გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერს მისი მეუღლის ჰოსპიტალიზების თხოვნით მიმართა, მაგრამ ავადმყოფის მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ ხანგრძლივი ფრენა საშიში შეიქმნა. მიხაილ გორბაჩოვი თან ახლავს მეუღლეს.

ამ ამბავში თითქოს უჩვეულო არაფერია — ადამიანი ავად გახდა და სამკურნალოდ გაემგზავრა, მაგრამ თუ ყურადღებით შევისწავლით მოვლენებს, რაღაც უცნაურობებს აღმოვაჩენთ. კერძოდ, კი აი, რას. პირველი — ავადმყოფობა საეჭვოდ სწრაფად განვითარდა. როგორც მედიკოსები ამბობენ, გორბაჩოვას ლეიკემია გაფრენამდე ათიოდე დღით ადრე დაუდგინეს — 15-16 ივლისს. მანამდე მას ამ მძიმე ავადმყოფობის არავითარი ნიშანი არ აღენიშნებოდა. მეორე — გორბაჩოვის მიმართვა უცხოელი მედიკოსებისადმი გაუგებარია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთში ონკოლოგიურ დაავადებებს უკეთ მკურნალობენ, ვიდრე უცხოეთში. აკი, ამიტომაც მიმართავენ მათ უკურნებელი სენით დაავადებული უცხოელები, რომელთაც სამშობლოში იმედი გადაუწურეს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საქმე მკურნალობის მეთოდიკას კი არ ეხება, არამედ პაციენტის რუსეთიდან გარიდება იყო საჭირო. მესამე — გამოდის, რომ ძირითადი მიზანია არა „როგორ“ უმკურნალო პაციენტს, არამედ „რისგან“; ანუ საჭიროა დასმული დიაგნოზის მიზეზების გამოვლენა. მეოთხე — ლეიკემია გრიპი როდია, რომ რამდენიმე დღეში ლოგინად ჩააგდოს ადამიანი. ასე უეცრად განვითარებული სენი რაღაც გარეშე ზემოქმედების შედეგს ჰგავს, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს რადიოაქტიური დასხივება.




ასე რომ, სავარაუდოა, ლეიკემია განვითარებულიყო „ობიექტის“ რაიმე რადიაქტიური იზოტოპით შეგნებულად დასხივების შედეგად. ამ უმსგავსობის განხორციელება კი რუსეთში დღეს ძალიან იოლია. სულ რამდენიმე ასეული ამერიკული დოლარის საფასურად ადვილად შეიძენთ მოპარულ ან ჩამოწერილ ხელსაწყოს, რომელიც შეიცავს ცეზიუმს, ბარიუმს, სტრონციუმს, ორიუმს ან სხვა რომელიმე რადიაქტიურ ნივთიერებას. დანარჩენი ტექნიკის საქმეა — მიუგდებ ამ პატარა მომაკვდინებელ ნივთს „ობიექტს“ ისეთ ადგილას, სადაც იგი უმეტეს დროს ატარებს — ოთახში, საწოლზე, სავარძელში — და მერე ყველაფერი გამოსხივების სიმძლავრეზეა დამოკიდებული.

რაისა გორბაჩოვას წყობიდან გამოყვანა კი მიხაილ გორბაჩოვის ჩამოშორებას ნიშნავს საარჩევნო კამპანიიდან და პოლიტიკური მოღვაწეობიდან. კი მაგრამ, ვის უშლის დღეს ხელს გორბაჩოვი? საქმე ისაა, რომ მიხაილ სერგეევიჩს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს გავლენა პოლიტიკურ სფეროზე. მთელ მსოფლიოში, ყოფილი პრეზიდენტი და სხვა სახის მმართველები, პოსტიდან გადადგომის შემდეგ თითქოს ჩრდილში ექცევიან, მაგრამ „კონსულტანტებად“ მაინც რჩებიან და მათი აზრი და შეხედულება ანგარიშგასაწევია პოლიტიკურ მოღვაწეთათვის. ვინ არის ფარული მტერი, რომელიც გორბაჩოვის აღზევებას შეუშინებია, ჯერჯერობით, უცნობია და ალბათ დრო ამოატივტივებს მათ სახეებს. მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას — გორბაჩოვის, როგორც პოლიტიკოსის, წინასაარჩევნო ნეიტრალიზებისთვის „უკეთეს“ მეთოდს ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი...

*დმიტრი სერებრიაკოვი*
*ვნე ზაკონა №34*

# რაისა და მიხაილი



რაისა და მიხაილ გორბაჩოვები 45 წელია, ერთად არიან. მათი ურთიერთობა უნაზესი სიყვარულითაა გამთბარი, რაც მხოლოდ ახლა დავინახეთ უცებ დაბერებული მიხაილის თვალებში, რომელიც წარმოუდგენელ სევდას იტევს.

...მართლაც ძალიან ლამაზი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი რაია ტიტარენკო. ყმაწვილები გუნდად დასდევდნენ ეშხიან პროვინციელ გოგონას, რომელმაც მიმზიდველი ღიმილის გარდა, ყველასთვის თავისი ადგილის მიჩენაც იცოდა.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ მიშას, რომლისთვისაც მოსკოვს ჯერ თავისი ხელი არ დაეტყო, ძალიან მოსწონდა პატარა ტანის კოხტა, ნაცრისფერთვალება რაია, რომელმაც მომხიბლავი ლაპარაკიც იცოდა და ცეკვაც.

1953 წელს ისინი დაქორწინდნენ. ამბობენ, რაისა მას თავის ნებაზე ატრიალებდა, ქვეყანას თავად მართავდაო. იგი თავისიანებისთვის უცხო იყო, დასავლეთში კი ლამის ნენსი რეიგანთან სურდა მეტოქეობა, მისი კაბების ზუსტი ასლებით იმოსებოდა. მაშინ, 80-იანი წლების დამლევს, პრეზიდენტ გორბაჩოვის ერთი გულახდილი ნათქვამი მის ცოლს დაუბრუნდა. ამერიკულმა ჟურნალისტმა ჰკითხა გორბაჩოვს, — შინ თუ განიხილავთ ქვეყნის პრობლემებსო? პასუხად მიიღო — ჩვენ ყველაფერს განვიხილავთ, აბსოლუტურად ყველაფერსო. ინტერვიუს რუსულ ვარიანტში ეს პასუხი ამოჭრილი იყო, მაგრამ ჩვენი პუბლიკა ყველაფერს ხედავდა და ატყობდა.



ამბობდნენ, — გორბაჩოვს ცოლი ყველგან თან რად დაჰყავს, საყვარელი რომ იყოს, კიდევ გასაგები იქნებოდაო.

და ყველაფერს რაისას აბრალებდნენ.

რაისა დაბადების დღეზე ქმარს ყოველთვის იებს ჩუქნის. ის იხსენებს: დაქორწინების შემდეგ მიხაილის სოფელში ჩავედით. ხატას წინ, პატარა ბაღში, ლამის ია ჰყვაოდა. მას შემდეგ მიხაილს მშობლიური სახლის მოსაგონებლად დაბადების დღეზე იებს ვჩუქნიო.

მიხაილ სერგეევიჩი მივლინებებიდან ცოლს სწერდა: „როგორ ველოდები შენს წერილებს, ყოველთვის მჭირდები... მუდამ შენი მიხაილი“.

ამბობდნენ — გორბაჩოვა სხვის საქმეშიც ჰყოფს ცხვირსო, მაგრამ რაისა წარბსაც არ იხრიდა. მიხაილს წყნარ, ოჯახურ ატმოსფეროს უქმნიდა. მხოლოდ მან, პრეზიდენტის ცოლმა, იცოდა, როგორ გამოეყვანა ქმარი მძიმე მდგომარეობიდან და როდის მიერთმია თავისი დაყენებული ჩაი. გორბაჩოვის დაცვის უფროსი ვ. მედვედევი იხსენებს, — თუ რაისას ვინმე არ მოსწონდა, მას ველარც კრემლში ვხედავდით და ვერც აგარაკზე. ხშირად იცვლიდა მოსამსახურეებს. უბრალო რამისთვის შეეძლო მზარეული დაეთხოვა.

...რაისას დღიურიდან: „ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება, მაგრამ ჩემს გულში ცოცხლობს იმედი — ჩემი ქმარი ყოველთვის ისეთი იქნება, როგორიც ჩვენი გაცნობის ჟამს იყო — მტკიცე ნებისყოფის, ძლიერი, ღონიერი“.

მრავალი წლის წინ მიხაილ გორბაჩოვმა სიზმარი ნახა, რომელსაც დღეს იხსენებს ავადმყოფი ცოლის საწოლთან მოდარაჯე: „ვითომ მე და რაისა ჭის ფსკერზე ვართ. ამოსვლას ვცდილობთ, ერთმანეთს ვუწვდით დასისხლიანებულ ხელებს. რაისა ძირს ვარდება, მაგრამ ვასწრებ მის შეჩერებას და ისევ მაღლა მივიწევთ. ბოლოს, არაქათგამოცლილები თავს ვაღწევთ იქაურობას და ხელიხელჩაკიდებულნი მზით განათებულ გზას ვადგებით“...

ღმერთმა ქნას!

*კომსომოლსკაია პრავდა №154*


## ფირმა „ბერმუხა“

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, როგორც ადგილობრივი, ასევე ბელგიური, გერმანული და იტალიური უმაღლესი ხარისხის მასალებით, ყველაზე იაფად. საგარანტიო სერტიფიკატით. გარანტია 10 წელი. სამუშაოს ვასრულებთ რესპუბლიკის ყველა რაიონში.



მის: წერეთლის გამზ. 55, ბინა 53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

სარეალიზაციოდ გვაქვს უცხოური უმაღლესი ხარისხის საიზოლაციო მასალები

## ფირმა «გარანტი-97»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69

„მესამე ტაიმის" ბილეთების შეძენა შეგიძლიათ საგაზეთო ჯიხურებში თბილისსა და საქართველოს რაიონებში *(გათამაშება იმართება კვირაში ერთხელ. ბილეთები გაყიდვაში გამოდის ყოველ ორშაბათს. მათი მოთავსება „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში შეგიძლიათ იმავე კვირის კვირადღის 13 საათამდე).*

„მესამე ტაიმის" ბილეთის შესავსებად აუცილებელი არ გახლავთ, ფეხბურთში კარგად ერკვეოდეთ. თქვენს მიერ გაკეთებული, თუნდაც შემთხვევითი, მაგრამ ზუსტი პროგნოზი მოგებისათვის სრულიად საკმარისია.

**თამაშის წესები იხილეთ ბილეთის უკანა მხარეს**

## №20 გათამაშება. საპრიზო ფონდი 4.000-დან 8.000 ლარამდეა

სპორტპროგნოზი **მესამე ტაიმი**

33 თეთრი

გათამაშება: № 20 000000 ა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7.09.99 | შესარ. ტურნ. | იტალია | | დანია |
| 2 | 7.09.99 | შესარ. ტურნ. | შვეიცარია | | ბელარუსი |
| 3 | 709.99 | შესარ. ტურნ. | პოლონეთი | | ინგლისი |
| 4 | 7.09.99 | შესარ. ტურნ. | რუმინეთი | | პორტუგალია |
| 5 | 8.09.99 | შესარ. ტურნ. | საქართველო | | ლატვია |
| 6 | 8.09.99 | შესარ. ტურნ. | საბერძნეთი | | ალბანეთი |
| 7 | 8.09.99. | შესარ. ტურნ. | ნორვეგია | | სლოვენია |
| 8 | 8.09.99 | შესარ. ტურნ. | გერმანია | | ჩრ. ირლანდია |
| 9 | 8.09.99 | შესარ. ტურნ. | მოლდოვა | | თურქეთი |
| 10 | 8.09.99 | შესარ. ტურნ. | ისლანდია | | უკრაინა |
| 11 | 8.09.99 | შესარ. ტურნ. | ესტონეთი | | შოტლანდია |

№20 გათამაშების ბილეთები „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში შეგიძლიათ მოათავსოთ კვირადღის (5 სექტემბერი) 13 საათამდე. ყურადღება: „კვირის პალიტრა-ში" დაზიანებული ბილეთის ნაწილი გათამაშებაში არ მონაწილეობს.

№20 გათამაშების ბილეთის „ბ" ნაწილების ჩაბარება შეგიძლიათ აგრეთვე ბილეთში დასახელებული მატჩების (პირველი მატჩის) გამართვის დღეს გაერთიანებული ქართული ბანკის დიღუბის ფილიალში (მის. აღმაშენებლის №154) 16 საათამდე.

***ყურადღება!** ვინაიდან გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალი შაბათ-კვირას არ მუშაობს, **№19** გათამაშების ბილეთის „ბ" ნაწილების ჩაბარება ბანკში შეგიძლიათ პარასკევის (3 სექტემბერი) 16სთ-მდე.*

## №18 გათამაშების შედეგები

გათამაშება: № 18 000000 ბ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1) | 1:2 | 1 | 24.08.99 | ინგლ. | ლიდსი | 2 | ლივერპული |
| 2) | — | 2 | 25.08.99 | ინგლ. | ჩელსი | X | ტოტენჰემი |
| 3) | 1:2 | 3 | 25.08.99 | ინგლ. | ნიუკასლი | 2 | სანდერლენდი |
| 4) | 3:0 | 4 | 28.08.99 | გერ. | ფრაიბურგი | 1 | მიუნხენ 1860 |
| 5) | 1:2 | 5 | 28.08.99 | გერ. | შტუტგარტი | 2 | ლევერკუზენი |
| 6) | 1:0 | 6 | 28.08.99 | რუს. | ტორპედო | 1 | ზენიტი |
| 7) | 2:0 | 7 | 28.08.99 | რუს. | ჟემჩუჟინა | 1 | ალანია |
| 8) | ? | 8 | 29.08.99 | ესპან. | ესპანიოლი | ? | ვალენსია |
| 9) | ? | 9 | 29.08.99 | ესპან. | რასინგი | ? | ბარსელონა |
| 10) | ? | 10 | 29.08.99 | იტალ. | ინტერი | ? | ვერონა |
| 11) | ? | 11 | 29.08.99 | იტალ. | ლაციო | ? | კალიარი |

„ბ" ნაწილი „კვირის პალიტრის" ყუთებში მოათავსეთ კვირადღის, 22 აგვისტოს 13სთ-მდე

„მესამე ტაიმის" №18 გათამაშებაში საპრიზო ფონდი შეადგენდა 4.000 ლარს. დასახელებული 11 წყვილიდან ოთხი მატჩი (ესპანიოლი — ვალენსია, რასინგი — ბარსელონა, ინტერი — ვერონა და ლაციო — კალიარი) კვირას უნდა გამართულიყო და გაზეთის ბეჭდვის დროს მათი შედეგები ცნობილი არ იყო. რაც შეეხება ჩელსი — ტოტენჰემის შეხვედრას, რომელიც პრემიერლიგის კალენდრის მიხედვით ოთხშაბათს უნდა გამართულიყო, ეს მატჩი გადაიდო და გაიმართება პირველად დასახელებული თარიღიდან ხუთ დღეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ. „მესამე ტაიმის" წესების თანახმად ამ მატჩის სწორ შედეგად ჩაითვალა ფრე — X. *გათამაშების საბოლოო შედეგებს იხილავთ ოთხშაბათის (1 სექტემბერი) გაზეთ **„სიტყვა და საქმეში"**.*

**გაგაცნობთ №17 გათამაშების** იმ მატჩების შედეგებს, რომლებიც წინა კვირას (22 აგვისტოს) გაიმართა და რომელთა შედეგები „კვირის პალიტრის" წინა ნომერში მოცემული არ იყო: **არსენალი—მანჩესტერი 1:2; ლევერკუზენი—ბაიერნი 2:0; ბარსელონა—სარაგოსა 2:0.** №17 გათამაშების საბოლოო შედეგები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

**გთავაზობთ სპორტპროგნოზ „მესამე ტაიმის" სტატისტიკურ მონაცემებს №1-დან №17- გათამაშების ჩათვლით**

| გათამაშების № | საპრიზო ფონდი | გათამაშებული თანხა | გაუთამაშებელი თანხა | გამარჯვებულთა რაოდენობა | | მოგება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 10 შედეგი | 11 შედეგი | 10 შედეგის გამოცნობისთვის | 11 შედეგის გამოცნობისთვის |
| 1 | 4.000ლ. | 2.000ლ. | 2.000ლ. | 7 | — | 285ლ. | — |
| 2 | 4.000ლ. | 2.000ლ. | 2.000ლ. | 2 | — | 1.000ლ. | — |
| 3 | 6.000ლ. | 3.000ლ. | 3.000ლ. | 2 | — | 1.500ლ. | — |
| 4 | 6.000ლ. | 3.000ლ. | 3.000ლ. | 23 | — | 152ლ. | — |
| 5 | 7.000ლ. | 7.000ლ. | — | 152 | 6 | 21,7ლ. | 605ლ. |
| 6 | 7.500ლ. | 3.750ლ. | 3.750ლ. | 7 | — | 537,5ლ. | — |
| 7 | 4.000ლ. | — | 4.000ლ. | — | — | — | — |
| 8 | 7.750ლ. | 3.875ლ. | 3.875ლ. | 37 | — | 104,7 | — |
| 9 | 8.000ლ. | — | 8.000ლ. | — | — | — | — |
| 10 | 7.875ლ. | 3.937,5ლ. | 3.937,5ლ. | 12* | — | 328ლ. | — |
| 11 | 12.000ლ. | 6.000ლ. | 6.000ლ. | 3 | — | 2.000ლ. | — |
| 12 | 7.937,5ლ. | 7.937,5ლ | — | 76 | 1 | 51,5ლ. | 4.020ლ. |
| 13 | 10.000ლ. | 5.000ლ. | 5.000ლ. | 5 | — | 1.000ლ. | — |
| 14 | 4.000ლ. | 2000ლ. | 2000ლ. | 5 | — | 400ლ. | — |
| 15. | 9.000ლ. | — | 9000ლ. | — | — | — | — |
| 16. | 6.000ლ. | 6.000ლ. | — | 116 | 9 | 24ლ. | 357,3ლ |
| 17. | 13.000ლ. | 6.500ლ. | 6.500ლ. | 5 | — | 1.300ლ. | — |

## „მესამე ტაიმის" მოთამაშეთა საყურადღებოდ!

**შემდეგი — 21-ე გათამაშებიდან „მესამე ტაიმში" შემოგთავაზებთ რამდენიმე სიახლეს:**

1) თითოეული გათამაშების დაწყებამდე, ბილეთში პირველად დასახელებული მატჩის გამართვის დღეს, დილიდან მოთამაშეებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილე თითოეულ ვარიანტს, (ამობეჭდილი იქნება თითოეული შემოსული ვარიანტი.)

2) გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალში ბილეთის „ბ" ნაწილების ჩაბარების ვადა გადმოიწევს ერთი დღით უკან (ბანკში ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა იქნება ბილეთში პირველად დასახელებული მატჩის გამართვის წინა დღე, 16 საათამდე.)

3) მოგებულად ჩაითვლება ის ბილეთებიც, სადაც 9 შედეგი იქნება გამოცნობილი. იმ ბილეთებზე, სადაც გამოცნობილი იქნება 9 შედეგი, თანაბრად განაწილდება „მესამე ტაიმის" ახალი ტირაჟის 3.000 ცალი ბილეთი (ყოველ კენტ ნომრიან გათამაშებაში 9 შედეგის გამომცნობი მონაწილეები მიიღებენ მომდევნო კენტი გათამაშების ბილეთებს, შესაბამისად ლუწისა — ლუწს).

## „კვირის პალიტრა" დაგეხმარებათ სწორი პროგნოზის გაკეთებაში

ბილეთის შევსებისას გირჩევთ, გაითვალისწინოთ 4 სექტემბერს გამართული შესარჩევი შეხვედრების შედეგები

### 1) იტალია–დანია

იტალიის ნაკრები ჯგუფის აშკარა ფავორიტია და მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად განაღდებული აქვს ჯგუფში პირველობა, საეჭვოა შინ ქულა დაკარგოს დანიის ნაკრებთან. სტუმრები მეორე ადგილს ეცილებიან შვეიცარიის ნაკრებს და მათთვის თითოეულ ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება იტალიისა და დანიის ნაკრების პირველ შეხვედრას, იტალიელებმა სტუმრად 2:1 მოიგეს და წესით არც შინ უნდა გაუჭირდეთ.

80%__10%__10%

### 2) შვეიცარია–ბელარუსი

მიუხედავად იმისა, რომ თავის შესაძლებლობებთან შედარებით ბელარუსის გუნდს ამ ციკლში ცუდად არ უასპარეზია, გუნდს მაინც ყოველგვარი შანსი დაკარგული აქვს ევრო-2000-ზე მოხვედრისა და შვეიცარიასთან გასვლით მატჩში პრესტიჟის დაცვას შეეცდება. შვეიცარიის ნაკრებისათვის კი ამ თამაშში ქულის დაკარგვა შესაძლოა აუნაზღაურებელი გახდეს, აქედან გამომდინარე შვეიცარია აშკარა ფავორიტია.

80%__10%__10%

### 3) პოლონეთი–ინგლისი

ეს მატჩი უმნიშვნელოვანესია ინგლისელთათვის. ამ ჯგუფში პირველობა თითქმის განაღდებული აქვთ შვედებს. მეორე ადგილზე გასასვლელად ინგლისის ნაკრებს მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ ევროპის ჩემპიონატი ინგლისელთა გარეშე ჩაივლის. პოლონელებს ფრეც აძლევთ ხელს, შანსები კი დაახლოებით თანაბრად უნდა შეფასდეს.

30%__35%__35%

### 4) რუმინეთი–პორტუგალია

ეს შეხვედრა პრაქტიკულად წყვეტს, თუ ვინ დაიკავებს ჯგუფში პირველ ადგილს. პორტუგალიის ნაკრები ერთი ქულით ასწრებს რუმინეთს და შეიძლება ითქვას, რომ ფრეც აძლევს ხელს. რუმინელები შინ ტრადიციულად ძლიერად თამაშობენ და წესით ფავორიტადაც უნდა ჩაითვალონ, მით უმეტეს რომ პირველი მატჩი სტუმრად აქვთ მოგებული პორტუგალიაში — 1:0.

50%__25%__25%

### 5) საქართველო–ლატვია

საქართველოს ნაკრებს ლატვიასთან რევანშის აღება მართებს პირველ წრეში რიგაში დამარცხების გამო. ლატვიელებს ამ დღეებში ახალი ინგლისელი მწვრთნელი დაენიშნათ და ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მეორე ადგილზე გასვლის შანსს, მიუხედავად ამისა, ფავორიტად ალბათ მაინც საქართველოს ნაკრები უნდა ჩაითვალოს, თუმცა მათგან არაფერია მოულოდნელი და გასაკვირი.

50%__25%__25%

### 6) საბერძნეთი–ალბანეთი

საბერძნეთის ნაკრებმა რომც მოიგოს, მაინც მეტად მწირი შანსი აქვს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისა. ალბანელები კი ტრადიციულად ბოლო ადგილზე არიან, თუმცა ამ ქვეყანაში უკეთ დაიწყეს ფეხბურთის თამაში და გამორიცხული არ არის, რაიმე სიურპრიზი შემოგვთავაზონ. მიუხედავად ამისა, საბერძნეთი მაინც აშკარა ფავორიტია.

60%__30%__10%

### 7) ნორვეგია–სლოვენია

სავარაუდოა, რომ ეს ორი გუნდი დაიკავებს ჯგუფში პირველ ორ ადგილს. თუ ისე მოხდა, რომ ნორვეგია შინ დამარცხდა, ალბათ პირველ ადგილს დაემშვიდობება, რაც თითქმის წარმოუდგენელია. ნორვეგია სლოვენიაზე გაცილებით ძლიერი გუნდია და წესით შინ უნდა მოიგოს, თუმცა ფრეც აძლევს ხელს.

60%__30%__10%

### 8) გერმანია–ჩრდ. ირლანდია

რასაკვირველია, გერმანიის ნაკრები წყვილის აშკარა ფავორიტია. ამ ჯგუფში პირველი ადგილისათვის გერმანია და თურქეთი იბრძვიან და სხვა გუნდებს მათი დაწევის პრაქტიკული შანსი დაკარგული აქვთ.

90%__5%__5%

### 9) მოლდოვა–თურქეთი

მოლდოვას ნაკრები ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, მაგრამ ჯგუფში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე თურქეთი მაინც ფავორიტია. მოლდოველებს 7 მატჩში მხოლოდ 3 ქულა აქვთ და 9 ქულით ჩამორჩებიან თურქებს. მასპინძლები პრესტიჟის დაცვას შეეცდებიან, მით უმეტეს, რომ პირველ წრეში თურქეთში დამარცხების გამო რევანშის აღებაც მართებთ.

20%__30%__50%

### 10) ისლანდია–უკრაინა

ალბათ ყველას გახსოვთ ამ გუნდების პირველი შეხვედრა და სენსაციური ფრე კიევში. ისლანდიას, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფში საფრანგეთთან, რუსეთთან და უკრაინასთან მოხვდა, ჯერ კიდევ აქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი და ყოველმხრივ შეეცდება მოგებას. უკრაინელებს კი ამ თამაშში ქულების დაკარგვა შესაძლოა ევროპის ჩემპიონატის საგზურის ფასად დაუჯდეთ.

20%__30%__50%

### 11) ესტონეთი–შოტლანდია

ამ ჯგუფში პირველობა განაღდებული აქვთ ჩეხებს, შოტლანდიელები კი მეორე ადგილისათვის იბრძვიან და თუ ევროპის ჩემპიონატზე თამაში სურთ, ესტონეთს უნდა მოუგონ. ბრიტანელები შესარჩევ ტურნირებში ტრადიციულად ძლიერად თამაშობენ და წესით ისეთ მეტოქესთან, როგორიც ესტონეთია, არ უნდა გაუჭირდეთ. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი შოტლანდიელებმა შინ ძლივს მოიგეს — 3:2.

20%__30%__50%

## №34 (151) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 430 მკითხველი გამოეხმაურა. მხოლოდ ერთი ბარათი იყო არასწორად შევსებული. 154-მა ქალმა და 275-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ბოლო პერიოდის ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი მოვლენა?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობა — 43% მიიჩნევს, რომ ბოლო პერიოდის მოვლენათაგან ყველაზე უფრო დასამახსოვრებელია (თანაც, ძალიან ცუდად) მიწისძვრა თურქეთში. მიუხედავად XX საუკუნისათვის დამახასიათებელი კატაკლიზმებისა, ომებისა თუ სტიქიური უბედურებებისა, ალბათ, ძნელად გასახსენებელი იქნება ასეთი შემზარავი მოვლენა, რომელსაც მოულოდნელად ემსხვერპლოს ამდენი ადამიანის სიცოცხლე. **7,06** საშუალო ქულით „მიწისძვრა თურქეთში“ პირველ ადგილზეა. მხოლოდ ორმა მკითხველმა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. შემდეგ ადგილზე „მზის დაბნელებაა“, საშუალო ქულაა 6,48. მაქსიმალური — 8 ქულით ეს მოვლენა მკითხველთა 38%-მა შეაფასა. ომალოს დაბომბვაც ერთ-ერთ დასამახსოვრებელ ფაქტად მიაჩნიათ რესპონდენტებს, მეტადრე ჩვენთვის, რომელიც ერთდროულად შეურაცხყოფასა და ტკივილს უკავშირდება. 5,85 საშუალო ქულით „ომალოს დაბომბვა“ მესამე ადგილზეა.

პრემიერთა ცვლის სწრაფი ტემპი რუსეთში, განცხადება აფხაზეთში მოსალოდნელი არჩევნების შესახებ და სარკინიგზო კატასტროფა ინდოეთში, აქ ჩამოთვლილ შემზარავ და იშვიათ მოვლენებთან შედარებით, ჩვენს მკითხველებს ნაკლებად დასამახსოვრებლად მიაჩნიათ. 2,50 საშუალო ქულით სულ ბოლო ადგილზეა „სარკინიგზო კატასტროფა ინდოეთში“.




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა ორი ბარათი რეიტინგი. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 28 წლის **ირაკლი ბაბუაძე** და 33 წლის **მანანა თოფურია** (ორივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 31 აგვისტოს, 17 საათზე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

„მკითხველის რეიტინგში“ 400-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. კითხვა ასეთი იყო: **„ერთი ადამიანის გაცოცხლების შესაძლებლობა რომ გქონდეთ, ვის გააცოცხლებდით (ცნობილი ადამიანებიდან)?**

უამრავ ადამიანს მიანიჭებდნენ ჩვენი მკითხველები სიცოცხლეს. უცხოელთაგან ლედი დაიანას, მერილინ მონროს, ალბერტ აინშტაინსა და მიხეილ ბულგაკოვს გააცოცხლებდნენ. რაც შეეხებათ ქართველებს, იმდენ სახელოვან მამულიშვილსა და ღირსეულ ადამიანსა თუ პოლიტიკურ მოღვაწეს უბოძებდნენ სიცოცხლეს, რომ ალბათ, მართლა რომ ჰქონდეთ ამის შესაძლებლობა, დღეს აღარაფერი გაგვიჭირდებოდა ქართველებს.

**გთავაზობთ იმ ცნობილ ადამიანთა პირველ ათეულს, რომელსაც მკითხველი გააცოცხლებდა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დავით აღმაშენებელი** | 27% | 6 | **გია ჭანტურია** | 4% |
| 2 | **სტალინი** | 21% | 7 | **ლავრენტი ბერია** | 3% |
| 3 | **ილია ჭავჭავაძე** | 11% | 8-9-10 | **შოთა რუსთაველი** | 2% |
| 4 | **ზვიად გამსახურდია** | 7% | 8-9-10 | **თამარ მეფე** | 2% |
| 5 | **მერაბ კოსტავა** | 6% | 8-9-10 | **ნოდარ დუმბაძე** | 2% |

*გამორჩეული პასუხები:*

ერთ-ერთმა მკითხველმა, რომელსაც შოთა რუსთაველის გაცოცხლება სურდა, გადაწყვიტა, რომ არ ღირს მისი გაცოცხლება, რა უნდა გააკეთოს შოთა რუსთაველმა XX საუკუნეში? ერთი მკითხველი კი, ალბათ, თბილისის „დინამოს“ წარუმატებლობით გულმოკლული, აუცილებლად გააცოცხლებდა ვიტალი დარასელიას. ერთმა რესპონდენტმაც ასე უპასუხა კითხვას — „ილიას, რითაც ფურთხს მოვწმენდდი საქართველოს“...

## №35 (152) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგში“

№35 (152) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ სამშაბათის, 31 აგვისტოს, 17 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 2 სექტემბრის 13 საათამდე.

©თბილისი, 1997

თემა №35 (152) — ბავშვები

**თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რის ნაკლებობას განიცდიან ქართველი ბავშვები დღეს** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს 7 და ა.შ. 1-მდე.

№35(152) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| N | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გართობა | |
| 2 | განათლება | |
| 3 | თანატოლებთან ურთიერთობა | |
| 4 | სითბო | |
| 5 | საინტერესო სათამაშოები | |
| 6 | ყურადღება | |
| 7 | სილაღე | |
| 8 | მატერიალური უზრუნველყოფა | |

მკითხველის რეიტინგი *

თქვენი აზრით, ვის ეკუთვნის მსოფლიოში ტიტული — საუკუნის მოაზროვნე?

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________

ქალაქი (რაიონი) ______________



თემურ ბასილია და ნუგზარ ფოფხაძე

**ბ.კ.** — მისტერ ბორის, ამ ბოლო დროს სულ გველები მელანდება.

**ბ.ე.** — „მერე მე რას მაყრი, მერე მე რას მაყრი...“

***ბადრი, თბილისი***

**ბ.ე.** — ჯოჯოები, ეშმაკები, მაჯლაჯუნები.

**ბ.კ.** — საწყალი, ისევ დაეწყო „ბელაია გარიაჩკა“. ბორიჩკა, ეს ხომ მე ვარ, ბილი.

**ბ.ე.** — ფუ ეშმაკს! გაქრი, გაქრი!

***ნატალი, თბილისი***

**ბ.ე.** — წყეულიმც იყოს ის დღე, როდესაც თქვენს ჭკუაზე დავიწყე სიარული. მალე სტალინთან მომიწევს შეხვედრა, რით ვიმართლო თავი?

***გიორგი ბერძენიშვილი, თელავი***

**ბ.ე.** — არა, ბილ, არა! საქართველოს არ მოგცემ, გინდაც 10 მილიონი ჩამიდო ჯიბეში.

**ბ.კ.** — რაო, 10 მილიონიო? დამიძახეთ შევარდნაძეს!.. სად წაიღო დანარჩენი 90 მილიონი?

***რ. მათიაშვილი, თბილისი***

შეხვედრა უმაღლეს დონეზე:

— ბილ, ძვირფასო, ბარტერს გთავაზობ: ათი რუსი გოგო — მაგ სამ ბოთლში!

— ო, ქეი, ძია ბორია, ოღონდ ერთი პირობით: გოგოები მუნჯები უნდა იყვნენ!

***მიშიკო ბესელია, თბილისი***

ერთი შიდსით მოკვდება, მეორე „ბელაია გარიაჩკით“, მაგრამ მათ ეს ჯერ არ იციან, ისინი ჯერ პრეზიდენტები არიან.

*(„გაზაფხულის 17 გაელვების“ სტილში)*

***ტ. მელიქიძე, თბილისი***

**ბ.ე.** — ბილ, სწრაფად არაყი, ხომ ხედავ, ხელები როგორ მიკანკალებს.

**ბ.კ.** — ჰო, მაგრამ პოლიტიკა?

**ბ.ე.** — პოლიტიკა წყალსაც წაუღია, ვკვდები კაცი!

***ვალერი ნოზაძე, ხაშური***



ბილ კლინტონი და ბორის ელცინი

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 191 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

**ბ.ე.** — რატომ გამირბიხარ, რატომ მემალები, რატომ გამითეთრე, კარგო, თმაა...

**ბ.კ.** — ეუჰ! მართალი უთქვამს ედუარდს. ეს მთლად წასულა ხელიდან. მაინც რა დალიე ასეთი, გასკდა შენი მუცელი.

***ნინო მუშკუდიანი, ქუთაისი***

**ბ.ე.** (ფიქრობს): ეს რა ნოკაუტი მცოდნია, კაცო, მესამედ დავთვალე და მაინც ვერ მოდის აზრზე.

***თემურ ჯაბანიშვილი, თიანეთი***

**ბ.კ.** — ჰაუ არ იუ, მისტერ ბორის?

**ბ.ე.** — მგელივით ვარ, სხვათა შორის... ოღონდ მერე შემარცხვინეთ, თუ არ ვხედავ მე თეთრ ცხენებს... დაუძახეთ დროზე მცველებს, სადაცაა, გადაგვთელეს.

***რუსლან შარია, სოხუმი***

**ბ.კ.** — „ბორია, მიკვირს, რომ მეუბნები, ხუთიანი მყავდა გეოგრაფიაშიო. სომალი გითხარი, შენ კი ომალო დაბომბე “.

***მ. მესხი, თბილისი***

**ბ.ე.** Пасть порву, маргалы выкалю...

**ბ.კ.** Помогите, хулиганы зрение лишают!

*კ/ფ („იღბლიანი ჯენტლმენები“)*

***გია, თბილისი***

## გარდაიცვალა „შურიკა"



პეტერბურგში გარდაიცვალა 63 წელს მიტანებული, დიდი დიაპაზონის, ხალხის სიყვარულით გამორჩეული კინომსახიობი ალექსანდრ დემიანენკო. დრამისა და კომედიის დიდოსტატს აღიარება მაინც ლეონიდ გაიდაის კომედიებმა მოუტანეს („ოპერაცია Ы და შურიკას სხვა თავგადასავლები", „კავკასიელი ტყვე ქალი", „ივან ვასილევიჩი იცვლის პროფესიას"...).

## ყნოსეთ ბანანი

ამერიკელმა მეცნიერმა დევიდ ბრაუნმა სენსაციური აღმოჩენა გააკეთა. თურმე გასახდომად სულაც არ ყოფილა საჭირო უმკაცრესი დიეტების დაცვა და ათასნაირი მავნე აბის ყლაპვა — საკმარისია ბანანის ან მწვანე ვაშლის ყნოსვა.

ცხიმოვან უჯრედებს შლის არა მარტო ორივე ამ ხილის ჭამა, არამედ სურნელიც!

## ყოჩაღ, ქალებო!



იაპონელმა სოციოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ქალები უფრო მომთმენნი არიან, ვიდრე მამაკაცები. მაგალითად, რიგში დგომა მამაკაცს უკვე 6 წთ-ში აღიზიანებს, იწყებს ბუზღუნს, ჩხუბსაც კი. მანდილოსანი რიგს 8 წთ-ზე მეტხანს უძლებს. სუპერმარკეტის სალაროს რიგში დგომა მამაკაცს მხოლოდ 4,43 წთ შეუძლია, ქალს — 5,59 წთ. ტკივილის მოთმენაზე ხომ აღარაფერს ვამბობთ. მამაკაცი საერთოდ ვერ იტანს ავადმყოფობას, ქალი უძლებს ტკივილს მშობიარობისას და თუნდაც აბორტის დროს.

## ფოტო განწყობისთვის



მივიწყებილი წერა-კითხვა „კვირის პალიტრამ" გამახსენა

მკითხველის ფოტო

## იცით?

„მთელ პლანეტაზე გაუნათლებელ ადამიანთა რიცხვი იზრდება. დღეს იგი 1 მლრდ უახლოვდება. მსოფლიოს ბავშვებიდან 125 მლნ არა აქვს სწავლის საშუალება... დაახლოებით 150 ათასი ბავშვი 2-3 წლის შემდეგ იძულებულია, დატოვოს სკოლა", — ნათქვამია განათლების პრობლემებისადმი მიძღვნილ იუნესკოს მოხსენებაში.

სპეციალისტების აზრით, მსოფლიოს ბავშვებმა დაწყებით სკოლაში რომ ისწავლონ, ყოველწლიურად საჭიროა 8 მლრდ დოლარი. სხვათა შორის, ზუსტად ამდენივე იხარჯება 4 დღეში სამხედრო საქმეებისთვის.

### „კვირის პალიტრა" აცხადებს

## კონკურსს

სამუშაოდ ვიწვევთ გამოცდილ, კვალიფიციურ ჟურნალისტებს...

მსურველებს ველით რედაქციაში გასაუბრებაზე სამშაბათს, 31 აგვისტოს და 7 სექტემბერს 17 სთ-ზე. მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).

ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი

30.08.1999 22-24სთ.
02.09.1999 07-09სთ.
04.09.1999 19-21სთ.



# კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**თარაზულად:** 5. ირლანდიის ერთ-ერთი პროვინცია; 10. სპეციალური ადგილი საბრძოლო ტექნიკის ან მასალის გამოსაცდელად; 11. დაბა აფხაზეთში; 12. გადასახადებისგან გათავისუფლებისა და შეუვალობის დამადასტურებელი სიგელის მქონე ძველ საქართველოში; 15. დაჯგუფება პოლიტიკურ პარტიაში; 16. სივრცეში მოძრავი წერტილის ან სხეულის გზა; 17. ისტორიული ციხესიმაგრე დასავლეთ საქართველოში, ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობა; 19. ხის რიკი (კედელზე ან სვეტზე), რისამე ჩამოსაკიდად; 21. სიმღერას შეწყობილი ხმა; 24. ფრანგი დრამატურგი; 27. მარადმწვანე ბუჩქი; 28. მეცნიერებათა ან დისციპლინათა რაიმე პრინციპით გაერთიანებული ჯგუფი; 29. პირუტყვის ნეხვი, კვერებად ან ბრიკეტებად გამხმარი (უტყეო ადგილებში საწვავად იყენებენ); 30. მიწის საზომი ერთეული ჩრდილო ამერიკაში; 31. ზღაპრული ბრძენი ქალი; 32. ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ქართველი მღვდლის, თევდორეს მშობლიური სოფელი; 33. საუკეთესო ხარისხის ბროლი; 35. მთელის დაყოფა, დანაწევრება ნაწილებად; 39. კახეთის სამეფოში 1605 წელს მოწყობილი სისხლიანი გადატრიალებისას ძმის მიერ მოკლული უფლისწული; 41. წერილი, ბარათი; 44. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი; 48. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტის ნაწილი, დედამიწასთან ყველაზე ახლოს მდგომი; 49. უცოლოდ გადაბერებული; 50. ოფიციალური ხელწერილი; 51. მომწამვლელი ნივთიერება; 52. ძველებური სუფრული ჩვეულება — ღვინის ერთდროული სმისას დამეგობრება (ევროპაში).

**შვეულად:** 1. სამკაული; 2. გაბატონებული ფენის წარმომადგენელი კაპიტალისტურ ქვეყანაში; 3. მუცელი (ძველი შესატყვისი); 4. მონაწილე იტალიური ფილმებისა „ჭირვეულის მორჯულება" და „სერაფიონი"; 6. სოფელი კახეთში; 7. მთვარის მსახურებისადმი მიძღვნილი უძველესი ქართული საკულტო ცეკვა; 8. საბჯენი ჯოხი; 9. ამერიკელი კინოვარსკვლავი; 13. მონაწილე რუსთაველის თეატრის სპექტაკლებისა „ხიდი" და „კავკასიური ცარცის წრე". 14. ლენტური ჭიის მატლი ადამიანისა და ცხოველის სხვადასხვა ორგანოში, რომელიც მძიმე დაავადებათა გამომწვევია; 18. ინდაურის ნაშიერი; 20. სოფელი ბორჯომის რაიონში; 22. ქალი — ბესიკის მუზა; 23. ჯიქანი; 25. სანადირო ძაღლი; 26. მბრუნავი სახვრეტი ხელსაწყო; 34. ჩინეთის მეზობელი სახელმწიფო; 36. რეზინული შენარევების ვულკანიზაციით მიღებული მასალა; 37. მწვადი, რომელიც არ არის ძალიან შემწვარი და წვენი გასდის; 38. ბოლოში მოხრილი, მოკაკული რკინა ან ჯოხი, კედელზე მიმაგრებული; 40. „წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც... დიდი" (ი. ნონეშვილი); 42. „იავნანას" თანხლებით შესრულებული რიტუალური ცეკვა „ბატონებიანი" ბავშვის საწოლთან, ძველ საქართველოში; 43. ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი; 45. გუთნის სახელური (საქართველოს ზოგ კუთხეში); 46. ამერიკელი კინოვარსკვლავი ქალი; 47. წვრილ, ცისფერყვავილებიანი ბალახოვანი მცენარე.

## წინა კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7. ჭოგრიტი; 8. კორნეტი; 9. ტატილა; 10 უზნაძე; 11. ულტრა; 16. საფერავი; 17. ელემენტი; 20. „ქიმწმენდა"; 22. სურავანდი; 24. სკოლა; 26. ტანკი; 28. ჭიპილია; 29. ბათქაში; 32. კეგლი; 33. ხომლი; 5. უკვე; 37. პესი; 39. დარიჩინი; 40. ინიექცია; 41. ხუანი; 42. ნიშადური; 43. კეკონენი.

**შვეულად:** 1. ფირმანი; 2. ქონგური; 3. ფოფინი; 4. სტატუს-კვო; 5. გორგასალი; 6. შტანგა; 12. რეანიმაცია; 13. პატრონტაში; 14. ჯეჯიმი; 15. ჟენევა; 18. ჯეჯილი; 19. ლაფათა; 21. ნაწილაკი; 23. რადამესი; 25. კულა გლდანელი; 27. კოლუმბარიუმი; 30. ელდა; 31. ფოლი; 34. „აჩრდილი"; 36. ეტუში; 37. პინდი; 38. რეკორდი.

კვირის პალიტრის უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება ყოველ სამშაბათს 17 საათზე, ხუთშაბათსა და კვირას, 13 საათზე. მათი განთავსების ადგილებია — თბილისში: მეტროების — „მარჯანიშვილი"; „კავშირის მოედანი"; „თავისუფლების მოედანი"; „რუსთაველი"; „ღრმაღელე"; „ნაძალადევი"; „ახმეტელი"; „ავლაბარი", „300 არაგველი", „ვარკეთილი"; „სამედიცინო ინსტიტუტი", „პოლიტექნიკური", „ისანი"; „სამგორი"; „გოცირიძე"; – მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; გამსახურდიას და ვაჟა-ფშაველას პროსპექტების გადაკვეთაზე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ქავთარაძის ქუჩაძე – იზოტოპების ინსტიტუტთან და ბოლო გაჩერებაზე, ორთაჭალაში – გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიღუბის ავტოსადგურთან; დიღმის მასივში პოლიკლინიკის წინ, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 – სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ – ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში – მეგობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში – კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში – გაჩერებასთან. წყნეთის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა.*

***ქუთაისში:** 1) თამარ მეფის ქ. უნივერსიტეტი; 2) კინო „საქართველო" წერეთლის ქ.; 3) ჯაჭვის ხიდის ავტოსადგური; 4) ბაზრის წინ; 5) კულტურის სახლის წინ; 6) ნინოშვილის ქ. ბაღში; 7) ნიკეას ქ. ბირჟა; 8) ავტოსადგური, კეჩის ბაზარი; 9) ავტოქარხანა; 10) ავტოქარხნის ბაზარი; 11) უნივერსამი; 12) რკინიგზის სადგური. (განცხადებები მიიღება ტელეფონითაც 4-34-36)*

***რუსთავში:** 1) ქაშაკაშვილის ქუჩა; 2) შარტავას გამზ. 14/2; 3) მე-16 მ/რ ე.წ. სტამბულის ბაზრის წინ.*

*ქალაქებში: რუსთავი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი (სტამბასთან), წნორი (ბაზრის შესასვლელთან) ლაგოდეხი (წიგნების მაღაზიასთან), ყვარელი, გურჯაანი (კინოთეატრთან), თელავი (სამხატვრო სკოლასთან) — **არსებული „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთები იცლება სამშაბათობით, 17 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

(35) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№35 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 2 სექტემბერი (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



— იცი, ჩემგან ცოლი წავიდა ისე, რომ ერთი კაპიკიც კი არ დამიტოვა!

— ჩემმა ცოლმაც უკაპიკოდ დამტოვა, მაგრამ სამწუხაროდ, არ მიდის ჩემგან...

* * *



მასწავლებელმა მოსწავლეებს დასაწერად მისცა თემა — „მე რომ ფირმის დირექტორი ვიყო..." მთელი კლასი მონდომებით მუშაობს ერთის გარდა, რომელიც წინ და უკან დადის და განუწყვეტლივ ფანჯარაში იყურება.

— რატომ არ წერ? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— მდივანს ველოდები, იგვიანებს...

* * *

ქმარი — მითხარი, ჩემო კარგო, სამი სიტყვა, მეშვიდე ცას რომ მწევს.

ცოლი — თოკი კარადაში კიდია.

* * *



ნამდვილ ზღვის მგელს, გამოცდილ კაპიტანს მეზღვაური ეკითხება:

— მართალია, ზვიგენმა უკბინაო...

— მართალია.

— სად გიკბინათ?

— ეგ ტყუილია.


**არ გამოგრჩეთ!**

ყოველ ოთხშაბათს ახალი გასართობი გაზეთი




**კროსვორდებით,**

კურიოზებით,

ტესტებით,

გამოცანებით,

რებუსებით,

და სხვა მრავალი გასართობით.

**ყოველ ნომერში თამაშდება 200 ლარი**



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადების შინაარსსა და სტილზე.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

სარედაქციო კოლეგია

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54

რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

სარეგისტრაციო № 1518

„კვირის პალიტრა"

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".